N12 (511) 25/III-31/III-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №4

ილია ჭავჭავაძე

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

გურამ რჩეულიშვილი

„ნინო ქათამაძის სიმღერები კოსმოსში გაგზავნეს?!“

რატომ წამოვიდა ქეთა ლორთქიფანიძე „შუა ქალაქიდან“

„სამ წელიწადში სამი შვილი შეგვეძინა“

„სხვის ცოლებს კომპლიმენტს არ ვეუბნები“

ქეთი ორჯონიკიძე ახალ ამპლუაში

„გოთიც ვიყავი, ემოც და სექსუალური იმიჯის მქონეც“

„სწორ, დაკლაკნილ და ოვალურ ხანჯლებს „ვყლაპავ“

ვირეების ვალსი და მოთვინიერებული პითონი

ფოტოგრაფის თვალით დანახული ქართული მოდა

ISSN 1987 - 5029

ქართველი ყალბისმქმნელისა და ავანტიურისტის თავგადასავალი

!დაიწყო!

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის
და თქვენი შვილებისთვის!





ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №4 - ილია ჭავჭავაძე

წიგნის ფასი 3! დიახ, სამი ლარი!



ეს ფასი, მეოთხე ტომისთვის,
ძალაშია მხოლოდ
25 მარტიდან - 1 აპრილამდე!

გამოიწერეთ ГЗА და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ, პრესისა და წიგნების
გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი" ტელ: 38 26 73; 38 26 74

თუ თქვენ ვერ მოასწარით რომელიმე ტომის **გზასთან** ერთად შეძენა,
რამდენიმე კვირაში მის ყიდვას წიგნის მაღაზიებში შეძლებთ!

№12 (511)
25 - 31 მარტი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატიურები 5
სუფსარქისი შეგეწიოთ...
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
■ პროექტი 9
„მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“
■ ტკივილი 14
რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭი
■ ფსიქოპორტრეტი 17
„მშენებლობა“ კახურად და გამჭვირვალე ტენდერი ანუ ბესო ბერულაშვილის ფილოსოფია
■ ოჯახი 18
„მგონია, ორ შვილზე იოლი, 5 შვილის გაზრდაა“...
■ იუბილე 20
ქართული ბალეტის ჯადოქარს 100 წელი შეუსრულდა
■ პორტრეტი 22
არამოდური და გემოვნებიანი ფოტოგრაფი ანუ სადაური ქუდი ახურავს ჯიჯი რეჯინს
■ შემოქმედი 24
■ პრეზენტაცია 25
■ ვარსკვლავები 27
■ აზარტი 29
მშველელი ტოტალიზატორი, „მაზავშიკების“ გუნდი და ჰოლანდიის ნაკრებისგან გაკოტრებული ქალბატონი
■ მინირომანი 30
■ თქვენთვის, ქალბატონებო 32
■ სიტუაცია 34
■ არტისტი 37
ვირების ვალსი და მოთვინიერებული პითონი ანუ „ახმეტელი ბიჭის“ ასრულებული ოცნება

ქვეყანა

„მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“

26 წელიწადს იცოცხლა, სიცოცხლითაც და სიკვდილითაც კაცობის ლეგენდად დარჩა და ყველა თაობის თანამედროვედ იქცა... მომავალ ხუთშაბათს, „გზასთან“ ერთად „ქართული პროზის საგანძური“ მე-5 ტომად გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების კრებულს გთავაზობთ.

8

სახე

მრავალშვილიანი ახალგაზრდა ქართველი მსახიობი

„ქეთას გარეშეც მშვენივრად ვუვლიდი ბავშვებს, აეროპორტშიც დავხვდი და შინაც მოვაბრძანე. ჩემთვის მსგავსი რაღაცები პრობლემას არ წარმოადგენს. მერე რა, თუ ის გადაღებებზე საზღვარგარეთ იმყოფებოდა? ეს მისი პროფესიაა და ასეა საჭირო“.

17

ცხოვრება

„მაზავშიკების“ გუნდი

„თავანის“ ჩაუბარებლობა კაცისთვის დიდი სირცხვილია. თუ „გაფუფლოვდება“, ის თავის საახლობლოში თავს ვეღარ გამოყოფს. ამიტომ, „თავანს“ უპრობლემოდ გვაბარებენ“.

29

გზა ვნილები

ქალის დადებითი და უარყოფითი როლი მამაკაცის ცხოვრებაში

„თავის ოჯახს დიდი ხანია, შეურიგდა, მაგრამ არაფრით არ გავუშვი მათთან საცხოვრებლად. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ დღემდე „დედა“ ვერ დავუძახე. არადა, ნეტავ იცოდეთ, როგორ მინდა, ერთ მშვენიერ დღეს გავბედო და ვუთხრა — დედა! “

77

■ **შეუცნობელი** 39
■ **ეს სამყაროა** 40
■ **ავტო** 42
■ **ისტორიის ლაბირინთები** 43
დუდიკვათას ლეგენდა ანუ ქრისტიანობისთვის თავდადებულნი
■ **საკითხავი ქალებისათვის** 46
■ **ტაძარი** 48
მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა და გაძლიერებული ქართული სახელმწიფო
■ **ჯანმრთელობა** 50
■ **ბედი კაცისა** 53
სოლომონ აშორდია — ქართველი ყალბისმქმნელისა და ავანტიურისტის საოცარი თავგადასავალი
■ **ამპლუა** 56
82 წლის გივი შავგულიძის ფორმაში ყოფნის „რეცეპტი“
■ **თინეიჯერული პონტები** 58
მომღერალი ქეთი ორჯონიკიძე ახალ ამპლუაში
■ **წვეთი პოეზია** 61
■ **ავტოპორტრეტი** 62
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ **ქართული დეტექტივი** 66
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
■ **რომანი** 70
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)
■ **რეალური** 74
■ **გზავნილები** 77
■ **ყველა ერთისათვის** 81
„კაცი ბედს გარეთ ეძებს, ქალი შინ ელოდება“
■ **მობილი-ზაცია** 84
■ **გონიერი მკითხველი** 86
■ **მოზაიკა** 89
■ **სპორტის ლეგენდა** 90
ქართული დოპინგი
■ **ერუდიტი** 92
„ნაკლებად ერუდირებული“ ტელეჟურნალისტი
■ **გასართობი** 94
■ **ასტროლოგია** 96
■ **სკანვორდი** 97
■ **საფირმო კროსვორდი** 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო

„ახმეტელი ბიჭის“ ასრულებული ოცნება

„ცირკი დაიშალა და „განათლებული“ ვირები ისევ სოფელში დავაბრუნე, თავად კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დავიწყე ხეტიალი — ბულგარეთი, თურქეთი, ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოვიარე და სხვათა შორის, მაყურებელმა ყველგან კარგად მიმიღო“.

37

ადამიანი

ქართველი ავანტიურისტის საოცარი თავგადასავალი

„XIX საუკუნის მიწურულს, მისი შემწეობით, ქუთაისის გუბერნიის 2 ათასამდე მცხოვრებმა თავადისა და აზნაურის ღირსებები მიიღო... საქართველოდან გაქცევის შემდეგ, სოლომონმა თავისი ავანტიურისტული საქმიანობა იმდროინდელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში განაგრძო“.

53

ბიბლუსი



— ლალ, სად ხარ?
— ბაკურიანში, რომელი ხარ?
— ზაზა ვარ, შენ-გელია, სასწრაფოდ მჭირდები, ხომ იცი, პირველ არხზე რეორგანიზაციაა და რაღაც უნდა შემოგთავაზო.
— კარგი, ხვალ დილით ჩამოვალ, — ვთქვი მე და გვარიანად დაინტრიგებულს მთელი ღამე არ დამეძინა. მეორე დღეს ზაზას კომფორტულ კაბინეტში ვიყავი.

61

ტაიმ-აუტი

„ნაკლებად ერუდირებული“ ტელეჟურნალისტი

„მიმაჩნია, რომ ნაკლებად ერუდირებული ვარ და მინდა, ცოდნა გავიღრმავო. კალიფორნიაში არის კინოაკადემია. ჰოდა, თუ ბედმა გამიღიმა, მინდა, იქ ჩავაბარო — კინოსა და მედიამენეჯმენტის განხრით ვისწავლი“.

89

სუფსარქისი შეგეწოთ...

შესავლის ნაცვლად არაფერია ამქვეყნად მუდმივი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თავიანთ რუს მეტოქეებზე გამარჯვებებისა და „ქართული ფლორის საოცრების — „სალხინოს“ რეკლამის გარდა! სხვა ყველაფერი — ცვალებადია, როგორც დიდი ქართველი პოეტი ამბობდა: „ამა სოფლისა დიდი და მცირე, არს ცვალებისა მზირე...“ მთავარია, ეს ცვლილება უკეთესობისკენ იყოს, რასაც „მეცნიერულის ენით“, პროგრესი ეწოდება, ხოლო ცვლილებას უარესობისკენ, ბოდიში მომითხოვია და, — რეგრესი...
აბა, რომელი თქვენგანი არ დამეთანხმება, რომ რაც უფრო მეტი მხიარული და სასიამოვნო დღე გვექნება, მით უფრო „პროგრესულები“ ვიქნებით?!

ჰოდა, პრეზიდენტმაც მორიგი პროგრესული გადაწყვეტილება მიიღო — „ნოვრუზ-ბაირამი“ ეროვნულ (ქართულ ეროვნულ!) დღესასწაულად გამოგვიცხადა და თან დაგვპირდა: ჯერ სად ხართ, თუკი რამე ეთნიკური ჯგუფი გაჭაჭანებულა საქართველოში, ყველა მათგანის დღესასწაულზე დაგასვენებთ, ყველას ღირსების ორდენით დაგაჯილდოებთ და ყოველ წელს არჩევნებს ჩავატარებთო(?)...

ჯერ სად ხართ, არჩევნებამდე ორ თვეზე მეტი დარჩა, კიდევ ისეთ „კაი-კაი რამეებს“ მოიგონებს... თანაც განა მარტო პრეზიდენტი და მმართველი გუნდი?! იმიტომ მიყვარს არჩევნები — სხვა დროს განა ნახავ სადმე „ვალინკებიან“ და ბულდოზერზე შემომხტარ „რაფინირებულ-კონსტრუქციულ-ოპოზიციურ“ გიორგი თარგამაძეს?! ლტოლვილების კორპუსის ეზოში წყალი დამდგარაო! ნწუ-ნწუ, რას უშვრება ეს მთავრობა ხალხსო! იახლა „თავისი“ მერობის კანდიდატი, სტუცა ფეხები შავი რეზინის „ვალინკებში“ და „გავიდა ხალხში“... ჯერ სად ხართ, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატთან ერთად, ნახეთ, რა ამბებს დაატრიალებენ — ინგა არავისზე ნაკლებად არ ატარებს ბულდოზერს, თანაც ლონდონში სწავლობდა...

აგერ ახლა წავიკითხე, გია მაისაშვილსაც „ნანდომა“ მერობა, რატომაც არა?! ეგეც ხომ „რაფინირებულია“, ხომ გახსოვთ მიტინგებზე მაგისი „რაფინირებული“ შეძახილები — „მიშას რა“, რომ ყვიროდა...

იქით დავითაშვილ-ძიძიგურისტები... მოკლედ, თბილისში „რაფინირებულებს“ და „რაფიკებს“ რა დალევს? მხიარული აპრილ-მაისი გველის.

ჰო, „რაფიკებზე“ გამახსენდა: დალეწა და დაანიავა საქართველოში ქარმა ყველაფერი და სუფსარქისიო თუ რაღაც, ქარი იცის მაგ დროსო, რაღაც სომხური ლოცვა უნდა წაიკითხოო... მოკლედ, ბარემ ეგ სუფსარქისიც ქართულ-ეროვნულ დღესასწაულად... ჰა? „პა-ხოდუ“ ჯავახეთში რეგიონულ ენად სომხური... იქნებ ქარი მაინც შეგვეშვას...

სამაგიეროდ, სანამ ესენი თბილისის „დასაპყრობად“ ბრძოლისთვის ემზადებიან, მოქმედი მერი მოქმედებს: ჩამოიყვანეს გერმანიიდან ვიღაც პროფესიონალი „პიარ-ტექნოლოგი“ (თვითონ ასე თქვეს) და სთხოვეს, თბილისისთვის სარეკლამო-სავიზიტო სლოგანი მოეფიქრებინა. ისიც დაჯდა, არა, კი არ დაჯდა, პირიქით — ადგა, ქალაქში გაიარ-გამოიარა, რესტორნები მიიარ-მოიარა, ესა, ისა, და სლოგანიც გამოაცხო: „ქალაქი, რომელსაც უყვარხარ!“ და ამაში თბილისის ბიუჯეტიდან მიიღო ბევრი ათასი დოლარი!!! და ამჯერად არც ვხუმრობ და არც ვპროვოკატორობ! სრულიად სერიოზულად მივმართავ თბილისის „მამებს“: თქვენ ნამუსი გაქვთ?!

მარტივად რომ ვთქვათ, ამ თქვენს „სლოგანს“ ორი დიდი ნაკლი აქვს: ერთი, რომ, როგორც გითხარით, ძვირია და მეორე — გოიმურია!

საერთოდ, ამ ქალაქში რომ ამ ე.წ. „სლოგანებისა“ და სხვადასხვა ახალი სახელწოდების სფეროში სერიოზული პრობლემები არსებობს, ამაზე ეჭვი, იცით, ჯერ კიდევ როდის გამიჩნდა? როდესაც პრეზიდენტი, ქალაქის მერი, პრემიერი და მათი ამალა რამდენიმე წლის წინ, ორთაჭალაში ახალი „ელიტური უბნის“ პრეზენტაციას დაესწრნენ, რომელსაც „ორთაჭალის ტურფა“ ერქვა (ერქვა რა, ახლაც ჰქვია)! სახელი სახელად და, „ლოგოდ“ ფიროსმანის ცნობილი სურათი ჰქონდათ გამოტანილი... ჩემო ძვირფასო ბატონებო, არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ წიგნის კითხვა სასარგებლოა! წიგნი რომ წაგეკითხათ რომელიმე თქვენგანს თავის დროზე, ხომ არ „გაიბანძებდით“ თავს? რადგანაც გეცოდინებოდათ: თბილისში, ორთაჭალის ცნობილ ბაღებში იყო ბორდელები (ანუ საროსკიპოები), იქაურ „მუშაკებს“ უწოდებდნენ „ორთაჭალის ტურფებს“ და ფიროსმანის ის ცნობილი სურათებიც (ორია ასეთი) სხვა არაფერია, თუ არა ჭიქა ღვინის ფასად გენიოსის მიერ დახატული ბორდელის „ვივესკა“ (ანუ აბრა)...

P.S. კაცო, რა მაგის პასუხია, და ნოვრუზ-ბაირამის ამბავში, რამე ქრისტიანული მინიოპერაციის ჩატარებასაც ხომ არ მოგვთხოვენ ქართველ მამაკაცებს სხეულის კონკრეტულ ნაწილებზე? რა ვიცი, ახლა არაბეთია მოდაში...

პროვოკატორი

თურქებმა უძველესი ტაძარი აღმოაჩინეს

თურქმა არქეოლოგებმა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სირიის საზღვრის მახლობლად, პროვინცია შანლიურფში 12 ათასი წლის წინანდელი ეკლესიის ნანგრევები აღმოაჩინეს.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ტაძარში ნაპოვნი ნივთების (ადამიანებისა და ცხოველების თავების, კედლებზე უთავო ადამიანების გამოსახულებებისა და T-ს მაგვარი ბოძების) მეშვეობით მტკიცდება, რომ ეს ნაგებობა აქამდე აღმოჩენილთა შორის უძველესია. შეგახსენებთ, მანამდე ეს სტატუსი კუნძულ მალტაზე მდებარე, ჩვ.წ.აღ-მდე VI-V ათასწლეულით დათარიღებულ ეკლესიას ეკუთვნოდა. ■

პატიმრობა სექსუალური შინაარსის SMS-შეტყობინებისათვის

ინდური წარმოშობის წყვილი, ერთმანეთისთვის გაგზავნილი ზედმეტად გულახდილი სექსუალური შინაარსის SMS-შეტყობინებისთვის, დუბაის ციხეში სამ თვეს გაატარებს. სასამართლომ დაადგინა, რომ წყვილი „ცოდვის ჩადენას“ გეგმავდა. არაბთა გაერთიანებული საამიროების კანონმდებლობით, დაუქორწინებელ ქალსა და მამაკაცს შორის ინტიმური კავშირის დამყარება სასტიკად აკრძალულია.

კანონდამრღვევთა ვინაობა არ სახელდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი 47 და 42 წლისანი არიან. ■

ჩინელებმა მაღალჩინოსანი სიკვდილით დასაჯეს

ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დაგეგმარების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, პაკ ნამ კი ქვეყნის ეკონომიკის განზრახ დანგრევისათვის სიკვდილით დასაჯეს — სასამართლომ განაჩენი გასულ კვირას აღასრულა. ჩინური სააგენტო Yonhap-ის ინფორმაციით, ხალხს არ სჯერა, რომ ნამ კი დამნაშავეა. ისინი მიიჩნევენ, რომ სასტიკად დასჯილი მაღალჩინოსანი უბრალოდ, „განტევების ვაცი“ გახდა და სავალუტო რეფორმის ჩავარდნის გამო, ვიღაცებმა მასზე ხელი შეიწმინდეს. თანამდებობიდან 2010 წლის დასაწყისში გათავისუფლებული ჩინოვნიკი 2009 წელს გატარებული ფინანსური რეფორმის იდეოლოგად და სულისჩამდგმელად მიიჩნეოდა. ■

უგო ჩავესი ინტერნეტბრძოლას იწყებს

ვენესუელის პრეზიდენტმა, ჩავესმა „მირაფლორესის“ სასახლის ერთ-ერთ კაბინეტში კომპიუტერის დამონტაჟება ბრძანა, რომლის მეშვეობითაც, ინტერნეტში საინფორმაციო ბრძოლას დაიწყებს. „ინტერნეტში საბრძოლველად ეს ჩემი სანგარი იქნება და ჩემი მისამართით გაკეთებულ ყველა განცხადებას პირადად ვუპასუხებ. თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს“, — განაცხადა პრეზიდენტმა ტელერადიოპროგრამა „ალო, პრეზიდენტო“-სთვის მიცემულ ინტერვიუში. უგო ჩავესმა ინტერნეტით უფასოდ სარგებლობისთვის აუცილებელი, 24 ახალი საინფორმაციო ცენტრი დააფუძნა, რომლის მომხმარებელთა რიცხვი 7 მილიონ 552 ათასამდე გაიზარდა. ■

სეპარატისტმა სომხებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს

„ნოვოსტი არმენიის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა მთიანმა ყარაბაღმა აღიარა, — ამის შესახებ განცხადება მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვარგამ ათანესიანმა გააკეთა. მისი თქმით, „აფხაზეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე“ მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტის — ბაკო სააკიანის დასწრება სწორედ ორმხრივი აღიარების დადასტურებაა. ათანესიანმა ისიც აღნიშნა, რომ მთიან ყარაბაღს აფხაზეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაში ხელს არაფერი უშლის და ეს, სავარაუდოდ, საკანონმდებლო დონეზეც გაფორმდება. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

რუსების მიერ გახსნილი „პანდორას ყუთი“ და გამოფხიზლებული კავკასიელები

რუსეთის სახელმწიფოს მიერ ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, აფხაზების, ქართველების გენოციდი, უბიწი ხალხის სრული განადგურება, სეპარატიზმის გაღვივება — ის საკითხებია, რომლებზეც კავკასიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა თბილისში, ჩრდილო კავკასიის ხალხისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე იმსჯელეს. ამ თემებზე საუბრის შემდეგ, ჩრდილოკავკასიელებმა ქართველებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება შესთავაზეს — საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩნებმა (თუმცა ისინი ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები არ იყვნენ) დამოუკიდებლობის აღიარების, ხოლო ჩერქეზებმა — ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართეს... რამდენად შესაძლებელია კავკასიელებს შორის შეთანხმების მიღწევა? — ამ კითხვით ექსპერტებს — ანდრო ბარნოვსა და მამუკა არეშიძეს მივმართე.

სათუნა გახტურიძე

ანდრო ბარნოვი:

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიელები რუსეთის დასამხობად და დასანგრევად კი არა, რუსული აგრესიისგან თავდასაცავად ცდილობენ გაერთიანებას. ბოლოს და ბოლოს, კავკასიელებმა უნდა შეიგნონ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია, როგორც დამოუკიდებელი, ისე რუსეთის ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებისთვის. იმედი მაქვს, ჩვენი ქვეყანა შეძლებს დროთა განმავლობაში დიპლომატიური, პოლიტიკური (და არა საბრძოლო) რიტორიკით კავკასიის ქვეყნების გაერთიანების მისიის შესრულებას.

— ფიქრობთ, რომ დღეს საქართველომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა და ჩერქეზი ხალხის გენოციდი უნდა აღიაროს?

მამუკა არეშიძე:

— საქართველომ არც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა და არც ინგუში ხალხის გენოციდი არ უნდა აღიაროს, მაგრამ ამ საკითხის განხილვა ნამდვილად უნდა დაიწყოს. სხვათა შორის, ჯერ არც ჩერქეზებს უღიარებიათ ქართველების ეთნოწმენდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ისიც, რომ რამდენიმე კაცი (მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ), რომელიც თბილისში გამართულ კონფერენციას ესწრებოდა და ქართული მხარისგან მხარდაჭერას ითხოვდა, ჩვენ წინააღმდეგ აფხაზეთში იბრძოდა და 2008 წლის აგვისტოშიც არაორაზროვნად დაუჭირა მხარი რუსეთის აგრესიას.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დღეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კავკასიელმა ხალხებმა ერთმანეთისადმი მტრობა უნდა დაივიწყონ?

— მტრობა კი უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ უნდა მივიღოთ. გარდა ამისა, მტრობა მარტო ჩვენ კი არა, სხვებმაც უნდა დაივიწყონ.

ანდრო ბარნოვი:

— ოფიციალური თბილისის სურვილი არც არის რუსეთის ფედერაციის საქმეებში ჩარევა, მაგრამ ისეთ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც ადამიანის უფლებებია, ჩვენ საკუთარი პოზიცია უნდა გვქონდეს.

— ჩერქეზების ეთნოწმენდას გულისხმობთ?

— არა მარტო ჩერქეზების ეთნოწმენდას. რუსეთმა ჩრდილოკავკასიელი ხალხების უმრავლესობას მოუწყო გენოციდი, ნაწილი კი სრულიად გაანადგურა. ჩერქეზები სოჭში ოლიმპიადის ჩატარებას ტყუილად კი აპროტესტებენ: ამ მიწაზე ოდესღაც მცხოვრები უბიწები რუსეთმა საერთოდ გაწყვიტა; დღეს მათი ერთი შთამომავალიც კი აღარ არის დარჩენილი. ამ სახელმწიფოს ჩვენ რუსეთის ფედერაციას მხოლოდ კორექტულობის გამო ვეძახით, სინამდვილეში, ეს არის კლასიკური იმპერია და არანაირი ფედერაციის (ანუ

საძინებელი: 1950 ლარი

დივან-საწოლი: 560 ლარი

www.classica.com.ge

ტყავის სამეული: 2200 ლარი

ENZA-ს მატრასები: 175 ლარი

ალ. ყაზბეგის გამზ.14ბ
ვაჟა-ფშაველას გამზ. 25

38 88 11
37 11 11

თანასწორი სუბიექტების გაერთიანების) ნიშანი მას არა აქვს.

— როგორ ფიქრობთ — კავკასიელებს ამდენი ხანი რატომ დასჭირდათ იმის გასააზრებლად, რომ რუსული აგრესიისგან თავდასაცავად, საერთო ძალებით მოქმედება არის საჭირო?

— იმიტომ, რომ კავკასიელებს დაბალი პოლიტიკური კულტურა ჰქონდათ. გარდა ამისა, ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ. რუსეთმა ეს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენა.

ყველამ კარგად იცის, რომ სეპარატიზმის ხელშემწყობები და წამახალისებლები სწორედ რუსები არიან

სხვათა შორის, რუსეთთან თანამშრომლობა, კავკასიურ ქვეყნებს შორის პირველებმა სწორედ ჩერქეზებმა დაიწყეს. ყირიმის სახანოსგან შეწუხებული ჩერქეზები ფიქრობდნენ, რომ რუსეთთან ერთად, ამ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრება მათ პრობლემებს საბოლოოდ მოაგვარებდა. მოსკოვმა კი შემოიერთა თუ არა ყირიმი, მაშინვე მიუბრუნდა თავის წინანდელ მოკავშირეებს — ჩერქეზებს და უსასტიკესი მეთოდებით გაუსწორდა. ეს ხალხი 55000 კვადრატულ კილომეტრზე სახლობდა, მათი რაოდენობა 2 მილიონს შეადგენდა. რუსებმა მარტო 10 წლის განმავლობაში მილიონზე მეტი ჩერქეზი მოკლეს და გადაასახლეს... ცოცხლად გადარჩენილებს სახლებს უწვავდნენ და ყანებს უთიბავდნენ, რომ მათთვის საარსებო საშუალება მოესპოთ. ეს ომის შემდგომი, სპონტანური მოქმედება კი არა, არამედ მიზანმიმართული, კლასიკური გენოციდი იყო. სხვათა შორის, ჩერქეზთა ძირითადი ნაწილი მაშინდელ ოტომანების იმპერიაში გადავიდა. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც თურქებმა მუსლიმან ჩერქეზებთან ურთიერთობის გამყარება დაიწყეს, რუსეთმა ერთმორწმუნეობის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება დაიწყო და თავის ავანტიურაში საქართველოს ჩართვა მოახერხა...

— რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ აფხაზებსაც და ოსებსაც დღემდე არა აქვთ გაცნობიერებული რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხეები და ოკუპანტებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილსაც კი არ გამოხატავენ?

— ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათში პოლიტიკური აზროვნების დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. მაშინ, როდესაც ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები (მინდა აღვნიშნო, რომ ჩერქეზები რუსებს ზუსტად 101 წლის განმავლობაში უწევდნენ წინააღმდეგობას) დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად გააფრთებით იბრძოდნენ, ოსები მცირე წინააღმდეგობასაც კი არ ამჟღავნებდნენ.

მამუკა არეშიძე:

— აფხაზებს ძალიანაც აქვთ რუსებისათვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი, მაგრამ შიშის გამო კონკრეტულ და ქმედით ნაბიჯებს ვერ დგამენ. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ მათ დღემდე არ უღიარებიათ ჩერქეზების გენოციდი. რაც შეეხება ოსებს — ისინი გენეტიკურად არც არიან ნამდვილი კავკასიელები. ისე, უკვე იმდენი ხანია, აქ ცხოვრობენ, რომ წესით, კავკასიური მენტალიტეტი უნდა ჩამოჰყალიბებოდათ, მაგრამ...

— რუსმა პოლიტიკოსებმა თბილისში გამართულ კონფერენციაზე მყოფი კავკასიელები სეპარატისტებად გამოაცხადეს, ქართველები კი სეპარატისტების მხარდაჭერაში დაადანაშაულეს და მკაცრი ზომების მიღების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. რამდენად შესაძლებელია, რომ მოსკოვმა ჩვენ წინააღმდეგ მართლაც მიიღოს გარკვეული ზომები?

ანდრო ბარნოვი:

— ყველამ კარგად იცის, რომ სეპარატიზმის ხელშემწყობები და წამახალისებლები სწორედ რუსები არიან. რუსი პოლიტოლოგებიც კი წერენ, რომ აგვისტოს ომმა და სეპარატისტთა

როგორ შეიძლება, სეპარატიზმის მხარდაჭერად ჩაითვალოს XIX საუკუნეში ჩადენილი გენოციდის აღიარება?

დამოუკიდებლობის აღიარებამ რუსეთის ფედერაციის არსებობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ასე რომ, თუ კავკასიაში სიტუაცია გართულდა, ეს მოსკოვის ბრალი იქნება და არა — თბილისის. რუსეთმა თავისი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებით „პანდორას ყუთი“ გახსნა...

მამუკა არეშიძე:

— რუსეთი ყოველთვის შეეცდება, ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედოს, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება, სეპარატიზმის მხარდაჭერად ჩაითვალოს XIX საუკუნეში ჩადენილი გენოციდის აღიარება? ეს იგივე იქნება — ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელების გენოციდი რომ ვაღიაროთ და პალესტინელებმა სეპარატისტების მხარდაჭერაში დაგვადანაშაულონ. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ მოსკოვი პირფერობს: თავად ლენინი თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც 1913 წელსაა გამოქვეყნებული, წერს — ცარიზმის ყველაზე მთავარი დანაშაული ის არის, რომ კავკასიელ ხალხებს გენოციდი მოუწყოო...

— შესაძლებელია თუ არა, კავკასიელი ხალხის გენოციდი, ადრე თუ გვიან, ევროპამ და ამერიკამაც აღიაროს?

— რატომაც არა?! თუ სომხების გენოციდი აღიარეს საფრანგეთისა და შვეიცის პარლამენტებმა, რატომ არის გამორიცხული, რომ კავკასიელების გენოციდიც აღიარონ?!.

ანდრო ბარნოვი:

— ჩემი აზრით, ადრე თუ გვიან, მსოფლიო საზოგადოება კავკასიელების გენოციდს აუცილებლად აღიარებს. ეს ისტორიულად დადასტურებული რეალობაა და ამაზე არც ისტორიკოსები დაობენ. მართალია, მსოფლიო საზოგადოება ამ საკითხის გამო რუსეთის გაღიზიანებას ერიდება, მაგრამ თუ მოსკოვი თავის პოლიტიკაში კორექტივებს არ შეიტანს, საბოლოოდ, ყველა დანაშაულზე ერთდროულად მოუწევს პასუხისგება. ■

ადრე თუ გვიან, მსოფლიო საზოგადოება კავკასიელების გენოციდს აუცილებლად აღიარებს

„მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“

26 წელიწადს იცოცხლა, სიცოცხლითაც და სიკვდილითაც კაცობის ლეგენდად დარჩა და ყველა თაობის თანამედროვედ იქცა... მომავალ ხუთშაბათს, „გზასთან“ ერთად „ქართული პროზის საგანძური“ მე-5 ტომად გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებების კრებულს გთავაზობთ. გურამ რჩეულიშვილის უმცროსმა დამ, ქალბატონმა მარინე რჩეულიშვილმა წლების განმავლობაში დაამუშავა ტრაგიკულად დაღუპული ძმის არქივი და ცოტა ხნის წინ, მკითხველმა მწერლის საკმაოდ დიდი მემკვიდრეობის სამეცნიერო-აკადემიური გამოცემა ექვს ტომად მიიღო.

ირმა ხარშილაძე

მარინე რჩეულიშვილი:

— ჩემი ბიოგრაფიის გამო აღმოვჩნდი ის ადამიანი, რომელმაც პირველმა წაიკითხა ჩემი ძმის მიერ დაწერილი ყველა სიტყვა (იგულისხმება ის მასალები, რაც ჩვენს სახლში ინახება), ყველა მოთხრობა, დღიური, ლექსი, პიესა და სცადა მთელი არქივის ქრონოლოგიური დალაგება-მოწესრიგება ჟანრობრივი პრინციპით...

„ჩემი ძმის მიერ დაწერილი ყველა სიტყვა ჩვენს სახლში ინახება“

გურამის გარდაცვალების შემდეგ დედა — მარიამ ნიჟარაძე, თურმე, დღიურებს წერდა. ერთ-ერთ ჩანაწერში ქალბატონი მარიამი მის ბავშვობას იხსენებს:

„გურამი მოუსვენარი, მეტისმეტად სიცოცხლით სავსე, უცნაური, თავისებური, კეთილშობილი, კეთილი გულის, ბოლოს თითქოს დინჯი, მუდამ მოწყენილი, რაღაცით უკმაყოფილო, გულჩახვეული იყო. წარმოუდგენელია, უცხოსთვის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები როგორ თანდათან ვითარდებოდა ჩემ წინ. ყველა დედა იტყვის, ძალიან გამიძნელდა შვილის გაზრდაო, მაგრამ მე თამამად შემიძლია ვთქვა, ასეთი საინტერესო და თანაც ასეთი ძნელი გასაზრდელი ახალგაზრდა ძნელად იბადება... საავადმყოფოდან მე-10 დღეს გამოვედით, ეს იყო ქუთაისში, ბაბუა სიმონის ოჯახში, ეტლით მოგვიყვანეს. საწყალმა ჩემმა ძმამ ოთახის ფანჯარა გამოაღო და ეტლის გაჩერებისთანავე ფანჯრიდან „გეკოს“ სისტემის თოფი სამჯერ გაისროლა. ბაბუა სიხარულით შეხვდა პირველ შვილიშვილს და ისიც ბიჭს. მართლაც, გურამმა მთელი ოჯახი გამოაფხიზლა, ისეთი ამბავი ჰქონდა — მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა, დიდი სიხარულით მშველოდა საწყალი დედა (ბებო ანეტა). ჩემს შვილს მე არც კი მანებებდა, მთელი სიმძიმე მოვლისა ბებიასა და ბაბუაზე იყო. გურამი ნელ-ნელა მოიზარდა... თბილისში 6 თვისა ჩამოვიყვანე... ერთი წლისა უკვე კარგად დადიოდა, ყველა სიტყვას მკაფიოდ ამბობდა, წინადადებებსაც ცდილობდა. თანდათან თითქოს მოვლაც გაადვილდა. 9 თვისა მოვნათლეთ. ნათლიები ჩვენი საყვარელი და საპატივცემულო ადამიანები ი. ჯანდიერი და ი. ჯავახიშვილი იყვნენ. გუნებაში ხშირად ვფიქრობდი, იქნებ ღმერთმა ბრძანოს, ამ ორი დიდი ადამიანის ნიჭი და კეთილშობილება გურამს ნაწილობრივ გადმოენერგოს-მეთქი... გადიოდა დრო და დიდი სიძნელეების გადალახვით, დაღლით, გახდა გურამი სასკოლო ასაკის... წავიყვანე ყოფ. ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში, ჩავაბარე მასწავლებელ კატო დიდიძეს, ერთი შეხედვით, მოეწონა მოწესრიგებული ახალი მოსწავლე და პირველ მერხზე დასვა. ორი თვე გურამი შესანიშნავად იქცეოდა, მასწავლებლის ყურადღებას იმსახურებდა, მაგრამ ჩქარა გამოემშვიდობა ამ დამშვიდებულ ფორმას და ნელ-ნელა ცელქობას შეუდგა. ხშირად საყვედურობდნენ. თუმცა სწავლაში არასდროს არ ემდუროდნენ, კლასიდან კლასში ქების სიგელებით გადადიოდა...“

მარინე რჩეულიშვილი:

— დედა ძალიან კარგად მღეროდა. ტკბილი მეორე ხმა ჰქონდა და ბევრ სიმღერას მამასთან — მიხეილ რჩეულიშვილთან ერთად გატაცებით ასრულებდა. ძველი ქართული სიმღერები იცოდა და მე და გურამსაც გვასწავლიდა. ჩვენ კი სიმღერის ნიჭი არ გამოგვყვა. ერთხელ ჩემმა ძმამ, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა სიმღერა და საერთოდ, მუსიკა, თქვა: ხანდახან ვფიქრობ, მე რომ სიმღერა ან გიტარაზე დაკვრა შემძლებოდა, ალბათ, აღარ დავწერდიო...

გურამის არქივს ერთი ძველი, გაცრეცილი რვეულის ფურცელი შე-

გურამ რჩეულიშვილი ტრაგიკულად გაგრაში დაიღუპა, როდესაც აღელვებულ ზღვაში უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად გადაეშვა

მორჩა, რომლის მთელ სიგრძე-სიგანეზე ხატია ყალყზე შემდგარი ულამაზესი ცხენი, ზურგზე ვარსკვლავიანი უნაგირით, ლაგამამოდებული; აღვირის ბოლოები, თითქოსდა, მხედრის მოლოდინში, ჰაერშია გაჩრეალურ ცხოვრებაში ლაგამამოდებული უმხედრო ცხენი, რამდენჯერ აიღო ხელში უმხედროდ მიტოვებული აღვირი, რამდენჯერ გადააჯდა უბელოს, რამდენჯერ გაიჭრა ცხენზე ამხედრებული სადღაც წინ, გაურკვეველი მიმართულებით, სრულ გაუჩინარებამდე — თითქოსდა სამუდამოდ და რამდენჯერ დაბრუნდა უკან ისევე მოულოდნელად, რადგან როგორც შემდეგ გაირკვა, მისი დრო კიდევ არ იყო მოახლოებული...

აწ განსვენებული მწერალი გურამ ასათიანი გურამ რჩეულიშვილს ასე იხსენებდა: „თავისი გარეგნობით გურამი საგრძნობლად გამოირჩეოდა — ზედმიწევნით გამოწყობილი სხვა ახალგაზრდა თბილისელებისგან: ფართოდ გაღეღილი, თითქმის შარვლის ქამრამდე ჩახსნილი ჰერანგის პირი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ძლიერი, დაჟინებული გამოხედვა... დიდი, უხეში, მძიმე ფეხსაცმელები თითქმის მიწისკენ ეზიდებოდნენ მის სხეულს და, ამავე დროს, მთელ მის არსებაში იგრძნობოდა რაღაც მოუსვენარი, ამტყდარი, თითქოს უეცარი ნახტომისთვის გამზადებული ძალა.“

ერლომ ახვლედიანი, *მწერალი, გურამ რჩეულიშვილის მეგობარი:* „ერთხელ ვკითხე გურამს, „იულონის“ მოქმედ პირებში ვის გულისხმობდა. *ბოდა, თითქოს ეძებდა კიდეც. ხშირად ეუბნებოდა უახლოეს მეგობრებს, — მალე დავიღუპებიო. ამას მის ნაწერებშიც ამოიკითხავთ.*

ნუგზარ წერეთელი: „ხშირად ვფიქრობ ხოლმე და დარწმუნებული ვარ, გურამ რჩეულიშვილს აუცილებლად შეეძლო ზღვის გააფთრებული ტალღებისგან თავის დაღწევა, მაგრამ იგი აქაც სიკვდილს დასცინოდა, შეუცნობელს ეთამაშებოდა, კვლავაც ბეწვის ხიდზე გავლას ცდილობდა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რას დააკლებდა სიკვდილი...“

p.s. *გურამ რჩეულიშვილი 1960 წლის 23 აგვისტოს ტრაგიკულად დაიღუპა გაგრაში, როდესაც აღელვებულ ზღვაში უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად გადაეშვა.*

p.p.s. *„გაუგზავნელი წერილი გურამ რჩეულიშვილს*

ჩემო გურამ! რას განიცდიდი, როდესაც აბობოქრებული ზღვისკენ მიდიოდი? ნუთუ არაფერი განიშნებდა, რომ ეს უკანასკნელი ნაბიჯები იყო შენი? რას ფიქრობდი მაშინ? „მიყვარდა მხოლოდ ბედისწერა, როგორც ერთობა კაცისა და ბუნების ყველა კანონებისა,“ — შენი ამ სიტყვების აღსასრულებლად თუ გადადგი ბოლო ამქვეყნიური ნაბიჯები... რას კარგავს, გურამ, იმ საბედისწერო წამს ადამიანი: წარსულს, აწმყოს თუ მომავალს? ანდა, იქნებ სამივეს სრულყოფილად ინარჩუნებს? შენ გეკითხები, რადგან ცოტა თუ მეგულება ცოცხალთა შორის, ვისაც შეეძლოს ამ შეკითხვაზე პასუხი გასცეს...“ — ამ წერილს ინტერნეტში წავაწყდი და მისი ავტორი ერთი უცნობი, სახელად თორნე გახლავთ.

■

გურამის ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავდა. მუდამ განსაცდელს ეჭიდებოდა

ერებული. ყალყზე შემდგარი ცხენი თითქოს აპირებს გადაახტეს გზას, რომელიც ზევით, ალბათ, მთისკენ მიიკლაკნება. ქვეშ მინაწერია: „სახს. გურამს. გია“, მეორე მხარეს კი ორი წარწერაა, ერთი — ფანქრით, ოდნავ დაზიანებული: „გუ... რომ ჩამოვალ, კარგი ცხენი უნდა ჩამოგიყვანო, ისეთი, რომ სულ მაღლა, მაღლა ხტოდეს. მაშ, გურიკო, მშვიდობით“, და მეორე — მელნით: „დახატულია ბრძოლის წინ, რომელშიც დაიღუპა ჩემი მოსიყვარულე ძია გია“.

მარინე რჩეულიშვილი:

— ვფიქრობ, მეორე წარწერა გურამმა გააკეთა. ამ სურათის ავტორი მამის ბიძაშვილი, გია რჩეულიშვილია, რომელსაც გამორჩეულად უყვარდა ცელქი და მოუსვენარი გურამი. გიამ ომში წასვლის წინადღეს გურამს ის ცხენი დაუხატა. გურამიც იქვე ეჯდა და ბიძას გაფაციცებით ადევნებდა თვალს... საოცარი დამთხვევაა: რამდენჯერ გამოუქროლდა გურამს წინ, მითხრა, ამაში ყველა დაუწყებს თავის თავს ძებნასო. მე კი ვფიქრობ, რომ გურამი იღებდა იმპულსებს სხვებისგან, მაგრამ ყველა ნაწარმოების გმირი, ყოველი მათგანი თვითონ არის...“

გურამ რჩეულიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. მწერლის სიცოცხლეში მისი მხოლოდ შვიდი მოთხრობა გამოქვეყნდა. გურამის ნაწარმოებები ბევრ ენაზეა ნათარგმნი. მისმა უახლოესმა მეგობარმა, ნუგზარ წერეთელმა შესანიშნავი წიგნები მიუძღვნა: „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ და „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“. რჩეულიშვილის სცენარებით გადაღებულია ფილმები — „ალაგვერდობა“, სადაც მთავარი გმირის, გურამის როლს გურამ რჩეულიშვილის სიძე, მარინე რჩეულიშვილის მეუღლე — გეიდარ ფალავანდიშვილი ასრულებს, და „უსახელო უფლისციხელი“. გურამის ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავდა. მუდამ განსაცდელს ეჭიდებოდა.

და-ძმა მარინე და გურამ რჩეულიშვილები

"მტრედი ბარათის" გათამაშება უკვე მეორედ იმართება

2010 წლის 18 აპრილს "ავერსის" დაგროვებითი ფასდაკლების ბარათის - "მტრედი ბარათის" წამახალისებელი გათამაშება უკვე მეორედ გაიმართება. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს "მტრედი ბარათის" ყველა მფლობელი, რომლებსაც 2009 წლის 22 მაისიდან დღემდე "ავერსის" აფთიაქებში 500 (ან მეტი) ლარის ღირებულების მედიკამენტები, ჰიგიენური ნივთები, სამკურნალო კოსმეტიკა და სხვა პროდუქცია შეიძინეს.

საქართველოს მოსახლეობა "მტრედი ბარათს" შესანიშნავად იცნობს და მისი არაჩვეულებრივი პირობებითაც ხშირად სარგებლობს. თუმცა, რამდენიმე სიტყვით მაინც შეგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს "მტრედი ბარათი" და როგორ შეიძლება გახდეთ გათამაშების მონაწილე.

კომპანია "ავერსი" ამ მეტად საინტერესო პროექტს "მტრედი ბარათს" უკვე 2 წელიწადზე მეტია (2007 წლის 6 ნოემბრიდან) ახორციელებს. "მტრედი ბარათი" გახლავთ "ავერსის" ერთგული მომხმარებლისთვის შექმნილი ბარათი. "ავერსის" აფთიაქში ნებისმიერი მედიკამენტისა, თუ არამედიკამენტის შეძენისას გადახდილი თანხის 10 %-ის ოდენობის თანხა "მტრედი ბარათზე" დაგიგროვდებათ. შემდეგ კი დაგროვილი თანხის საფასურად შეგიძლიათ თავად აირჩიოთ სასურველი პროდუქტი "ავერსის" სასაჩუქრე კალათიდან. საჩუქართა შორის არის "დოლივასა" და "აჰავას" არაჩვეულებრივი სამკურნალო კოსმეტიკა, "ლაკალუტის" პირის ღრუსა და კბილების მოვლის საშუალებები, "ავერსი რაციონალის" მიერ წარმოებული მედიკამენტები, იტალიური "საუგელას" - სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები, ჟურნალი "ავერსი" და ჟურნალი "საექიმო პრაქტიკა", "ავერსის კლინიკის" მომსახურება და ა.შ. იმისათვის, რომ საჩუქარი მიიღოთ, პირველ ეტაპზე საჭიროა შეძენილი გქონდეთ 100 ლარის ღირებულების პროდუქცია (მედიკამენტების შეძენის ვადა განსაზღვრული არ არის) და ეს ინფორმაცია ასახული იყოს "მტრედი ბარათზე". სასურველი თანხა ანგარიშზე უფრო სწრაფად რომ დააგროვოთ, შეგიძლიათ "მტრედი ბარათი" ოჯახის სხვა წევრს ან მეგობარს ათხოვოთ.

გარდა დაგროვებითი ფასდაკლებისა და საჩუქრებისა, "მტრედი ბარათის" მეშვეობით შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ "ავერსის" მიერ ჩატარებულ გათამაშებაშიც. ამისათვის საჭიროა "მტრედი ბარათზე" დაგროვილი გქონდეთ მინიმუმ 500 ლარის ოდენობის თანხა, ანუ "ავერსის" აფთიაქებში შეძენილი გქონდეთ მინიმუმ 500 ლარის ღირებულების პროდუქცია. ყოველ 500 ლარზე გათამაშების მონაწილე ერთ ლატარიის ბილეთს ავტომატურად მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 31 მაისს ჩატარდა "მტრედი ბარათის" ლატარიის პირველი გათამაშება, რომელშიც არაჩვეულებრივი პრიზები გათამაშდა. მათ შორის ყველაზე გრანდიოზული პრიზი გახლდათ ახალთახალი ავტომობილი - სუზუკის ჯიპი გრანდ ვიტარა, რომლის მფლობელიც ქუთაისელი ელგუჯა ჭეიშვილი გახდა. მას "მტერდი ბარათზე" დაგროვილი თანხის შესაბამისად 3 ლატარიის ბილეთი ჰქონდა.

"მტრედი ბარათის" მეორე გათამაშება არანაკლებ სასურველ პრიზებს გპირდებათ. მაშ ასე, გათამაშდება :

- სამკურნალო კოსმეტიკა "აჰავას" და "დოლივას" 300 ლარიანი ნაკრები - 5 გამარჯვებული;
- "ავერსის კლინიკის" 500 ლარიანი ბარათი - 5 გამარჯვებული;
- "ავერსის კლინიკის" 500 ლარიანი ფიტნეს ბარათი - 5 გამარჯვებული;
- პერსონალური კომპიუტერი (ნოუთბუქი) - 2 გამარჯვებული;
- 2 კაციანი საგზური საქართველოს კურორტებზე - 2 გამარჯვებული;
- 2 კაციანი საგზური ევროპის კურორტებზე - 2 გამარჯვებული;
- მთავარი პრიზი: ავტომობილი სუზუკის ჯიპი გრანდ ვიტარა - 1 გამარჯვებული.

"მტრედი ბარათის" წამახალისებელი ლატარიის მეორე გათამაშება ტელეკომპანია "რუსთავის 2"-ს პირდაპირ ეთერში 18 აპრილს გაიმართება საღამოს 18:30 წთ-ზე.

"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას და იღბალს. არ გაუშვათ ხელიდან არაჩვეულებრივი პრიზების მოგების შანსი.

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა № 19-03/221

WWW.AVERSI.GE

საინფორმაციო სამსახური

967-227

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და მოგებას!

„ბორჯომი“

ქართული წარმოების 120-წლიანი ტრადიცია

ძალიან ადვილია მიხვდე, როდის იწყება ბორჯომის ხეობა. მშვენიერი, მაგრამ ერთფეროვანი ბუნება მოულოდნელად, გზის ერთი ჩვეულებრივი მოსახვევის შემდეგ, ტყის მეფის სამფლობელოს ემსგავსება. წიწვოვანი ტყე, მწვანე ხავერდით ფარავს მთებს. ხეები მთის ყველაზე ციცაბო კენწეროებსაც კი ებღაუჭებიან, ოღონდ ცასთან ახლოს იყვნენ.

ზამთარში ბორჯომის ხეობა, როგორც ახალგახამებულ, ტკაცუნა ზეწარში, ისე ეხვევა ბრჭყვიალა თოვლის საფარში, ზაფხულში კი მზით გახურებული ფიჭვები ყველაფერს წიწვოვანი ტყის განუმეორებელი სურნელით ავსებენ.

აქ ჰაერი ისმევა. ბავშვობის მოგონებები თავბრუს გახვევს. პირველი ჩასუნთქვისას, ამდენი ჟანგბადი, ასე გგონია, ფილტვებს გაგიხეთქავს. მაინც კიდევ გინდა ჩაისუნთქო, ღრმად, თითქოს პირველად და ის ერთი ჩასუნთქვა ისეთი სისუფთავის შეგრძნებას გაძლევს, თითქოს აქამდე მხოლოდ გამონაბოლქვით სულდგმულობდი.

ამ მშვენიერებას, „თამარ მეფის გვირგვინის მარგალიტს“, მკაცრად განსაზღვრული საზღვრები აქვს და ზღვის დონიდან 850-2500 მ სიმაღლეზე 700 კვმ მანძილზე ვრცელდება. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ყველაფერი უნიკალურია. ჰაერი — სამკურნალო, ხეები — ენდემური ჯიშის, უნიკალური ეკოსისტემა. არც არის გასაკვირი, რომ თავისი განუმეორებელი სამკურნალო თვისებებით ცნობილი წყაროები სწორედ აქ უნდა შეექმნა ბუნებას. ბორჯომის, საქართველოს ბუნების საჩუქრის წყაროები, აჭარა-იმერეთის ფერდობის ცენტრალურ ნაწილში, ზღვის დონიდან 760-920 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

საინტერესოა, რომ სიტყვა „ბორჯომი“ ორი სიტყვისგან წარმოიშვა: „ბორჯი“ — ციხესიმაგრე, კედელი და „ომი“. ეს არც არის გასაკვირი. ამ სილამაზის ხეღში ჩასაგდებად, ნამდვილად ღირდა ბრძოლა და რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ კვლავაც შეგვიძლია დავტკბეთ ამ საოცარი ადგილის მშვენიერებით.

პირველი ცნობები სამკურნალო წყლის შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ჩნდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია არაერთი აბანო და აუზი. თავიდან მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ჩვენი წინაპრები სამკურნალო წყალს მხოლოდ აბაზანების მისაღებად იყენებდნენ, მაგრამ უდიდესმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ უძველეს დროში მინერალური წყალი, თავისი სამედიცინო თვისებების გამო, სასმელადაც გამოიყენებოდა. ვ. ბაგრატიონის და ვ. ესაძის კვლევებისა და სხვა მრავალი მასალის თანახმად, ბორჯომის მინერალურ წყლებს სამკურნალოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან XVI საუკუნის ბოლომდე უკვე ინტენსიურად იყენებდნენ. ნაპოვნი იქნა წყაროს მიერთებული თიხის მილები, რომლებითაც შუა საუკუნეებში სარგებლობდნენ. მრავალრიცხოვანი ომების გამო XVI-XVII საუკუნეებში წყაროები დავიწყებას მიეცა და ბედის ირონიით, მათი ხელახალი აღმოჩენა საქართველოს მიწაზე დაბანაკებული უცხო ქვეყნის ჯარის დამსახურებაა.

არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდენდა ბორჯომის წყალი თავისუფალ ნაკადულებად, ვინმე პოლკოვნიკ პოპოვს კუჭის პრობლემა რომ არ ჰქონოდა. ყველაფერი ასე მოხდა:

1825 წლის გაზაფხულზე ხერსონის გრენადერთა პოლკი ბორჯომში დაბანაკდა. ჯარისკაცებმა მდინარე ბორჯომულას მარჯვენა სანაპიროზე, წყარო აღმოაჩინეს და თბილი წყაროს წყალი პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ პოპოვს მიუტანეს, რომელსაც კუჭის დაავადება აწუხებდა. მან თავის თავზე გამოცადა წყლის სამედიცინო თვისებები და შედეგმა იმდენად განაცვიფრა, რომ ბრძანება გასცა, წყარო ქვებით შემოეღობათ და მის სიახლოვეს პატარა ქოხი აეშენებინათ.

მას შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის სტანდარტებით, მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდა. „ბორჯომის“ სამკურნალო თვისებების შესახებ უამრავმა ადამიანმა გაიგო. 1834 წელს „ბორჯომის“ პოპულარობამ ისე იმატა, რომ ამ ფენომენის შესწავლა გორში განლაგებული ქართველ გრენადერთა პოლკის სამხედრო ექიმმა, ამიროვმა განიზრახა. ის ჯარისკაცების საცხოვრებელი პირობების შესასწავლად ეწვია ბორჯომს, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ხანმოკლე ვიზიტით არ შემოიფარგლა. ამიროვი დიდი ხნით დარჩა ბორჯომში და ბორჯომის წყლით ჯარისკაცების მკურნალობის შედეგებს აკვირდებოდა. სწორედ მან შექმნა პირველი სამეცნიერო კვლევა ბორჯომის წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ.

1837 წელს ექიმმა ამიროვმა წყლის პირველი სინჯები სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გაგზავნა.

მხოლოდ 4 წელი გახდა საჭირო იმისათვის, რომ ბორჯომის წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ რუსეთში ლეგენდები გავრცელებულიყო. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ თავად კავკასიის მთავარმართებელს, გენერალ-გუბერნატორ ევგენი გოლოვინს ამ ექსპერიმენტისათვის საკუთარი ქალიშვილი „გაეწირა“.

1841 წელს გოლოვინის ქალიშვილი მართლაც ეწვია ბორჯომს და სულ მალე საკუთარ თავზე გამოცადა ამ ჯადოსნური წყლის თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა დაავადება აწუხებდა გოლოვინის ქალიშვილს, ფაქტია, რომ ის სრულიად განიკურნა. გენერალგუბერნატორმაც არ დაყოვნა და იმპერიის მსახურის ფართო ჟესტით, ამ შემთხვევის გამო მინერალური წყლის პირველ წყაროს ქალიშვილის პატივსაცემად, „ეკატერინსკი“ უწოდა. ბუნებრივია, საკუთარი თავის პატივისცემაც არ დავიწყებია და იმავე პერიოდში ნაპოვნ მეორე წყაროს — „ევგენიევსკი“ დაარქვა.

უამრავი მოვლენის დამთხვევის შედეგად, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან „ბორჯომმა“ თავისი გამორჩეული თვისე-

ბებით, ფართოდ გაითქვა სახელი რუსეთის იმპერიაში და პატარა ქალაქმა, ნელ-ნელა სამთო-ბალნეოლოგიურ კურორტად ჩამოყალიბება დაიწყო.

ახლა „ბორჯომს“ უბრალო ჯარისკაცები კი არა, მეფისნაცვლები და თავად საიმპერატორო ოჯახის წევრები სვამდნენ.

გაზეთი „კავკაზი“ 1853 წლის 8 აპრილს №26 (გვ. 108-109) აქვეყნებს სტატიას ბორჯომის შესახებ. სტატიაში აღნიშნულია, რომ: **„საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი, 1841 წელს მთელი ოჯახით ესტუმრა ბორჯომს და იქ დაყო ზაფხულის თვეები**.

სტატიის მონაცემებით, 1850 წლამდე კურორტზე დამსვენებლები ნაკლებად ჩამოდიოდნენ. ამჟამად შექმნილია კარგი პირობები მკურნალობისა და დასვენებისათვის. კურორტი კეთილმოწყობილია, ბევრია სასტუმრო და საკუთარი სახლები-აგარაკები. კვების საკითხი მოგვარებულია.

მკურნალობის კურსი იწყება 1 ივნისს და მთავრდება 1 ოქტომბერს“.

აღმშენებლობის აქტიური პერიოდით, ბორჯომი ახალ მეფისნაცვალს, ვორონცოვს უნდა უმადლოდეს.

1846 წლიდან ახალმა მეფისნაცვალმა ამიერკავკასიაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბორჯომის მინერალურ წყლებს და კურორტი თავის საზაფხულო რეზიდენციად აქცია. ვორონცოვმა თბილისთან დამაკავშირებელი სატელეფონო და საფოსტო კომუნიკაციებიც კი გაიყვანა, რათა დასვენების ჟამს საქმეს არ მოსწყვეტოდა. მალე ამიერკავკასიის სამოქალაქო მედიცინის ნაწილს დაევალა, მინერალური წყლების დამატებითი კვლევა ჩაეტარებინათ. კვლევას, მოსკოვიდან სპეციალური მოწვევით ჩამოსული, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი შეუდგა. მალე ბორჯომის წყლების სამკურნალო თვისებები მეცნიერულად დასაბუთდა. ვორონცოვის პერიოდში კურორტი „ბორჯომი“ ისე აყვავდა, რომ აქ უკვე რუსეთის იმპერიის უმაღლესი წრის წარმომადგენლები ისვენებდნენ.

1850 წელს ბორჯომის ისტორიაში პირველად, ერთმა ფხიანმა აფთიაქარმა ვინმე ზახაროვმა, რომელიც ბორჯომის სამხედრო ლაზარეთში თბილისიდან იყო მივლინებული, სამკურნალო წყალს ბიზნესის თვალით შეხედა. მან „ბორჯომი“ 1300 ნახევარლიტრიან ბოთლში ჩამოასხა და გასაყიდად თბილისში ჩაიტანა.

ბოთლის ღირებულება 20 კაპიკი იყო.

პრეცედენტი შედგა, თუმცა ბორჯომის მინერალური წყლის ოფიციალურ, საწარმოო წესით ჩამოსხმამდე კიდევ 40 წელი გავა.

ამ წლების განმავლობაში ბორჯომში ცხოვრება ჩქეფდა.

1862 წლიდან მეფისნაცვლად დიდი მთავარი, მიხეილ რომანოვი ინიშნება. სუსტი ჯანმრთელობის გამო, რომელიც მხოლოდ ბორჯომის ხეობის უნიკალური ჰავის პირობებში უმჯობესდებოდა, მიხეილ რომანოვი განსაკუთრებით მიეჯაჭვა ბორჯომს. მისი ხელმძღვანელობით მშენებლობამ ნამდვილად სამეფო მასშტაბი მიიღო. ბორჯომი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სამკურნალო წყლის კურორტების, კარლსბადისა და ვიშის მსგავსად უნდა განვითარებულიყო.

ამ ჯადოსნურ წყალს სხვანაირი მოპყრობა არც ეკადრებოდა. აკი „ბორჯომის“ პირველ ეტიკეტებზეც მალე დაწერენ — „კავკასიური ვიში“.

რუსეთის ავტორიტეტულ დაწესებულებებში მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების კვლევა გრძელდებოდა.

სამკურნალო წყლის პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა. აშენდა ახალი სასახლეები და სასტუმროები, გაშენდა პარკები, მდინარეების ნაპირები ხიდებით დაუკავშირდა ერთმანეთს. რომანოვების სამეფო დინასტიის საზაფხულო რეზიდენციად გადაქცევამ ბორჯომს უმაღლესი სტატუსი მიანიჭა.

სახელგანთქმული ადამიანები ამ ჯადოსნური წყლის თვისებების შეცნობას ესწრაფოდნენ.

1887 წელს ბორჯომს რუსი კომპოზიტორი, პ.ი. ჩაიკოვსკი ესტუმრა, რომელიც აღტაცებული იყო ხეობის წარმტაცი ბუნებით. ის ერეკლე მეორის ნათესავების, გრუზინსკების ბინაში გაჩერდა და ალბათ სწორედ ბორჯომის სილამაზით მოხიბლულმა, დაწერა სიმღერა „ოქროს ღრუბელმა ღამე ათია“.

1890 წელს ბორჯომის პარკში ისტორიული მოვლენა, როგორც იქნა, შედგა.

„ბორჯომი“ ქარხნული წესით ჩამოასხეს.

მუქი მწვანე შუშის ბოთლები შამპანურისას ჰგავდა. ქიმიკოსმა მონდელჰაუერმა ბოთლებში ჩამოსხმული „ბორჯომის“ მინერალური წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის შენარჩუნების მეთოდი შეიმუშავა, რომელიც 1893 წლის 28 მაისს დაამტკიცა ბორჯომის მინერალური წყ-

ლის სამმართველომ. სწორედ მან გადაწყვიტა, წყალი ნახშირორჟანგით გაემდიდრებინა. ამის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა.

1896 წელი. გაიხსნა პირველი მინის ქარხანა — 10-12 მილიონი ბოთლი წელიწადში.

1899 წელს ბორჯომში სამი ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ელექტროსადგური აშენდა, რომელიც ბორჯომის ხეობასა და სამ მიმდებარე რაიონს ამარაგებდა. ელექტროსადგურმა 1958 წლამდე იმუშავა.

აყვავდა „ბორჯომის“ ექსპორტიც.

1854 წელს ბორჯომიდან 1350 ბოთლი გაიტანეს, 1905 წელს უკვე 320 ათასი, ხოლო 1913 წელს კი — 9 მილიონ ბოთლზე მეტი.

მალე ისტორიამ კიდევ ერთხელ, მკვეთრად იცვალა გეზი.

საქართველოს გასაბჭოებამ ბორჯომის პოპულარობას ვერაფერი დააკლო. შეიცვალა მხოლოდ ელიტა და დამსვენებელთა სტატუსი. რომანოვი — სტალინმა შეცვალა.

მალე კრემლის არც ერთი ღონისძიება „ბორჯომის“ გარეშე არ ჩაივლიდა. წყალი სტალინსაც უყვარდა.

60-იანი წლების „დათბობამ“ „ბორჯომს“ კიდევ ერთხელ მისცა შანსი, საზღვარგარეთ გაეთქვა სახელი.

1961 წელს, 423 ათასი ბოთლი ექსპორტირებული იქნა მსოფლიოს 15 ქვეყანაში, მათ შორის — აშშ-ში, საფრანგეთში, ავსტრიაში...

1980 წლისთვის საბჭოთა კავშირში ყოველდღიურად, მილიონამდე ნახევარლიტრიანი „ბორჯომის“ ბოთლი იყიდებოდა.

90-იანი წლების კრიზისმა „ბორჯომის“ წარმოება თითქმის დაანგრია. ახალი ცხოვრება ბრენდმა მხოლოდ 1995 წელს დაიწყო, როდესაც უცხოელ ინვესტორებითან ერთად, კომპანია „Georgian Glass & Mineral Waters Co. N.V“ დაარსდა.

ბორჯომისთვის ხელახალი აყვავების ხანა დაიწყო.

1995 წლიდან დღემდე, „ბორჯომის“ წარმოება 40-ჯერ გაიზარდა. და ახლა საქართველოს ბუნების უხვ საჩუქარს მსოფლიოს 30 ქვეყანაში იცნობენ.

„ბორჯომმა“, უცვლელი ხარისხითა და სამკურნალო თვისებებით, დასძლია ყველა სირთულე და რაც მთავარია, შეუძლებელი შეძლო. ერთ ბოთლში დაიტია ხარისხის ათასწლოვანი ისტორია — გაჩერა დრო. ■

რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭი — მოსკოვის ქუჩიდან

„ფოთის პირველივე დაბომბვას 12 ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა“

„ჩვენი შვილები სასიკვდილოდ გაწირეს, ახლა კი ჩვენი ჯერია...“ — ასეთი განცხადება აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების მშობლებმა გააკეთეს. როგორც გაირკვა, ორმოცმა შვილმკვდარმა დედამ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, აგვისტოს ომში მარჩენალის დაკარგვის გამო, 55-ლარიანი პენსიის დანიშვნის თხოვნით მიმართა. დახმარების ნაცვლად, მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ასეთი შინაარსის წერილი მიიღეს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან შემოსული თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, სახელმწიფო დახმარების უფლება აქვს მხოლოდ მარტოხელა, შრომისუუნარო მშობელს ან მას, ვისაც აგვისტოს ომში ორი ან მეტი შვილი დაეუღუპაო.

ნათუნა ბახტურიძე

„უკიდურესმა გაჭირვებამ გვაიძულა, მთავრობისთვის დახმარება გვეთხოვა. გული ისედაც, ჩაწყვეტილი გვაქვს, რადგანაც ფულს დაღუპული შვილების სანაცვლოდ ვითხოვთ... ამაზე დიდი ტრაგედია აღარ არსებობს“, — ამბობენ ფოთის პორტის დაბომბვის დროს დაღუპული ჯარისკაცების მშობლები და ხელისუფლებას მათდამი გულგრილობაში, ცინიკურ დამოკიდებულებაში სდებენ ბრალს.

ნარგიზა ჩიჩუა, *ზვიად ჩიჩუას დედა:*

— თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა მტკივნეული იყო ჩემთვის სამინისტროდან მოსული წერილის წაკითხვა. როგორ მეუბნება ხელისუფლება, — პენსიას იმ შემთხვევაში დაგინიშნავდით, თქვენთვის ორი შვილი რომ მოეკლათო?! ღმერთი არ სწამთ?! სამი შვილი თუ მომიკვდებოდა, 55 ლარი რაღას მიშველიდა?! ეს თანხა პირადი საჭიროებისათვის კი არა, შვილისთვის საკურთხის გასაკეთებლად და სანთლის საყიდლად მინდა. ნეტავ, ჩემი ბიჭი ცოცხალი იყოს და ქუჩაში ვიცხოვრებდი... ამდენი ხანია, პენსიას ვითხოვთ და ამ თვეში 44-ლარიანი სუბსიდია ძლივს გამოიმეტეს — ეს ერთჯერადი დახმარება რა შეღავათს მოგვცემს?!

— თქვენ შვილი რომელ ბატალიონში მსახურობდა?

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში სავალდებულო სამსახურს იხდიდა. 21 წლის იყო, 3 თვეში უნდა გათავისუფლებულიყო. 8 აგვისტოს, დილით სანთელი აანთო და რაღაც სხვანაირად დაგვემშვიდობა, ისიც კი თქვა, — ეს განსაკუთრებული დღეაო... გული ცუდს მეუბნებოდა, შინ ვეღარ მოვისვენე, ბავშვს ბაზაზე მივაკითხე და ვთხოვე, სახლში წამოსულიყო. გადაირია: დედა, ჩემი სამსახური შენ თამაში ხომ არ გგონიაო?! ვუთხარი: დედი, შენ რომ რამე მოგივიდეს, მე რა მეშველება-მეთქი?! დამამშვიდა: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, შინ წადი. ისე, 2 ლარს თუ დამიტოვებ, კარგი იქნება, მშიაო. ის 2 ლარი სისხლიანი მომიტანეს უკან; ჭამაც ვერ მოასწრო, მშიერი წავიდა ამ ქვეყნიდან... პირველი ჭურვი გასკდა თუ არა, მაშინვე ვიყვირე: დედიკო, შენ მოგიკვდეს დედა, აღარ მყავხარ-მეთქი! დედაჩემი მეჩხუბებოდა, — ასეთ რამეს წინასწარ ნუ ამბობო! — მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემი შვილი ცოცხალი აღარ იყო... ასეთ განადგურებულ ადამიანს ხელისუფლება გვერდით არ უნდა დაუდგეს?! მე არაფერი მინდა, ჩემს სიცოცხლეს აზრიც კი არა აქვს, მაგრამ დანარჩენ შვილებს რა ვუყო? 3 ბიჭი კიდევ მყავს, ჯერ კიდევ არასრულწლოვნები არიან და ვჭირდები.

ეთერ ფიჩხაია, *თემურ ფიჩხაიას დედა:*

— ჩემს ბიჭს ოთხწლიან კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი და მხოლოდ 4 თვე იმსახურა. 24 წლის იყო... მისი სამხედრო სამსახურში გაშვება არ მინდოდა, მაგრამ დაიჟინა. ძალიან გვიჭირდა და ვეღარ აიტანა ამდენი უქონლობა... სამხედრო სავალდებულო სამსახური დაამთავრა თუ არა, მაშინვე საკონტრაქტო სამსახურში დაიწყო მუშაობა. ინგლისურს სწავლობდა, სამომავლოდ ათასნაირ გეგმას აწყობდა, თავის დასაც ჰპირდებოდა სწავლის ფულის გადახდას. მოუკვდეს დედა, სიღარიბეს შეეწირა. ის ჩვენი ერთადერთი მარჩენალი იყო. არც კი ვიცი, ცოცხალი როგორ ვარ, ასეთი კარგი შვილის დამკარგავი.

— მეუღლე ან სხვა შვილი არ გყავთ?

— 24 წლის გოგონა და 62 წლის მეუღლე მყავს. დღევანდელი მინისტრები იმას ამბობენ: 40 წლის, კაცი კი არა, ხე არ გვინდა ეზოშიო, — და ჩემს ქმარს ვინ გააჩერებდა სამსახურში?! მე 52 წლის ვარ. იმედი მქონდა, ჩემს გაჭირვებას გაიზიარებდნენ და იმდენ პენსიას მაინც დამინიშნავდნენ, რომ მიცვალებული შვილის საფლავისთვის მომევლო... მერიამ ერთადერთი პატივი ის მცა, რომ ჩემი გოგო ანუ დაღუპული მეომრის და დაასაქმა. აგვისტოს ომი ახალი დამთავრებული რომ იყო, ჩემს სახლში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიოდნენ და ათას რამეს მპირდებოდნენ. ახლა ყველამ ხელი დაიბანა. დახმარებას ვინ ჩივის, ფოთის სოციალურმა სამსახურმა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა პროგრამიდანაც ამომაგდო. ცხრაჯერ მივედი მერიაში აღსადგენად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით უკან გამომიშვეს; შვილი რომ დამისაქმეს, ისიც კი დამაყვედრეს. არადა, მისი 150 ლარი მე და მამამისს წამლის ფულად და შვილის საფლავზე დასანთები სანთლების საყიდლად არ გვყოფნის. სამინისტროდან მოსულმა წერილმა საბოლოოდ მომითავა ხელი. ადამიანმა ძაძებში ჩაცმულ დედას როგორ უნდა უთხრა, — მეორე შვილიც უნდა მოგკვდომოდა, პენსია რომ მოგვეცაო?! მე მარტო ერთი ბიჭი მყავდა... რატომღაც, არც შრომისუუნაროდ ჩამთვალეს. მე რომ კაცი მეტყვის, შრომისუნარიანი ხარო, იმას სინდისი აქვს?! ნახევრად შეშლილი ვარ ქალი, ისეთი ნევროზი მაქვს, წამლების გარეშე ვერ ვიძინებ.

მთვარისა ბარბაქაძე, *ზვიად ბარბაქაძის დედა:*

— ჩემი ბიჭი ჯერ კიდევ 22 წლის იყო. სამხედრო ფლოტში კონტრაქტორად მსახურობდა. 8 აგვისტოს დაჭრილმა 14-მდე იცოცხლა. თავისი ხელით ჩაულაგებია მუცელში ნაწლავები, საავადმყოფოშიც თავისი ფეხით მისულა... ფოთში თქვეს, რომ ვერაფერს უშველიდნენ და ბათუმში გადაგზავნეს. მაშინ ხელისუფლება ნამდვილად დამეხმარა: 3 ოპერაცია ისე გაუკეთეს, რომ ჩვენ ლარიანიც

ზვიად ჩაჩავა

ზვიად ბარბაქაძე

არ დაგვიხარჯავს. სამწუხაროდ, ველარაფერი უშველეს. მე ოსი, გვარად კუსაევი ვარ. როდესაც ფოთი იბომბებოდა, ჩემებთან, ცხინვალში ვრეკავდი — ბიძაშვილ-მამიდაშვილების ამბავი მაინტერესებდა. რა ვიცოდი, რომ ასეთი საშინელება მელოდა?!. ჩემს ბიჭს ფემხმძიმე მეუღლე დარჩა. ახლა მას პატარა ლიზიკო ჰყავს და 33-ლარიან პენსიას აძლევენ. ეს ფული პამპერსებისთვისაც კი არ ჰყოფნის, მაგრამ მას ჩვენთან ერთად თავისი მშობლებიც ეხმარებიან... კიდევ კარგი, ჩემი მეუღლე მუშაობს და სხვა დანარჩენებივით არ გვიჭირს. ზოგიერთ შვილმკვდარ დედას იმის საშუალებაც კი არა აქვს, რომ შვილს საკურთხი გაუკეთოს. ნუთუ, ეს ბიჭები ამაზე მეტს არ იმსახურებენ?! როდესაც სამინისტროდან მოსული წერილი წავიკითხე, გული ცუდად გამიხდა. ალბათ, მაგის დამწერს შვილის სიყვარულზე წარმოდგენაც კი არა აქვს, თორემ გამწარებულ დედებს ასეთ ვაჭრობას როგორ დაუწყებდა?!

— აგვისტოს ომის შემდეგ, შვილების დაღუპვის გამო 15.000-ლარიანი კომპენსაცია თუ გადაგიხადეს?

ნარგიზა ჩიჩუა:

— კი, 15 ათასი ლარი ნამდვილად მომცეს, მეტსაც გეტყვით — შს სამინისტროს წარმომადგენლებმა ტელევიზორი და მაცივარიც გამომიგზავნეს. ძალიან მიჭირდა და იმ თანხით საფლავი გავაკეთე, ცოტათი სახლიც მოვაწესრიგე... ოთახში ნორმალური იატაკიც კი არ მქონდა. ადრე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამაში ვიყავი. გაიგეს თუ არა, რომ 15 ათასი ლარი, მაცივარი და ტელევიზორი მომცეს, პროგრამიდან მაშინვე ამომაგდეს. ახლა 6-სულიანი ოჯახის შემოსავალი — ჩემი 70 ლარი და დედაჩემის 82-ლარიანი პენსიაა. არადა, სხვა რომ არაფერი, დღეში თითო კაცს თითო პური ხომ მაინც გვინდა?!

— 70 ლარი — ეს თქვენ ხელფასია?

— არა, შვილო, ეს ჩემი პენსიაა. საწარმოო ტრავმა მაქვს მიღებული: ჩაის ფაბრიკაში ვმუშაობდი, ხელი მანქანაში მომყვა, ძლივს გადავრჩი, კინაღამ განგრენა დამემართა... პენსია ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დამინიშნეს. ჩემი მეუღლე უმუშევარია, ორივე ხელი საოპერაციო აქვს — სანტექნიკოსი იყო და მუშაობის დროს დაუზიანდა. იმის ნაცვლად, რომ პენსია დაენიშნათ, საერთოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან.



— თქვენს მეუღლეს პენსია არც ასაკის გამო ეკუთვნის?

— არა, ჯერჯერობით 56 წლის არის.

— ზვიადს რამდენი ჰქონდა ხელფასი?

— 70 ლარი. ის ხომ საკონტრაქტო სამსახურში არ იყო — სავალდებულო სამსახურს იხდიდა. მერე კი აპირებდა ჯარში მუშაობის გაგრძელებას. ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა. სახლის მოწყობა და ოჯახის შექმნა უნდოდა, ძმებსაც ჰპირდებოდა დახმარებას... ხშირად გვეუბნებოდა, — ცოტაც მოითმინეთ და მერე არაფერს გაგიჭირვებთო. საცოდავს ყველაფერი სანატრელი ჰქონდა, მაგრამ უკანონო გზით ფულის შოვნა არასოდეს უფიქრია. როდესაც 15.000-ლარიანი კომპენსაცია მომცეს, პირველ რიგში, მისი ოთახი მოვაწყვე, ზვიადის საწოლი კი დღემდე ხელუხლებელია, ლოგინიც კი არ ამიღია... როგორი შვილი დავკარგე და ეს ხელისუფლება იმის საშუალებასაც არ მაძლევს, რომ მიცვალებულს, როგორც შეეფერება, ისე მივხედო. დავიფიცე, რაც უნდა მოხდეს, დარჩენილი 3 ბიჭიდან ომში არც ერთს არ გავუშვებ.

— თავად ბიჭები რას ამბობენ?

— ბიჭები კი ამბობენ, წავალთო, მაგრამ მე მაგათ ცოცხალი თავით, არ გავუშვებ; თუ მომკლავენ და ისე წავლენ, ეგ აღარ ვიცი... დღეს საქართველოში მეომარი კაცი ძალიან დაუფასებელია, მის სიცოცხლეს ფასი არა აქვს. არ მინდა, ჩემი შვილები სხვის შეცდომებს ეწირებოდნენ.

— ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების დაცვის სურვილს შეცდომად მიიჩნევთ?

— არა, შვილო, საკუთარი მოქალაქეები კი უნდა დაეცვათ, მაგრამ ასე უაზროდ არ უნდა დაღუპულიყვნენ. ცხინვალში მაინც ებრძოლათ, ტყვიის გაუსროლელად დაიხოცნენ მგლებივით ბიჭები.

მეუბარისა ბარბაძაძე:

— ჩემი შვილი ნამდვილად იყო ვალდებული, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველების დასაცავად თავისი სიცოცხლე სასწორზე შეეგდო. ჩემი გულისტკივილის მიზეზიც ის არის, რომ ხელის განძრევაც არ აცალეს, ისე მოკლეს. ცხინვალში რომ ებრძოლა, ეს ჩემთვისაც შვება იქნებოდა.

— კი, მაგრამ მას ხომ იქ თქვენ ერის წინააღმდეგ მოუწევდა ბრძოლა?

— ჩემი ერის კი არა, სეპარატისტებისა და რუსების წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს დასაცავად მოუწევდა ბრძოლა. სიმართლე გითხრათ, ზვიადს ძალიან უყვარდა ოსები. ძმაკაცებთან ქეიფის დროსაც ხშირად აღნიშნავდა, ოსური სისხლი მირევიაო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სეპარატისტების აზრებს იზიარებდა.

— თქვენმა შვილმა სამხედრო ფლოტში სამსახური მატერიალური ინტერესის გამო დაიწყო თუ სხვა მოტივაცია ჰქონდა?

— მოწოდებით იყო სამხედრო, მე მგავდა: შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ქალიშვილობისას ჯარისკაცობაზე ვოცნებობდი. სამხედრო სამსახურში წასვლა სერიოზულად მინდოდა, მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს — გოგოს შესაფერისი სამსახური არ არისო. ჩემს ზვიადსაც აკვიატებული ჰქონდა ჯარი, იარაღი, ფორმაც ძალიან უხდებოდა... ერთი ბიჭი კიდევ მყავს, მაგრამ იმას არ ჰგავს — სამხედრო სამსახური საერთოდ არ აინტერესებს (ისე, აგვისტოს ომში ისიც მონაწილეობდა, რეზერვისტი იყო). გოგონა უფროა მონდომებული: მიუხედავად იმისა, რომ გათხოვილია და შვილიც ჰყავს, ხშირად ამბობს, — ჩემი ძმის საქმე უნდა გავაგრძელოო.

— ცხინვალში მცხოვრები თქვენი ნათესავები რას ამბობენ ამ ომის შესახებ?

— არ ვიცი. ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ მათთან აღარ დამირეკავს.

— შვილის დაღუპვის შემდეგ მათ მიმართ აგრესია ხომ არ გაგიჩნდათ?

— არა, უბრალო ხალხმა რა დააშავა?! შეიძლება, ისინიც ჩემსავით არიან გამწარებულნი.

ნარგიზა ჩიჩუა:

— არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წინასწარ იცოდნენ, ფოთი რომ დაიბომბებოდა; ძვირად ღირებულ ავტომობილებში ჩასხდნენ და თურქეთის საზღვრებს მიაწყდნენ, ჩვენი შვილები კი მტერს საზარბაზნე ხორცად დაუტოვეს.

— რატომ გგონიათ, რომ ფოთის დაბომბვის ამბავი ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა?

— ჩემი შვილის ძმაკაცმა (რომლის სახელსაც ვერ გავიმხელ) ცხინვალიდან დაგვირეკა და გვითხრა, რომ 8 საათისთვის ფოთი დაიბომბებოდა. მოგვიანებით, ისიც გავიგეთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ 6 საათისთვის აფრთხილებდნენ თავიანთ ცოლ-შვილს, რომ თურქეთში გასამგზავრებლად გამზადებულიყვნენ. ჩემი აზრით, ასეთი უსამართლო ამბები სააკაშვილმა არ იცის, თორემ ის აუცილებლად მიიღებდა რაიმე ზომას. ამის იმედს ის ფაქტი მაძლევს, რომ ბრძოლის ველიდან გაქცეული მაღალჩინოსანი სამხედროებისთვის განკუთვნილი ბინები ჩვენ — დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს გადმოგვცეს. ფოთის პირველივე დაბომბვას 12 ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა. ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვეთ, ჩვენი ქუჩებისთვის ამ ბიჭების სახელები დაერქმიათ, მაგრამ ესეც არ იღეს ყურად, პასუხიც კი არ გვაღირსეს. მე მზარელუას ქუჩაზე ვცხოვრობ და ისიც კი არ ვიცი, ვინ იყო ეს კაცი; ჩემს შვილს კი მთელი ფოთი იცნობდა, გამორჩეული ბიჭი იყო, მისი სახელი და გვარი მის თანატოლებს არასოდეს დაავიწყდებათ...

ეთერ ფიჩხაია:

— მე მთლად სასწაული მჭირს — მოსკოვის ქუჩაზე ვცხოვრობ!.. ნუთუ, სირცხვილი არ იქნება, ვინმე რომ იტყვის, — 24 წლის ბიჭი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა, მოსკოვის ქუჩაზე ცხოვრობდაო?! როგორც ჩემმა შვილმა იბრძოლა, მეც ისე უნდა ვიბრძოლო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სანამ ამ ქუჩას მოსკოვის სახელს არ გადაარქმევენ. ■

ახმეტელის თეატრის სადაგი დღეები

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრს წლების მანძილზე, ფინანსების უკმარისობა აწუხებს. მიუხედავად ამისა, დასი მუშაობას განაგრძობს და მაყურებლისთვის საინტერესო სპექტაკლების შეთავაზებას მაინც ახერხებს. ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ კი შენობაში სასიკეთო ცვლილებები მოხდა: ახალგარემონტებული საგრიმიოროები და ახალი ავეჯი მსახიობებს უკეთეს განწყობილებას უქმნის საიმისოდ, რომ მეტი ენთუზიაზმით იღვაწონ.

თეატრის კარი ყველა რეჟისორისთვის ღიაა

ამჟამინდელი მმართველის, თამაზ გოლაძის თქმით, როგორც კი თეატრში ზემოთ ხსენებულმა პრობლემებმა იჩინა თავი, ქალაქის მუნიციპალიტეტმა საჭირო თანხები გამოყო, მუშათა ჯგუფებიც გამოგზავნა; გარემონტდა თეატრის სახურავი, დღის წესრიგში გათბობა-განათების მოწესრიგებაც დადგა.

თეატრში ინტენსიური რეპეტიციები მაინც არ წყდება. მუშაობა 2 ახალ სპექტაკლზე მიმდინარეობს: ნუგზარ ლორთქიფანიძე შილერის პიესაზე — „ვერაგობა და სიყვარული“ — მუშაობს, ხოლო სოსო ნემსაძე — კლდიაშვილის „უბედურებაზე“. პრემიერისთვის კი მზადაა ლალი კეკელიძის „ყველაფერი კარგად იქნება“, რომელიც მან თავისივე პიესის მიხედვით დადგა.

თამთა დადეშელი

თამაზ გოლაძე, *ახმეტელის თეატრის მმართველი:*

— სიახლეები ნამდვილად გვაქვს. ბევრი გეგმა გვაქვს, მაგრამ წინასწარ საუბარი არ მინდა. მიღწეულზე არ უნდა გავჩერდეთ. თეატრის კარი ყველა რეჟისორისთვის ღიაა, ოღონდ, რასაკვირველია, ჩვენს მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

— კონკრეტულად რა სპექტაკლები შეემატა თეატრს თქვენი მოსვლის შემდეგ?

— საახალწლოდ, რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა „ფერადი ნიღბების ღამე“ დადგა, რომელიც გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და მერიის ხელშეწყობით, 950-მა ბავშვმა ნახა; მათ საჩუქრებიც დავურიგეთ, რომელთა ნაწილი 4 ბავშვთა სახლს გავუგზავნეთ. თუმცა ეს ყველაფერი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რაიმე სატრაბახო გვქონდეს. ზოგადად ქართულმა თეატრმა თავისი სახე უნდა დაიბრუნოს, რომ მეტი მაყურებელი ჰყავდეს. ადამიანი გამუდმებით სერიალებსა და ტელევიზორზე არ უნდა იყოს მიჯაჭვული.

— როგორ ფიქრობთ — თქვენს თეატრში მაყურებლის სიმცირის ერთ-ერთი მიზეზი, მისი ადგილმდებარეობა ხომ არ არის?

— ჩემი აზრით, არ შეიძლება, დღეს გლდანი გარეუბნად მივიჩნიოთ. იმ 360 ათასი მოსახლეს ერთი წამითაც ვერ ვაკადრებ იმის თქმას, რომ თეატრი არ უყვარს. ზოგს ჰგონია, რომ ჩვენი თეატრი აღარ ფუნქციონირებს. შესაძლოა, ეს რეკლამის არქონის გამოა. ადამიანს თეატრში სპეციალური მიპატიჟება არ უნდა ჰქონდეს, თვითონ უნდა ჰქონდეს სურვილი, გაეცნოს, თუ რა ხდება ქართულ ხელოვნებაში.

— თქვენ მოსვლის შემდეგ, დასის შემადგენლობა ხომ არ შეიცვალა?

— ძირითადი შემადგენლობა იგივეა, თუმცა პროცესის მიმდინარეობისას ვიღაც მოდის, ვიღაც მიდის, ეს ბუნებრივი ამბავია. მთავარია, ეს ყველაფერი ნაკლებად მტკივნეული იყოს. ჩვენი დასის მსახიობები სხვა თეატრებშიც მუშაობენ, სერიალებში მონაწილეობენ და ა.შ. სხვათა შორის, ადრე მსახიობი მხოლოდ ერთ თეატრში მოღვაწეობდა და კარგიც იყო, ამა თუ იმ მსახიობის სანახავად სპეციალურად იმ თეატრში მიდიოდა მაყურებელი, სტილიც განსხვავებული იყო, ახლა კი...

— ეს ალბათ, მსახიობების დაბალი ხელფასითაა განპირობებული — არ ჰყოფნით და ცდილობენ, რამდენიმე ადგილას დაიმკვიდრონ თავი.

— თქვენ გყოფნით?.. უბრალოდ, პრესტიჟის საკითხია — თუკი აქ ვარ, აქ უნდა ვიყო! მესმის, რომ დაბალია ხელფასები, მაგრამ — მაინც... მე თვითონ მსახიობი ვიყავი და ვიცი, როგორი ყურადღება, დაფასება და მოვლა სჭირდება მსახიობს, მაგრამ თუ თეატრს შესაძლებლობა არა აქვს, მოთმინებაა საჭირო. მთავარია, საქმეს ცდა არ დავაკლოთ.

— გასტროლები თუ გაქვთ დაგეგმილი?

— ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს გერმანიაში დაგეგმილ ფესტივალებთან დაკავშირებით: 2 ფესტივალზეა ლაპარაკი, ვნახოთ, რა გამოვა.

— რა სპექტაკლის გატანას აპირებთ?

— ახლახან, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი რომ ჩატარდა, ჩამოსულ სტუმრებს სპექტაკლი — „ნათელი ბნელში“ მოეწონათ.

— როგორც ვიცი, ადრე საქართველოს მასშტაბითაც იყო დაგეგმილი გასტროლები...

— აქაც ფინანსური პრობლემები იჩენს თავს და ამიტომ, ჯერჯერობით არაფერია ახალი. ამჟამად თეატრს არ გააჩნია ის სახსრები, რომლითაც შეუძლია, საკუთარი ინიციატივით გაიტანოს სადმე სპექტაკლი; ვიღაცას ჩვენი მოწვევა არ შეუძლია იმავე მიზეზის გამო და ა.შ. რამდენიმე ფირმას, ვისაც შეუძლია, რამენაირად გვერდში დაუდგეს ქართულ თეატრს, წერილები გავუგზავნეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი პასუხი არ მიგვიღია. მხოლოდ იაპონიის, აშშ-ის და უკრაინის საელჩოებმა გამოთქვეს ურთიერთობის სურვილი.

— ვიცი, რომ ამჟამად თეატრს მთავარი რეჟისორი არ ჰყავს. აპირებთ ვინმეს დანიშვნას? ხომ არ დაბრუნდება ამ პოსტზე გიორგი შალუტაშვილი?

— გიორგი შალუტაშვილს მისთვის სასურველ, ნებისმიერ დროს შეუძლია მოვიდეს და სპექტაკლი დადგას... ამ ეტაპზე ვფიქრობ, ახმეტელის თეატრში მთავარი რეჟისორის ინსტიტუტის არსებობა საჭირო არ არის. ამიტომ, ვქმნით სარეჟისორო კოლეგიას, სადაც გაერთიანებული იქნება 3 რეჟისორი და დასის ყველა წევრი ჩართული იქნება პროცესებში. კოლეგიალური ხედვა იქნება — ერთობლივად, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტთ საკითხებს. მიმაჩნია, რომ ახლა ასე ჯობს. ვნახოთ, რა გამოვა. ჩვენს არაკეთილმოსურნეებს კი მინდა ვუთხრა, რომ თუ არ უნდათ, დაინახონ ის, რაც ნორმალური კეთდება, თვალი მაინც აარიდონ და უაზრო კრიტიკას ნუ მოჰყვებიან. არ არის საჭირო ქარიშხლის ატეხა.

— მოდი, თქვენ შესახებაც გვიამბეთ: სად მოღვაწეობდით, სანამ ახმეტელის თეატრში მოხვიდოდით? ვიცი, რომ მსახიობი ბრძანდებით და ადრე რუსთაველის თეატრში მუშაობდით.

— განსაკუთრებულს არაფერს ვმოღვაწეობდი, ერთი ჩვეულებრივი ქართველი მოქალაქე ვარ, რომელსაც ისევე შესტკივა გული საქმეზე, როგორც ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“... არა მგონია, ჩემი ბიოგრაფია ვინმეს აინტერესებდეს. სჯობს, ყველას ერთმანეთის გვერდში დგომა, კარგი საქმის, სიკეთის კეთება შევახსენოთ, რომ პატიოსნად გავიაროთ უფლის მიერ ნაბოძები ცხოვრების გზა. ■

სახე

„მშვენებლობა“ კახურად და გამჭვირვალე ტენდერი ანუ ბესო ბერულაშვილის ფილოსოფია

„კახელი ვარ, ყველაფერს სიმართლეს ვამბობ, რაცა ვარ, ესა ვარ“, — ასე დაიწყო ჩვენი ინტერვიუ პარ-ოდისტ ბესო ბერულაშ-ვილთან. დამპირდა, რომ გულწრფელი იქნებ-და, მაგრამ როგორც გავარკვიე, ჟურნალის-ტებს ბოლომდე მაინც ვერ ენდობა და ცდი-ლობს, ის, რაც „მისია“, არ გამოამზეურო-ს. ჟურ-ნალისტების მიერ სტა-ტიებისთვის გაკეთებუ-ლი სათაურების გან-საკუთრებით ეშინია. ამჯერად თავდაცვის სამინისტროში სპორტული დეპარტამენტის უფროსი გახლავთ, პარალელურად „იუმორინას“ საგა-ზაფხულო კონცერტებისთვის ემზადება. მალე ბაბუაც გახდება.

ნინო მჭედლიშვილი

— **ბატონო ბესო, უნდა დამ-პირდეთ, რომ გულწრფელი იქნებით. ეს აუცილებელია თქვენი ფსიქოპორ-ტრეტის შესადგენად.**

— ბატონობით ნუ მომმართავ, რა, თავი დებილი მგონია... რაც შეეხება გულწრფელობას, რაც უნდა კეთილშო-ბილი ჟურნალისტის წინ ოჯდე, ბოლომ-დე ვერ ენდობი. კაცმა არ იცის, რას გამოგტყუებს და მერე რას დაწერს.

— **ესე იგი, გულწრფელი ვერ იქნებით?**

— მე არ ვარ პროკურორი, მინის-ტრი და ქვეყანაში პოლიტიკას არ წარვმართავ, რომ ჟურნალისტები ჩასა-ფრებულნი იყვნენ, იქნებ რაიმე წამო-ვაცდენინოთო; ამდენად, დასამალი არა-ფერი მაქვს, ვეცდები, გახსნილი ვიყო.

— **ჩვენ თქვენს ხასიათზე უნდა ვისაუბროთ... მითხარით, რა არ მოგ-წონთ თქვენს ხასიათში?**

— ფიცხი ვარ, მდგომარეობიდან უე-ცრად გამოვდივარ. მრისხანება დიდი ცოდ-ვაა და ეს მაწუხებს.

— **და რას აკეთებს განრისხე-ბული ბესო ბერულაშვილი?**

— სართულებს „ვაშენებ“, მეათე სართულზე რომ ავალ და კახურად „გა-დავხურავ“, მერე ვწყნარდები (*იცინის*).

— **ქალბატონების თანდასწრე-ბით „აშენებთ“ ხოლმე?**

— რას ლაპარაკობთ, კახელებს გინება გვიყვარს, მაგრამ კულტურასთან მწყრალ-ად ნამდვილად არა ვართ!

— **რა დრო გჭირდებათ სარკის წინ თავის მოსაწესრიგებლად?**

— (*ხარხარებს*) დილით რომ ვიღვიძებ, სარკეში ვიყურები და საკუთარ თავს ვე-ლაპარაკები: — სარკე, სარკე, არის ვინმე ამქვეყნად ჩემზე ლამაზი?!. რას ამბობ, სარკე რად მინდა, მეც ახლა თავზე დალალები არ მქონდეს...

— **დილით მაღვიძარა გაღვიძებთ?**

— ჩემი მაღვიძარაა ჩემი და, და ის მაღვიძებს.

— **ოჯახში როგორი ასატანი ხართ?**

— პრეტენზიული არა ვარ; ისე, სახ-ლშიც იშვიათად ვარ, ამიტომ ძალიან იოლია ჩემი შენახვა. პრეტენზიული ვარ ჩაცმისას — ავდგები თუ არა, ყველაფერი გამზადებული უნდა დამხვდეს, რომ მარ-ტო ხელები გავყო ტანისამოსში.

— **და ვინ გიმზადებთ ტანსაც-მელს?**

— მსურველები არიან (*იცინის*). თუ საჭირო გახდა, ტენდერსაც გამოვაცხადებ.

— **საქართველოში ძირითადად მიკერძოებული ტენდერები ტარდე-ბა ხოლმე...**

— გარწმუნებთ, რომ „გამჭვირვალე“ ტენდერს ჩავატარებ, სამართლიანს.

— **თქვენს ბავშვობაზეც მინდა ვისაუბროთ. საინტერესოა, რა გარე-მოში იზრდებოდით?**

— 1972 წლის 26 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძე ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს. სწორედ იმ დღეს, კამოს ქუ-ჩაზე, მეორე სამშობიაროში გართულებე-ბის გარეშე თქვენი მონა-მორჩილი დაი-ბადა. ორი კვირის ვიყავი, ფილტვების ანთება რომ დამემართა და ძლივს გადა-ვრჩი. ძალიან ცუდი ბავშვი ვიყავი, საზიზღა-რი (კახელისა და მოხევის ნაჯვარი ვარ). დედაჩემი მოხევე გახლდათ, კეთილშობილი ქალი იყო, თავმდაბალი, ჩემთვის არას-დროს ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს... საჭმელს მარლაში მიწურავდა, რადგანაც მწვანილებსა და ხახვებს ვერ ვიტანდი. მამაჩემი დოლზე უკრავდა. სახლში ხან „ივერიის“ მუსიკოსები მოჰყავდა, ხან — ანსამბლ „75“-ის, ოღონდ კი მეჭამა. ეს ტაშ-ფანდური მანამ გრძელდებოდა, სანამ მამაჩემს მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა და სადილიან თეფშს თავზე დამამხობდა...

— **შემდგომ რამ შეგაყვარათ ჭამა?**

— (*იცინის*) ამდენი უჭმელობაც არ შეი-ძლება...

— **ეჭვიანი ხართ?**

— არ მიყვარს კაცები, ცოლს რომ „ეიაზვებიან“ და ჩხუბში რომ ეტყვიან, მითხ-არი — გუშინ სად და ვისთან ერთად გაატარე საღამოო. დალოცვილო, თუ ცოლზე ასეთ რაღაცებს ფიქრობ, მასთან რაღა გინდა?! ასეთი კაცი ღირსია, რომ მართლა „რქები“ დაადგა.

— **არასდროს გიეჭვიანია ქალზე?**

— როგორ არა! ვინც მიყვარს, ის მარტო ჩემი უნდა იყოს, საზოგადო ვერ იქნება. მესაკუთრე ვარ.

— ერთ-ერთ კაფეში თქვენი საყვარელი ადამიანი „კავალერთან“ ერთად რომ ნახოთ, რას იზამთ?

— რას ნიშნავს „კავალერთან“? თუ ჩემი საყვარელი ადამიანია, ჩემთან უნდა იყოს!

— გსიამოვნებთ, როცა თქვენ გვერდით თქვენს რჩეულს მამაკაცები ინტერესით აკვირდებიან?

— გააჩნია, დაკვირვების „ქვეტექსტი“ როგორია.

— ქალებს მამაკაცები ძეგლებივით არ „ათვალიერებენ“.

— გასაგებია, მაგრამ კაცს არ უნდა გამოგეპაროს, შენს ცოლს უცხო მამაკაცები რა მიზნით „ათვალიერებენ“. ამ მოწონებას თუ ქათინაურიც მოჰყვა და ვიღაცას თავი გაუტეხე... ეს არ არის სასიამოვნო!

— კომპლიმენტის გამო შეიძლება, თავი გაუტეხოთ ვინმეს?

— იცით, რაშია საქმე? მე სხვის ქალბატონებს კომპლიმენტებს არ ვეუბნები, მით უმეტეს, სხვის ცოლებს.

— თქვენს ქალბატონებს რომელი კომპლიმენტით ანებივრებთ?

— ტრადიციას არ არღვევთ და როგორც ყოველთვის, დღესაც მშვენივრად გამოიყურებით... იმის თქმა რომ იციან, — ვაიმე, დღეს რა ლამაზი ხარო, — ეს შეურაცხყოფაა და იმას ნიშნავს, რომ გუშინ არ ვარგოდა.

— როგორი მამა ხართ?

— რაღა დროს ჩემი მამობაა, მალე პაპა უნდა გავხდე. ნაადრევად დამაბერა ჩემმა 16 წლის ქალიშვილმა. გული მწყდება, რომ მან ადრეულ ასაკში თავზე ოჯახის უღელი დაიდგა.

— ბესო, ახლა რაზე ფიქრობთ?

— ჩემს შვილზე ვლაპარაკობდი... მახსოვს (*ილიმის*), რაც მე ძნელად მოვიპოვე, ჩემს შვილს ხელისგულზე ჰქონდა დადებული. 25 წლის ვიყავი, სცენაზე გივი ბერიკაშვილთან და თენგიზ არჩვაძესთან ერთად რომ დავდექი და თვალებს არ ვუჯერებდი. ბედნიერებისგან მეშინოდა, გული არ წამსვლოდა...

— როგორ წარმოგიდგინათ მისი მომავალი?

— ყოველ შემთხვევაში, ასე ადრე თუ გათხოვდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ახლა ისე არ გამიგოთ, თითქოს, მისი ქმარი არ მომწონს. არაჩვეულებრივი ბიჭია, ისიც ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემი მეზობელია. საუკეთესო ოჯახი აქვს, კი არიან შიშკინის დათვებივით (*იცინის*), სახლში სკოლა-ლიცეუმი აქვთ. ჩემი სიძე 18 წლის არის, რომელსაც მეექვსე და პირველკლასელი ძმა ჰყავს. ჩემი თათა კი მეთერთმეტეკლასელია...

— როგორ წარმოგიდგენიათ თავი ბაბუის ამპლუაში?

— მაგარი ჯიგარი ბაბუა ვიქნები. ბავშვს, სადაც მეტყვის, ყველგან გავასეირნებ; მაგრამ მაგრად მეწყინება, პაპა რომ დამიძახოს, უნდა ვუთხრა, რომ ბაბუთი მომმართოს... ■

„მგონია, ორ შვილზე იოლი, 5 შვილის გაზრდაა“...

მრავალშვილიანი ახალგაზრდა ქართველი მსახიობი

მსახიობი ქეთა ლომიძეშვანიძე ერთი თვის წინ მეხუთე შვილის დედა გახდა. მას პირველი ორი ქორწინებიდან ორი შვილი — 14 წლის თომა ათანელიშვილი და 9 წლის ნინო ლომიძე ჰყავს. მესამე ქორწინებაში კი გაუმართლა და 2 წლის თეოდორა, 1 წლის სესილი და 1 თვის იოანე ჰყავს. თეოდორა და სესილი საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ნათლულები არიან. ახალგაზრდა მშობლები გეგმავენ, რომ პატარა იოანეც პატრიარქს მოანათვლინონ... ქეთას ინტერვიუსთვის შინ ვეწვიეთ. სამწუხაროდ, მისი უფროსი ვაჟი შინ არ გახლდათ, დანარჩენი ოთხი შვილი კი კარგად გავიცანით. ჩვენს საუბარს ქეთას მეუღლე, ზაზა ადუაშვილიც ესწრებოდა, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერთდა. საუბარი მათი ოჯახის მთავარი სიახლით დავიწყეთ.

ნათია ჟვანია

— 9 თებერვალს მეხუთე შვილი, იოანე შემეძინა. ის ქვეყანას საკეისრო კვეთით მოევლინა და ღვთის წყალობით, ყველაფერმა კარგად დამთავრდა. ძალიან კარგი გინეკოლოგის ხელში მოვხვდი და ყველაფერმა იოლად ჩაიარა. იმის გამო, რომ უკვე 5 შვილი მყავს, მეგობრები მეუბნებიან, გმირი ხარო. მე ასე არ მიმაჩნია, რადგან დღეს საქართველოში 5-ზე მეტი შვილიც ბევრ ადამიანს ჰყავს. ასე რომ, ჩვენს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ ორსულად ვარ, სულ ვმშობიარობ. ამიტომ მგონია, რომ ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა (*იცინის*). ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ბედნიერების მომტანი შვილის დაბადებაა.

— კიდევ ხომ არ აპირებ შვილის გაჩენას?

— სამწუხაროდ, ამისათვის ჯანმრთელობა ხელს აღარ მიწყობს. ექიმებმა მირჩიეს, რომ 5 შვილით დავკმაყოფილდე...

— საკმაოდ კარგად გამოიყურები. ჩემი აზრით, ასე, 28 წლის იქნები. თუმცა თუ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ გინდა, შემდეგ შეკითხვას დაგისვამ...

— გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ 33 წლის ვარ. ასაკს ვმალავ კი არა, ხანდახან ვიმატებ კიდეც. როცა მეუბნებიან, რა კარგად გამოიყურები, იმდენად მიხარია, თანახმაც კი ვარ, 38 წლის ვიყო.

— მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახის დასახლისი ხარ, ბოლო სამი წლის განმავლობაში შვილების გაჩენასაც ასწრებ და კარიერაში წინსვლასაც. როგორ ახერხებ ამ ყველაფრის ერთმანეთთან შეთავსებას?

— ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ამისათვის მადლობა ავთო ვარსიმაშვილს მინდა გადავუხადო, ხელს მიწყობდა, ორსულობის გამო სპექტაკლში თამაშზე პრობლემა რომ არასოდეს შემქმნოდა და არ მენერვიულა. „ღამის შოუს“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფიც ძალიან მეხმარებოდა. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო, რადგან ვიცი ბევრი ქალი, რომელიც შვილის გაჩენისგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებს, რომ სამსახურის დაკარგვისა და ჩვეული რიტმიდან ამოვარდნის ეშინია. ამ მხრივ მე ძალიან გამიმართლა. რაც შეეხება შვილების მოვლის საკითხს, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: როცა ერთი შვილი მყავდა, დროის განაწილებას მაშინ უფრო ვერ ვახერხებდი. ახლა ვიცი, რა არის ჩემი გასაკეთებელი და ყოველთვის ვცდილობ, ყველაფერი სწრაფად გავაკეთო. ბავშვები ერთად თამაშობენ, ერთმანეთს უვლიან. მაგალითად, ჩემი ნინო პატარების მოვლაში ძალიან მეხმარება. გარდა ამისა, ისეთი არაჩვეულებრივი მეუღლე შემხვდა, რომ ასეთზე ვერც ვიოცნებებდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე გვერდით ასეთი ადამიანი მეყოლებოდა. ის მინახევრებს საქმეს და ხშირად ნახევარზე მეტს თვითონ აკეთებს. ასე რომ, მგონია, ორ შვილზე იოლი, 5 შვილის გაზრდაა. ძალიან სასიამოვნოა, როცა შინ დაღლილი ვბრუნდები და ბავშვები მეგებებიან.

— თქვი, რომ საოცნებო მეუღლე გყავს. ამის დამსახურება ხომ არ არის, რომ მრავალშვილიანი დედა ხარ?

— არა, ბევრი შვილი ყოველთვის მინდოდა. შვილების რაოდენობა არასოდეს დაგვიგეგმავს. უბრალოდ, ჩვენს ოჯახში დიდი სიყვარულია და სწორედ ამ სიყვარულისა და ღმერთის წყალობაა, რომ მე და ზაზას სამ წელიწადში, სამი შვილი შეგვეძინა.

— შენს ყოფილ ქმრებზე რას იტყვი?

— იმ ორი შემთხვევიდან, ორი არაჩვეულებრივი შვილი — თომა და ნინო მყავს. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით...

— ავთო ვარსიმაშვილის ახალ ფილმს „ყველაფერი კარგად იქნება“, რომელშიც შენც მონაწილეობ, საზოგადოების დიდი მოწონება ხვდა წილად. თავად როგორ შეაფასებ მას და როგორ გაიხსენებ ინდოეთში მოგზაურობას?

— ფილმის გადაღებები საკმაოდ დამღლელი იყო. ყველას ჰგონია, რადგან გოაში წავედით, მაგარი დრო გავატარეთ. ასე არ ყოფილა. ყოველ დილას ადრე ვდგებოდით, მთელი დღე საათებსა და წუთებში გვქონდა გაწერილი. იმ პაპანაქებაში სულ გარეთ ვიყავით. რომელ მსახიობსაც გადაღება არ ჰქონდა, ცდილობდა, გადამღებ ჯგუფს სხვა რამით დახმარებოდა. პირადად მე, თითქმის ყოველდღე, ბიჭებს გრიმს ვუკეთებდი... სულ რამდენიმე საღამო გვქონდა, როცა დავსხედით, ლუდი დავლიეთ და განვიტვირთეთ... ახლა ამ ფილმს რომ ვუყურებ, ბევრს ვიცინი, რადგან თითოეულ კადრზე გადაღების პროცესი მახსენდება, რაც ძალზე მახალისებს.

— უკვე 4 შვილის დედა იყავი, შვილები და მეუღლე რომ დატოვე და 2 კვირით ამხელა მანძილზე გაემგზავრე. შენს მეუღლეს ამის გამო პრეტენზია არ გამოუხატავს?

ზაზა:

— ჩვენს ოჯახში ქმარი თავის სიმაღლეზეა.

ქეთა:

— ჩვენ შორის გაშვებაარგაშვებასა და აკრძალვებზე ლაპარაკიც კი არ არის, რადგან ორივემ ვიცით, რომ ეს ჩემი პროფესიაა და როგორც საჭირო იქნება, ისე უნდა მოვიქცეთ. რა თქმა უნდა, ზაზას ძალიან გაუჭირდა ალბათ უჩემობა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

ზაზა:

— სულაც არ გამჭირვებია. ქეთას გარეშეც მშვენივრად ვუვლიდი ბავშვებს, აეროპორტშიც დავხვდი და შინაც მოვაბრძანე. ჩემთვის მსგავსი რაღაცები პრობლემას არ წარმოადგენს. მერე რა, თუ ის გადაღებებზე საზღვარგარეთ იმყოფებოდა? ეს მისი პროფესიაა და ასეა საჭირო. შინ რომ არის, უფრო ცუდად არის ხოლმე, ვიდრე, როცა მუშაობს. ამიტომ მირჩევნია, გარეთ იყოს, იმუშაოს და ცოტა განიტვირთოს, რადგან შინ უფრო მეტი ენერგიით ბრუნდება.

— ზაზა, რადგან საუბარში შემოგვიერთდი, იქნებ თქვენი გაცნობის ამბავი გაიხსენოთ...

ქეთა:

— მე მოგიყვებით... მაშინ გორის თეატრში ვმუშაობდი. იქ დაიდგა სპექტაკლი — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, სადაც მართიკუნას როლს ვთამაშობდი. ზაზა წარმოშობით გორელია. მაშინ მისი მშობლები გორში ცხოვრობდნენ და ზაზაც მათ სანახავად ჩამოვიდა. ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, რომ ერთ მეგობართან მიდიოდნენ, რომელიც ადრე მსახიობობდა და მეც დამპატიჟეს. ასე, ჩემი ფეხით მივედი ზაზასთან.

ზაზა:

— თეატრში ყოველთვის ასე ხდება, ან ღვინო აქვთ და მისაყოლებელი არ მოეპოვებათ, ან — პირიქით. ტრადიციად მქონდა, ვიდრე შინ მივიდოდი, თეატრში უნდა გამევლო. იმ დღესაც გავიარე და ერთ-ერთ მეგობარზე მითხრეს, ღვინოზეა წასულიო. მაშინ დავპატიჟე, ჩემთან გადმოდით-მეთქი. იმ დღეს მოვიდა და მოვიდა ქეთა ჩემს ცხოვრებაში...

— ქეთას დანახვაზე პირველად როგორი რეაქცია გქონდა?

— ადამიანთა იმ კატეგორიის არ მივეკუთვნები, რომ გოგოს დანახვისთანავე სიმპათიები ემოციურად გამომეხატა. ბუნებრივია, მომეწონა და მისი მეორედ ნახვის სურვილიც გამიჩნდა, მაგრამ მაშინ ეს არ გამომიმჟღავნებია. უბრალოდ, მეორედაც დავპატიჟე, მესამედაც და შემდეგ უკვე თვითონ დამპატიჟეს.

ქეთა:

— თავიდან მართლა ვერ მივხვდი, ზაზას რომ მოვეწონე. ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. რამდენჯერმე რომ დაგვპატიჟა, თავი უხერხულად ვიგრძენი და მეგობრებს ვუთხარი, სულ ის რომ გვეპატიჟება, ახლა ჩვენ დავპატიჟოთ-მეთქი... მერე თავის გრძნობებშიც გამომიტყდა.

— ზაზა, ეჭვიანი თუ ხარ?

— ეჭვიანი ყველა ადამიანია. უბრალოდ, ავადმყოფურად ეჭვიანი არ ვარ.

ქეთა:

— ზაზას ეჭვიანობას ვერ ვგრძნობ. ჯერჯერობით, არც მე ვარ ეჭვიანი. ალბათ საბაბი არა მაქვს და იმიტომ.

— რაზე კამათობთ ხოლმე?

— ყველაფერზე შეგვიძლია კამათი: ფილმზე, პოლიტიკაზე... თუმცა საერთო ჯამში ამას სერიოზული სახე არ ეძლევა. კამათი კარგია, რადგან ჯანსაღ აზრამდე მივდივართ...

— ზაზა, თქვენ თვითონ პროფესიით ვინ ხართ?

— ხორცისა და რძის მრეწველობის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, თეატრთან დილეტანტის დონეზე ადრე მქონდა პატარა შეხება.

ქეთა:

— როგორც მე ვიცი, ალექსი ჯაყელის სპექტაკლში — „ჯაყოს ხიზნები“ ჯაყო ითამაშე. ეს ხომ საკმაოდ სერიოზულია.

ზაზა:

— მე მას სერიოზულად ვერ აღვიქვამ.

— ყოველ შემთხვევაში, ალბათ იმდენი მაინც გესმის, რომ საკუთარი მეუღლის შემოქმედება შეაფასო. შენიშვნებს თუ აძლევ ხოლმე?

ზაზა:

— საერთოდ, ჩემი და ქეთას აზრები თითქმის ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს. ახალ ფილმს ან სპექტაკლს როცა ვუყურებთ, ორივეს ერთნაირი მოსაზრებები გვიჩნდება. მგონი, შენიშვნებს არ ვაძლევ...

ქეთას გარეშეც მშვენივრად ვუვლიდი ბავშვებს

ქეთა:

— როგორ არა, შენიშვნების მოცემა იცის და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ სწორ შენიშვნებს მაძლევს. სერიალს „შუა ქალაქში“ ერთად ვუყურებდით და ჩემს სცენაზე კარგ და გემრიელ შენიშვნებს მაძლევდა. რამდენად გამომდიოდა ამის გამოსწორება და გაზიარება, ვერ გეტყვით, მაგრამ მიმაჩნდა, რომ სწორად მაფასებდა.

— ზაზა, ტელესერიალი „შუა ქალაქში“ მოგწონს?

— „შუა ქალაქში“ ვის არ მოსწონს?! მით უფრო, რომ ოჯახში სამი ადამიანი მყავს, ვისაც ამ სერიალში მონაწილეობა მიუღია...

ქეთა:

— ჩვენი თეოდორა დათოს ქალიშვილის, ანანოს როლს ასრულებდა. უფრო სწორად, სულ რამდენიმე სცენაში გადაიღეს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროსაც გადაიღეს. ეს სერია მომავალ კვირას იქნება. ჩემი თომაც იყო რამდენიმე სერიაში. დათოს ახალ კლასში ერთ-ერთ მოსწავლეს თამაშობდა. ნინოსაც ძალიან უნდა, რომ „შუა ქალაქში“ გადასაღებ მოედანზე მოხვდეს და დღემდე მეხვეწება, იქნებ მეც დაგჭირდეთო.

— თეოდორა ალბათ გადასაღებ მოედანს ჯერ ვერ აღიქვამს. თომა რას ფიქრობს მსახიობობაზე?

— თომამ პირველად ქუთაისის თეატრში პატარა როლი ითამაშა და ძალიან გაუჭირდა. ყოველი სპექტაკლის წინ ამბობდა, აღარ მინდა თამაში, ხომ ვითამაშე უკვეო. ვეხვეწებოდით, ოღონდ სცენაზე გადი და ამასა და ამას გიყიდითქო. „შუა ქალაქში“ და მასში მონაწილე მსახიობები იმდენად უყვარდა, რომ როცა ვუთხარი, შესაძლოა, შენც გადაგიღოთ-მეთქი, ძალიან გაუხარდა. რაც შეეხება ნინოს, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ სერიალში ჯერ არ გადაუღიათ, მაინც პატარა მსახიობია. სპექტაკლში — „ირმის უკანასკნელი ბღავილი“ ლადო ასათიანის ქალიშვილის როლი შეასრულა. მშობლები რომ ამბობენ ხოლმე, არ მინდა, ჩემი შვილი მსახიობი გამოვიდესო, ძალიან მიკვირს. ჩემი მშობლებიც დიდი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ მსახიობი გამოვსულიყავი და ამ პროფესიის მისაღებად ბევრი ვიბრძოლე. აქედან გამომდინარე, ჩემს შვილებს ხელს არ შევუშლი. თუ მსახიობობა ენდომებათ, ჩააბარონ თეატრალურ უნივერსიტეტში, რა პრობლემაა?..

— საზოგადოების დიდმა ნაწილმა სერიალიდან „შუა ქალაქში“ გაგიცნო. ბოლო დროს კი ამ სერიალში აღარ ჩანხარ. რა არის ამის მიზეზი და კვლავ დაბრუნდები თუ არა „შუა ქალაქში“?

— ძალიან ბევრი ადამიანი მეკითხებოდა, სერიალიდან წამოსვლა შენი ორსულობისა და მშობიარობის გამო მოხდაო? ეს ამის გამო არ მომხდარა. „ღამის შოუს“ სტუდიამ თვითონვე შემიწყვიტა კონტრაქტი, რადგან ისინი ახალი სერიალის გადაღებას გეგმავდნენ და იქ უნდა გადავსულიყავი. სამწუხაროდ, იმ სერიალის გადაღება დროებით გადაიდო. დიდი იმედი მაქვს, რომ როცა გადაღება განახლდება, ამ პროექტში ისევ დამაბრუნებენ.

— რაც შეეხება თეატრს, დაუბრუნდი სცენას?

— მიუხედავად იმისა, რომ სულ ერთი თვეა, რაც ვიმშობიარე, „თავისუფალ თეატრში“ უკვე დავბრუნდი და კვლავ ვთამაშობ სპექტაკლებში: — „ძმები“, „კავკასიური ცარცის წრე“ და „იდიოტოკრატია“. სხვა სიახლე ჯერჯერობით არაფერია. ველოდები რეჟისორებს, რას შემომთავაზებენ. ■

იუბილე

ქართული ბალეტის ჯადოქარს 100 წელი შეუსრულდა

ბალერონს, ქართული ბალეტის სულისჩამდგმელსა და ცეკვის ჯადოქარს — ვახტანგ ჭაბუკიანს 100 წელი შეუსრულდებოდა. ცოტა ხნის წინ მარჯანიშვილის მოედანზე, ბატონი ვახტანგის სახლ-მუზეუმში, მისი მეგობრები, კოლეგები და საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ, რომლებიც ცეკვის ჯადოქარს თბილად იხსენებდნენ... საღამოზე იტალიის, შვეიცარიის, ინგლისის ელჩები და ბელგიის კონსულიც გახლდნენ... სტუმრებმა ჭაბუკიანის ნამღერიც მოისმინეს, რომლის აუდიოვერსია მუზეუმში ინახება...

ელენე ბასილიძე

დავით ჯანგველაძე, *ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი:*

— ქართველ ბალეტმეისტერს, მამაკაცური ბალეტის ფეძემდებელსა და ცეკვის ჯადოქარს 100 წელი შეუსრულდებოდა... იგი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ქართველ ხალხს ეკუთვნოდა. მისი ხელოვნება საქართველოს ფარგლებს გასცდა და მსოფლიო მოიცვა. მას შესრულებული აქვს პარტიები სპექტაკლებში — „დონ კიხოტი“ „ლაურენსია“, „მთების გული“, „ოტელო“... 2010 წელი „იუნესკომ“ ვახტანგ ჭაბუკიანის წლად გამოაცხადა. თბილისის მერიის მხარდაჭერით, ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ გამოსაცემად წიგნიც მზადდება... სახლ-მუზეუმში დამთვალიერებელს ბევრი სიახლე ელოდება — შოთა მაღლაკელიძის (სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსი) მხარდაჭერით, ვაწყობთ საბალეტო კოსტიუმების პოდიუმსაც. ეს იქნება მაყურებლის წინაშე იმ სასცენო კოსტიუმების წარდგენა, რომლებიც ვახტანგ ჭაბუკიანს სპექტაკლებში ეცვა. სამწუხაროდ, 1973 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა დაიწვა და ისევე, როგორც ყველაფერი სხვა, არც ბატონი ვახტანგის კოსტიუმები გადარჩენილა; ამიტომ მუზეუმში მხოლოდ 2 სასცენო კოსტიუმი და რამდენიმე სასცენო აქსესუარია, რომელიც ჭაბუკიანს ეკუთვნოდა. მათ განსაკუთრებით ვუფრთხილდებით. გვინდა, რომ დამთვალიერებელს იმ კოსტიუმების იდენტური ნიმუშები წარვუდგინოთ, რომლითაც იგი სცენაზე გამოდიოდა და მაყურებელს აღაფრთოვანებდა... ვაპირებთ, კოსტიუმების ჩვენებასთან ერთად, დამთვალიერებელს მოვუთხროთ ცეკვის ჯადოქრის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე; ასევე — თითოეული კოსტიუმის შექმნის ამბავიც...

სცენა „ლაურენსიიდან“
(მაია პლისეცკაიასთან ერთად)


სცენა „ოტელოდან“ (ვერა წიფნაძესთან ერთად)

— **მუზეუმისთვის რამდენი კოსტიუმი შეიქმნა?**

— 5 კოსტიუმი... მუზეუმშივე არსებობს ბალეტის სალონური კლუბი, სადაც საბალეტო ხელოვნების გარშემო ხშირად საინტერესო დისკუსია იმართება...

— **ბატონო დავით, იქნებ რაიმე ამბავიც გაიხსენოთ ბატონი ვახტანგის ცხოვრებიდან...**

— თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპექტაკლის — „მთების გულის“ პრემიერა მიმდინარეობდა, სადაც ჯარჯის როლს მიხეილ ლავროვსკი ასრულებდა. მას სპექტაკლის დასასრულს, ოვაციებისათვის ყურადღება არ მიუქცევია — სცენაზე ვიღაცას დაჟინებით უხმობდა. რამდენიმე წუთში, სცენაზე ნელი ნაბიჯით ვახტანგ ჭაბუკიანი ავიდა, „მთების გულის“ მონაწილე, ქულაჯებში გამოწყობილმა ჭაბუკებმა წრე შეკრეს და მის შუაგულში ქედი მოუდრიკეს, მცირე ამაღლებულ ადგილას მდგომ ვახტანგს, რომლის ფერხთით დაჩოქილმა ლავროვსკიმ, სწრაფად შემოიხსნა წელიდან პატარა სატევარი და გადაღეღილი მკერდი ჯარჯის პარტიის პირველ შემსრულებელს მიუშვირა. ამ დროს, უეცრად, ხანდაზმულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, თითქოს და, გასაფრენად ემზადებაო, მკლავები გაშალა და შემაღლებული ადგილიდან, მტკივანი ფეხებით ჩამოხტა, მკლავგაშლილი წავიდა წინ და თაყვანი სცა მაყურებელს. მთელი დარბაზი აღელდა... მას ძალიან უყვარდა ცხოველები და ფრინველები. გარეთ, ფანჯარაზე პატარა რაფა ჰქონდა გაკეთებული, სადაც ყოველდღე პურის ნამცეცებს ყრიდა. ამიტომაც, მის ფანჯარასთან ბევრი ჩიტი იყრიდა თავს... სახლში 5-6 კატა ჰყავდა, რომელსაც რუდუნებით უვლიდა. მის ფანჯრებთან ადრე ბევრი მაწანწალა ძაღლი დარბოდა. ამიტომ იქ ხშირად მოდიოდა დიდი მანქანა, რომელიც იმ ძაღლებს იჭერდა. ერთხელაც, ვახტანგს ძაღლების წკავწკავი შემოესმა, ფანჯრიდან რომ გადაიხედა, დაინახა, რომ უპატრონო ძაღლს ვიღაც ჯალათი (ასე ეძახდა იმ ადამიანებს, რომლებიც მაწანწალა ძაღლებს იჭერდნენ) დასაჭერად დასდევდა... სახლიდან ძაღლების მისაშველებლად სასწრაფოდ გამოიქცა და „ჯალათს“ მათი თავი გააშვებინა... „ჯალათმა“, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ეს უცნაური კაცი, რომელმაც თავი ძაღლებისათვის შეიწუხა და სახლიდან მათ საქმაგოდ გამოვიდა, ვახტანგ ჭაბუკიანი გახლდათ... ცხოვრების ბოლო ეტაპზე, ბატონ ვახტანგს ცეკვა ძალზე უჭირდა, მუხლები აწუხებდა და მისი მასაჟისტი, იური ჩესტიაკოვი სცენაზე გამოსვლამდე, ერთი საათით ადრე, მასაჟს უკეთებდა... მისმა „ოტელომ“ მსოფლიო ანშლაგებით მოიარა...

— **მის მეუღლეზე, გალინა კუზნეცოვაზე რას მეტყვით?**

— ცხოვრებამ ჭაბუკიანს ყველაფერი მისცა, ერთის — ოჯახური ბედნიერების გარდა. მის ცხოვრებაში იყო დიდი სიყვარული, რომელიც ქორწინებით დაგვირგვინდა. თუმცა მეუღლეს — ბალერინა გალინა კუზნეცოვას მალე დაშორდა. მიუხედავად დაშორებისა, მათ ურთიერთსიყვარული და პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს. განქორწინების შემდეგ, გალინა ვახტანგს სწერდა: „ძვირფასო ვახტანგ! დღეს „უკანასკნელად“ მაქვს უფლება, ვიამაყო ჩემი საყვარელი, ნიჭიერი ქმრით. ძვირფასო ვახუშტი, მთელი გულითა და სულით გისურვებ ცხოვრებაში დიდ გამარჯვებებს. სამუდამოდ ვრჩები შენი გულწრფელად ერთგული მეგობარი. გკოცნი მარად, შენი გალია“. ჭაბუკიანს ადამიანების ფენომენური სიყვარულის ნიჭი ჰქონდა. იყო ძალზე მომთხოვნიც, თავის მოსწავლეებს შთაგონებდა, რომ მათ აუცილებლად ელოდა წარმატება და წინსვლა, რადგან ისინი კარგი მოცეკვავეები იყვნენ. ყოველთვის ამხნევებდა და გვერდით ედგა მათ...

ავთანდილ დანელია, *ხელოვნების საერთაშორისო ასოციაცია „მზეჭაბუკისა“ და „მარია კალასის საზოგადოების“ დირექტორი:*

— ჩემი საზოგადოება, ორ რეფორმატორს, ოპერისა და ბალეტის ორ უდიდეს წარმომადგენელს — მარია კალასსა და ვახტანგ ჭაბუკიანს აერთიანებს... ამბობენ, რომ ვისაც ვახტანგის სპექტაკლები არ უნახავს პეტერბურგში, მან არ იცის, რა არის საერთოდ ბალეტი... როდესაც იგი საქართველოში ჩამოვიდა, უკვე 30 წელს იყო გადაცილებული... ერთხელ, მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ ვახტანგს დაბადების დღეზე ვეწვიე და საჩუქრად ალბომი — „ერმიტაჟი“ მივართვი. სწორედ მაშინ მითხრა, — თქვენ ჩემზე წიგნი უნდა დაწეროთო... მე მივუგე, — ალბათ, თქვენსა და მარია კალასს ერთ წიგნს მოგიძღვნითმეთქი... გაუკვირდა, — მე და მარია კალასი ერთ წიგნში რატომ მოვხვდებითო?! — იგი ისეთივე რეფორმატორია ოპერის, როგორიც თქვენ — ბალეტის-მეთქი და — გაეღიმა... ჭაბუკიანი შემდგარი პიროვნება გახლდათ. ამასთან, საკუთარი თავის ფასი იცოდა. სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი — სოლიკო ვირსალაძე და ვახტანგი მუდმივად კამათობდნენ. ერთხელაც, ვახტანგმა სოლიკო ფილმზე დაპატიჟა, რომელიც ჭაბუკიანის შემოქმედებას ეძღვნებოდა... ფილმის ნახვის შემდეგ, სოლიკომ ვახტანგს დაურეკა და ეუბნება: — ვახტანგ, იცი, შენისთანა მოცეკვავე არ იყო, არ არის და არც იქნებაო... — „და, ეტა ტააკ...“ — ამაყად უპასუხა ვახტანგმა და ყურმილი დაუკიდა (*იღიმის*). ასე რომ, მან შესანიშნავად იცოდა საკუთარი თავის ფასი და არც არასოდეს ცდილობდა თავისი უპირატესობის დამალვას. პირველად, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ამერიკაში გასტროლი შესთავაზა, უარი არ უთქვამს, რადგან საკუთარ ძალებში დარწმუნებული იყო და იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა მის ამერიკულ გასტროლს და იგი არც შემცდარა, როდესაც გამგზავრება გადაწყვიტა...

— **რამდენი წლის იყო, როდესაც ბატონმა ვახტანგმა სცენა დატოვა?**

— ბოლოს 1969 წელს პოლონეთში იცეკვა... იგი სიცოცხლის ბოლო წლებამდე ოპერისა და ბალეტის

იტალიისა და ბელგიის ელჩები სტუმრად ვახტანგ ჭაბუკიანის მუზეუმში (მარცხნივ — დავით ჯანგველაძე)

თეატრთან თანამშრომლობდა, დადგა უამრავი ცეკვა და საფუძველი ჩაუყარა გმირულ, მამაკაცურ ბალეტს, რომელიც დროთა განმავლობაში მთელმა მსოფლიომ აღიარა...

არამოდური და გემოვნებიანი ფოტოგრაფი ანუ სადაური ქუდი ახურავს ჯიჯი რეჯინს

მიუხედავად იმისა, რომ მის ძარღვებში ქართული სისხლი არ ჩქეფს, სიამოვნებს, როდესაც ქართველად მოიხსენიებენ... ის ცოტა ხანში პარიზში გამოფენის მოსაწყობად ემზადება და იქაურ საზოგადოებასაც თავი ქართველად უნდა წარუდგინოს. „რატომაც, არა?! რომ არ მომწონდეს საქართველო, აქ არც გავჩერდებოდი; აქ დავიბადე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი და აგერ უკვე რამდენი წელია, აქაური ქუდი მახურავს“, — ამბობს ფოტოგრაფი ჯიჯი რეჯინი, რომელიც დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარი გახლავთ.

ელენე გასილიძე

— დაახლოებით 7 წლის ვიყავი, როდესაც კოსტიუმების მოდელებისა და გოგონების ხატვა დავიწყე. სპეციალური წიგნი მქონდა, რომელსაც დღეს „სქეჩბუქს“ ეძახიან და სწორედ მასში ვხატავდი... სახლში მანქანებისა და კონსტრუქტორის ნაცვლად, ფურცლებითა და ფანქრებით ვთამაშობდი. სხვათა შორის, ის ნახატები, დღემდე შენახული მაქვს. მართალია, დღეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენება ჩემი პირველი ნამუშევრები, მაგრამ ისტორიაა და ვცდილობ, მათ გავუფრთხილდე... თავდაპირველად, ტანსაცმლის დიზაინით ვიყავი დაინტერესებული და ამ კუთხით ვმუშაობდი, ჩემზე გავლენა ჩემმა დამ მოახდინა, რომელიც დღეს ჩემი სტუდიის მხატვარია. ბავშვობაში ისიც ტანსაცმლის დიზაინს ქმნიდა და ხატვა მეც მისი მიბაძვით დავიწყე. მეცხრე კლასში ის „სპეცრვეული“ უკვე აღარ მქონდა და სასკოლო რვეულების უკანა გვერდებზე ვხატავდი... შემდეგ ვიზაჟის ხელოვნება შევისწავლე და ვიზაჟისტად ბევრ სარეკლამო რგოლსა და კლიპზე ვიმუშავე. ტანსაცმლის დიზაინერობა ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, სადმე რაიმე სამსახურში მუშაობასა და უნივერსიტეტში ჩაბარებაზე არასოდეს მიფიქრია... დიზაინის აკადემიაში, ტანსაცმლის მოდელირებაზე ვსწავლობდი და სანამ დიპლომს დავიცავდი, მანამდე მუშაობა ერთ-ერთ სახელოსნოში დავიწყე, სადაც სახ-

ელოსნოს ოფიციალური დიზაინერი ვიყავი. მოგვიანებით, უკვე საკუთარი სახელოსნო შევქმენი, საქმე საკმაოდ წარმატებულად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღესაც მივხვდი, რომ არა ვარ ის ადამიანი, რომელთანაც შეიძლება, ადამიანებმა „პრიმერკებზე“ ირბინონ. საკუთარი ტანსაცმლის ფოტოზე აღბეჭდვა უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებდა, ვიდრე მასზე მუშაობა. ამიტომაც, მოვიწვიე ფოტოგრაფი, რომელიც სპეციალურ სტუდიაში, ჩემს შექმნილ მოდელებს ფოტოს უღებდა. შემდეგ ფოტოკამერა ხელში თავადვე ავიღე... დღესაც, ბევრ ფოტოსესიაში ჩემი შექმნილი ტანსაცმელი და აქსესუარები ჭარბობს, მაგრამ ამას აფიშირებას არასოდეს ვუკეთებ. მე ფოტოგრაფი ვარ და ამ პროფესიით მივიწევ წინ.

— ეს რადიკალური ცვლილება, ვფიქრობ, რომ იოლი არ უნდა ყოფილიყო...

— მართალი ხარ, თავიდან მართლაც ძალიან გამიჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ „პლეიბოის“ მესვეურებს ჩემი ნამუშევრები მოეწონათ, თანამშრომლობაზე მაინც უარი ვუთხარი, რადგან საკუთარ თავში დარწმუნებული არ ვიყავი... როდესაც მეორედ შემომთავაზეს, დავთანხმდი.

— შეიძლება ითქვას, რომ „პლეიბოი“ შენს ცხოვრებაში ერთგვარ ტრამპლინად იქცა...

— მართალი ხარ, მაგრამ სანამ ამ ჟურნალისათვის ვიმუშავებდი, მანამდეც მქონდა ღირებული ნამუშევრები, მაგრამ პოპულარული არ ვიყავი. მხოლოდ ვიწრო საზოგადოება მიცნობდ. ამიტომ „პლეიბოის“ პროექტმა საზოგადოებისათვის ცნობილი გამხადა. მიხარია, რომ თავი როგორც მოდის ფოტოგრაფმა ისე დავიმკვიდრე.

— რამდენად იოლია, ჩვენში ხელოვანი ადამიანისათვის თავის დამკვიდრება?

— ადრე გაცილებით ადვილი იყო, რადგანაც თუ გყავდა ვინმე კარგი პიარმენეჯერი — ჟურნალისტი მეგობარი, პოპულარული იყავი... ახლა ასე აღარ ხდება. მომწონს, რომ ნიჭი მეტად ფასობს. არ მესმის, როდესაც ამბობენ, პატრონი ან მილიონერი მამა თუ არ გყავს, ისე ვერაფერს მიაღწევო... ტყუილია! როდესაც ცნობილი გავხდი, მამა უკვე აღარ მყავდა და პირად ანგარიშზე არც მილიონები მქონდა. ამასთან, სოხუმიდან დევნილი გახლავართ... ჩემი „ზურგი“ ჩემი ფოტოები იყო და არის. ფული თუ არ გაქვს, გამოფენა შეიძლება, პარიზსა და მილანში ვერ გამართო, მაგრამ დღეს საქართველოში ნამდვილად არის იმის საშუალება, რომ გამოჩნდე; საყვარელი საქმე აკეთო და პოპულარულიც გახდე. ხშირად გამიგონია, თუ ქართველი არ ხარ — ძნელია საქართველოში თავის დამკვიდრებაო... არადა, ეს მტკნარი სიცრუეა.

— ჯიჯი რეჯინი ფსევდონიმია?

— ჯიჯი სკოლაში, მეგობრების მიერ შერქმეული მეტსახელია. თავიდან სახლში რომ რეკავდნენ და ჯიჯის კითხულობდნენ, დედაჩემი ვერ ხვდებოდა, ჯიჯი ვინ იყო (*იღიმის*). რეჯინი კი ბებიაჩემის გვარია, 16 წლიდან ავიკვიატე, რომ ჩემი ტანსაცმლის ხაზი გრეგორი რეჯინის ხაზით გამოსულიყო... პირადობის მოწმობაში კი მიწერია: გრეგორი დევეჯიევი-რეჯინი, დევეჯიევი — მამის გვარია, რომელიც ნახევრად იტალიელი და ნახევრად ბულგარელი იყო... ჩემს ფოტოებზე რომ მივაწერო, „ფოტო ბაი გრეგორი დევეჯიევი-რეჯინი“ რომელი ნორმალური ადამიანი დაიმახსოვრებს ამ სახლსა და გვარს?! უბრალოდ, ჯიჯი და რეჯინი ერთმანეთს მოუხდა და ამიტომ გავეცანი საზოგადოებას ასე...

— გადაცემა „სიმართლის დროს“ პროდიუსერმა, შენ მიმართ დასმული არაკორექტული შეკითხვის გამო, სომეხი ეროვნების საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

— სიმართლე გითხრა, ძალიან გამიკვირდა. აღმოჩნდა, რომ ამ კითხვას სომეხი ეროვნების მოსახლეობის უკმაყოფილება გამოუწვევია. არადა, მინდოდა, რომ ეს კითხვა ეთერში დაესვათ, მსურდა, ძველი შეცდომა გამომესწორებინა და ყველასათვის მეთქვა: ის, რომ დედაჩემი სომეხია, ამაში სამარცხვინო არაფერია... საკუთარი ეროვნების არავის უნდა რცხვენოდეს...

— ჯიჯი, პოპულარობამ შეგცვალა?

— არა! ზუსტად ისეთივე ვარ, როგორიც

ვიყავი, უბრალოდ, ახლა გაცილებით ბევრი მცნობს... ხანდახან, მეგობრებთან ერთად, ბორდიურზე ჩამოჯდომა და დალევა მენატრება ხოლმე (*იცინის*).

— მსგავსი შემთხვევებიც იყო?

— აბა, რა?! როცა ძალიან მომენატრება ის დრო, ვურეკავ მეგობრებს, დავდივართ ერთი რესტორნიდან მეორეში, ბოლოს კი, აუცილებლად ბორდიურზე ჩამომსხდრები ვსვამთ (*იცინის*). ღმერთმა დამიფაროს, ოდესმე „ძაან ტაკოი როჟა“ მივიღო და ცხვირი მაღლა ავწიო!

— მოდი, შენს გემოვნებასაც შევეხოთ...

— ზუსტად ვიცი, როდის მაცვია კარგად და როდის — არა... ამდენი ხანია, ფოტოხელოვნებაში ვარ და ალბათ ზედმეტი იქნება იმის თქმა, რომ გემოვნებაში მეც რაღაც გამეგება. ყურადღებას არასოდეს ვაქცევ იმას, თუ რა არის მოდაში. მირჩევნია ახალგაზრდა თაობას მივაქციო ყურადღება და მათი მოწონებული თითო-თითო დეტალი გადმოვიღო. დღეს ძალიან მოდურია „მაიჩნი“ შარვალი, მაგრამ ჩემი წონის პატრონმა „მაიჩნი“ „გალიფე“ არ უნდა ჩაიცვას, ძალიან სასაცილო ვიქნები. უკეთესია, იყო არამოდურად და გემოვნებიანად ჩაცმული, ვიდრე მოდის ყველა სიახლე გაითვალისწინო და საფრთხობელას დაემსგავსო. მაგალითად, დღეს ერთ ოფიციალურ მიღებაზე ვიყავი, სადაც სოფო ჭყონია ვნახე, რომელსაც ძალიან გემოვნებიანად ეცვა...

— შენთვის რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გეცვას ცნობილი ბრენდის სამოსი?

— არა, ფეხსაცმლის გარდა „ბრენდული“ არაფერი მაცვია. იმას არ ვგულისხმობ, რომ აუცილებელია ძვირად ღირებული ბრენდის ფეხსაცმელი მქონდეს. კარგი ხარისხის ფეხსაცმელს შეძენა 20 და 30 ევროდაცაა შესაძლებელი. ვცდილობ, რომ ყოველთვის კარგი ხარისხის ფეხსაცმელი და საცვალი მეცვას.

— როგორ ფიქრობ, ქართველები გემოვნებიანები ვართ?

— ქართველები გემოვნებიანი ერია, ვიტყოდი, ზედმეტად გემოვნებიანიც კი. სოხუმში რომ ვცხოვრობდი, პატარა ვიყავი, თბილისი თვალითაც არ მქონდა ნანახი და მუდმივად მესმოდა, თბილისი პატარა პარიზიაო... ჰოდა, ძალიან მაინტერესებდა ეს „პარიზი“ მენახა, როგორი იყო... ქართულ მოდას დღეს ცოტა არ იყოს, უჭირს... აქ მოდას ისეთი ადამიანები ქმნიან, რომელთაც პირადად მე ამ საქმეს არ მივანდობდი... საქართველოში ახალგაზრდებს უკეთესი გემოვნება აქვთ, ვიდრე ბევრ „გამოცდილ“ დიზაინერს. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ ჯერ ადრეა ქართული მოდის კვირეულის ჩატარება. ჯერ უნდა გაზარდო დიზაინერი, მისცე ახალგაზრდას საშუალება, ჩამოყალიბდეს კარგ დიზაინერად და მერე მოაწყო მოდის კვირეული. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მოდის კვირეულზე ჩემი გამოფენაც იქნება წარმოდგენილი, ვამბობ, რომ უკეთესი იქნებოდა, ეს რამდენიმე მილიონი, რომელიც ამ ღონისძიების მოწყობას სჭირდება, სამოდელო სკოლის შექმნასა და ახალგაზრდების გადამზადებას მოხმარდეს.

— ცნობილი ადამიანებიდან ვის გემოვნებას გამოარჩევ?

— სოფო ჭყონიასას. აგრეთვე ბასა ფოცხიშვილი იცვამს ძალიან ექსტრავაგანტურად და ექსპერიმენტების ჩატარების არ ეშინია. მან ზუსტად იცის, თუ რა, რასთან უნდა შეახამოს. მამაკაცებიდან კი, კახი კალაძის გემოვნებას აღვნიშნავ. ძალიან გემოვნებიანად იცვამს...

— სამომავლო გეგმების შესახებ რას მეტყვი?

— ჩემი სამომავლო გეგმა — გამოფენაა, რომელიც პარიზში ივნისში გაიმართება... ეს იქნება ქართველი ფოტოგრაფის გამოფენა, რომელსაც ქართული სისხლი არ უჩქეფს ძარღვებში, მაგრამ უცხოეთში საქართველოს წარმოადგენს (*იცინის*). მიხარია, როდესაც ქართველად მომიხსენიებენ, რატომაც არა?! რომ არ მომწონდეს საქართველო, აქ არც გავჩერდებოდი, აქ დავიბადე, გავიზარდე და ჩამოვყალიბდი, აქაური ქუდი მახურავს (*იცინის*). ■

ქართველი მეიგავის ოცნება და სიყვარულის ფორმულა

„ვეძებ გოგონას, რომელიც გონებას დამაკარგვინებს“

იგავ-არაკი ლიტერატურის ერთ-ერთი არცთუ მარტივი ჟანრია, რომელიც დასაბამს ანტიკური პერიოდიდან იღებს. ამ დარგში მოღვაწე შემოქმედთა რაოდენობაც მცირეა... თანამედროვეთაგან კი, საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილმა ნიკა წულუკიძემ მეიგავეობა დიდი ხანია, მოსინჯა და არცთუ ისე ურიგოდ გამოუვიდა.

თამუნა კვირკველია

— ნიკა, როგორ გაგიჩნდათ იგავ-არაკების წერის იდეა? თუ ეს უბრალოდ ნიჭია, რომელიც საკუთარ თავში აღმოაჩინეთ?

— იგავ-არაკი საუკეთესო საშუალებაა, ადამიანმა საკუთარი მოსაზრება რომ გამოთქვას. თუმცა უნდა გითხრათ, რომ პირველად იგავების წერა თეატრალურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისას დავიწყე... მას შემდეგ ჩემი იგავებით აბიტურიენტები დაინტერესდნენ. ერთხელ რექტორმა მითხრა: — შენს იგავ-არაკებს იმდენი აბიტურიენტი კითხულობს, მეც უკვე ზეპირად ვისწავლეო. ჩემთვის ამის მოსმენა დიდი ბედნიერებაა. ამასთან ისიც, სტუდენტი რომ მოვა და მეტყვის: — იცით, თქვენი იგავით ჩავაბარეო.

— წერას მუზა სჭირდება თუ ამას გარემოება გკარნახობთ?

— იგავ-არაკი, პოეზიისგან განსხვავებით, ისეთი ჟანრია, რომ მუზა არ სჭირდება. რაღაც ძალიან რომ ამაღელვებს, ავდგები და ვწერ ხოლმე...

— მეიგავეც ხართ და თეატრმცოდნეც. რა ადგილი უკავია ხელოვნებას თქვენს ცხოვრებაში?

— პროფესიით თეატრმცოდნე ვარ და ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. არაჩვეულებრივი პედაგოგი მყავდა — ბატონი ვასო კიკნაძე. დღემდე საყვარელ სტუდენტად მიმიჩნევს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მას 80 წლის იუბილე მივულოცო; ღმერთმა დიდხანს არ მოგვიშალოს მისი თავი. თეატრი ხელოვნების ის დარგია, რომელიც შემოქმედის სიკვდილთან ერთად კვდება; თეატრის მსახიობებზე კი ისტორიას ჩვენ ვქმნით. ეს, დამეთანხმებით, დიდი პასუხისმგებლობაა... მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ხელოვნებას მივუძღვენი. ძალიან დატვირთული ვარ, რამდენიმე ადგილას ერთდროულად ვმუშაობ და ეს მახარებს, ე.ი. საზოგადოებას ვჭირდები. ერთხელ ქალბატონმა მედეა ჩახავამ მითხრა: ვერ გეტყვი, თეატრი უფრო ძვირფასია ჩემთვის თუ ოჯახიო. თეატრისადმი მეც იგივე დამოკიდებულება მაქვს. მარინა ჯანაშიამ კი მითხრა: ერთ-ერთი ხარ იმ თეატრმცოდნეებს შორის, რომელთაც ჭეშმარიტად უყვართ თეატრიო. ვმუშაობ ასევე რადიო „იმედში“, სადაც არაჩვეულებრივი კოლექტივია...

— იგავების კრებული თუ გაქვთ გამოცემული?

— იგავ-არაკების 4 კრებული მაქვს გამოცემული. ოთხ სხვადასხვა თეატრში ჩემი იგავების მიხედვით სპექტაკლებიც დაიდგა. ბოლოს გამოვიდა წიგნი — „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლზე დავწერე.

— როცა მუშაობას ამთავრებთ რომელიმე იგავზე, უკმარისობის გრძნობა გეუფლებათ, თუ თქვენი ნამუშევრით ყოველთვის კმაყოფილი რჩებით?

— ყოველთვის კმაყოფილები გიჟები არიან. რასაკვირველია, სულ მინდა მივუბრუნდე და რაღაც შევცვალო...

— თუ გყავთ თქვენი საყვარელი მეიგავე?

— ჩემი საყვარელი მეიგავე სულხან-საბა ორბელიანია. არც ერთ სხვა მეიგავეს არა აქვს წამოჭრილი მარადიული პრობლემები ისე, როგორც ორბელიანს. თუმცა ლაფონტენიც ძალიან მიყვარს.

— რაიმე ჰობიც ხომ არ გაქვთ?

— ჩემი ჰობი ფიგურული სრიალი და ცურვაა...

— რა არის თქვენი აუხდენელი ოცნება?

— თითქმის მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და ბევრ ზღვაში მიბანავია, მაგრამ არ მინდა, ამ ქვეყნიდან ისე წავიდე, რომ სოხუმის ზღვაში არ ვიბანაო... ასევე მინდა, ქართულმა თეატრმა ძველი სახელი და დიდება დაიბრუნოს.

— პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვით, შეყვარებული თუ ხართ?

— პირად ცხოვრებას რაც შეეხება, ვეძებ გოგონას, რომელიც გონებას დამაკარგვინებს. ამჟამად კი სერიოზული არაფერი ხდება, თუმცა ვნახოთ...

— საინტერესოა ხელოვანი ადამიანის აზრი სიყვარულზე...

— სიყვარული არც ვერტიკალურია და არც ბრუნვადი. სიყვარული ადამიანის მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ახალი სიცოცხლის შექმნისა და დაბადების საწინდარია. ეს კი დამერწმუნე, ყველაფერზე ძვირფასია... იცი, რას ვიზამდი? სიყვარულის საზომ ერთეულს გამოვიგონებდი. რაც უფრო მეტი შეყვარებული იქნება ქვეყანაში, მით ნაკლები უბედურება მოხდება.

— ვინ ან რამ მოახდინა თქვენზე დიდი გავლენა?

— რასაკვირველია, ოჯახმა. იმიტომ, რომ ისეთ ოჯახურ იდილიაში გავიზარდე, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლება. ვინც ჩვენს ოჯახს იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს სიმართლეა.

— ბევრ ქვეყანაში გიმოგზაურიათ, იქნებ რაიმე საინტერესო ეპიზოდი გაიხსენოთ, რომელიც მოგზაურობისას თავს გადაგხდენიათ...

— მილანში რომ ჩავედი, კინაღამ გავგიჟდი, იმდენი ლამაზი და შიშველი ქალი ერთად არსად მინახავს, ტელევიზორშიც კი... დამავიწყდა ლა-სკალა და ყველაფერი... დავდიოდი და ვუყურებდი მშვენიერ არსებებს. იქ უბრალო მაღაზიის გამყიდველიც კი ჰოლივუდის ვარსკვლავს ჰგავს. თუკი სადმე სილიკონის ჩადება შეიძლება, ყველაფერი დაბერილი ჰქონდათ. მაგრამ უხდებათ მაგ ოხრებს...

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— ზაფხულში ალბათ საინგილოში გავმართავთ ჩემს საღამოს. ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე წერს ჩემს იგავებს და საღამო მისი მონაწილეობით გაიმართება.

— წარმატებებს გისურვებთ. ■

მინდა, ქართულმა თეატრმა ძველი სახელი და დიდება დაიბრუნოს

პერფორმანსი, ავთანდილის ახალი კოლექცია და „ბომონდის“ გრანდიოზული პრეზენტაცია

„უკვე მესამე წელია, რაც ჩვენი ჟურნალი განახლებული სახით გამოდის. დღეს კი, წლევანდელი, მარტის ნომრის გამოსვლა საზეიმოდ აღვნიშნეთ. გვინდოდა, გაზაფხულის პირველ თვეს, ნომრის გამოსვლა გრანდიოზული პრეზენტაციით აღგვენიშნა“, — გვითხრა ჟურნალ „ბომონდის“ შეფ-რედაქტორმა — სვეტა კვარაცხელიამ საღამოზე, რომელიც გასულ კვირას, ჟურნალმა „ბომონდმა“ და კომპანია „ჩარმლეინმ“ ერთობლივად სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიის“ სადღესასწაულო დარბაზში გამართეს...

ლალი ფაცია

ერთი შეხედვით, ეს ქართული, ბომონდური შეკრება თავისი ფორმით, უცხოურ ვარსკვლავურ წვეულებას მოგაგონებდათ — სადღესასწაულოდ გამოწყობილი ცნობილი ადამიანები, ფოიეში საგანგებოდ დაგებული წითელი ხალიჩა, უამრავი ფოტორეპორტიორი, კადრის წინ პოზირება, ღვინით სავსე ფუჟერებით მოსაუბრე ცნობილი ადამიანები, ერთმანეთის თბილი მოკითხვა, მშვენიერი მუსიკა და ნაზი ღიმილი... არა, ეს ყველაფერი „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიალზე კი არა, თბილისში ხდებოდა, რომელიც დათქმულ დროს, ქართული ჰერფორმანსითა და ავთანდილის ახალი კოლექციის ჩვენებით დაიწყო (რეჟისორი გიგა აგლაძე გახლდათ)... ფონად დარბაზში სლაიდშოუც გადიოდა, სადაც „ბომონდის“ მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებს უჩვენებდნენ. ავთანდილის კოსტიუმებს საგენტოების — „სლაიდი“ და „იმიჯ-ცენტრი“ მოდელები წარმოადგენდნენ. უკრავდა „ცოცხალი“ ბენდი. საღამოს მსახიობები — ეკა ნიჟარაძე და ზაზა ბეჟაშვილი უძღვებოდნენ. პერფორმანსსა და მოდების ჩვენებას „ბომონდის“ დაჯილდოების ცერემონია მოჰყვა, სადაც 10 ნომინანტი დასახელდა: „ბომონდის“ ყველაზე ერთგული პარტნიორი კომპანია — „არტთაიმი“ აღმოჩნდა; ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული რესპონდენტი კი ცნობილი პიანისტი — ირმა გიგანი; ყველაზე ორიგინალური ფოტოსესიის გმირი — მარიშა მაისურაძე; „ბომონდის“ რჩეული დიზაინერი — ავთანდილი; გამორჩეული ბომონდური წყვილი, ორი მსატვარი — ქეთი მატაბელი და გია გუგუშვილი; რუბრიკა „ბიზნესბომონდის“ გამორჩეული სტუმარი — მამუკა ხაზარაძე; „ბომონდის“ უცვლელი შეფ-რედაქტორი — სვეტა კვარაცხელია; რუბრიკის „ბიზნესი ქუსლე-

პრეზენტაცია

ბზე“ ჟურნალის პირველი სტუმარი — წარმატებული ქალბატონი — მაკა გიორგობიანი; ყველაზე მოუხელთებელი რესპონდენტის ნომინაცია დუტა სხირტლაძეს ერგო; განსაკუთრებული მადლობა

„ბომონდის“ პირველ რედაქტორ სოფო თევდორაშვილს გადაუხადეს; განახლებული ჟურნალისთვის განეული სამსახურისთვის მადლობა რეჟისორ გიგა აგლაძესაც უთხრეს; პრეზენტაციის კულმინაცია კი სადღესასწაულო ტორტის გაჭრა აღმოჩნდა... მე კი მოწვეული სტუმრებიდან რამდენიმე მათგანს გავესაუბრე.

ლალი მორეგაკინა:

— სასიამოვნოა, რომ სხვა ქართულ ჟურნალებთან ერთად, არსებობს ისეთი კარგი ხარისხის ჟურნალი, როგორიც „ბომონდია“; რა თქმა უნდა, ყველას არ სწყალობს ბედი, მის ფურცლებზე მოხვდეს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის არ იყო მაღალი პოლიგრაფიული დონის, მაშინაც საინტერესო იყო. ჩემს ინტერვიუებთან ერთად, მახსოვს, მასში ჩემი ვარჯიშები და ქალბატონებისთვის თავის მოვლის რჩევები იბეჭდებოდა. ამიტომ „ბომონდთან“ თავიდანვე თბილი ურთიერთობა მქონდა. კარგია, ახალი შემოქმედებითი ჯგუფი, ახალი იდეებით რომ მუშაობს. ჟურნალის კოლექტივს წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებ. თუ ასეთი ცერემონიალი მომავალში კიდევ უფრო ფართო და მრავლისმომცველი იქნება, მივესალმები. ეს ჟურნალი იმსახურებს იმას, რომ გრანდიოზული დაჯილდოების სათავეში იყოს.

პრისტი:

— დღეს ყველაფერთან ერთად, ავთანდილის კოსტიუმების ჩვენებაც ვიხილეთ, რომელიც ძალიან მომეწონა. დიზაინერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან მაგარია! ლამაზი კოსტიუმები იყო. ასევე, მინდა „ბომონდს“ მივულოცო დღევანდელი დღე.

ზაზა ბეჟაშვილი (ზუზუ), *საღამოს წამყვანი:*

— „ბომონდის“ ხელმძღვანელი — თეა აგლაძე და მისი მეუღლე, რეჟისორი — გიგა აგლაძე ჩემი მეგობრები არიან, რომელთაც უდიდეს პატივს ვცემ და ყოველთვის აზრსაც ვეკითხები... სასიამოვნო იყო, რომ დღეს მათ ასეთი ლამაზი საღამოს წაყვანა მე მომანდვეს. მგონი, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ბევრი საინტერესო ადამიანი ვიხილეთ და კარგი საზოგადოება შეიკრიბა. სასიამოვნო იყო ისიც, რომ მსახიობ ეკა ნიჟარაძის პარტნიორობა მომიხდა. ეკა ჩემი მეგობარია...

ხატია შამუგია:

— ჟურნალ „ბომონდს“ ვულოცავ ძალიან მნიშვნელოვან და ღირსშესანიშნავ დღეს. გამიხარდა, რომ ღონისძიებაზე საუცხოო საზოგადოება მოვიდა. სხვა რომ არაფერი, მარტო ამიტომ ღირდა ასეთი „ივენთის“ გამართვა. ამდენმა ადამიანმა ერთმანეთი ნახა. ირგვლივ არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა. ამრიგად, არა მარტო „ბომონდს“, მთელ მედიასახლ „პალიტრას“ ვულოცავ კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს; მიმაჩნია, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში „პალიტრა“ სწორედ რომ „მონსტრია“. ხშირად ვყოფილვარ როგორც „ბომონდის“, ასევე ნებისმიერი გამოცემის რესპონდენტი და თითოეულ მათგანთან ყოველთვის სასიამოვნოა საუბარი. ამიტომ კომპანიის ნებისმიერი გამოცემის ერთგული მკითხველიც გახლავართ.

ლენუკა ყიფშიძე:

— „ბომონდი“ ბოლო დროს, მართლაც ყველანაირად დაიხვეწა. გარდა იმისა, რომ ჟურნალი ხარისხიან ფურცლებზე იბეჭდება და მაღალი პოლიგრაფიული დონის არის, აქვს საკმაოდ საინტერესო ხედვა, მშვენიერი ფოტოები იბეჭდება. მას რომ გადახედავ, თვალს სიამოვნებს. ჟურნალს კარგი ფოტოგრაფები — საშა და გურამი — ჰყავს.

თიკა ფაცაცია:

— „ბომონდის“ ფოტოსესიები გამორჩეულია. ცოტა ხნის წინ, ჟურნალის ფოტოგრაფებთან მეც მქონდა ფოტოსესია... სასიამოვნოა, რომ ლამაზი და ხარისხიანი ჟურნალის ყდაზე მეც ვიქნები. საშას თვალით დანახული თიკა მეც მაინტერესებს, როგორი იქნება. ინტერესით ველოდები აპრილის თვეს... მიყვარს ასეთი ექსპერიმენტები.

გვანცა დარასელია:

— მას შემდეგ, რაც ჟურნალი განახლებული ფორმატით გამოვიდა, „ბომონდს“ ყურადღებას განსაკუთრებულად ვუთმობ. მომწონს, შიგ ბევრ კარგ რაღაცას ვპოულობ. ისიც მიზიდავს, რომ ის მაღალი პოლიგრაფიული დონითაც გამოირჩევა. ერთხელ, როგორც ტელესახე, ჟურნალის რესპონდენტიც ვიყავი და საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი. ჟურნალისტების პროფესიონალიზმიც თვალში საცემი იყო და ფოტოგრაფებისაც, რაც, ჩემი აზრით, ჟურნალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა. რედაქტორებთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ყველას წარმატებებს ვუსურვებ. ■

გასული საუკუნის სტილის ხატებად ქცეული ქალბატონები

არიან ქალები, რომლებიც მხოლოდ წამიერად ხიბლავენ ადამიანს, არიან ისეთებიც, რომელთა დავიწყება არ შეიძლება. ისინი მამაკაცთათვის სამუდამოდ სილამაზისა და ქალურობის ეტალონად, ხოლო სუსტი სქესისთვის — ზღაპრულ მოდელებად და მაგალითად დარჩებიან. დღეს სწორედ იმ ქალბატონების შესახებ მოგითხრობთ, რომლებიც ყველგან და ყოველთვის პირველები იყვნენ და დღესაც პირველ ქალბატონებად რჩებიან.

მერილინ მონროო

ნორმა ჯინ მორტენსენი ეკრანებზე სწორედ რომ დროზე გამოჩნდა. ხალხმა მეორე მსოფლიო ომის საშინელება და გაჭირვება უკან მოიტოვა, მამაკაცებს ვნება კვლავ მოერიათ, ქალებმა კი გარეგნობასა და მოდურ ტენდენციებზე ფიქრი დაიწყეს. მერილინმა მათ სწორედ ის აჩუქა, რაზეც ოცნებობდნენ: წითელი პომადით გამოკვეთილი დაბერილი, მგრძნობიარე ტუჩები, ქერა კულულები, ქამრით გამოკვეთილი, ვიწრო წელი, დეკოლტე, რომელსაც თვალს ვერავინ სწყვეტდა, ულამაზესი წვივები და მშვენიერი, ფუშფუშა კაბები.

პირველივე როლებმა „ლოს-ანჯელესის ქალღმერთისა“ და „სექსსიმბოლოს“ ტიტული მოუტანა. მერილინი ტკბილად იღიმოდა, კეკლუცი ქალის ტიტულს ამაყად იფერებდა, მამრობითი სქესის უბრალო მოკვდავნი თუ მაღალი წოდების არსებანი ჭკუიდან გადაჰყავდა, ქალებში კი შურსა და მრისხანებას იწვევდა, მაგრამ გარეგნული კეკლუცობისა და მხიარულების მიღმა ნაღველი და დეპრესია იმალებოდა. საქვეყნოდაა ცნობილი მისი ტრაგიკული აღსასრულის შესახებ, ყველამ კარგად იცის, თუ როგორ დასრულდა ყველაზე ცნობილი ქერა მზეთუნახავის სიცოცხლე.

მერილინ მონროს გარდაცვალებიდან თითქმის 50 წელი გავიდა, მაგრამ მისი სახე დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია პრიალა ჟურნალებისა და კინოინდუსტრიის სამყაროში. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენად ხშირად იბეჭდება პოპულარული ჟურნალების პირველ გვერდებზე მონროს სტილის გოგონათა ფოტოსურათები... ერთი ჰოლივუდელი ბრძენის არ იყოს, „ახალი მერილინ მონროს პოვნა ნებისმიერი პროდიუსერის ოცნებაა, მაგრამ ასეთები აღარ არიან!“.

გრეის კელი

მსახიობი, ორიგინალობის ხატება, თავშეკავებული ელეგანტურობისა და ელვარების განსახიერება, გვირგვინოსანი ქალბატონი... ჩვენ, რა თქმა უნდა, გრეის პატრისია კელის შესახებ ვსაუბრობთ, რომლის სახელი, მოდის ინდუსტრიასა და მამაკაცთა გულებში დღესაც თაყვანისცემასა და აღფრთოვანებას იწვევს. მერილინისგან განსხვავებით, გრეის კელის სექსუალურობა მის გარეგნულ სიცივესა და თავშეკავებულობაში, მომხიბვლელობა კი — მოწესრიგებულობაში გამოსჭვიოდა. სწორედ ასეთ ქალებზე ამბობენ: „ჭეშმარიტი ლედი!“ გრეისმა ფოტომოდელი დედისგან მემკვიდრეობით ჩამოქნილი ფიგურა მიიღო, დრამატურგმა ბიძამ თეატრალური ხელოვნების სიღრმესა და არსს აზიარა, ბუნებისა და ნათესავების დაწყებული საქმე კი მაღალმა საზოგადოებამ და კათოლიკურმა სკოლამ დააგვირგვინა, სადაც გრეისმა განათლებასთან ერთად, დახვეწილი მანერებიც შეისწავლა. გასაკვირი არც არის, რომ ასეთმა გოგონამ მონაკოს პრინცის გული პირველივე შეხვედრისთანავე დაიპყრო და მოგვიანებით ტიტულოვანი ქალბატონი გახდა.

შუა საუკუნეების ევროპელი დედოფლების მსგავსად, გრეის კელიც მოდის კანონმდებელი და საყოველთაო ყურადღებისა და აღტაცების ობიექტი გახლდათ. მის მიმდევარ „ფრეილინათა“ რიგებს მეგობრებთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალები ხალისით უერთდებოდნენ. ამასთან, გრეისი სამაგალითო დედა და მეუღლე იყო. გრეის კელის სამსახიობო ნიჭი დღესაც ბევრს ახსოვს, რომლის საუკეთესო დასტური მის მიერ მოპოვებული „ოსკარის“ მოოქრული ქანდაკებაა.

ბრიჟიტ ბარდო

ბრიჟიტ ან-მარი ბარდომ სამსახიობო კარიერა ცეკვით დაიწყო, შემდეგ მოდის ჩვენებათა დედოფალი გახდა, 1960-იან წლებში კი კინოს სამყაროც იოლად დაიპყრო. უცნაურიც კი იქნებოდა, სამყარო მის ფეხებთან რომ არ დაცემულიყო. მხოლოდ მას შეეძლო, სექსუალური ყოფილიყო და სექსუალობით თავი არავისთვის მოებეზრებინა, მისი სტილი მუდამ რომანტიკული იყო, სილამაზე კი — ამოუცნობი. ბრიჟიტ ბარდო პირველი იყო, ვინც ბიკინის ჩაცმა გაბედა და ამ საქციელით ქალის სხეულის სილამაზე — უპირატესობის სიმბოლოდ და სიამაყის მიზეზად გამოაცხადა. ბრიჟიტ ბარდო მარადიული მაგალითია იმისა, რომ ქალი სწორედ იმდენადაა ქალი, რამდენადაც თავად მოისურვებს, რომ იყოს. ადრეულ ბავშვობაში, „უშნო იხვის ჭუჭულ“ ბრიჟიტს ერთადერთი ოცნება ასულდგმულებდა — სურდა, დასავით ლამაზი ყოფილიყო. ამ ოცნების ხორცშესასხმელად თავდაუზოგავად იბრძოდა და ბოლოს ყველა წინააღმდეგობა დაამარცხა: სქელი ლინზებიანი სათვალე (მსახიობს ცალ თვალში მხოლოდ 10% მხედველობა აქვს), მოხრილი მხრები (საბალეტო სკოლის წყალობა), არასწორი კბილები... დაშორებული წინა კბილებიც კი ბრიჟიტის ნაკლიდან ღირსებად და ხიბლად გადაიქცა.

ელიზაბეტ ტეილორი

უჩვეულო სილამაზის, იისფერთვალება, ნიჭიერმა მსახიობმა, „ოსკაროსანმა“ ელიზაბეტ ტეილორმა ოდესღაც ჰოლივუდის დედოფლის ტიტული მოიპოვა. მისი დანახვა მამაკაცებს თავს აკარგვინებდა. ისინი მორჩილად იტანდნენ ელიზაბეტის მწარე ხუმრობებს (იგი მუდამ გამოირჩეოდა მახვილგონიერებით), ქალები კი შურით ივსებოდნენ, მაგრამ მისგან მაგალითს მალულად იღებდნენ. სწორედ ელიზაბეტ ტეილორი გახდა პირველი მერცხალი ქალების ახალი თაობისა, რომლებიც არა მხოლოდ ლამაზნი, არამედ მამაკაცებივით წარმატებულნიც იყვნენ. იგი პირველი ქალი იყო ჰოლივუდში, რომლის ჰონორარი მსახიობ მამაკაცთა ჰონორარს გაუთანაბრდა. ვარსკვ-

ლავთა შორის სწორედ ელიზაბეტმა პირველმა გამოუშვა პარფიუმი, რომელიც დღესაც სხვა ვარსკვლავების მიერ გამოშვებულ პარფიუმერიაზე უკეთ იყიდება! სამწუხაროდ, მსახიობს ყველა ის უბედურება დაატყდა თავს, რასაც ბედისწერა წამატებულ, სილამაზით გამორჩეულ ადამიანს უგზავნის ხოლმე — დაუსრულებელი უიღბლობა პირად ცხოვრებაში, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ავადმყოფობა, კარიერის იძულებით მიტოვება... მაგრამ ელიზაბეტი მისი ყველაზე ცნობილი გმირის — კლეოპატრას მსგავსად, ყველა უბედურებას ამაყად შეეგება. მსახიობის ცხოვრებისეული ფილოსოფია შესანიშნავად გამომჟღავნდა იმ სიტყვებით, რომელიც ელიზაბეტმა უახლოესი მეგობრის, მაიკლ ჯეკსონის გარდაცვალების შემდეგ წარმოთქვა: „არა მგონია, მაიკლს მოსწონებოდა, თუ ჩემს ნაღველს მილიონობით უცხო ადამიანს გავუზიარებ. ჩემი განცდები მუდამ ჩვენ შორის დარჩება!“

ოდრი ჰეპბერნი

ოდრი ჰეპბერნი (1929-1993) ის ქალია, რომელმაც ჰოლივუდს სილამაზის სრულიად ახალი კანონი შესთავაზა. ულამაზესი დიდი თვალებით, გამხდარმა, ემოციურმა და საოცრად უშუალო გოგონამ ამერიკული კინემატოგრაფის მანერულ, ვნებიან ვარსკვლავებზე ერთი შეხედვით წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვა. ფილმში „რომაული არდადეგები“ ნათამაშებმა პირველივე მთავარმა როლმა ოდრის „ოსკარი“ მოუტანა. მისმა რომანტიკულმა სტილმა კი თავად იუბერ დე ჟივანში აღაფრთოვანა! ოდრი ჰეპბერნის მიერ შექმნილი გმირები კინოსა და მოდის საკულტო სახეებად არის მიჩნეული. Chanel Coco Cocoon-ის ჩანთების სარეკლამო კამპანია სურათში „ვახშამი ტიფანისთან“ ოდრის მიერ შექმნილი ჰოლის სახით იყო შთაგონებული. ლეგენდარული მსახიობი მსოფლიოს სექსსიმბოლოთა სიაში არასდროს ყოფილა, მაგრამ სხვადასხვა გამოკითხვაში მამაკაცები დღესაც „მათი ოცნების ქალიშვილად“ ასახელებენ, ქალებს კი სილამაზისა და ელეგანტურობის ეტალონად მიაჩნიათ.

ჟაკლინ კენედი

ქალი, რომელსაც პრესამ ჟაკლინ I შეარქვა... მოდის ხატება, სანიმუშო ცოლი და დედაა... მასზე დღესაც ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. ჟაკლინმა მუდამ ზუსტად იცოდა, რა სურდა და დასახულ მიზანს — ახალგაზრდა ენერგიული პოლიტიკოსის ჯონ კენედის გულის მონადირებასა თუ ძვირად ღირებული ფრანგული კაბის ყიდვას (კაბის საყიდლად პარიზში საიდუმლოდ მრავალჯერ გაფრენილა, შემდეგ კი იარლიყს აჭრიდა, რათა ამერიკის პირველი ლედი ამერიკელი დიზაინერებისადმი გულგრილობაში არ დაედანაშაულებინათ) — ყოველთვის აღწევდა. დღეს საიდუმლო აღარ არის, რომ ჯონ კენედი ჟაკლინს მუდმივად ღალატობდა, მაგრამ ძლიერი ქალბატონი სასოწარკვეთილებას არ მისცემია. ნუგეშისცემას ოჯახსა და ბავშვებზე ზრუნვაში პოულობდა. მეუღლის ცოდვებისადმი „ლოიალური“ დამოკიდებულების შენარჩუნება იოლი არ იყო, მაგრამ ასეთი იყო ჟაკლინის არჩევანი. გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და თავს მწარე კომენტარებისა და თავისუფალი ქცევის უფლებას არასდროს აძლევდა. ჟაკლინს სწორედ ამის გამო აღმერთებდნენ. „მისის კენედი ამერიკის პრეზიდენტისთვისაც კი მეტისმეტად ძვირფასი განძია!“ — განაცხადა ერთხელ შარლ დე გოლმა. ჟაკლინს მხნეობა და თვითკონტროლი მეუღლის დაკრძალვაზეც კი არ დაუკარგავს. დარდისგან განადგურებული ამერიკის პირველი ლედი იმ ავბედით დღესაც უზადოდ ელეგანტური და მომხიბვლელი იყო. მილიონერ არისტოტელე ონასისთან ქორწინების მიზეზი, წარსულისგან გამიჯვნისა და მომაბეზრებელი რეპორტიორებისგან თავის დაღწევის სურვილი უფრო იყო, ვიდრე დიდი სიყვარული... კიბოთი დაავადებული ჟაკლინ კენედი 1994 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი სტილი და ქცევის მანერა კვლავ ცოცხლობს. მილიონობით ქალისთვის ჯეკი დღესაც ქალური ელეგანტურობის და მომხიბვლელობის ხატებაა.

ვივიენ ლი

ვივიენ ლი (1913-1967) გოგონა, რომელსაც მეტსახელად „მსურს!“ შეარქვეს. ქალი, რომელსაც ბევრი რამ სურდა და დასახულ მიზანს მუდამ აღწევდა! ვივიენ ლის კეკლუცი, ჯიუტი და სულით ძლიერი გმირი — სკარლეტ ოჰარა თავად მსახიობის ხასიათის სარკისებური ასახვა იყო. „ოდესმე დიდი მსახიობი გავხდები!“ განუცხადა პატარა ვივიენმა მკაცრი კათოლიკური წესების მიმდევარ დედას, რომელიც შვილის ოცნებებს არ იზიარებდა. განაცხადა და მიზანს მიაღწია კიდეც, მაგრამ ამისთვის ჯერ დედის დიქტატისგან თავის დაღწევა გახდა საჭირო. ვივიენი სკოლის დამთავრებისთანავე მასზე 14 წლით უფროს ადვოკატს გაჰყვა ცოლად, შემდეგ კი მისი აკრძალვები არად ჩაგდო და კასტინგებზე სიარული დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ კი საკულტო ფილმში „ქარწაღებულნი“ ითამაშა. „სულერთია, მისი ცოლი მაინც გავხდები!“ — ფეხები დააბაკუნა გათხოვილმა ქალმა, როდესაც დაოჯახებული ლოურენს ოლივიე თავდავიწყებით შეუყვარდა... ექვსი წლის შემდეგ ვივიენმა მიზანს მიაღწია — მან და ლოურენს ოლივიემ განქორწინებები გააფორმეს და დაქორწინდნენ. ფილტვებისა და თანდართული ფსიქიკური დაავადება კი ვივიენის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა... მაგრამ მსახიობი ავადმყოფობას ვაჟკაცურად ებრძოდა. როგორც კი უკეთესობას იგრძნობდა, სცენაზე თამაშობდა და საყვარელი ლოურენსის მკლავებში თავს აფარებდა. 45 წლის ვივიენი მაშინაც არ გატყდა, როდესაც ქმარმა სწორედ დაბადების დღეზე მიატოვა. მსახიობი ხუმრობდა, მეგობრებს გულითადად ეს-აუბრებოდა, ლოურენსს აუგად არ ახსენებდა და მკურნალობას განაგრძობდა. ვივიენი მხოლოდ ერთხელ გატყდა: 1967 წელს, როდესაც ავადმყოფობა ძალზე გაურთულდა, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა და მალე გარდაიცვალა კიდეც. მისი სახელი კი სიცოცხლეზე, პროფესიასა და საყვარელ მამაკაცზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალის სიმბოლოდ დარჩა...

ამ ქალბატონებს ყველაფერი ჰქონდათ — სილამაზე, ფული, ნიჭი და დიდება, მაგრამ მათი ცხოვრება ერთგვარად ტრაგიკულიც იყო. თითოეულმა მათგანმა წარმატებას ტკივილისა და ცრემლების ფასად მიაღწია, მაგრამ სამუდამოდ სილამაზის, ელეგანტურობისა და ორიგინალურობის ხატებად დარჩნენ... ■

ცხოვრება

მშვენიერი ტოტალიზატორი, „მაზავშიკების“ გუნდი და ჰოლანდიის ნაკრებისგან გაკოტრებული ქალბატონი

საქართველოში ტოტალიზატორებმა გახსნისთანავე მიიზიდა ხალხის ყურადღება. განსაკუთრებულად, პატარა ბიჭები აქტიურობენ. ბევრი მათგანი ისე ჩაითრია თამაშმა, რომ შინიდან გატანილი ნივთების გაყიდვაც უხდებათ... ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ტოტალიზატორი ადამიანს თამაშზე ისევე დამოკიდებულს ხდის, როგორც ნარკომანს — წამალზე, თუმცა მოთამაშეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გატაცებას მაშინვე დაანებებენ თავს, როგორც კი მოესურვებათ. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ტოტალიზატორის გამო უამრავი ოჯახიც კი დანგრეულა...

ნათია ჟიჟიძე

ალბათ ყველა ადამიანმა იცის, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ „მაზავშიკი“ ჰქვია ადამიანს, რომელიც ტოტალიზატორში შედის და რომელიმე თანამოაზრესთან თავისი რჩეული გუნდის მოგებაზე სანაძლეოს დებს. „მაზავშიკობა“ ისეთი პოპულარულია, რომ არსებობს პიროვნება, რომელსაც რამდენიმე „მაზავშიკი“ ჰყავს აყვანილი, სხვადასხვა ტოტალიზატორში „ამორიგევებს“ და ამით ფულს აკეთებს. რასაკვირველია, მასთან ინტერვიუს ჩაწერის სურვილი გამიჩნდა. თავიდან არ დამთანხმდა, მოგვიანებით კი მითხრა, — დიქტოფონი არ ჩამირთო, ისე მოგიყვები, რაც დაგაინტერესებს და თან, არც ჩემი ვინაობა გაამჟღავნოო. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩემი რესპონდენტი 32 წლის, უმუშევარი მამაკაცია და მას პირობითად, გიორგის დავარქმევ.

— თავდაპირველად, თქვენი ცხოვრების შესახებ გვიამბეთ.

— მოსაყოლი ბევრი არაფერი მაქვს. ჩემი მშობლები შეძლებული ადამიანები იყვნენ. მამა კარგ თანამდებობაზე მუშაობდა და ბავშვობაში არაფერი მომკლებია. უნივერსიტეტშიც, იურიდიულ ფაკულტეტზე, მისი წყალობით ჩავირიცხე, თორემ მე გამოცდების ჩამბარებელი ვიყავი?! სკოლაში თითქმის ყველა გაკვეთილს ვაცდენდი. მოგვიანებით, მამაჩემი სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის დაიჭირეს. ამ დროს მეუღლე და 1 წლის შვილი მყავდა, მაგრამ არსად ვმუშაობდი. მანამდე სამსახურზე არც მიფიქრია, მისი დაპატიმრების შემდეგ კი ჯერ საოჯახო ნივთების გაყიდვა დავიწყეთ, შემდეგ სახლიც გავყიდეთ და უფრო პატარა ბინაში გადავედით. ეს ყველაფერი დედამ ვერ გადაიტანა და გულის შეტევით გარდაიცვალა. დავრჩი ცოლ-შვილით, სრულიად მარტო და დამხმარე არავინ მყავდა. იმ დროს ტოტალიზატორები ახალი შემოსული იყო და ხელზე „გამაზვა“ თითქმის არავინ იცოდა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი აკეთებდა ამას. ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ და შესაბამისად, ხელზე მეც არაერთხელ „გამიმაზავს“... ბინა კიდევ ერთხელ გავყიდე და ქალაქის გარეუბანში ვიყიდე. მორჩენილი ფული კი ჩემს მეგობარს „გავუმაზე“. გამიმართლა და ორი იმდენი მოვიგე. მერე ჭკუა ვისწავლე, ფული გავანაწილე და რამდენიმე ადამიანს სხვადასხვა გუნდზე დავენაძლევე. ზოგი წავაგე, ზოგიც — მოვიგე, მაგრამ საერთო ჯამში, მოგებული დავრჩი. გაგიკვირდება და, რამდენიმე წლის განმავლობაში სწორედ ამ საქმიანობით ვინახავდი ოჯახს. თუ ვინმე „თავანის“ ჩაბარების ვადას გადააცილებდა, საქმეს ვურჩევდით, ვცემდით და კუთვნილ თანხას მაინც ვიბრუნებდით. ისე გავიწაფე ამ საქმეში, რომ სხვა სამსახური აღარც მჭირდება. გადავწყვიტე, ამ ყველაფრისთვის ბიზნესის სახე მიმეცა. 5-6 სანდო ახალგაზრდა ბიჭი დავიახლოვე, სხვადასხვა ტოტალიზატორში ჩავაყენე და ჩემი ფულით ისინი თამაშობენ, მე კი შინ ვზივარ და „მაზაობის“ ამბავს ტელეფონით ვაგვარებ. ეს საქმიანობა ახლა უკვე ისეთი პოპულარულია, რომ ტოტალიზატორში წასვლაც აღარაა საჭირო: ვინც სტაჟიანი „მაზავშიკია“, ტელეფონით მიკავშირდება და ისე, სიტყვიერად ვდებთ სანაძლეოს. ეს არის ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო და არცთუ ისე ცოტას ვშოულობ. იმდენი ფული დავაგროვე, რომ მამაჩემის ბინა კვლავ შევიძინე და ისევ ქალაქის ცენტრში გადმოვედი საცხოვრებლად. არც ჩემს ცოლ-შვილს ვაკლებ რამეს.

— უამრავი შეკითხვა გამიჩნდა... „მაზაობას“ რაიმე განსაკუთრებული ხერხი სჭირდება, რომ მოიგო?

— არა. ფეხბურთში უნდა ერკვეოდე კარგად და იღბალი უნდა გქონდეს. ფეხბურთის ფანი ბავშვობიდან ვარ და კარგად ვერკვევი, ვინ რისი გამკეთებელია. ძალიან იღბლიანი რომ ვარ, ამას ალბათ უკვე თავადაც მიხვდი.

— თუ წაგებული „თავანს“ არ ჩაგაბარებთ, მაშინ რა ხდება?

— უნდა ჩაგვაბაროს. ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათად ხდება, რადგან — „თავანის“ ჩაუბარებლობა კაცისთვის დიდი

სირცხვილია. თუ „გაფუფლოვდება“, ის თავის საახლობლოში თავს ვეღარ გამოჰყოფს. ამიტომ, „თავანს“ უპრობლემოდ გვაბარებენ. ზოგჯერ დათქმული დროის გადაწევას მოითხოვენ, მაგრამ სიტყვას ასრულებენ. ზოგჯერ კი ხდება, რომ „გაფუფლოებული“ ისეთი არაკაცია, „თავანის“ ჩაუბარებლობასაც კადრულობს. ასეთ დროს მას ჯერ სიტყვიერად ვაფრთხილებთ; თუ ვერ გაიგებს, შემდეგ ვცემთ და ფულს მაინც ვართმევთ. თუ ფული არა აქვს, ოჯახიდან გამოტანილ რაიმე ნივთს გვაძლევს. ბევრჯერ საქორწინო ბეჭედიც კი მოუციათ: თამაშის გამო კაცი ყველაფერს გაიღებს.

— რომ გკითხოთ, „თავანის“ ჩაუბარებლობის გამო კაცი ხომ არ მოგიკლავთ-მეთქი? — ალბათ გულწრფელად არ მიპასუხებთ. საერთოდ, თუ ხდება მსგავსი რამ?

— არა. ეს ადრე ხდებოდა და ამის გამო უამრავი ადამიანი მოუკლავთ. მე მსგავსი საქციელი ნამდვილად არ ჩამიდენია. თუმცა შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ. ახლა „თავანის“ გამო აღარავის კლავენ, „მოდაში“ აღარ არის. ყველაზე მძიმე გარემოება ის იქნება, თუ მაგრად სცემენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვინდობთ ხოლმე... რა ვიცი, ძალიან იშვიათად შემქმნია ფულის მიღების პრობლემა. ვინც ამ საქმეში ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ერთმანეთს ვენდობით.

— ე.წ. „თანამშრომელ“ ბიჭებს საკუთარ ფულს უპრობლემოდ ანდობთ?

— ჩვენს საქმეში ურთიერთნდობა უმთავრესია. თუმცა, ისეთი დებილიც არა ვარ, ვინმეს ფული ბრმად მივცე. გვაქვს სპეციალური რვეულები, სადაც დაწვრილებით იწერება, თუ ვინ ვისთან და რამდენზე „გამაზა“. თამაშებს ხომ მეც ვუყურებ და თუ ვიგებთ, იმ თანხას სრულად ვიბარებ, თუ ვაგებთ, მაშინ მე თვითონ ვატან წაგებულ ფულს.

— მოგებულ ფულს თანამშრომლებს შუაზე უყოფთ?

— არა, მათ ხელფასის სახით, მოგებული თანხიდან 30% ეკუთვნით. ხანდახან ბიჭებს წავახალისებ და მოგებას შუაზეც ვუყოფ. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენი თანხა მოვიგეთ. 50 და 100 დოლარის მოგებისას ხშირად ბიჭებისთვის მთელი თანხაც მიმიცია.

— სანაძლეოს უფრო ხშირად რამხელა თანხაზე დებთ?

— 50 დოლარიდან — ზევით. 100.000-ზეც „გაგვიმაზავს“, თუმცა ასეთი რამ იშვიათად ხდება; უმეტესად, 3, 4, 5 ათასის ფარგლებში ვტრიალებთ.

— თქვენი თანამშრომლები თუ ცდილობენ, ტოტალიზატორში შემოსულ ახალბედა მოთამაშეებს ძალით „გაამაზვინონ“?

— ძალით არავინ არაფერს აკეთებს, თუმცა ვერ უარვყოფ, რომ ახალბედა მოთამაშეები ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოები არიან, რადგან ისინი გუნდებში კარგად ვერ ერკვევიან. არც თამაშის პრინციპი იციან კარგად და ამიტომ, ადვილად აგებენ. ერთხელ რომ წააგებენ, მერე იმის იმედით თამაშობენ, რომ მეორედ მაინც მოიგებენ და ასე გრძელდება. მოგვიანებით თვითონაც თამაშზე დამოკიდებული ხდებიან და თავიდან ვეღარ ვიშორებთ.

— ბევრია თამაშზე დამოკიდებული ადამიანი?

— რამდენიც გინდათ. „მაზაობა“ ბიჭებს ისე აქვთ სისხლში გამჯდარი, რომ ნებისმიერ სულელურ აზრსაც კი „მაზავენ“.

— მაგალითად?

— მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ტოტალიზატორთან ორსულმა ქალმა ჩაიარა და ბიჭები დანაძლევდნენ — გოგო ეყოლებოდა თუ ბიჭი; მერე იმ ქალბატონს ტელეფონის ნომერი გამოართვეს და ისიც ჰკითხეს, სავარაუდოდ, როდის უნდა დაბადებულიყო ბავშვი. დათქმულ დროს დაურეკეს და მოგებულმა ფული უპრობლემოდ ჩაიდო ჯიბეში. ხშირია დანაძლევება იმაზეც, თურა ფერის მაისური ეცმევა მსაჯს და ა.შ. მოთამაშეები პოლიტიკაშიც გადასარევად ვერკვევით. საპარლამენტო არჩევნების დროს ფეხბურთზე უკვე აღარავინ „მაზავდა“, ყველა, პოლიტიკური პარტიების გამარჯვება-დამარცხებაზე ენაძლევებოდა ერთმანეთს. ლეიბორისტული პარტიის მაშინდელი „კუში“ 6 იყო, რადგან ყველამ ზუსტად იცოდა, რომ ბარიერს ვერ გადალახავდა (*იცინის*).

— ამ „კუშებს“ ვინ ადგენს?

— ფეხბურთის შემთხვევაში, ტოტალიზატორის მონაცემებს ვნახულობთ. ყველა გუნდს თავისი კოეფიციენტი აქვს და „გამაზვის“ დროს თანხის დასახელებისთვის ამ კოეფიციენტს ვიყენებთ. არჩევნების დროს კი არსებული „კუში“ „მაზავშიკებმა“ მოვიფიქრეთ.

— ქალებიც „მაზაობენ“?

— ხშირად არა, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც გვქონია. მაგალითად, ამას წინათ ტოტალიზატორში ახალგაზრდა ქალბატონი შემოვიდა, რომელიც თურმე ჰოლანდიის ნაკრების ფანი ყოფილა და ამ გუნდის მოგებაზე სურდა 500 ლარის „გამაზვა“. ვიდრე პირობებზე მოვილაპარაკებდით, მისი მეუღლე შემოვიდა და ცოლი ძალით წაიყვანა. თან შემოგვჩივლა, — გამყიდა ამისმა ჰოლანდიამ, სულ როგორ აგებსო?!

— როგორ ფიქრობთ, ტოტალიზატორი თქვენი შემოსავლის წყარო როდემდე იქნება?

— სადამდეც ტოტალიზატორი იარსებებს და მეეჭვება, ოდესმე მისი გაუქმება ვინმეს აზრად მოუვიდეს. „მაზაობა“ მოგებიანი საქმე უფრო იმით არის, რომ ტოტალიზატორი ოფიციალურადაა რეგისტრირებული და ათასგვარ გადასახადს იხდის, „მაზაობა“ კი არაოფიციალურია და არც ოფისის ქირაობა გვჭირდება, რადგან ტოტალიზატორში დგომაში ფულს არავინ გვთხოვს და არც რაიმე გადასახადს ვიხდით — სუფთა მოგებას ვიდებთ ჯიბეში... ■

(დასასრული. დას. იხ. „გზა“ №10-11)

მარი ჯაფარიძე

თითქმის ჩამობნელდა... ცირას შეამცივნა... ერთ ფინჯან ჩაის დავლევ და დავწვები. დღეს მოგონებების დღე მაქვს... ისევ ღამეა და ისევ მარტო ვარ, როგორც ყოველთვის... სტუმრადაც აღარ დავდივარ... სხვისი ქმრების გადამეტებული ყურადღება უფრო ხაზს უსვამს ჩემს მარტოობას... შინ დაბრუნებული ისტერიკაში ვვარდები... ცივი და ცარიელი ლოგინი თითქოს დამცინის... არავითარი აბები და ფსიქოლოგის კონსულტაცია არ მიშველის, სანამ ვინმე არ გამოჩნდება, ვისაც ჩავეხუტები. რას ნიშნავს „ვინმე“? თუ ნიკა არ იქნება ჩემ გვერდით, სხვა არავინ მჭირდება.

...და ცირამ ღამე შეიძულა. ცდილობდა, გვიან დაწოლილიყო... სიზმრისაც ეშინოდა და საძილე საშუალებებს იღებდა, რათა ღრმად ჩასძინებოდა და სიზმარი არ ენახა... დილით კი გაიღვიძებდა და ისევ ისეთი, საქმიანი, მომხიბვლელი და უპრობლემო ქალი იქნებოდა. არც არავის სჯეროდა, რომ მარტოხელა იყო.

— ასეთი ლამაზი ქალი მარტო არ იქნება, აღიარე, რომ მეგობარი გყავს, — დამცინავად ხითხითებდნენ ნაცნობები.

სიმართლე კი მხოლოდ მანანამ იცოდა. მან მხოლოდ ის არ უწყოდა, რით შეიძლებოდა მეგობრის დახმარება.

* * *

აეროპორტში მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ 2 კვირა გავიდა, ის კი არ ჩანდა. მან მუსიკოსობას თავი დიდი ხნის წინ დაანება, რუსეთში წავიდა და ბიზნესი წამოიწყო, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ახლა საქართველოში დაბრუნებულ, წარმატებულ ბიზნესმენს ჟურნალისტები ასეთი აჟიოტაჟით ხვდებიან. მას ცირა არც ახსოვს. ამაში დარწმუნებულია...

ღრუბლიანი დღე იყო. ქარი თანდათან ძლიერდებოდა. ახლად აყვავებული იასამნები წვიმის მოლოდინში თითქოს შეიკუმშნენ... ამის გამო თითქოს მათი სურნელი უფრო გამძაფრდა. სუნმა ოთახები გაავსო. სახლის გარშემო ჰაერიც კი გაიჟღინთა. კონცენტრირებული გახდა. სულს აფორიაქებდა და მოლოდინით ავსებდა.

ცირა შინაგანად გრძნობდა, რომ იმ დღეს რაღაც უნდა მომხდარიყო. ეს კი შიშს ჰგვრიდა, რადგან მისი ცხოვრება და თითოეული დღის განრიგი ისე იყო გაწერილი, რომ ცვლილებებისთვის იქ ადგილი არ იყო. თანაც, ასეთი წინათგრძნობა სხვა დროსაც ჰქონია, მაგრამ არ გამართლებულა.

ერთხელ, აეროპორტში

ის შეგნებულად გამორიცხავდა ნიკასთან შეხვედრის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ უთხრა უარი „ვიზიტკაზე“, მაგრამ თუ მოძებნა უნდა, მაინც მოძებნის. თავს იტყუებდა, რომ მას არ ელოდა.

მის მდგომარეობას, რომელშიც ახლა იმყოფებოდა, მოლოდინი ერქვა და ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ ამდენი წლის განმავლობაში ადამიანი შეიცვლებოდა. 2 კვირა ერთგვარ საზომად გადაიქცა. სწორედ ეს დრო მისცა მას ყველაფრის გააზრებისთვის და მოქმედებისთვის. ამ 2 კვირას დღეს გასდიოდა ვადა.

2 კვირა და მთელი ცხოვრება მის გარეშე. ეს მარტოხელა ცხოვრება, რომელმაც დაღალა და ახლა მის გარეშე უკვე აზრიც დაკარგა. სიყვარულმა, რომელიც მასში მთელი 20 წელი ცოცხლობდა, ყველა გრძნობა დათრგუნა. გონიერებაც კი.

მან მთელი სახლი შემოიარა. უმიზნოდ გადადგა სკამები, იასამნებით სავსე ლარნაკები... საწოლს მიუახლოვდა... მიხვდა, რომ ამიერიდან 1 წუთითაც ვერ გაჩერდება იქ მარტო. მან იმ ზღვარს მიაღწია, რომლის იქითაც არაფერია.

მას ჯერ შეეშინდა, მაგრამ გულზე მოეშვა, როდესაც წარმოიდგინა, რომ მის ქალურ მარტოხელობას ბოლო მოეღებოდა... მამაკაცებისგან კომპლიმენტები და ყურადღება არასოდეს აკლდა, მაგრამ ეს კომპლიმენტები მის საქმიანობას, ნიჭსა და უნარს ეკუთვნოდა.

წინათ ბებია ეუბნებოდა ხოლმე, იტირე და მოგეშვებაო... და ახლაც ატირდა... თავი ასწია და სარკეში ჩაიხედა. გაოგნდა... მას თავისი თავი არ დაუნახავს. უფრო სწორად, თავისი თავი დაინახა, მაგრამ 20 წლის წინ... ეს იყო მისტიკური მზერა წარსულში... თვითონ იყო და არც იყო...

სარკე ატყუებდა... ის მას დასცინოდა... თმაზე სავარცხელი ჩამოისვა. სარკიდან ის გოგონა შემოჰყურებდა, რომელიც ამ 20 წლის წინ საყვარელ ადამიანს ეკვროდა ავტობუსში.

საძინებელში ცხელოდა. წვიმა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო და ჰაერი დახუთული იყო. ცირა მაგიდას მიუჯდა, დღიური გადაშალა და გადაწყვიტა, მასში უკანასკნელი ჩანაწერი გაეკეთებინა...

შემდეგ იასამნის ტოტებისგან ლამაზი გვირგვინი დაწნა და კომოდის უჯრიდან თავისი საყვარელი, თეთრი, გრძელი, თხელი ღამის პერანგი ამოიღო. მთელი ფლაკონი საძილე აბები მუჭში გადმოიყარა... როდესაც გარეთ გამოვიდა, წვიმამ მაშინ ატეხა წკაპუნი...

ცირამ დღიური გადაშალა. ეს უკანასკნელი ჩანაწერი იქნება... ხელი უცახცახებდა... ალბათ წვიმის გამო აცივდა... ან იქნებ შიში ბოჭავდა? მან ხომ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ დაესვა წერტილი ტანჯვისთვის.

ცირა ფანჩატურისკენ წავიდა. მაგიდაზე მინერალური წყლის ბოთლი იდგა. წყალი ჭიქაში ჩამოასხა და თვალები დახუჭა, რათა ღმერთისთვის პატიება ეთხოვა, თავისი გადაწყვეტილების გამო.

თუმცა, იცოდა, რომ ეს მიუტევებელი ცოდვა იყო, მაგრამ ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

„დატირებითაც კი ვერავინ დამიტირებს... ვიდრე ეს ახალი ამბავი მანანამდე ჩააღწევს, მე კარგა ხნის დაკრძალული ვიქნები და მას ალბათ ისე აღარ ეტკინება გული. მისი ბედნიერი პირადი ცხოვრება შეამსუბუქებს მეგობრის დაკარგვით გამოწვეულ დარდს“...

ცირა მთლიანად იმ აზრით იყო შეპყრობილი, რაც ახლა უნდა გაეკეთებინა. წვიმა გაძლიერდა. თმა დაუსველდა და იასამნის გვირგვინმა სურნელოვანი გახადა.

მან ნათლად წარმოიდგინა, როგორ იწვებოდა მიწაზე, თავსხმა წვიმაში, როგორ გაანათებდა ხანდახან ელვა მის უსულო სხეულს... როგორ მიეკვრობოდა პერანგი... საინტერესოა, მალე იპოვიან? ან ვინ იპოვის? დაიყვირებს? თუ დაიყვირებს, რის გამო? შიშით თუ მისი გარდაცვალების გამო შეძრწუნებით?

იქნებ არც არავინ მოძებნოს...

ალბათ მისი წამოწყება უაზრობაა. ის ხომ ცხოვრების ცარიელ დარბაზში მსახიობობას ცდილობს? ოვაციები არ იქნება... არც ცრემლები... ეს საწყენია. „აბები ერთბაშად უნდა ჩავიყარო პირში და ბევრი წყალი დავაყოლო, თორემ გული ამერევა და გეგმა ჩამეშლება“...

„ნიკა, მაპატიე, რომ ვერ დაგელოდე... გაწყდა ის სიმი“...

ცირამ თვალები დახუჭა და თავი დახარა, რათა აბები ხელის ერთი აკვრით მთლიანად გადაეძახებინა პირში. პირჯვრის გადაწერა სურდა, მაგრამ შეეშინდა, ხელი არ გამიხმესო... თუმცა, ახლა რა მნიშვნელობა ჰქონდა? როგორი ხელით წავა საიქიოს, ამას ვინ უყურებს? აბები პირში ჩაიყარა და წყალი მიაყოლა... ძალაგამოცლილი ფანჩატურის კიბეზე ჩამოჯდა. წვიმამ მთელი ძალით დასცხო. იასამნის ტოტები წყლისგან დამძიმდა და მიწისკენ დაიხარა. ყვავილებს წყალი სდიოდა... თითქოს ტიროდნენ...

ცირას ან ძილი მოერია ან წამალმა იმოქმედა... ცას ახედა. თითქოს ამ ადამიანური სისუსტის გამო ღმერთს პატიებას სთხოვდა. უეცრად გულის რევა იგრძნო. ხელი პირზე აიფარა და ყელში გაჩხერილი აბები ძლივს გადაყლაპა.

ისევ გული ერეოდა...

ნიკა, ცუდად ვარ... ჩაიჩურჩულა და თვალთ დაუბნელდა...

როგორც ჩანს, ამოიგმინა და ეს გმინვა მეზობელ სახლში მცხოვრებმა ქალმა გაიგონა, რომელიც ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ცირას. მან საწვიმარი ლაბადა მოისხა, ხელს მობილური გააყოლა და ქმართან ერთად ცირას ეზოში შევიდა. როგორც კი მიწაზე მწოლიარე ქალი დაინახეს, მაშინვე „სასწრაფოს“ დაურეკეს.

— რა ხდება? — იკითხა ექიმმა.

— არ ვიცი, — ერთხმად უპასუხა ცოლ-ქმარმა.

— მგონი, სუიციდია. აგერ, საძილე აბების კოლოფი გდია, აბა, მომეხმარეთ და ყველამ ის გააკეთეთ, რასაც გეტყვით, დიდი რაოდენობით წყალი და პირსახოცები მჭირდება, პლედიც! ჩქარა, სირბილით! — ბრძანებებს იძლეოდა ექიმი.

ცირამ წამით გაახილა თვალები. მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ნიკას სახელი წარმოთქვა.

მისი ხმა ნიავმა სადღაც, შორს წაიღო... ცირამ თვალები სამუდამოდ დახუჭა...

ექიმმა საათს დახედა.

— ჩაიწერე სიკვდილის დრო, — უთხრა ექთანს.

— წავედით, გადამყვან მანქანას გამოვგზავნი, — თქვა ექიმმა.

— გზა ხომ არ აგერევათ? — ჰკითხა ცირას მეზობელმა.

— არა, ამ დასახლებას კარგად ვიცნობთ. აქ მხატვრები, მწერლები და მუსიკოსები ცხოვრობენ... პრობლემებიც ერთნაირი აქვთ...

ჭექა-ქუხილმა დიდი ხნის წინ გადაიარა.... სიჩუმე ჩამოვარდა, ხეზე ფოთოლიც არ ინძრეოდა... ცირას ბაღში იასამნის ყვავილები დაჭკნა...

* * *

შეხვედრიდან გამოსულმა ნიკამ უზარმაზარ თაიგულს გადახედა, რომელიც მოსასვენებელ ოთახში იდო. შეხვედრით კმაყოფილი გახლდათ. ახლა ის ცირასკენ მიიჩქაროდა. გზა უკვე იცოდა, რადგან რამდენჯერმე უკვე იყო ახალ სახლში მისული, მაგრამ ცირა იქ არ ხვდებოდა.

— ცირა... ცირა... — ჩუმად იმეორებდა ამ ძვირფას სახელს... — როგორ შეიძლებოდა მისი დავიწყება?

დღეს განსაკუთრებულად ჩქარობდა. გული უგრძნობდა, რომ დაგვიანება არ შეიძლებოდა. მან პერანგის გულისჯიბეზე, რომელიც ოქროს ღილით იკვრებოდა, ხელი მოისვა... იქ ოქროს რგოლი იდო. მისთვის... ცირასთვის...

ეს ის ბეჭედი იყო, რომელიც 5 წლის წინ ქუჩის მკითხავმა მისცა, როცა მექსიკაში, საქმეზე იყო.

— ეს მისთვისაა, ვინც უკვე დიდი ხანია, გელის. იჩქარე, შეიძლება დააგვიანო, ის დაიღალა ლოდინით. დაე, წვიმამ და ჭექა-ქუხილმა ვერ შეგაჩეროს... მხოლოდ, 3 სპილოს უფრთხილდი, — უთხრა ქალმა.

ნიკას უნდოდა ეკითხა, რომელ 3 სპილოს უნდა გარიდებოდა, მაგრამ მკითხავმა ჭუჭყიანი ბოთლიდან ტეკილა მოსვა, თვალები დახუჭა და იქვე მიწვა. გაითიშა. მას ორივე თვალის ქუთუთოზე ღია თვალი ჰქონდა ამოსვირინგებული. გიდის თქმით, ეს წინასწარმეტყველების სვირინგი იყო.

— როგორი ჩახუთული ჰაერია, — თქვა ნიკამ და ის იყო, ფანჯრის გაღება დააპირა, რომ უეცრად ამოვარდნილმა ქარმა ფანჯარა ხმაურით შემოაღო... უეცრად, მამაკაცი გაქვავდა... ფანჯარაში ის მოხუცი მკითხავი გამოჩნდა... უკმაყოფილო სახით უყურებდა და ეუბნებოდა, რომ უკვე დააგვიანა... თავი გააქნია და გამოსახულება გაქრა... ქარმა საიდანღაც მისი სახელი მოიტანა...

ის ოთახიდან გავარდა და მანქანის საჭეს მიუჯდა. დიდი სისწრაფით მოწყვიტა ადგილიდან და გეზი აგარაკისკენ აიღო. გზა თიხიანი იყო... წვიმდა... ნიკა ბოლომდე აჭერდა აქსელერატორს ფეხს... უეცრად, წინიდან მომავალი სატვირთო შენიშნა. ნიკამ ფეხი მუხრუჭს მიადგა. თიხნარ მიწაზე მანქანა მოცურდა... ამ დროს მან სატვირთოს მძღოლს ჰკიდა თვალი... მიხვდა, რომ საჭესთან მისი იღბალი იჯდა. მთელმა ცხოვრებამ რამდენიმე წამში გაურბინა თვალწინ.

აყვავებული იასამანი...

ახალი წლის საღამოს მგზავრობა...

ავადმყოფი შვილი, რომელიც ცოლმა გაუჩინა, რადგან ქალი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო...

ცოლის დაკრძალვა...

შემთხვევითი შეხვედრა ცირასთან, ესტონეთში, გამოფენაზე...

მაშინ განშორების შემდეგ პირველად ნახა... და სახელი ვერ გაიხსენა...

თითქოს რაღაც ხელს უშლიდა...

მან სცადა, შუამავლის საშუალებით ცირას ნახატი ეყიდა, მაგრამ ქალმა ის არ გაყიდა... ხოლო მეორე დღეს გამოფენაზე ცირას ნახატები საერთოდ აღარ იყო...

მენეჯერმა უთხრა, რომ ცირა შინ გაემგზავრა, რადგან სასწრაფო საქმე გამოუჩნდა.

კატალოგი ხელთ არ ჰქონდა... სახელს კი ვერ იხსენებდა... თითქოს ვიღაცამ მეხსიერებიდან ამოშალა.

ნიკამ იცოდა, რომ ამ საქციელის გამო მთელი ცხოვრება ხარკი უნდა ეხადა.

ის თავს დამნაშავედ მიიჩნევდა... ტყუის ის მკითხავი, ცირა მას ელის!

და მხოლოდ ამ 2 კვირის წინ, აეროპორტში ვიღაცამ ჩასძახა მისი სახელი... ცირა... ცირა... ცირა...

სწორედ ამის შესახებ სურდა ცირასთვის ეამბნა და აღსარება ეთქვა...

და სწორედ ამ დროს მოესმა საშინელი კივილი. ვიღაც მის სახელს იძახდა... ძახილი გულიდან მოდიოდა... ვიღაც ეძახდა... ცირა! რა თქმა უნდა, ცირა უხმობდა თავისთან...

ნიკა გონს მოეგო. სატვირთოსთან შეჯახებამდე რამდენიმე წამი რჩებოდა...

მისი „სიტროენი“ სატვირთოს შეეჯახა... რომელსაც 3 ქოლგიანი, მხიარული სპილო ეხატა...

ვისაც თბილისში, ერთ-ერთ სასაფლაოზე მარმარილოს 2 მტრედი შეუნიშნავს, ალბათ მიხვდებიან, რომ სწორედ აქ დაკრძალულ ადამიანებზეა ლაპარაკი. ისინი გვერდიგვერდ დასასაფლავეს, როგორც რომეო და ჯულიეტა. ნიკას მეგობრებმა მათ ერთი ქვა დაადგეს... მანანამ კი ესპანელ სკულპტორს მარმარილოს 2 მტრედი გამოაკვეთინა, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ არიან ჩამომსხდარი და ნისკარტებით ის ოქროს რგოლი უჭირავთ, რომელიც მექსიკელმა მკითხავმა ნიკას აჩუქა. ■

ამგავი პირველი
გურჯი ხათუნი

ხათუნა ჩემმა მეგობარმა გამაცნო. ის საქართველოში 3-4 თვეში ერთხელ ჩამოდის. დედა, შვილი და და-ძმა მასთან, სტამბოლში 14 წლის განმავლობაში სულ 3-ჯერ იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხათუნას იქ 3-ოთახიანი, კარგად მოწყობილი ბინა აქვს, მაინც არ უნდა სტამბოლში აცხოვროს თავისიანები. ურჩევნია, თვითონ ჩამოვიდეს და მონატრების გრძნობა აქ გაინელოს. ვიდრე იმ სამყაროში, სადაც მხოლოდ ფულს უხდიან, სულიერება კი ძალიან შორსაა...

ამონარიდი წერილიდან: *„ქორეოგრაფიულ სასწავლებელში კლასიკურთან ერთად, ქართულსა და ევროპულ ცეკვებსაც ვსწავლობდი. მახსოვს, როცა რამეს დავაშავებდი, დედა მემუქრებოდა, ცეკვას თავს დაგანებებინებ და ჩვეულებრივ სკოლაში მიგიყვანო. ამის სიკვდილივით მეშინოდა, ყველაფრისთვის მზად ვიყავი, ოღონდ მეცეკვა. ვოცნებობდი მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მეცეკვა ან ჩვენი ოპერის ბალერინა გავმხდარიყავი. ჩემი მასწავლებლები ჩემით კმაყოფილები იყვნენ. მართლაც, კარგი მონაცემები მქონდა და დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ“.*

ხათუნამ პირველი ტკივილი 13 წლის ასაკში განიცადა, — გაიგო, რომ მამას სხვა ქალთან ორი ბავშვი ჰყავდა... დედამ ქმარს ღალატი არ აპატია და განქორწინება მოითხოვა. ხათუნას მამაც თითქოს ამას ელოდა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩაალაგა საკუთარი ნივთები და უხმოდ გაიხურა კარი. ხათუნას დეპრესია დაეწყო. არც ჭამდა, არც მეგობრებს ეკონტაქტებოდა. ისევ ცეკვამ გამოიყვანა მდგომარეობიდან. დედა ისეთი გულნატკენი იყო მამაზე, რომ შვილთან ურთიერთობას უკრძალავდა, მაგრამ ხათუნამ დედას უთხრა — აღარც სასწავლებელში ვივლი, ჩემს ოთახში ჩავიკეტები და აღარაფერს დაგიჯერებ, თუ მამასთან არ გამიშვებო. დედამ პოზიციები დათმო. ხათუნამ თავისი პატარა და-ძმა დანახვისთანავე შეიყვარა და მამის ახალ ოჯახს ხშირად სტუმრობდა. 3 წლის შემდეგ მამას ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს ექიმებმა, შველა შეუძლებელი იყო და სრულიად ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა.

ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოპერისა და ბალეტის თეატრში მუშაობის დაწყება ვერ მოახერხა. ვარიეტეს ტიპის რესტორანში შესთავაზეს სამუშაო, მაგრამ სიტუაცია არ მოეწონა და შინ დაჯდომა ამჯობინა. დედას კარგი სამსახური ჰქონდა და შვილს არაფერს აკლებდა, მაგრამ ცოტა ხანში, 1992 წელს, როცა დედა შემცირებაში მოჰყ-

ფერდაკარგული ოცნება

ხათუნას უნდოდა, ბალერინა გამხდარიყო, ოპერის სცენაზე გამოსულიყო. ბედმა კი სულ სხვა რამ არგუნა. წლებია უკვე, სტამბოლის ერთ-ერთი ღამის კლუბის მოცეკვავეა. იქაურებმა მას „გურჯი ხათუნი“ დაარქვეს („ბალერინობაზე ვოცნებობდი და ახლა სტამბოლის რესტორანში ვცეკვავ“, — „კვირის პალიტრა“, 22 ოქტომბერი 2007 წ.).

ვა, ხათუნა მიხვდა, რომ თავმოყვარეობა გვერდზე უნდა გადაედო და ღამის კლუბში დაეწყო მუშაობა.

ამონარიდი წერილიდან: *„ვის ახსოვდა იმ წლებში თეატრი ან კონცერტი? 1992-93 წლებში უფსკრულისკენ მივექანებოდით. თეატრიდან მსახიობები გამორბოდნენ და ცდილობდნენ, როგორმე ქვეყნიდანაც გაეღწიათ. რესტორანში კი, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, იმ დროს „ცხოვრება“ დუღდა. ჩემმა ერთმა ნაცნობმა მოცეკვავემ (ის ადრე ოპერის სცენაზე ცეკვავდა) თავისთან ღამის კლუბში მიმიპატიჟა, ნორმალურად მიხდიან, ბევრი უცხოელი შემოდის და შეიძლება რომელიმეს მოვეწონოთ. როგორც ერთ-ერთ მოცეკვავეს გაუმართლა და ირლანდიაში ამოჰყო თავი, ეგებ ჩვენც გაგვიღიმოს ბედმაო. ჭკუაში დამიჯდა. წავყევი. კლუბის მეპატრონეს მოვეწონე და ხელშეკრულება გამიფორმა“.*

ჯგუფში 12 გოგო და 4 ბიჭი იყვნენ. ვარიეტე ღამის 12-ზე იწყებოდა და ორსაათ-ნახევარი გრძელდებოდა. თითოეულ მოცეკვავეს კვირაში 100 დოლარს უხდიდნენ. ხათუნა თავის ობოლ და-ძმასაც ეხმარებოდა, რისთვისაც ძალიან ემადლიერებოდა მამამისის მეორე ცოლი. რამდენიმე თვის შემდეგ ერთმა ვაჟმა დატოვა კლუბი, მის ადგილზე ახალი მიიღეს, კახა. იგი ერთ-ერთი ცნობილი ანსამბლის მოცეკვავე იყო, საოცრად პლასტიკური და მოხდენილი. ყველა გოგო გიჟდებოდა მასზე, ხათუნა კი მის მიმართ სიმპათიასაც არ ამჟღავნებდა. ერთ საღამოს კახა საგრიმიოროში შევიდა, ხათუნას კალთაში თავი ჩაუდო და გულწრფელად უთხრა: ძალიან მიყვარხარ, ხელი არ მკრაო. ხათუნა ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო. ისინი უფროსობას საგულდაგულოდ უმალავდნენ ურთიერთობას. როცა ხათუნამ კახას გაუმხილა, ორსულად ვარ, ვაჟისგან ასეთი პასუხი მიიღო: უნდა მოიშორო ბავშვი, მე არც ქმრობისთვის და არც მამობისთვის მზად არ ვარო. ვაჟის სიტყვებმა ხათუნა დააბნია, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. დედინაცვალთან მეგობრობდა და მას შესჩივლა ყველაფერი. ქალმა

ბავშვის დატოვება და გაჩენა ურჩია. დედობაზე კარგი ამქვეყნად არაფერიაო. ხათუნას დედამ კარგა ხანს ივიშვიშა, მაგრამ როცა შვილიშვილი გაუჩნდა, წუწუნი შეწყვიტა. ახლა მას თამუნაზე ძვირფასი არავინ ჰყავს...

ამბავი მეორე
სტამბოლში დიდხანს აღარ დავრჩები

როცა კახამ გაიგო, ხათუნა ბავშვის გაჩენას აპირებდა, ჯერ ეჩხუბა საყვარელ ქალს, მერე თავი შორს დაიჭირა, — ჩემი იმედი ნუ გექნებაო — უთხრა ხათუნას. ცოტა ხანში კლუბი დატოვა და უკრაინაში გაემგზავრა.

ბავშვის გაჩენიდან ერთ თვეში ხათუნა კლუბში დაბრუნდა. სწორედ მაშინ გაიცნო თურქი მუსტაფა, რომელსაც თბილისში ბიზნესი ჰქონდა. ცოტა ხანში, კაცმა ხათუნას შესთავაზა — სტამბოლში ჩემს მეგობარს რესტორანი და ასეთივე ღამის კლუბი აქვს, შენნაირი ნიჭიერი მოცეკვავე სჭირდება, მე გიშუამდგომლებ და უყოყმანოდ მიგიღებს, თან კარგად გადაგიხდისო. ხათუნამაც გადაწყვიტა, საქართველოდან წასულიყო და უცხოეთში ეცადა ბედი.

მუსტაფას მეგობარს ხათუნა ისე მოეწონა, რომ ორივეგან მიიღო. ქართველმა ქალმა ერთ კვირაში აითვისა თურქული და აზიური ცეკვები. რესტორანში რამდენიმე ცეკვას ასრულებდა, ღამის კლუბში კი გვიან მიდიოდა და გათენებამდე რჩებოდა. აღფრთოვანებული მაყურებელი სპეციალურად „გურჯი ხათუნის“ სანახავად მიდიოდა. მუსტაფას მეგობარმა ჯერ 1000 დოლარით დაიწყო, შემდეგ როცა დაინახა, ხათუნამ პოპულარობა მცირე ხანში მოიპოვა, ხელფასი გაუორმაგა. გარდა ხელფასისა ხათუნას სტუმრებიც უხვად ასაჩუქრებდნენ... ხათუნამ შეძლო ბინის ყიდვა, ამაში მუსტაფაც დაეხმარა... კაცს უსაზღვროდ უყვარდა იგი და „გურჯი ხათუნისთვის“ არაფერს იშურებდა. მუსტაფას ცოლი და 3 შვილი ჰყავს, მაგრამ ხათუნას დღემდე პატრონობს...

ხათუნა: *სტამბოლში პოპულარობა არ მაკლია, ფულიც ბევრი მაქვს, მუსტაფა თავის უსაყვარლეს ქალად მაღიარებს. იციან ჩემმა ახლობლებმა, რომ თურქი კაცი მფარველობს და მისი საშუალებით ვიშოვე ამდენი ფული, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს. თამუნა 15 წლისაა. სკოლას რომ დაამთავრებს, ვეცდები ან ინგლისში გავუშვა სასწავლებლად, ან თბილისში ვასწავლო პრესტიჟულ სასწავლებელში. სტამბოლში არც აქამდე წამიყვანია დიდი ხნით და არც შემდეგ წავიყვან. სულ მინდოდა, ჩემი შვილი ქართულ გარემოში გაზრდილიყო. დედაჩემს თამუნა თავის მეორე შვილად მიაჩნია და თავს ევლება. დედას თბილისში შემოსავალი რომ ჰქონოდა, მაღაზია გავუხსენი და ჩემი და-ძმაც დავასაქმე. ასე რომ, სამივეს შემოსავალი აქვს. სტამბოლიდანაც ყოველთვე ვუგზავნი თანხას. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ, საკუთარ თავს ბედნიერს მაინც ვერ ვუწოდებ. ძალიან მინდოდა ჩემს ქვეყანაში მეცხოვრა, საყვარელი საქმე მეკეთებია, ვყოფილიყავი ძვირფასი ადამიანის გვერდით და გამეჩინა შვილები... მართალია, კახა ამის ღირსი არ იყო, მაგრამ გულმა მაინც არ მომითმინა და მის დედას მივუყვანე სულ პაწაწა თამუნა. ქალი სიხარულისგან ატირდა. მისი ერთადერთი შვილი უკრაინაშია და აქ ჩამოსვლას არც აპირებს, ბებიასა და შვილიშვილს შორის ურთიერთობა გაღრმავდა დროთა განმავლობაში. ჩემს შვილს არ ვუშლი მამის დედასთან და დანარჩენ ახლობლებთან კონტაქტს. მას რაც მეტი ადამიანის სიყვარული ექნება, მით უკეთესია... ჩემზე კი იმას გეტყვით, რომ სტამბოლში დიდხანს აღარ დავრჩები...* ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

სახელმძღვანელო გათხოვების მსურველთათვის ანუ სად, როდის, როგორ?

მარი ჯაფარიძე

წინა კვირაში, საღამო ხანს, მობილურზე ჩემი მეგობრის ზარი შემოვიდა... მოკითხვის შემდეგ დაიწყო:

— ხვალ რას აკეთებ?

— პირდაპირ მითხარი რა გინდა და მერე გეტყვი, რას ვაკეთებ, — „შევევაჭრე“, რადგან მივხვდი, შესაძლოა, მისი წყალობით მეორე დღეს უქმად ჩაევლო. ამიტომ, თუ მართლა სერიოზული და ღირებული საქმე არ ჰქონდა, მაშინ ჩემს საქმეებს არ გადავდებდი.

— შენი დახმარება მჭირდება...

— მაშინ არაფერს არ ვაკეთებ, ხომ მშვიდობაა? — შევშფოთდი და ვინაიდან მეგობრის დასახმარებლად ყოველთვის მზად ვარ, უკვე იმასაც მივხვდი, რომ ჩემი საქმეების გადადება მომიწევდა.

— კი, მშვიდობაა ჯერჯერობით.

— რა ხდება, გოგო, გული ნუ გამიხეთქე, — გონებაში თვალი გადავავლე მეორე დღის საქმეებს და ყველაფერი დანარჩენ დღეებზე გადავანაწილე.

— დილით 10 საათისთვის გამოდი და შინ დაიბარე, რომ გვიანობამდე ჩემთან იქნები.

— ვაა, არ იტყვი ადამიანო, რა ხდება? — ინტერესმა მომკლა.

— ხვალ გეტყვი, ასე უცებ, 2 სიტყვით მაგის თქმა არ შეიძლება, — ვერაფრით დავაცდენინე, რა მნიშვნელოვანი საქმის გამო მიბარებდა.

* * *

ჩემს მეგობარს ძალზე უცნაური სახელი — ნიზა ჰქვია. არ ვიცი, იმ ჩემი (თუ მისი) ცოდვით სავსე სარეგისტრაციო მაგიდის თანამშრომელს შეეშალა, ხმოვნები გადაანაცვლა და დაბადების მოწმობაში ნაზის ნაცვლად ნიზა ჩაწერა თუ როგორც მშობლები ეუბნებიან, მართლაც ამ სახელის დარქმევა სურდათ (თავი შეცდომის მსხვერპლად რომ არ მიიჩნიოს და ამის გამო კომპლექსებმა არ შეაწუხოს), მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელიც მას სახელს მხოლოდ ერთხელ ჰკითხავს.

— „რა გქვიათ? — ნიზა. — უკაცრავად, რა გქვიათ?“ — ძირითადად ასე ვითარდება ხოლმე მისი და ახალგაცნობილი ადამიანის დიალოგი.

თუმცა, ის თავისი სახელით უკმაყოფილო სულაც არაა გარდა იმ მომენტებისა, როცა მე „ჩტოს“ ვეძახი. ბავშვობიდან ამეკვიატა, რომ მისი სახელი რუსული ფრაზის — „ნი ზა ჩტო“-ს პირველი ნაწილი გახლდათ და თავიდან „ნიზაჩტო“ შევარქვი, მერე კი „ნიზა“ ჩამოშორდა და მარტო „ჩტო“ დარჩა. თუმცა, ასე მხოლოდ მაშინ მივმართავ, როცა ჩვენ გარდა არავინაა. საზოგადოებაში ისევ „ნიზაჩტოდ“ დარჩა და ამას წლების განმავლობაში ისე შევეჩვიე (ხუმრობა ხომ არაა, 30 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ), რომ მისი ნამდვილი სახელი კარგა ხანია, არ წარმომითქვამს. თვითონაც მიჩვეულია, მაგრამ ამ სახელით მიმართვის უფლება მხოლოდ მე მაქვს.

იმასაც გეტყვით, რომ ის 35 წლისაა და გასათხოვარია (სიტყვა „გაუთხოვარს“ ვერ იტანს). უკვე დიდი ხანია, მარტო ცხოვრობს თავის 2-ოთახიან, მყუდრო ბინაში, ქალაქის ცენტრში, მეორე სართულზე და ბავშვებს ინგლისურში ამზადებს (რაღა ბავშვებს, ჩვენი ასაკის მოსწავლეებიც ბლომად ჰყავს). ყველა დღე ისე აქვს გაწერილი და დატვირთული, გულით რომ გინდოდეს სტუმრად მისვლა, ვერ მოახერხებ. დილის 8 საათიდან იწყება მასთან მოსწავლეების მისვლა და საღამოს 9-10 საათზე მიდის შინ ბოლო მოსწავლე. ერთადერთი გამოსასვლელი დღე აქვს — კვირა და მეგობრები ამ დღეს ვეშურებით ხოლმე, მაგრამ მაშინაც ხან თვითონ გარბის საქმეზე, ხან გვეჩხუბება, — მაცადეთ სახლიდან გამოსვლა და მე თვითონ მოვალ თქვენთან სტუმრად, ისედაც მომბეზრდა ამ კედლების ყურება და კვირა დღესაც არ მაცდით ცხოვრებასო.

ჩვენ კი ისე გვიყვარს მის სახლში შეკრება და ჭორაობა, რომ დილიდან ვიწყებთ გადარეკვებს — ჰა, რა ვქნათ ახლა, წავიდეთ ნიზაჩტოსთან თუ არაო? ხშირად, მივუტოვებივართ სახლში და თვითონ წასულა.

ჰოდა, მოკლედ, მოსწავლეებსა და ჩვენ, მის მეგობრებს გვბრალდება მისი გაუთხოვრობა.

— დრო არ მაქვს, შინიდან ვერ გავდივარ და სადღაც ხომ უნდა გავიცნო ვინმე, რომ გავთხოვდე? თქვენსა და მოსწავლეების გარდა ვერავის ვხედავ და თქვენ ხომ არ მითხოვთ? გარეთ გასვლასაც არ მაცდით, რომ „თვალი გავახილო“, — უკმაყოფილებას ასე გამოხატავს ხოლმე.

თუმცა, იტყუება, რადგან ხან ერთი მეგობარი ურიგებს „სიმპათიურ“, „მდიდარ“, „პერსპექტიულ“ და „მერე რა, რომ მელოტია“ სასიძოს და ხან მეორე — „განათლებულს“, „ინტელიგენტს“, „მშრომელს“ და „სამაგიეროდ, სიმპათიურს“, მაგრამ ის ერთ ყურში შეუშვებს, მეორედან გამოუშვებს და პოტენციური საქმროების ზარებსაც აღარ პასუხობს ხოლმე.

თავისი ასაკის მოსწავლეებსაც, მამაკაცებად არ მიიჩნევს, რადგან ისინი მოსწავლეები არიან (თან მათი უმეტესობა ცოლიანია). არადა, გარეგნულად მშვენიერი ქალია, საკმაოდ მადისაღმძვრელად გამოიყურება და მეც მინახავს მისი შემხედვარე მოსწავლეები ინგლისურ გრამატიკაზე და უღლებაზე რომ არ ფიქრობენ. ამას მათი ჭერში აპყრობილი მზერა, ნეტარი სახე და უაზრო გამომეტყველება ადასტურებს.

მოკლედ, გათენდა მეორე დილა და დაპირებისამებრ, დილის 10 საათზე ნიზასთან დავერეკე.

— აბა, როგორ ხარ? რა ხდება? — დავიწყე მაშინვე, როგორც კი სადარბაზოს კარი ზურგს უკან მივხურე.

— ყავას დალევ? — პასუხს თავი აარიდა.

— დავლევ, მაგრამ არ იტყვი, რა ხდება?

ნიზა იდუმალი გამომეტყველებით ადუღებდა ყავას, მე კი მოუთმენლობისგან ადგილს ვერ ვპოულობდი.

— დღეს პაემანზე მივდივარ და შენ უნდა გამომყვე, — მოჭრა მოკლედ და ყავის ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

— რა-ა? — მოულოდნელობისგან დივანზე დავეხეთქე, — კი, მაგრამ მე რაღაში გჭირდები?

— შენ აუცილებელი ხარ.

— ვითომ რატომ?

— იცი, მარ, დიდი ხანია, ამას გიმალავდი და არ მინდოდა მეთქვა...

— რას მიმალავდი, გოგო, — გონებაში თვალი გადავავლე შესაძლო ვარიანტებს.

ნიზა ოთახიდან გავიდა და ცოტა ხანში თხელყდიანი წიგნით ხელში დაბრუნდა და წინ დამიდო.

მარგარეტ კენტი — „როგორ გავთხოვდეთ“. ეწერა ყდაზე.

— მდაა, მერე?

— ეს წიგნი 3 თვის წინ შევიძინე და შეიძლება ითქვას, უკვე ზეპირადაც ვისწავლე (საყურადღებო ადგილები მარკ-

ერითაც მოუნიშნავს), ახლა კი მის გამოყენებას პრაქტიკაში ვაპირებ.

— კი, მაგრამ როცა ამ წიგნს ყიდულობდი, არ შეგრცხვა? — პირველი კითხვა ეს მომივიდა თავში.

— სულაც არა, ყველა ქალი ოცნებობს გათხოვებაზე და არც მე ვარ გამონაკლისი, ამაში ცუდი რა არის?

— კარგი, მაშასადამე, ამ წიგნის მიხედვით აპირებ გათხოვებას?

— მის გამოყენებას ვეცდები, მამაკაცის მოსაჩანგლად.

— აჰა, — თავი ისე დავაქნიე, რომ ნიზაჩტომ ცხვირი აიბზუა, — სად გაიცანი? ვინაა? რამდენი წლისაა? — დავაყარე კითხვები.

— ინტერნეტში გავიცანი, აბა, გარეთ სასიარულოდ მე არ მცალია, რომ ქუჩაში გამეცნო. 40 წლისაა და კახა ჰქვია, უცებ ჩამომირაკრაკა ყველაფერი, — მოკლედ, ახლა უნდა გავემზადო და დამეხმარე, — დაფაცურდა უცებ.

წიგნი საჭირო ადგილზე გადაშალა და ჩახედა.

„როგორ ჩავიცვათ, რომ მამაკაცს მოვეწონოთ“, — დავხედე ქვესათაურს.

კედელში ჩაშენებული გარდერობის კარი გამოაღო (2 ბუტიკს ეყოფა, იმდენი ტანისამოსი აქვს) და სამოსს გადახედა. შემდეგ წიგნის ავტორის აზრით მიუღებელი ფერები — მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი ამოარჩია და იატაკზე დაყარა.

„გირჩევთ, თუთიყუშს არ დაემსგავსოთ“, — ხმამაღლა ამოიკითხა წიგნიდან ერთი ფრაზა და დაწუნებულ ტანისამოსს ჭრელიც მიამატა.

„წელი — წელის ადგილზე უნდა იყოს, გულმკერდის ქვემოთ ქამარს ნუ შემოიჭერთ, ნურც თეძოებზე, მოერიდეთ ფუშ-ფუშა სახელოებს, მაქმანებს, ნაოჭებს, ნაკეცებს. უმჯობესია, უბრალოდ, თავზე გადაიცვათ ნატიფი ქსოვილის ნაჭერი (დიახ, სწორედ ასე წერია)“...

ასეთი ნივთებიც გამოაკლდა გარდერობს და იატაკზე აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც ამ რჩევების გათვალისწინებით, უამრავი სამოსიდან გარდერობში რამდენიმე კაბა, ბლუზა და ქვედაბოლო დარჩა, შემდეგი პუნქტის კითხვა დავიწყეთ და ქსოვილის მიუღებელი ფაქტურის გამო კიდევ რამდენიმე ხელი კაბა და პერანგი გამოაკლდა გარდერობს.

ვინაიდან წიგნში მითითებულია, რომ პაემანზე კაბით წასვლა ჯობს, შარვლებიც „უვარგისი“ და წუნდებული მოდელების მთის წვერში მოექცა. ცოტა ხანში საცვლებიც გადაარჩია...

შეგვრჩა ძალზე მწირი რაოდენობა... და ამის შემდეგ დაიწყო „ვილლი ვომენ“... გახსოვთ ალბათ, „ლამაზმანში“ რიჩარდ გირი ტანისამოსს რომ ურჩევს ჯულიას. ჰოდა, მე სავარძელში ვიჯექი, ის კი ტანისამოსს იზომებდა და ოთახში გაივლ-გამოივლიდა ხოლმე. მეც, რჩევებს ვაძლევდი (მით უმეტეს, წიგნში ისიც გახლდათ მითითებული, რომ ჩაცმის დროს მეგობარი ქალის რჩევები უნდა გაითვალისწინოს.

როგორც იქნა, ერთი კაბა მოვიწონეთ ორივემ და არჩევანიც მასზე გაკეთდა.

— მე მგონი, ეს წავა, — სარკეში შეათვალიერა საკუთარი გამოსახულება, — წიგნში წერია, რომ მამაკაცს ფანტაზიის უნარი უნდა განუვითარო და ფიქრის საშუალება მისცე, რომ შენი გახდის სურვილი გაუჩნდესო. ჰოდა, ეს ჩაღილული და ქვემოთ შეხსნილი კაბა მე მგონი სწორედ მაგ ფუნქციას შეასრულებს, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ამის შემდეგ შევარჩიეთ ფეხსაცმელი — „უმჯობესია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელიც ფეხზე იოლად უნდა გძვრებოდეთ. ნუ ჩაიცვამთ წვივებზე თასმით შეკრულ ფეხსაცმელს. ალბათ მიხვდით, რატომ“, — იუწყება წიგნის ავტორი.

— მიხვდი? — ვკითხე მე.

— კი, მივხვდი, თასმიანი ფეხსაცმელი იმიტომ არ უნდა ჩავიცვა, რომ ქუსლიან ფეხსაცმელს მიუჩვეველი ვარ და ფეხი რომ მატკინოს, მაგიდის ქვეშ იოლად გავიხდი.

— ჰო, მართალი ხარ, — ამოვიოხრე მე.

„იმიტომაც ხარ გაუთხოვარი“, — გულში კი ეს გავიფიქრე.

შემდეგ შევარჩიეთ სამკაულები.

წიგნს ჩავხედეთ: „განსაკუთრებული ყურადღებით მამაკაცი უცქერის ქალის ხელებს. შეიძლება ერთმა ბეჭედმაც კი აგრძნობინოს, რომ მიუღწეველი ხართ. ერიდეთ ბეჭდის ტარებას. მამაკაცის თვალს არ გამოეპარება არც ერთი ბეჭედი თქვენს ხელზე და თითოეულ მათგანს იმ კაცის ყურადღების ნიშნად მიიჩნევს, ვისთანაც გაქვთ ურთიერთობა“...

ნიზამ ყველა ბეჭედი მოიხსნა და შეინახა.

— იქნებ ბებიამ გაჩუქა ბეჭედი? — აშკარად არ მომეწონა მისი უსამკაულოდ დარჩენილი თითები.

— მანდ წერია, რომ მაინც უნდა მოიხსნა. თანაც, ბრილიანტისთვლიანი სამკაულები კაცს აფრთხობს, — „მამაკაცების საქმეში“ ექსპერტივით დამაჯერებლად ლაპარაკობდა, — იფიქრებს, რომ ძვირფასეულობაზე ვგიჟდები და ცოლად აღარ მომიყვანს, რადგან შეეშინდება, მასაც არ მოვთხოვო ძვირფასთვლიანი სამკაულები. ზურმუხტებისა და

ბრილიანტის გარეშეც შეიძლება, მომხიბვლელი ვიყო, — სარკეში შეათვალიერა თავი, — შენ ალბათ ისიც არ იცი, რომ საყურე არ უნდა გაიკეთო, როცა პაემანზე მიდიხარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ გრძელი საყურე სხვა კაცისადმი ერთგულებას ნიშნავს, — საინტერესო მოსაზრებაა, ვერაფერს იტყვი, — თანაც, ხელის შემშლელი ატრიბუტია, მამაკაცს ვერც კი წარმოუდგენია, როგორ უნდა აკოცოს საყურეებიან ყურის ბიბილოს...

— რა ვიცი, მე სხვაგვარად ვფიქრობ, არა მგონია, საყურეს თუ არ გაიკეთებ, მხოლოდ მაშინ გათხოვდები... ჩემი მეზობელი იამზე მაგალითად, როცა მოიტაცეს, დიდი საყურე ეკეთა და თურმე, მანქანაში „ჩატენვის“ დროს ყურიც კი ჩამოახიეს... თან ბარათაშვილი გაიხსენე, „საყურის ჩრდილში“ ამბორზე ლექსიც კი აქვს დაწერილი... — მისი გადმობირება ვცადე.

— აი, ხომ ხედავ, რომ არ გაეკეთებინა საყურე, იამზეს ყურს არ ჩამოახევდნენ. მაშასადამე, მართალი ყოფილა ეს ქალი, — თავით წიგნზე მიმანიშნა.

— მაგრამ ხომ გათხოვდა მაინც?

— ეჰ, შენ და ბარათაშვილმა რა იცით? მარგარეტი ექსპერტია ამ საქმეში, — მაინც ვერ შევაცვლევინე აზრი. არავითარმა არგუმენტებმა არ მიშველა და წიგნის ავტორის ავტორიტეტი ჩემი და ბარათაშვილის ავტორიტეტზე მყარი გამოდგა, — რაც შეეხება სუნამოს, შეიძლება, სულაც არ იპკურო, აუცილებელი არაა, რადგან მამაკაცს სულ არ აინტერესებს, ჩემი სუნამო დიორისაა თუ როშესი და შეიძლება გაღიზიანდეს კიდეც, „ოპიუმისა“ და „პუაზონის“ ხსენებაზე, — წიგნივით მელაპარაკებოდა ნიზაჩტო.

— კი, მაგრამ რატომ უნდა ახსენო ან ერთი, ან მეორე? აუცილებელი ხომ არაა, აღნიშნო, რომ დიორის სუნამო დაისხი? ან ამ სახელწოდების სუნამოებმა რატომ უნდა გააღიზიანოს? — მართლა ვერაფერი გავიგე.

— იმიტომ, რომ „ოპიუმი“ ნარკოტიკს მოაგონებს, „პუაზონი“ კი შხამს ნიშნავს, — თავისი და მარგარეტის აზრით, მყარი არგუმენტი მოიყვანა.

— აჰა, გასაგებია. გამოდის, სუნამოზეც უარს ამბობ...

— კი.

— ახლა რა დაგვრჩა?

დადგა თმისა და ფრჩხილების მოწესრიგების დრო...

სალონში წავედით.

— სადა ვარცხნილობა გამიკეთე, ლაკს ნუ დამასხამ, შეეცადე, თმას ბუნებრივი ელფერი მიანიჭო, — დამოძღვრა სტილისტი წიგნის ავტორის სიტყვებით (კიდევ კარგი, თავი არ მომჭრა და წიგნი თან არ წამოიღო).

ქალბატონი მარგარეტის რჩევით ფრჩხილზე ვარდისფერი ლაკი წაისვა და წამოვედით.

— პაემანი რომელ საათზეა? — გამახსენდა უკანა გზაზე, როცა ნიზა მანქანაში ისე იჯდა, თავსაც კი არ ამოძრავებდა, ვარცხნილობა რომ არ დაშლოდა და თითები გაფშეკილი ჰქონდა, ლაკი რომ არ გაეფუჭებინა. სადღაც ამოკითხული ფრაზა გამახსენდა: „ქალი ყველაზე უმწეო მაშინაა, როცა თითებზე ლაკს იშრობს“ და ამ სიტყვების ავტორს დავეთანხმე, მხოლოდ გულში. ხმამაღლა ამის თქმას როგორ გავბედავდი?

— 2 საათზე უნდა შევხვდე, — თან სულს უბერავდა თითებს.

— კი, მაგრამ ამ „დილაუთენია“ ვის გაუგონია პაემანი?

— წიგნში წერია, რომ პირველი პაემანი გვიან არ უნდა დანიშნო.

— აჰა, ნუ, თუ წიგნში წერია, მაშინ სწორია.

ვინაიდან ჯერ შეხვედრაზე წასვლა ადრე იყო, შინ დავბრუნდით. მაშინვე წიგნს დავავლე ხელი და კითხვა განვაგრძე.

შემდეგი თავი: „სად უნდა გაიცნოთ კაცები“...

ოოო, ეს საინტერესოა... ჩამონათვალი კი შთამბეჭდავი: სამსახური; წიგნის მაღაზია (მეტი არ იქნა ჩემი მტერი); სავაჭრო ცენტრები (განსაკუთრებით ალბათ ოქროულობის სექცია); ბიბლიოთეკა (ჰმ!); მოსაცდელი დარბაზი აეროპორტში; მოგზაურობა; პოლიკლინიკა (საინტერესო ვარიანტია); საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები (ეს არ შველის, ბევრი ასეთი ორგანიზაციის წევრი ვიცი, გასათხოვარი რომ დადის); სასწავლებლები, საოჯახო თუ სხვა საღამოები, ნიჩბოსნობის სექციები (უნდა ჩავეწერო და გადავამოწმო, სიმართლეს თუ შეეფერება), საქველმოქმედო აქციები, რესტორნები.

— კი, მაგრამ აქ ინტერნეტი რომ არ წერია? — სკეპტიკურად განვეწყვე წიგნის ავტორის მიმართ.

— ეგ ალბათ ადრე დაწერა ავტორმა, როცა ინტერნეტი ჯერ არ იყო მოგონილი, — უცებ გაამართლა „დედასავით ტკბილი“ და „მზრუნველი“ მარგარეტი.

რაც შეეხება შეხვედრების დაგეგმვას, წიგნის ავტორი გათხოვების მოსურნე ქალბატონებს ურჩევს, რომ „ნორმიდან ოდნავ გადახრილი“ შეხვედრა შესთავაზონ მამაკაცს. მაგალითად: „მთავარიან ღამეში გაისეირნეთ ქალაქგარეთ (თავიდან ამბობდა, დღისით დანიშნეთ პაემანიო), წაბრძანდით სათევზაოდ (ალბათ ამ შემთხვევაში იმ მამაკაცზე „თევზაობას“ გულისხმობს, რომელიც ქმრობის კანდიდატია), ფეხშიშველებმა იარეთ ბალახში (ეს რომ გათხოვებას შველოდეს?!)...

და ჩამოთვლილია, იმ ადგილების სია, სადაც წყვილმა შესაძლებელია, დრო გაატაროს: „დაათვალიერეთ ქალაქის უძველესი ნაგებობები, გადმოხედეთ ქალაქს ყველაზე მაღალი ადგილიდან (ალბათ ფუნიკულიორიდან ან საქმროს კერძო თვითმფრინავის ილუმინატორიდან), ეწვიეთ გაზეთების რედაქციას, რა თქმა უნდა, სადაც ნაცნობი მუშაობს და გაეცანით მათ სამუშაოს (გათხოვებასთან ზოგადად რა კავშირშია, ვერაფრით მივხვდი. არადა, დარწმუნებული ვარ, ქალბატონი მარგარეტი კონკრეტულად ნიზას შემთხვევას არ გულისხმობდა, რომელსაც ჩემი სახით ერთი ნაცნობი ჰყავს, რედაქციაში), მოისმინეთ ლექცია იმ თემაზე, რომელიც ორივესთვის საინტერესოა (მომიწევს დღეს ალბათ ლექციის წაკითხვა), მოძებნეთ რაიმე საინტერესო ნივთი ანტიკვარულ მაღაზიაში ან ავტომობილების ბაზარზე (ვაშაა!)“... და თურმე ამ ყველაფერის შემდეგ მამაკაცი ქალს მომდევნო შეხვედრაზე მოწყურებული დაუბრუნდება და მოუთმენლად დაელოდება დანარჩენ შეხვედრებს...

რა ვიცი... რა ვიცი... ქალბატონ მარგარეტს როგორ მამაკაცებთან ჰქონია ურთიერთობა ვერ გეტყვით, მაგრამ მეეჭვება, რომ მისი ნათქვამი სიმართლეს შეეფერებოდეს და ქართველ მამაკაცს, რომელიც რესტორანში, ქართულ პურმარილზე გეპატიჟება, ლექციის მოსმენა შესთავაზო თემაზე: „ვინაა ოჯახში უფროსი“, ის აღფრთოვანდეს და გითხრას: „ეგ ლექცია რომ დამთავრდება, ბალახზე ფეხშიშვლებმა ვიაროთ, საყვარელო, შემდეგ კი „გზის“ რედაქციას ვესტუმროთ და ვნახოთ, როგორ მუშაობენ“...

თუმცა, რას გაუგებ ამ ცხოვრებას? შესაძლოა, ასეთი კაციც (ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ „კაცი“ მხოლობით რიცხვშია) მოიძებნებოდეს, მაგრამ ამდენ მამაკაცებში არ გინდა, სწორედ ისეთს მიაგნო, მარგარეტის შეხედულებებს რომ გაიზიარებს?

— ჰო, ფული არ დამრჩეს, — თქვა ნიზამ და რამდენიმე 100-ლარიანი ჩანთაში ჩაკუჭა.

— კი, მაგრამ ამდენი ფული რად გინდა, შენ ხომ არ აპირებ მის დაპატიჟებას? — გამიკვირდა მისი საქციელი.

ნიზამ მაგიდაზე დადებული წიგნი გადაფურცლა, საჭირო ადგილი მოძებნა და თითი დამიდო, წაიკითხეო: „თუ მამაკაცთან ერთად სადმე წასვლას დააპირებთ, გაითვალისწინეთ მისი ფინანსური შესაძლებლობები. თუ საფულე შინ დარჩა, ხარჯები საკუთარ თავზე აიღეთ ან სულაც, ფული ასესხეთ“.

— და შენ აპირებ, ხარჯი შენს თავზე აიღო? — პირი დავაღე გაოცებისგან.

— ყველაფერი ხდება. ხომ შეიძლება, საფულე მართლა შინ დარჩეს? უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოჩნდეს, მე დავეხმარები.

— ნუ, თუ შემდეგ პუნქტს დავუჯერებთ, მაგდენი ფული მაინც არ დაგჭირდება. სულ 20 ლარი გეყოფა.

წიგნს ჩახედა, ჩემს ნათქვამს რომ ჩასწვდომოდა: „თუ დანახარჯს ის იხდის (ამას „თუ“ უნდა?), შეუკვეთეთ რაც შეიძლება, იაფი კერძები. თუმცა, ისეთი, რაც მოგწონთ კიდეც...

გაგრძელება იხ. გვ. 87



სამყარო

ვირების ვალსი და მოთვინიერებული პითონი ანუ „ახმეტელი ბიჭის“ ასრულებული ოცნება

ზოგჯერ ერთი დღე ადამიანის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის — რამაზ ბარშაულაშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა. იგი საზოგადოებამ „ახმეტელი ბიჭის“ სახელით გაიცნო, მერე ოცნება აისრულა — ცირკის მსახიობი გახდა, ახლა ცირკის ხელმძღვანელია. თურმე, მთავარია მოინდომო და ბაგირზე სიარულს ვირის დასაბმელი თოკითაც ისწავლი, ვირს ვალსს აცეკვებ და შენკენ დასაგესლად წამოსულ 2-მეტრიან პითონსაც „მოარჯულებ“.

თამუნა კვინიკაძე



ბატონი რამაზი სოფელ მატანში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობაში თეატრისა და კინოს მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი მშობლები სტუდენტ შვილს მატერიალურად ვერ დაეხმარებოდნენ. მამამისი დურგალი იყო და შვილს ხშირად ეუბნებოდა, — შენც ეს ხელობა ისწავლე, ოჯახის რჩენა არ გაგიჭირდებაო, — რამაზი კი პროტესტს ხმამაღლა გამოხატავდა: მე ოცნება მაქვს და უნდა ავისრულოო. 1985 წლის 9 მაისს პანკისის ხეობაში „გამარჯვების მემორიალი“ დადგეს. ახმეტელებმა თავი ამ მემორიალთან მოიყარეს და წარმოდგენაც დაიწყო. რამაზმა იმ დღეს პირველად ნახა ქისტი ჯამბაზი, რომელიც ბაგირზე საინტერესო ტრიუკებს აკეთებდა. ნანახმა მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ღამეები აღარ ეძინა — ფიქრი ცირკის მსახიობობაზე დაიწყო.

— გადავწყვიტე, ბაგირზე სიარული მესწავლა, მაგრამ არც ბაგირი მქონდა და არც მისი საყიდელი ფული. ვიფიქრე, ვიფიქრე და გამოსავალიც ვიპოვე — მამაჩემს ერთი ვირი ჰყავდა, რომელიც ყოველ დილით, მინდორში გაჰყავდა და აბამდა. ერთ მშვენიერ დღეს, მამისგან მალულად, ვირს თოკი შევხსენი. ის ტყეში წავიდა, მე კი შემაღლებულ ადგილას ავედი, თოკი გავჭიმე და ვარჯიში დავიწყე; მაშინ ჩუსტიც კი არ მქონდა, სამხედრო ჩექმა მეცვა და ისე ვვარჯიშობდი. თოკი მიწიდან 2 მეტრის დაშორებით მქონდა გაჭიმული. თან, ისეთი ადგილი შევარჩიე, ჩამოვარდნის შემთხვევაში, ეკალ-ბარდებში რომ ჩავვარდნილიყავი — ეკლების ჩხვლეტის შიშით, ყოველ მომდევნო ცდაზე უკეთესი შედეგი მქონდა და მომდევნო წლის 9 მაისს ფართო აუდიტორიის წინაშე წარვდექი. ღონისძიებაზე რაიონის ხელმძღვანელობამ მიმიწვია.

— **ეი. სახელი გაითქვით, არა?**

— ჩემი სახლის უკან, ტყეში ჩუმად ვვარჯიშობდი, როცა შემთხვევით, ერთმა ნაცნობმა გამოიარა. ის კულტურის სახლთან თანამშრომლობდა და მირჩია, — დარბაზი თავისუფალია, იქ ივარჯიშე, დირექტორი უარს არ გეტყვისო.

მეორე დღესვე კულტურის სახლში წავიდა და ხელმძღვანელობას თავისი მდგომარეობა აუხსნა. დარბაზი დაუთმეს, მუშაობისთვის ყველა პირობა შეუქმნეს. იმ პერიოდში კახელები თელავის თეატრის საიუბილეო საღამოსთვის ემზადებოდნენ. ღონისძიების რეჟისორმა რამაზს დარბაზში ვარჯიშისას მოჰკრა თვალი და იმდენად მოეწონა, რომ საღამოზე მიიწვია. იმ დღეს თელავს ქვეყნის პირველი პირები სტუმრობდნენ. მაღალჩინოსანთა დელეგაციას ჯუმბერ პატიაშვილი მიუძღოდა. მისი ყურადღება ბაგირზე მოსიარულე ბიჭს მიუპყრია და ვიდრე ნომერი არ დასრულებულა, სხვა გამომსვლელებისკენ არც კი გაუხედავს.

— მერე ჩემკენ თითი გამოიშვირა და თანმხლებ პირს უთხრა: ამ ბავშვს მიხედეთო! ის კაცი მომიახლოვდა, ვინაობა გამომკითხა და დამიბარა, — თბილისში აუცილებლად ჩამოდიო.

— **რატომ გიბარებდათ, არ უთქვამს?**

— არა. იმ კაცს თავი დავუქნიე, მაგრამ სად წავიდოდი? — თბილისი თვალითაც არ მქონდა ნანახი და არც მისი ვინაობა ვიცოდი. დაახლოებით 2 კვირის შემდეგ ჩვენს სახლთან შავი „ვოლგა“ გაჩერდა; მას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. ვიფიქრე, — რა ამბავია? ნეტავ, რა ხდება-მეთქი? ეზოში რაიონის ხელმძღვანელობა შემოვიდა. გვითხრეს: უნდა დაგეხმაროთო და თან, ფურცელზე რაღაცას ინიშნავდნენ. მერე მამას მიუბრუნდნენ: ედიშერ, შენი შვილი თბილისში უნდა წავიყვანოთო... მეორე დღისთვის რაიკომში დამიბარეს, სადაც დამარიგეს, გამალამაზეს და თბილისში თეთრი „ნივით“ გამომიშვეს.

თბილისში ჩამოსული ცენტრალური კომიტეტის შენობაში მიუყვანიათ. მაშინ გაარკვია, რომ ის უცხო კაცი კულტურის განყოფილების გამგე

ყოფილა. მას პატარა ჯამბაზისთვის ჯერ „რბილი“ საყვედური უთქვამს, — ჩამოსვლა რატომ დააგვიანეო?! მერე კი კალამი და ფურცელი მიუცია, სასწრაფოდ, ავტობიოგრაფია დამიწერეო. რამაზს წერა მშობლიურ ენაზე დაუწყია.

— შენიშვნა მომცა, ქართულად კი არა, რუსულად დაწერეო. გულს შემომეყარა, რუსული არ ვიცოდი. ფურცელი გადავაბრუნე და სახელის და გვარის



ბაგირზე ტაშტს ვდებ, შიგნით ვდგები და ხტუნვა-სრიალით გადავადგილდები

დაწერა ძლივს მოვახერხე. ცოტა არ იყოს, ნაწყენმა და გაკვირვებულმა მკითხა, — რუსული არ იცი? მერე პატიაშვილთან დარეკა: — ბატონო ჯუმბერ, რუსული არ იცის და როგორ მოვიქცეთო? თურმე, რუსული ენა რომ მცოდნოდა, მოსკოვის საესტრადო და საცირკო სასწავლებელში პარტიული სტიპენდიით გამგზავნიდნენ და ვინ იცის, ჩემი ბედი როგორ წარიმართებოდა.

გამოსავალი მაინც იპოვეს. კულტურის მაშინდელ მინისტრს უთქვამს, — საცირკო სასწავლებელი თბილისშიც ხომ გვაქვსო, და სკოლის დამთავრების შემდეგ, პირდაპირ მესამე კურსზე დაუსვამთ. მოგვიანებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ცირკთან დაიწყო თანამშრომლობა. ბატონი რამაზი ახალ ნომრებზე მუშაობას დიდი მონდომებით შეუდგა და თუ მანამდე მხოლოდ ბაგირზე დადიოდა, ვარჯიშის შედეგად, თავზე 2 ადამიანის დასმა და მათი გადაყვანაც შეძლო...

— **რამაზ, თქვენზე ისიც მსმენია, ვირებს ვალსის ცეკვა ასწავლაო. მართალია?**

— (*იცინის*) ერთ დღეს კახეთში წავედი, მამაჩემის ორი ვირი მანქანში „შევტენე“ და თბილისში სასწავლებლად წამოვიყვანე.

— **ზრდასრული ვირები იყვნენ?**

— შენ გეცინება და ვირი ძალიან გონიერი ცხოველია. ერთ დღეს ცირკის არენაზე თანამდებობის პირი შემოვიდა და ნახა, თუ როგორ ვწვრთნიდი მათ. გაკვირვებულს, ცირკის ხელმძღვანელისთვის უთქვამს, — ამ ბიჭს ვირები ისე უყურებენ, მგონი, მართლა უსმენენო. ვირებს ერთდროულად, ვალსსაც ვასწავლიდი და ოსურ ცეკვასაც. ცირკის ხელმძღვანელმა მაღალჩინოსნებს ჩვენი პროგრამა პრემიერამდე გააცნო. „ზემოდან“ ბრძანება მოგვივიდა, ოსებთან ურთიერთობა ისედაც დაძაბული გვაქვს და ამას რომ ვირების შესრულებული ოსური ცეკვა დაემატოს, არ გამოვაო — ცხადია, ეს ნომერი პროგრამიდან ამოვიღეთ. სამაგიეროდ, ვირებმა ვალსი კარგად შეასრულეს, ერთმანეთს თავებს ადებდნენ და ნარნარით ტრიალებდნენ (*იცინის*).

— **მოცეკვავე ვირებს რა ბედი ეწიათ?**

— ცირკი დაიშალა და „განათლებული“ ვირები ისევ სოფელში დავაბრუნე, თავად კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დავიწყე ხეტიალი — ბულგარეთი, თურქეთი, ევროპის რამდენიმე ქვეყანა მოვიარე და სხვათა შორის, მაყურებელმა ყველგან კარგად მიმიღო.

— **როგორც ვიცი, ბაგირზე თვალახვეულიც დადიხართ.**

— ტაშტითაც დავდივარ.

— **ეგ როგორ?**

— ბაგირზე ტაშტს ვდებ, შიგნით ვდგები და ხტუნვა-სრიალით გადავადგილდები, თან, თავზე შავი ტომარა მაქვს ჩამოცმული... საზღვარგარეთ ნაშოვნი ფულით თბილისში პატარა შაპიტო — „ანტრე“ გავაკეთე. სეზონი უკვე გავხსენით. პროგრამა ძირითადად, ჩემზეა აგებული, მაგრამ კლოუნები და გველთან მოცეკვავე გოგონაც მყავს მოწვეული.

— **ხანჯლის „გადაყლაპვა“ როგორ ისწავლეთ?**

— თავდაპირველად ვარჯიში შამფურით დავიწყე. რთული იყო, მაგრამ ყელი თანდათან მივაჩვიე. პირველად ჩემს დას რომ ვუჩვენე, ლამის გული წაუვიდა, — რას შვრები, თავს იკლავო? ახლა სწორ, დაკლაკნილ და ოვალურ ხანჯლებს „ვყლაპავ“.

ბატონ რამაზს გველიც კი ჰყავს „მორჯულებული“. მან ამ ქვეწარმავლის შესახებ ბევრი საინტერესო რამ მიამბო. თურმე, ყველაზე ადვილად პითონი იწვრთნება. მისი ფასი ზომასთან ერთად იზრდება — 1 სანტიმეტრი 2 დოლარი ღირს ანუ 2-მეტრიანი პითონის შესაძენად 400 დოლარია საჭირო. ხშირ შემთხვევაში, ის 3-4 მეტრს აღწევს. პითონი, რომელიც რამაზს თურქეთში ჰყავდა, 80 კილოგრამს იწონიდა. თუ გველი მშიერი არ არის და თავს ჯანმრთელად გრძნობს, ის თავს არავის ესხმის. მისთვის იდეალური 18-დან 22 გრადუსამდე ტემპერატურაა, შედარებით მაღალი ან დაბალი ტემპერატურა კი აღიზიანებს. გველი ძალიან ცუდად ხედავს. როცა შია, შეიძლება, პატრონიც არ დაინდოს და მას თავს დაესხას. ერთხელ პითონისგან საფრთხე პატონ რამაზსაც დაემუქრა.

— ეს თურქეთში ყოფნის დროს მოხდა. იმ დღეს ძალიან დატვირთული პროგრამა გვქონდა, შესვენებისთვის დრო არ გვრჩებოდა. იმ დღეს პითონს ჭამა დავუგვიანეთ. წარმოდგენა დაიწყო. გველი მანეჟზე გავუშვი. დასრიალებს, მოძრაობს. მივუახლოვდი თუ არა, ჩემკენ საკბენად გამოიწია.

— **თავდასხმას როგორ გადაურჩით?**

— სახესთან მილიმეტრებში ჩამიარა. ხალხი წამოიშალა, ატყდა წივილ-კივილი. არ დავიბენი და ისე მოვიქეცი, ვითომ, ასეც უნდა მომხდარიყო. ავიყვანე, ხელზე დავიხვიე და დარბაზიდან გავიყვანე. ძალიან მიჭერდა, ლამის ძვლებში დამამტვრია.

— **„ანტრეში“ გველთან მოცეკვავე გოგონა გყავთ. პითონის ტრანსპორტირებას საკუთარი მანქანით ახდენთ?**

— ჩვენი ტრანსპორტით გადაგვყავს. ტაქსით იშვიათად ვსარგებლობთ... ერთხელ თურქეთის ცირკმა პითონი იყიდა. პატრონს თანხა გადაურიცხეს, თან, დაავალეს, გველი ყუთში ჩაესვა და სამგზავრო ავტობუსის საბარგო განყოფილებაში შეედო. პატრონი ასეც მოიქცა. მძღოლმა და ავტობუსის გამცილებელმა არაფერი იცოდნენ. ერთ-ერთ გაჩერებაზე მგზავრი ჩავიდა და მას გამცილებელიც ჩაჰყვა, რომელიც საბარგულის გახსნისთანავე წაიქცა — თურმე, გველი ყუთიდან ამოსულა... იქ რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია: „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გამოიძახეს, მთელი ავტოსადგური პარალიზებული იყო, უზარმაზარი გველი კი „დინჯად“ დასრიალებდა, შემდეგ ქუჩის გადაკვეთა მოინდომა და ავტომანქანამ გადაუარა...

— **თქვენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— დროის უმეტეს ნაწილს ჩემ მიერ დაარსებულ ცირკში — „ანტრეში“ ვატარებ. ძალიან ბევრი ვიშრომეთ, მრავალფეროვანი პროგრამა გვაქვს. ალბათ, თანდათანობით მაყურებელიც შეგვიყვარებს. ■

მოჩვენებები და სპირიტიზმი

„მოჩვენებების საშუალო ასაკი 400 წელია“

ლეგენდებსა თუ ყოფით გადმოცემებში მოჩვენებები ავის მომასწავებელი თვისებებით გამოირჩევა. ბოროტმოქმედების მსხვერპლთა მოჩვენება ძველებური სასახლეების დერეფნებსა და გალერეებში დაეხეტება, ჯაჭვებს აჟღარუნებს და თან, იღლიის ქვეშ ამოდებული, საკუთარი მოკვეთილი თავი დაიქცს, ირგვლივ ყველაფერს იმქვეყნიური ბღავილით აზანზარებს. ალბათ, არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვისაც ასეთ ურჩხულთან შეხვედრა არ შეაკრთობს.

ადამიანი, როგორც პიროვნება, სხეულის გარდა, მკვრივი ენერგეტიკული ველებისგანაც შედგება. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ველები სხეულისგან თავისუფლდება და ინფორმაციულ-ენერგეტიკულ სივრცეში გადადის. აი, სწორედ ეს არის სული.

ერთ-ერთი მკურნალი წერდა: „მიმიყვანეს უგონოდ მყოფ ქალთან. ის ზურგზე იწვა, თავი ოდნავ წამოწეული ჰქონდა, სხეულის გარშემო კი ველი თითქმის აღარ ესინჯებოდა. მთელი მისი ენერგია თავში იყო ასული, რადგან სწორედ იქიდან ტოვებდა სული სხეულს. ჩემი მისვლისას, სული სხეულიდან თითქმის გასული იყო და მხოლოდ საკუთარი ენერგეტიკული ტერფებითღა იყო მასთან დაკავშირებული. ამის შემხედვარემ ყველაზე პრიმიტიული, მაგრამ გონივრული გადაწყვეტილება მივიღე: ხელებით ჩავაფრინდი ამ ენერგეტიკულ ტერფებს და სული ისევ სხეულში შევაბრუნე. ამის გაკეთება და ავადმყოფის გონზე მოსვლა ერთი იყო.

მოგვიანებით გავარკვიე, რომ მთელ ჩემს მანიპულაციებს თავად ავადმყოფიც თითქოს, ზემოდან, ჭერიდან აკვირდებოდა... ასე რომ, სული მატერიალურია, ოღონდ, ეს მატერიის სულ სხვა, ძალზე დახვეწილი და სამეცნიერო ტექნოლოგიებისთვის ჯერაც მიუწვდომელი სახეობაა“.

ერთხელ მკვლევრებმა სულის აწონა მოინდომეს. ამ მიზნით ამერიკელმა რეანიმატორებმა დაამზადეს სპეციალური მაგიდა, რომელიც ავადმყოფის უზუსტეს წონას აფიქსირებდა. დადგინდა, რომ ცოცხალი ადამიანის წონასა და კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი იმავე ადამიანის წონას შორის განსხვავება 30 გრამს შეადგენს.

მოჩვენებები სხეულდაკარგულები არიან, მათთვის არც მანძილი არსებობს და არც რაიმე წინაღობა. პროფესორ ვასილიევის წიგნში — „ფსიქიკის იდუმალი მოვლენები“ ერთი დოკუმენტური შემთხვევაა მოყვანილი.

1918 წელს ერთმა გიმნაზისტმა პეტროგრადიდან პროვინციაში, ნათესავებსა და საყვარელ გოგონასთან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მანამდე, ერთ ღამეს, ძილის წინ ძალიან ლამაზ კაბაში გამოწყობილი შეყვარებული გამოეცხადა. გიმნაზისტის თქმით, გოგონას ავადმყოფური და თითქმის იმქვეყნიური იერი ჰქონდა. ის ვაუს ალერსიანად, მაგრამ ძალიან სევდიანად დააკვირდა და შემდეგ, ჩაილაპარაკა: „არ არის ხრწნა“.

მეორე დღეს გიმნაზისტმა ნაცნობები შეკრიბა, მომხდარის შესახებ უამბო, შემდეგ ყველაფერი ფურცელზე გადაიტანა და ყველას ხელი მოაწერინა. მოგვიანებით, მან მიიღო დეპეშა, რომელიც გოგონას ტიფით გარდაცვალების შესახებ იუწყებოდა. გოგონას სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გვერდით ჰყავდა და, რომელმაც აღნიშნა, რომ გოგონამ სიკვდილამდე წარმოთქვა: — „არ არის ნეშტი, არ არის ხრწნა“.

მეორე მსგავსი შემთხვევა თავადური გვარის — შევიჩების გადმოცემებიდან გახდა ცნობილი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, შევიჩების ნათესავი ქალი პროვინციაში, ნაცნობებს ესტუმრა. მასპინძლები სოფლად, ახალშეძენილ სახლში ცხოვრობდნენ. სტუმარს ცალკე ოთახი გამოუყვეს და როცა ის დასაძინებლად ემზადებოდა, მოულოდნელად, კარი უცერემონიოდ გაიღო და ოთახში უბრალოდ ჩაცმული, ლამაზი ქალი შევიდა. მან გაოგნებულ სტუმარს ერთი შეხედა, შემდეგ სეკრეტერთან მივიდა და რაღაცას დაუწყო ძებნა, თუმცა საბოლოოდ, ოთახი ისე დატოვა, თან არაფერი წაუღია... მეორე დილით, საუზმის დროს, მასპინძლების თავაზიან კითხვას, — ღამე როგორ გაატარეთო? სტუმარმა უპასუხა: ასეთი გაუზრდელი მსახურების ყოლა ნამდვილად არ გეკადრებათო... — მოიცათ, — გააწყვეტინეს სტუმარს მასპინძლებმა, ბავშვები გავლენ და ყველაფერს აგიხსნითო. როცა ბავშვები სასადილო ოთახიდან გავიდნენ, სტუმარმა ასეთი ამბავი მოისმინა:

თურმე, ოდესღაც ეს სახლი ვაჭარს ეკუთვნოდა. ერთხელაც, ის შინ ნაადრევად დაბრუნდა და ცოლს საყვარელთან შეუსწრო. არავინ იცის, თუ რა დამართა ვაჭარმა საყვარელს, მაგრამ ცოლი კი სარდაფში ჩაათრია და ნიშაში ცოცხლად ჩაატანა. რამდენიმე დღის შემდეგ ვაჭარს

გარდაცვლილი ცოლი გამოეცხადა. მას ქმრისთვის სიტყვაც არ უთქვამს, იდგა და სევდიანად უყურებდა. ამის შემდეგ ვაჭარმა დანაშაული აღიარა და თავი კატორღაში ამოყო, მისი სახლი კი საჯაროდ გაიყიდა. ბოლოს, მასპინძლებმა სტუმარს გაუმხილეს: გარდაცვლილი ქალის სული როგორც ღამით, ისე დღისითაც ხშირად ჩნდება, მაგრამ არავის არაფერს უშავებსო...

ერთხელაც, ინგლისელებმა მოჩვენების ასაკის დადგენა გადაწყვიტეს. გაირკვა, რომ მისი საშუალო ასაკი 400 წელია. ამის შემდეგ ის სულ უფრო იშვიათად ჩნდება და ბოლოს, საერთოდაც ქრება.

ახალგარდაცვლილი ადამიანების სულები ხშირად, გარდაცვლილის წინაშე ბუნებრივი მოვალეობის მოხდის აუცილებლობის შესახსენებლად გვეცხადებიან, ზოგჯერ კი რაღაც კონკრეტულის შესატყობინებლადაც მოდიან. მაგალითად, ერთ ქალს ბებია მხოლოდ იმ ადგილის მისანიშნებლად გამოეცხადა, სადაც ძველებური ოქროს მონეტები ჰქონდა გადამალული...

თუმცა, არსებობს მეორე უკიდურესობაც — სპირიტიზმი, რომელიც ერთხანს, ლამის საყოველთაო გატაცებადაც იქცა. სხვათა შორის, ამ სფეროს კვლევით არაერთი ცნობილი მეცნიერიც (მენდელეევი, ბეხტერევი, ფროიდი და სხვები) იყო დაკავებული. მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები მაღალი სამეცნიერო დონითა და საფუძვლიანობით გამოირჩეოდა. ამ სფეროს კვლევის კლასიკოსის — დოქტორ რაინის ლაბორატორიაში ჩატარებულ ერთ-ერთ ექსპერიმენტს კი დღემდე, ჩიხში შეჰყავს ზოგიერთი მკვლევარი და ფილოსოფოსი.

დაუჯერებელი შემთხვევების რიგს მიეკუთვნება ორეულების გამოცხადებაც, რაც არცთუ იშვიათად მომხდარა. მაგალითად: ცნობილია, რომ ბევრს უნახავს ლონდონში მოსიარულე ლორდი ბაირონი მაშინ, როცა სინამდვილეში, ის საბერძნეთში იმყოფებოდა და ციებ-ცხელების შეტევით გატანჯული, ლოგინში უგონოდ იწვა; სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე,

ლენინმა ლამის, გული გაუხეთქა კრემლის დაცვის წევრებს, როცა იქ სრულიად მოულოდნელად და დაცვის გარეშე გამოჩნდა, დერეფნებში ხანგრძლივი უმიზნო ხეტიალის შემდეგ კი უკვალოდ გაქრა. ამ „გამოცხადებას“ ისეთი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რომ კრუპსკაია იძულებული გახდა, სასწრაფოდ შეეთხზა „მოგონებები“ კრემლში მეუღლის ბოლო მისვლის შესახებ. არადა, იმ მომენტისთვის ტირანი იმდენად დაუძლურებული იყო, რომ არათუ სიარული, დამოუკიდებლად ხელის ოდნავ აწევაც აღარ შეეძლო...

ერთხელ მოსკოველი მკურნალის — ბორის ივანოვის გარემოცვის რამდენიმე განსაკუთრებულად გაბედულმა გოგონამ ფრიად თავშესაქცევი ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. თავიდან გოგონები ჩვეულებრივი სპირიტიზმის სეანსით ერთობოდნენ, მაგრამ შემდეგ, ერთ-ერთ მათგანს ცოცხალი ადამიანების სულების, უფრო კონკრეტულად, თავად ბორის ივანოვის სულის გამოძახების იდეა გაუჩნდა. მას სხვებიც აჰყვნენ და საქმეს შეუდგნენ. ამ კამპანიაში ერთი ყველაზე გაბედული და ფიზიკურადაც კარგა გვარიანად მოსული გოგონა ლიდერობდა, ლამბაქსაც ის ატრიალებდა.

ბორის ივანოვის სული თავიდან კითხვებს საკმაოდ დალაგებულად პასუხობდა, მაგრამ შემდეგ, უცნაური რამ მოხდა — სულმა ჯერ აბდა-უბდა პასუხების გაცემა დაიწყო, შემდეგ კი, რაღაც ძალამ, გოგონების ასკილოგრამიანი ლიდერი სკამიდან წამოაგდო და იქვე მდგარ ბუფეტს მთელი ძალით მიანარცხა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სპირიტიზმის სეანსის დროს თავად ბორის ივანოვი მეტროთი მგზავრობდა, სადაც ჩათვლემაც მოასწრო და მხოლოდ მას შემდეგღა გამოერკვა, როცა ყურში იმ სადგურის სახელი ჩაესმა, სადაც უნდა ჩამოსულიყო. ამის გამგონე, სანახევროდ მთვლემარე ივანოვი დაფეთებული წამოხტა და ვაგონიდან გამოვარდნილმა პლატფორმაზე მოადინა ზღართანი.

ეს შემთხვევა იმის ნათელი დასტურია, რომ სპირიტისტული სეანსების დროს „მედიუმები“ გარდაცვლილი ადამიანების სულებთან იმდენად მჭიდრო კონტაქტში შედიან, რომ ზოგჯერ, მათთან მთლიანადაც კი იდენტიფიცირდებიან. ასეთი იდენტიფიკაცია კი ძალზე სახიფათოა, რადგან არავინ უწყის, თუ რა თვისებების მატარებელი შეიძლება იყოს გამოძახებული სული. მეტიც, ზოგჯერ ასეთ იდენტიფიკაციას აყოლილი ცნობისმოყვარე ადამიანები ჭკუიდანაც შეშლილან. თანაც, არც ისაა გამორიცხული, რომ გამოძახებული სულის ნაცვლად, ბოროტი ძალების მიერ შექმნილი, კონკრეტული ადამიანის სულის იმიტაცია გამოგეცხადოთ... როგორ განვასხვავოთ ერთი მეორისგან? — პირველი გადასახეთ მოჩვენებას და „მამაო ჩვენო“ წაიკითხეთ. თუ გაქრა, ბოროტი სულია, თუ არა და, შეგიძლიათ, კითხვები დაუსვათ...

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

თვალების ფერი და ჰეტეროქრომია

ზოგიერთ ადამიანს სხვადასხვა ფერის თვალი აქვს. მეცნიერები ამ მოვლენას ჰეტეროქრომიას ეძახიან და მას მელანინის სიჭარბით ან ნაკლებობით ხსნიან.

განსხვავებული ფერის თვალებით თეთრი ან ღია ნაცრისფერი ბეწვის მქონე, თურქული ვანისა და ანგორის ჯიშის კატები გამოირჩევიან, რომელთაც ერთი თვალი ღია თაფლისფერი, ყვითელი ან სალათისფერი, მეორე კი ცისფერი აქვთ.

ძაღლებს შორის სხვადასხვა ფერის თვალი ციმბირული ხასკის ჯიშის წარმომადგენლებს აქვთ.

ჰეტეროქრომია ცხენებშიც შეიმჩნევა. ცხოველს შეიძლება, ერთი თვალი ყავისფერი ან თეთრი, მეორე კი ნაცრისფერი ან ცისფერი ჰქონდეს.

სხვადასხვა ფერის თვალები ველურ ძროხებსა და აზიურ ხარებშიც შეიმჩნევა.

ადამიანებს შორის ყველაზე ცნობილი ჰეტეროქრომი ანუ სხვადასხვა ფერის თვალის მქონე ადამიანები ალექსანდრე მაკედონელი და მომღერალი დევიდ ბოუი იყვნენ.

არსებობს სამი სახის ჰეტეროქრომია: მთლიანი ანუ როცა ადამიანს სხვადასხვა ფერის (ვთქვათ, ერთი თაფლისფერი, მეორე — ცისფერი) თვალი აქვს; ნაწილობრივი — როცა ერთ თვალში ორი ფერი შეინიშნება; ცენტრალური — როცა შავი რგოლის გარშემო თვალი ვთქვათ, თაფლისფერია, ხოლო კიდისკენ განსხვავებული შეფერილობა აქვს. ■

კლეოპატრა — ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი

ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი პტოლომეუსების მაკედონური დინასტიის წარმომადგენელი გახლდათ, რომაელ მხედართმთავარ მარკუს ანტონიუსზე იყო შეყვარებული და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (თავი გველებს დააგესლვინა), რათა რომის იმპერატორ ოქტავიან ავგუსტუსის ტყვე არ გამხდარიყო.

პლუტარქეს ნაწერებიდან ირკვევა, რომ დედოფალი სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მომხიბვლელი, კარგი მოსაუბრე, ჭკვიანი, განათლებული ყოფილა და თურმე, რამდენიმე ენასაც ფლობდა. სხვა წყაროებშიც, კლეოპატრას, როგორც ჭკვიან ქალს, ისე მოიხსენიებენ და არა — როგორც ლამაზმანს. ათწლეულების შემდეგ, ერთმა რომაელმა ისტორიკოსმა კლეოპატრა სილამაზით კი არა, გარყვნილობით შეაფასა: „კლეოპატრა ისეთი გარყვნილი იყო, რომ მასთან გატარებული ღამის საფასურად, მამაკაცები თვითმკვლელობისთვისაც მზად იყვნენ“. კლეოპატრას პროფილი ეგვიპტურ მონეტებზეა გამოსახული. მას გამოწეული ნიკაპი, თხელი ტუჩები და პტოლომეუსების ჯიშისთვის დამახასიათებელი კეხიანი ცხვირი ჰქონია. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მარკუს ანტონიუსს ქალი სილამაზის კი არა, გონიერების გამო უყვარდა. ■

7 ახალი საოცრება

ძველი საოცრებებიდან მხოლოდ ეგვიპტის პირამიდებია შემორჩენილი. ამიტომაც, რამდენიმე ხნის წინ, 7 ახალი საოცრების შესარჩევად მსოფლიო მასშტაბის გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც სულ 90 მლნ ადამიანი მონაწილეობდა.

ახალ საოცრებებად დასახელდა: რომის კოლიზეუმი; ჩინეთის დიდი კედელი; ტაჯ-მაჰალი; კლდეში გამოკვეთილი ქალაქი პეტრა; რიო-დე-ჟანეიროს ქრისტეს ქანდაკება; ინდიელთა ქალაქი მაჩუ-პიკჩუ და მექსიკის ქალაქ ჩიჩენიცას მაიას პირამიდები.

► რომის კოლიზეუმის მშენებლობა იმპერატორ ვესპასიანეს დროს (ძვ.წ.აღ. 70 წელს) დაიწყო და ტიტუსის დროს დასრულდა. თავდაპირველად, შენობას ფლავიუსების ამფითეატრი ერქვა, რადგან იგი ფლავიების დინასტიის იმპერატორებმა ააგეს. 190-მეტრიან სიგრძისა და 156-მეტრიან სიგანის შენობაში 45-50 ათასი ადამიანი ეტეოდა. კოლიზეუმში ძირითადად, გლადიატორების ბრძოლები იმართებოდა.

► ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა ჩვენს ერამდე III საუკუნეში, დინასტია ცინის მმართველობის



დროს დაიწყო და დინასტია მინის დროს დასრულდა (იმპერატორთა დინასტია ჩინეთს 1368-1644 წელს მართავდა). 851 კმ-ზე გადაჭიმული კედელი სიგანით 800 მეტრია. საინტერესოა, რომ კედელზე განლაგებული ყველა სათოფური სამხრეთისკენაა მიშვერილი. ხიდზე ყოველწლიურად მარათონი — „დიდი ხიდი“ იმართება.

► ტაჯ-მაჰალი აგრაში, მდინარე ჯამნას ნაპირზე, შახ-ჯახანის ზეობის ხანაში აშენებული სიყვარულის მავზოლეუმია. თეთრი მარმარილოს (დღის შუქზე მარმარილო თეთრი ფერისაა, საღამო ხანს — ვარდისფერი, ხოლო მთვარიან ღამეში ვერცხლისფერი დაჰკრავს) შენობას ათასზე მეტი მშენებელი, 1632 წლიდან 1653 წლამდე აშენებდა. კედლები ფირუზით, აქატით, მალაქიტითა და სერდოლიკითაა მოპირკეთებული.

► სიტყვა „პეტრა“ კლდეს ნიშნავს. ქალაქი ზღვის დონიდან 900 მეტრზე მდებარეობს. პეტრას ერთ-ერთ მთაზე უდიდესი მონასტერია აგებული, მის კედლებზე კი ჯვრებია გამოსახული.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქ ადრე ქრისტიანული მონასტერი უნდა ყოფილიყო... პეტრაში გადაღებულია მრავალი ფილმი, მათ შორის, „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“ (რეჟისორი — სტივენ სპილბერგი), „არაბული ღამეები“ (რეჟისორი — სტივ ბარონი).

► რიო-დე-ჟანეიროს ქრისტეს ქანდაკების მრავალი ესკიზი არსებობდა, მაგრამ საბოლოოდ, ეიტორ და სილვას კოშტოის პროექტი დაამტკიცეს. ქანდაკების თავისა და ხელფეხის მოდელი ფრანგმა სკულპტორმა, პოლ ლანდოვსკიმ შექმნა. იგი კორკოვადოს აღმართზე დგას და მისკენ მიმავალ 220 საფეხურს ბრაზილიელები „კარაკოლს“ (ლოკოკინას) ეძახიან. მონუმენტი 1931 წელს გახსნეს. რიო-დე-ჟანეიროს სიმბოლო რომის პაპმა, პავლე VI-მ პირველად 1965 წელს აკურთხა, 50 წლის იუბილეზე კი — იოანე-პავლე II-მ.

► ინდიელთა ქალაქ მაჩუ-პიკჩუს „ქალაქს ზეცაში“ და „ინკების დაკარგულ ქალაქსაც“ ეძახიან. იგი ზღვის დონიდან 2450 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქალაქი ინკებით იყო დასახლებული, მაგრამ ტერიტორიაზე ესპანელი კონკისტადორების შეჭრის შემდეგ, მოსახლეობა სადღაც გაქრა.

► მაიას ტომის პირამიდები მექსიკის ქალაქ ჩიჩენიცაში, მექსიკის ნახევარკუნძულ იუკატაზე მდებარეობს. იგი ნაქალაქარად 1194 წელს იქცა. 9-საფეხურიან პირამიდას (სიმაღლით 24 მეტრია) კუკულკანას ტაძარსაც უწოდებენ. პირამიდის კიბე იმგვარადაა გამოთლილი, რომ შემოდგომისა (21 სექტემბერი) და გაზაფხულის (20 მარტი) ბუნიობაზე 37-მეტრიანი „მცოცავი“ გველის სილუეტი იქმნება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, პირამიდების გარდა, ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ჩიჩენიცას მეომართა ტაძარი, ბურთის სათამაშო 7 მოედანი (ყველაზე დიდი მოედნის სიგრძე 135 მეტრია), მსხვერპლშესაწირი 50-მეტრიანი ჭა, უამრავი ქანდაკება და სხვადასხვა ნივთი. ■

სასტიკი შარიათი

სომალიში, შარიათის კანონის მიხედვით, 48 წლის მოჰამედ იბრაგიმი გაასამართლეს. მას გასათხოვარ ქალთან სექსუალური კავშირი ედებოდა ბრალად, რის გამოც, ისლამისტმა მეომრებმა იგი ქვით ჩაქოლეს.

ცოტა ხნის წინ, შარიათის კანონის მიხედვით, სოფელ ვაჯიდში მცხოვრები, ქმარს გაყრილი ქალიც თანასოფლელების თვალწინ ჩაქოლეს, რადგან მას უცოლო კაცთან ჰქონდა რომანი. გასამართლებას ვერც მამაკაცი გადაურჩა — მას მათრახი 100-ჯერ შემოჰკრეს.



შარიათის კანონის მიხედვით, სასიყვარულო კავშირებში შემჩნეულ მოღალატე ცოლს ან ქმარს, ან სულაც, განქორწინებულ ადამიანებს ქვით ქოლავენ, დასაქორწინებლებს — ამათრახებენ. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

ახალი მოდელი პოლიციელთათვის

კომპანია „ფორდმა“ პოლიციელთათვის განკუთვნილი ახალი ავტომობილის პირველი ოფიციალური გამოსახულებები გამოაქვეყნა. იგი მოდელის — Taurus — ბაზაზეა აგებული და ლეგენდარულ „პოლის-ავტოს“ — Ford Crown Victoria — შეცვლის, რომელიც 17 წელია, ამერიკელი პოლიციელების შეუცვლელი ავტომობილია. პოლიციური Ford Taurus-ის ტექნიკური მაჩვენებლები ჯერჯერობით, უცნობია. წინასწარი მონაცემებით, ავტომობილი ორ ვერსიად გამოვა: წინაამძრავიანი ატმოსფერული, 3,5-ლიტრიანი „ექვსიანითა“ და 365 ცხ.ძ. სიმძლავრის ანალოგიური მოცულობის 6-ცილინდრიანი, Eco-Boost-ის აგრეგატებით. მანქანა შავი ფოლადის ბორბლების დისკებითაა აღჭურვილი. შესაძლოა, სიახლე გაგრილების უფრო სრულყოფილი სისტემითა და მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმებითაც დაკომპლექტდეს. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, ახალი „პოლის-ავტოს“ შემუშავებაში სპეციალური სადამკვირვებლო საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ვიქტორია“ უკვე „მობერდა“, პოლიციის ავტოფარეხების მმართველები მიიჩნევენ, რომ Crown Victoria მეტად შეესაბამება პოლიციის მოთხოვნებს, ვიდრე Taurus. მათი აზრით, „ვიქტორია“ უფრო გამძლე, საიმედო და ადვილად მოსავლელია. აშშ-ის პოლიცია, წელიწადში დაახლოებით, 75 ათას სპეციალურ ავტომობილს ყიდულობდა, რომელთა დიდ ნაწილს Crown Viqtoria წარმოადგენდა. ამ მოდელის წარმოების შეწყვეტას კომპანია Ford 2011 წლის სექტემბერში აპირებს. ■

შეთანხმება ელექტროავტომობილების მწარმოებლებს შორის

„ნისანი“ და „ტოიოტა“ იმ ავტომწარმოებელთა ჯგუფს შეუერთდა, რომელიც ელექტრომობილებისა და ჰიბრიდების დასატენი სპეციალური სადგურებისთვის ერთიან მოთხოვნებს შეიმუშავებს. ადრე ამ ჯგუფს კიდევ ორი მსხვილი იაპონური ბრენდი — Mitsubishi Motors და Fuji Heavy Industries შეუერთდა. ამ ჯგუფს კომპანია Tokyo Electric Power ხელმძღვანელობს, რომელმაც უკვე, 1000-ზე მეტი „ელექტროგასამართი“ და ბატარეების სწრაფი დატენის დაახლოებით, 150 სადგური ააგო. მომავალში ამ ჯგუფს კიდევ 158 კომპანია და სამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდება. „ჩვენ შეიძლება, კონკურენტები ვიყოთ, როდესაც ლაპარაკია ჩვენს ავტომობილებზე, მაგრამ აუცილებელია თანამშრომლობაც, როდესაც ისეთ თემებს ვეხებით, როგორიცაა ინფრასტრუქტურა“, — განაცხადა Nissan-ის ოპერაციების დირექტორმა, ტოსიუკი სიგამ. შეგახსენებთ, 2010 წელს კომპანია ბაზარზე Nissan Leaf-ის გაყვანას აპირებს, რომელიც იაპონიაში, ევროპასა და აშშ-ში გაიყიდება. ასეთი ავტომობილის სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად იაპონურ ავტომწარმოებელს 1,4 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია ესაჭიროება. მოდელი Leaf, რომელიც მხოლოდ ელექტროამძრავებით გადაადგილდება, ლითიუმ-იონური ბატარეებით მკვებავი და წინა ბორბლების მოძრაობაში მომყვანი 109 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომოტორითაა აღჭურვილი. მისი სვლის თადარიგი დაახლოებით, 160 კმ-ია, ხოლო ჩვეულებრივი დენის წყაროდან აკუმულატორების სრულ დატენას დაახლოებით, 8 საათი ესაჭიროება. Leaf-ის მაქსიმალური სიჩქარე 140 კმ/სთ-ია. ■

მომავალი თაობის სედანი „კიასაგან“

კომპანია „კიამ“ მომავალი თაობის სედანის — Magentis — ოფიციალური ფოტოები გაავრცელა. ეს ავტომობილი აპრილის დასაწყისში, ნიუ-იორკის ავტოსალონზე იქნება წარდგენილი. მანქანის ექსტერიერი

მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული, რომელიც Kia-ს შეფ-დიზაინერმა, პიტერ შრეირმა შეიმუშავა, ხოლო მის შექმნაზე გაწეული სამუშაოების შეჯამება ფრანკფურტში მდებარე ბრენდის შტაბ-

ბინაში მოხდა. წინასწარი მონაცემებით, მომავალი თაობის სედანი Kia აგენტის ახალი Hyundai Sonata-ს პლატფორმაზე აიგება და თავისი გაბარიტებით, სალონსა და საბარგულში არსებული თავისუფალი სივრცით წინამორბედსა და კონკურენტებზე საგრძნობლად დიდი იქნება. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალი Magentis-ისთვის სედანის — Hyundai Genesis — უკანაამძრავიან პლატფორმას გამოიყენებენ. სავარაუდოდ, Kia Magnetis ბენზინისა და დიზელის 2-ლიტრიანი ძრავებით გაიყიდება. სამხრეთ კორეაში ახალი Magentis მიმდინარე წლის ბოლოდან გამოჩნდება, ევროპაში კი მისი შეძენა 2011 წლიდან იქნება შესაძლებელი. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

დუდიკვათას ლეგენდა ანუ ქრისტიანობისთვის თავდადებულნი

1456 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს — ბიზანტიის იმპერიას მოუღო ბოლო. ამ მოვლენამ ევროპაში დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს შეუწყო ხელი, საქართველოსთვის კი საბედისწერო აღმოჩნდა, რადგანაც 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი დაიკავეს და ამის შემდეგ პრეტენზიები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზეც წამოაყენეს... მიუხედავად ყველაფრისა, ოსმალებმა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი XVII საუკუნის II ნახევარში — ტრაპიზონის აღებიდან 200 წლის შემდეგ დაიპყრეს.

დუდიკვათას მთაზე მოწყვეტილ წმინდა მოწამეთა ხატი

„გვირჩევნია, თავი მოგვჯვეთონ, ვიდრე მუსლიმანები გავხდეთ"

მიხეილ ლაბაძე

1461 წელს ოსმალთაგან ტრაპიზონის დაკავება, უპირველეს ყოვლისა, იმის ნიშანი იყო, რომ შუა აზიის ტრამალებიდან წამოსული დამპყრობლები, რომლებმაც ბიზანტიის იმპერიას ხელის ერთი მოქნევით მოუღეს ბოლო, ქართულ სამეფო-სამთავროებსაც ჩაყლაპვას უპირებდნენ. ტრაპიზონის იმპერია, რომელიც თავის დროზე თამარ მეფის ძალისხმევით შეიქმნა, ჩვენსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ბუფერულ ზონას წარმოადგენდა, რომლის არსებობაც ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერის ერთ-ერთი გარანტი იყო. ამიტომაც, ოსმალების მიერ მისმა დაპყრობამ, ბუნებრივია, საფრთხე შეუქმნა ყველა ქართულ სამეფო-სამთავროს დამოუკიდებელ არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად ერთიანი აღარ იყო, ქართველი ერი ერთიან თვითაღქმას მაინც ინარჩუნებდა — ყველა ქართული სამეფო-სამთავროს მცხოვრები თავს ქართველად აღიქვამდა და საკუთარ სამშობლოდ მთლიან საქართველოს მიიჩნევდა — ანუ იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარება ქართველთა ეთნოფსიქოლოგიაზე გავლენას ვერ ახდენდა. ერის ერთიანობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამსახურება გახლდათ — იმ ავბედით ეპოქაშიც, ქართულ ეროვნულ ფასეულობათა აქტიურ დამცველად ეკლესია გვევლინებოდა. სწორედ ამიტომ, საქართველოში მოსული ყველა დამპყრობელი ცდილობდა, ქართული ეკლესიისათვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა.

ოსმალები, რომლებიც ბიზანტიის ტერიტორიაზე XI საუკუნიდან გამოჩნდნენ, ხოლო XIV საუკუნიდან შესამჩნევად მოძლიერდნენ, ისლამს აღიარებდნენ; ამასთან, სხვა რელიგიების მიმართ შეუწყნარებლობას ნაკლებად იჩენდნენ: კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, როდესაც ბიზანტიის იმპერიამ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა, ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ დამპყრობელმა საგანგებო ფირმანით ბერძნებს თვითმმართველობაც კი მიანიჭა — ბერძნულ თემთა უმაღლეს მმართველად კონსტანტინოპოლის პატრიარქი გამოცხადდა, რომელიც თავის მხრივ, სულთნის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ამრიგად, ბიზანტიის იმპერიის ძირითადმა მოსახლეობამ, ასე თუ ისე, რწმენის შენარჩუნება შეძლო, მაგრამ სახელმწიფოებრიობა დაკარგა. ხსენებული ფირმანის ძალით, ბერძნულენოვან ქრისტიანებს მთელ იმპერიაში აღარ ერჩოდნენ. ამით მეჰმედ II-მ საკუთარი სახელმწიფოს მომავალი ძლიერებაც უზრუნველყო, რადგანაც შემდგომი დაპყრობებისას, მას ზურგში დარჩენილი ბერძნების აჯანყების შიში არ ექნებოდა.

ბერძნული ეკლესიისაგან განსხვავებით, ქართულ ეკლესიას ოსმალები იმთავითვე მტრულად უმზერდნენ, რადგანაც იგი ქართველ საერო ხელისუფალთა აქტიური მხარდამჭერი იყო და ქართულ ეროვნულ ინტერესებს არ თმობდა. გარდა ამისა, ეკლესია თავადვე წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს; ამიტომ ოსმალთა უპირველესი ამოცანა სწორედ ქართული ეკლესიის უკიდურესი დასუსტება იყო, რასაც შემდგომში ქართული სამეფო-სამთავროების სრული ანექსია მოჰყვებოდა.

XVI საუკუნის განმავლობაში ოსმალები აქტიურად უტევდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს — 1543 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი, მხედართმთავარ მუსტაფა-ფაშას სარდლობით, სამცხეში შემოვიდა. მათ განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს სამცხის სამხრეთი ნაწილი — ტაო, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც კარგაქში გაიმართა, ქართულმა ჯარმა (იმერთა მეფე ბაგრატ II-ის მეთაურობით) ოსმალეთის 22-ათასიანი ლაშქარი მთლიანად გაანადგურა. ამის შემდეგ, 1545 წელს სულთანმა სულეიმან II-მ საქართველოს წინააღმდეგ კვლავ დაძრა ლაშქარი — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ განაპირა მხარეს, ბასიანს მთელი ანატოლიის გაერთიანებული სამხედრო ძალები შემოესივნენ. ქართველები, იმერთა მეფე ბაგრატ II-ისა და ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის მეთაურობით, მტერს მიეგებნენ და ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს. მიუხედავად იმისა, რომ ბასიანის ბრძოლაში ოსმალებმა ქართველებზე ოთხჯერ მეტი მებრძოლი დაკარგეს, გამარჯვება მაინც მათ დარჩათ — ბასიანში ქართველთა მარცხმა ოსმალებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასამკვიდრებლად გზა გაუხსნა.

1547 წელს ოსმალები ჭანეთს ანუ ლაზეთს შეესივნენ — ეს მხარე მაშინ გურიის სამთავროს ნაწილი იყო და თავისებური რელიეფის გამო, ძალზე ძნელი დასაპყრობი გახლდათ. ოსმალებმა მას ორი მიმართულებით შეუტიეს: ხმელეთიდან ჭანეთის დასავლეთი თემები — ოფი და რიზე დაიკავეს, ხოლო ზღვიდან ბათუმ-გონიოს მახლობლად გადასხდნენ და იქ ციხის აშენებას შეუდგნენ. „მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა და მიუღეს გურიელსა ჭანეთი, დაუწყეს შენება ციხესა ბათომს..." — ნათქვამია ამის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში. ამრიგად, ოს-

მალებმა ჭანეთი სრულ იზოლაციაში მოაქციეს და ფაქტობრივად, ეს მხარე დანარჩენ საქართველოს მოსწყვიტეს. გურიელმა ოსმალები ბათუმიდან კი გარეკა, მაგრამ გონიოს ციხეს

ოსმალთა შემოსევა ჭანეთში. ცნობილი ჭანი მხატვრის, ხასან ჭელიმიშის (1907-1976) ნახატი

ვერაფერი მოუხერხა და იძულებული გახდა, ოსმალთა იქ ყოფნას შერიგებოდა.

ამგვარად, XVI საუკუნის შუა ხანებში ჭანეთი (ლაზეთი) სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან იზოლირებული იყო, მაგრამ უშუალოდ ოსმალეთის შემადგენლობაში არ შედიოდა — ოსმალეთი ცდილობდა, ამ მხარის დასამორჩილებლად ნაკლები სამხედრო ძალა გამოეყენებინა: ოსმალო სარდლების გაანგარიშებით, ჭანეთის აღებას დაახლოებით, 400 ათასამდე კაცი ესაჭიროებოდა, ე.ი. იმაზე ხუთჯერ მეტი, ვიდრე კონსტანტინოპოლის ასაღებად დასჭირდათ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ჭანეთი მთაგორიანი მხარე გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ ზღვაზე გასასვლელი ჰქონდა, იქ, გონიოს გარდა, არც ერთი დიდი ნავსადგური არ არსებობდა; ცუდ მდგომარეობაში იყო გზებიც. ამავდროულად, ჭანები, როგორც საუკეთესო ზღვაოსნები და მძვინვარე მეკობრეები, საყოველთაოდ ცნობილნი იყვნენ.

ჭანები ანუ ლაზები (ეს სახელწოდება საყოველთაოდ, ოსმალთა დაპყრობების დროიდან გავრცელდა), როგორც საქართველოს განაპირა მხარის მცხოვრებნი, გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ — მათ შორის თითქმის ყველა თანასწორი იყო; არ არსებობდნენ თავადები, მაგრამ იყვნენ აზნაურები, რომლებიც გლეხებისგან ოდნავ თუ განსხვავდებოდნენ. მოკლედ, ჭანეთში სწორედ ისეთივე წყობა არსებობდა, როგორიც მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში. ჭანეთი ექვს თემად ანუ ხევად იყოფოდა და მათ ხევისთავები, ხალხთან ერთად მართავდნენ. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ლაზეთი გურიის სამთავროს ჩამოაცილეს, აქაურმა მმართველებმა, რომელთაც ოსმალები „დერებეგებს“ ეძახდნენ, მეტი უფლებები მოიპოვეს ისე, რომ სულთნის უზენაესობა არც კი უცნიათ — ოსმალეთის უმაღლესი მესვეურები ამაზე თვალს ხუჭავდნენ მანამ, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მთლიანად არ ჩაიგდეს ხელში და იქ თავიანთი პოზიციები არ გაიმყარეს. XVI საუკუნის ბოლოს კი, როცა ოსმალეთმა ასე თუ ისე, ქართულ სამეფო-სამთავროთა წინააღმდეგობა დასძლია, სიტუაცია ჭანეთშიც გართულდა.

საერო ხელისუფლების უაღრესი შესუსტების მიუხედავად, ჭანეთში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი მაინც იჯდა — ეს მხარე ჭანეთის ანუ „ლაზიის“ სამიტროპოლიტოს შეადგენდა, რომლის ცენტრიც ქალაქი სატრაპელა (ამჟამინდელ ოფი რიზესა და ტრაპიზონს შორის) იყო; სხვათა შორის, იქ სამღვდელმთავრო კათედრა წმინდა ნინომ დააარსა და შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად გაემართა. XVII საუკუნის 40-იანი წლებისთვის ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე გახლდათ, რომელსაც პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ჭანეთის საერო ცხოვრებაში ჩარევა ხშირად უწევდა, რათა მომძლავრებული ოსმალებისათვის ამ კუთხის საბოლოო ანექსიის საშუალება არ მიეცა. თავის მხრივ, ოსმალები განუწყვეტლივ ცდილობდნენ, მიტროპოლიტი ჭანეთიდან განედევნათ — იგი, როგორც მღვდელმთავარი, სამართლიანად აღიქმებოდა ქართულ სამეფო-სამთავროთა ანტიოსმალური პოლიტიკური კურსის მხარდამჭერად.

ამრიგად, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ჭანეთში ანუ როგორც მას ოსმალები უწოდებდნენ — ლაზისტანში არსებობა უმძიმეს პირობებში უხდებოდა. ოსმალთა შემოსევების შედეგად ნადგურდებოდა მოსახლეობა, გამოუსწორებელი ზიანი ადგებოდა მთელ კუთხეს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ასეთ ფონზე, მიტროპოლიტმა გერმანემ გადაწყვეტილება მიიღო, მოკავშირეები რუსეთში ეძებნა — 1646 წელს იგი მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის მეფეს, ალექსეი მიხაილოვიჩს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. რუსული წყაროების თანახმად, მიტროპოლიტი გერმანე ყოველთვის უსვამდა ხაზს იმას, რომ ჭანეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხე იყო — რუსეთის მეფეს ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გასაჭირი მაინცდამაინც არც ადარდებდა და ჭანეთის საქართველოსადმი კუთვნილებაში „ეჭვი ეპარებოდა“; მიტროპოლიტი გერმანე მალევე მიხვდა, რომ რუსეთში მისი წამოსვლა გამოუსწორებელი შეცდომა იყო — იმხანად, მოსკოვში ოსმალებთან დაპირისპირებისაგან თავს იკავებდნენ, ჭანეთში კი ტრაპიზონიდან მომავალ მრავალრიცხოვან ლაშქარს ელოდნენ...

ოსმალეთის სულთანი იბრაჰიმ I „შლეგი“ (1640-1648), რომელიც წინამორბედებთან შედარებით, ნაკლები გამჭრიახობით და მეტი ძალით გამოირჩეოდა, ქართველი მღვდელმთავრის რუსეთში წასვლამ ძალიან შეაშფოთა. სულთანმა მაშინვე საგანგებო ფირმანი გამოსცა, რომლის თანახმადაც, ქართული ეკლესია ოსმალეთისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე უკანონოდ ცხადდებოდა. ამასთან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეთა მმართველები ვალდებულნი იყვნენ, ფირმანზე მოეწერათ ხელი — ამით ისინი ფორმალურად მუსლიმანებად ჩაითვლებოდნენ და არაფერი დაუშავდებოდათ; მათ კი, ვინც ხელის მოწერაზე უარს იტყოდა, თავის მოკვეთა ელოდა. იბრაჰიმ I-ის ფირმანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონის ფაშამ ჩაიტანა. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი უსისხლოდ გადაწყდებოდა.

ქართველ დიდებულთა უმეტესობა ფირმანზე ხელმოწერას იძულებით დათანხმდა, რათა ოსმალებისაგან ხელშეუხებლობის გარანტია მიეღო; მათ შორის გამონაკლისი ჭანეთის ექვსივე ხევისთავი აღმოჩნდა, რომლებმაც არათუ ხელმოწერაზე თქვეს უარი, არამედ მათთან მისული ტრაპიზონის ფაშაც შეიპყრეს, ფირმანი ძალით გადააყლაპეს და მაღალი კლდიდან ზღვაში გადააგდეს. ჭანებმა ფაშას ამალაც გაწყვიტეს და ამბის მიმტანად მხოლოდ ერთი კაცი დატოვეს ცოცხალი, რომელსაც უბრძანეს, უშუალოდ კონსტანტინოპოლში ჩასულიყო და სულთნისთვის პირადად გადაეცა ჭანების ნათქვამი: „ჩვენ ქრისტიანებად დავიბადეთ და ქრისტიანებად მოვკვდებით, მამაპაპისეული რჯულის შეცვლას ვერავინ გვაიძულებს!“

ჭანების შემონათვალმა იბრაჰიმ I ჯერ გააოგნა, მერე კი გააცოფა — სულთანს ვერ წარმოედგინა, თუ ყოველი მხრიდან ოსმალთა სამფლობელოებით გარშემორტყმულ ჭანეთში ვინმე ურჩობას გაუბედავდა. ამავდროულად, მას ისიც მოახსენეს, რომ მიტროპოლიტი გერმანე მოკავშირეთა მოსაძებნად რუსეთში იმყოფებოდა. სულთანმა მიიჩნია, რომ ჭანეთის ხე-

ვისთავები დღე-დღეზე, რუსული ჯარების ჩამოსვლას ელოდნენ და იმიტომაც იყვნენ დიდ გულზე. ჭანთათვის სამწუხაროდ, სულთნის კარზე მათი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეფასდა და გადაწყდა, „ლაზისტანის საკითხი“ ერთხელ და სამუდამოდ, ძალისმიერი მეთოდით გადაეჭრათ.

1647 წლის გაზაფხულზე ოსმალთა 30-ათასიანი მხედრობა ჭანეთში რიზეს მხრიდან შემოიჭრა; ამავდროულად, ერთი ამდენი მებრძოლი ზღვით გონიოში გადასხდა და ჭანებს იქიდან შეუტია. ოსმალებმა მოულოდნელი შემოტევის შედეგად ლაზეთის ყველა ზღვისპირა პუნქტის დაკავება შეძლეს. ჭანებმა მთებისაკენ დაიხიეს, მაგრამ აქაც მარცხი ელოდა — კლარჯეთსა და ტაოში გადასასვლელ გზებსაც ოსმალები აკონტროლებდნენ. საბოლოოდ, ჭანეთის ექვსივე თემში წინააღმდეგობა შეწყდა და ოსმალებმა ყველა ხევისთავს მოჰკვეთეს თავი; ჯერი უბრალო მოსახლეებზე მიდგა, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა, რჯულის შეცვლაზე კვლავაც, სასტიკ უარს აცხადებდნენ.

ჭანეთში დატრიალებული უბედურების თაობაზე რუსეთიდან მომავალ მიტროპოლიტ გერმანეს ყველაფერი გზაშივე შეატყობინეს; მღვდელმთავარი იძულებული გახდა, თავი გურიისთვის შეეფარებინა — ჭანეთში ჩასვლის შემთხვევაში, მას უეჭველი სიკვდილი ელოდა, რაც ჭანებს სულიერად გატეხდა. თუმცაღა, მიტროპოლიტ გერმანეს ჩამოუსვლელობით ოსმალებმა მაინც ისარგებლეს და ხმა გაავრცელეს, რუსეთიდან მომავალი მღვდელმთავარი გზაში დაიღუპაო. ამავდროულად, ჭანეთში მყოფ სასულიერო პირებს უბრძანეს, ქრისტეს რჯული უარეყოთ და ისლამი მიეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას თავის მოკვეთით დაემუქრნენ.

ჭანეთის ხოფის თემში — დღევანდელი თურქეთის ჰოფის ილჩეში — სოფელ აზლაღასა (თურქ. — ესენკიი) და სოფელ ლიმანს (თურქ. — ლიმან) შორის, ერთ მაღალ მთაზე იმხანად მამათა დიდი მონასტერი მდებარეობდა, მის ქვემოთ, ლიმანში კი აშენებული იყო ჭან აზნაურთა — ნარაკიძეთა საგვარეულო ეკლესია. აზლაღას ტერიტორიაზე მაშინ არავინ სახლობდა, რადგან ეს მიწები მონასტრისა იყო; აზნაური ნარაკიძეებიც ამ მონასტრის ყმებად მიიჩნეოდნენ. 1647 ან 1648 წელს ოსმალები აქაც მოვიდნენ, ბერები მონასტრიდან გარეთ გამოიყვანეს და უბრძანეს, ჯერ თვითონ მიეღოთ ისლამი, მერე კი ადგილობრივ ერისკაცთათვის ექადაგათ ახალი რელიგია. ასეთივე მოთხოვნა წაუყენეს ლიმანის ეკლესიის მღვდელსა და დიაკვანს. აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფერს უშუალოდ სოფელ ლიმანის მცხოვრებლებიც — დაახლოებით, 300-მდე კაცი ესწრებოდა.

ოსმალთა მუქარის მიუხედავად, სასულიერო პირები არ გატყდნენ და რჯული არ უარყვეს: „გვირჩევნია, თავი მოგვკვეთონ, ვიდრე მუსლიმანები გავხდეთ და ქვეყანაზე შერცხვენილებმა ვიცხოვროთ!“ — მტკიცედ განუცხადეს მათ მომხდურებს. ოსმალებმა საპასუხოდ მონასტრის წინამძღვარი იქვე, ქარაფზე მიაყენეს და თავის მოკვეთის წინ, კიდევ ერთხელ, საბოლოოდ მოსთხოვეს ქრისტეს რჯულის უარყოფა. წინამძღვარმა კვლავ იუარა. წამში, მისი თავი და ტანი ცალ-ცალკე გადაეშვა ზღვაში.

ამ ყველაფერს ბერებიც და ერისკაცებიც მდუმარებით შეხვდნენ, ოსმალებმა კი თავის მოსაკვეთად მორიგი მსხვერპლი გაიყვანეს, მაგრამ ქრისტეს რჯული არავის უარუყვია. ამგვარად, მამათა მონასტრის ყველა ბერს მოაჭრეს თავი და მთიდან ზღვაში გადააგდეს, ხალხიც თანდათანობით შეძრწუნდა. ამასობაში, ლიმანის ეკლესიის მღვდელსაც მიადგნენ — გადმოცემით, მას ბევრი შვილი ჰყავდა და სოფელშიც ყველა დიდ პატივს სცემდა; ოსმალებმა მღვდელი ქარაფისკენ წაათრიეს, მაგრამ მათ წინ ადგილობრივი მცხოვრები, ვინმე კოსტა ნარაკიძე გადაუდგა — მან ოსმალებს შესთავაზა, მღვდელი გაეშვათ და თავი მისთვის მოეჭრათ.

ოსმალები ამ თხოვნამ დიდად გააოცა, თუმცა მღვდლის გაშვებაზე იმ პირობით დათანხმდნენ, თუ სანაცვლოდ, კოსტა ნარაკიძე საკუთარ შვილებს სულთანს, იენიჩრებად გაუგზავნიდა. კოსტამ მაშინვე, უყოყმანოდ გამოუყვანა ოსმალებს შვილები, იმათ კი მღვდელი ზღვის სანაპირომდე ჩაიყვანეს, ოჯახითურთ ნავში ჩასვეს და საქართველოსკენ გამოისტუმრეს. როცა ნავი თვალს მიეფარა, კოსტა ნარაკიძემ ყველას გასაგონად თქვა: „შემირცხვენია ისეთი მამა, შვილებს მტერს რომ ჩაუგდებს ხელში!“ — თან, ხანჯალი იშიშვლა და ოსმალთა მეთაურს გულში ჩასცა. დანარჩენმა ოსმალებმა კოსტა იქვე აკაფეს, მაგრამ მისმა შვილებმა გაქცევა და მიმალვა მოასწრეს.

გამძვინვარებული ოსმალები ახლა სხვებს მისდგნენ — ყველა მათგანი ქარაფთან მიაყენეს და უბრძანეს, თუ სიკვდილი არ სურდათ, სამჯერ ეთქვათ: „პაპი ლა!“ (არაბულად: „მღვდელი არ არსებობს!“), ხოლო ვინც ამას არ იტყოდა, თავმოკვეთილი ბერების ხვედრს გაიზიარებდა. გადმოცემით, „პაპი ლა!“, რაც ქრისტიანობის უარყოფის ტოლფასი იყო, მხოლოდ ოთხმა კაცმა წარმოთქვა, დანარჩენებს კი თავები მოჰკვეთეს...

ოსმალეთის სულთანი იბრაჰიმ I „შლეგი“

შემდგომში იმ მთას, რომლის კალთებზეც ეს ყველაფერი მოხდა, „დუდიკვათა“ — „თავის კვეთის ადგილი“ ეწოდა. ჭანთა ანუ ლაზთა ხსოვნაში კი სამუდამოდ დარჩა ქრისტეს რჯულის ერთგულ მოწამეთა ამბავი, რომლებმაც შერცხვენილ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩიეს. აქაურები თაობიდან თაობას გადასცემდნენ დუდიკვათას ლეგენდას, რომელმაც დროთა განმავლობაში მისტიკური ელფერიც კი მიიღო.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ ჭანეთიდან ლტოლვილმა მღვდელმა და მისმა ოჯახმა მშვიდობიანად ჩამოაღწიეს სამეგრელოში — XVII საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფელ ნოსირში მცხოვრები აზნაური ნორაკიძეები ადგილობრივ მონასტერს ყმად გაუხდნენ ისევე, როგორც ადრე, მათი წინაპრები იყვნენ. ჭანეთში კოსტა ნარაკიძის ერთმა შვილმა, რომელიც აზლაღაში დარჩა, კოსტ-ოღლის გვარი მიიღო, მეორე კი სარფში გადავიდა და ჭროღა თვალების გამო ჩაქირ-ოღლი (თურქ. „ჩაქირ“ — ჭროღათვალება) ეწოდა. მოგვიანებით, მისმა შთამომავლებმა ძველი გვარი — ნარაკიძე — აღიდგინეს.

2003 წლის 18 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა დუდიკვათას მთაზე წამებული ჭანები წმინდანებად შერაცხა და მათი ხსენების დღედ 12 მაისი დაადგინა.

როგორ გავუმკლავდეთ საგაზაფხულო დეპრესიას

თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შინაგან დისკომფორტს განიცდით, თვალები ძველებურად აღარ გიბრწყინავთ, შესაძლებელია ეს ჩვეულებრივი, საგაზაფხულო დეპრესია იყოს. უწინდებურად ლამაზი, ჯანმრთელი და ენერგიული რომ იყოთ, გირჩევთ, კვირაში ერთხელ მაინც განტვირთვის დღე მოიწყოთ...

დასაწყისისთვის ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, ნებისმიერი კენკრა, სტაფილო, კომბოსტო, კამა, ნიახური და პიტნა მოიმარაგეთ. უარი თქვით ყავასა და სიგარეტზე, რა თქმა უნდა, ალკოჰოლურ სასმელზეც.

საუზმედ მიირთვით ერთი ჭიქა ფორთოხლის, ვაშლის ან გრეიპ-ფრუტის წვენი. თუ ცხელი სასმელი გირჩევნიათ, მაშინ პიტნის ნაყენი თაფლით ან ნახევარი ლიმონის წვენით გაზავებული 1 ჭიქა ცხელი წყალი დალიეთ. შუადღემდე, შიმშილის დასათრგუნავად, იმყოფინეთ ერთი-ორი ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი; სადილად კი — ახალი ხილისა და ბოსტნეულის შემდეგნაირად მომზადებული სალათა მიირთვით: ვაშლი, გახეხილი სტაფილო, კომბოსტო, ფორთოხალი ან ბანანი შეანელეთ ლიმონის წვენითა და ერთი ს/კ მცენარეული ზეთით. სალათას უხვად მოაყარეთ მწვანილი.

5 საათისთვის კვლავ მიირთვით პიტნის ნაყენი თაფლით ან ლიმონის წვენით; ვახშმად კი იმ ხილ-ბოსტნეულისგან მოამზადეთ სალათა, რომელიც უფრო მეტად მოგწონთ.

ძილის წინ მიიღეთ ბალახეული ჩაი თაფლით.

ამ პროცედურის შემდეგ, თქვენი სხეული ინტენსიურად გაიწმინდება ტოქსინებისა და წიდებისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეგნული ეფექტი თვალში საცემი გახდება. ნუ დაიზარებთ და გაიკეთეთ სახის კანის ნიღაბიც, საღამოს კი თბილი აბაზანა მიიღეთ, რომელშიც ჭინჭრის ან გვირილის ნახარშს ჩაუმატებთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, ქუჩაში მიმავალს ბევრი აღფრთოვანებულ მზერას გაგაყოლებთ, თვალებიც უწინდებურად აგიციმციმდებათ და დაღლილობის გრძნობა სადღაც გაქრება. ■

რატომ არ უყვართ მამაკაცებს ჭკვიანი ქალები

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მამაკაცთა უმრავლესობა ჭკვიან ქალებს ერიდება, სულელებს კი უკეთ ეგუება.

მაინც რა განსხვავებაა ჭკვიან და სულელ ქალს შორის?

სულელი, როგორც წესი, ბუნებრივად მიმზიდველია და შეუძლია, ცხოვრების დინებას მიჰყვეს. ჭკვიანი ქალი კი გარეგნობით ნაკლებად მანიპულირებს და წინა პლანზე პიროვნულ ღირსებებს წამოსწევს.

სულელს უღირს საქციელსაც კი მიუტევებენ, ამბობენ, — უნებლიეთ, სისულელით მოუვიდაო. ჭკვიანს შეცდომებს არასოდეს აპატიებენ.

სულელი უსიამოვნო სიტუაციებს ოსტატურად არიდებს თავს და რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ერთადერთ სწორ გზას პოულობს. ჭკვიანი კი იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვას, ყველა ნაბიჯს ასჯერ აწონ-დაწონის, ამასობაში კი ხშირ შემთხვევაში გაუგებარ სიტუაციებსა და ინტრიგებში ეხვევა, თანაც სერიოზულად და ხანგრძლივად.

სულელი იღბლიანია — წარმატებით თხოვდება და ბედნიერადაც ცხოვრობს — რადგან მზად არის, ყველაფერი მოითმინოს. ჭკვიანი ცხოვრებაში თვითდამკვიდრებას ცდილობს და ქორწინებაში მთავარ კრიტერიუმად ქმრის პატივისცემას მიიჩნევს.

სულელს ყველა კითხვაზე მზად აქვს პასუხი, მას არ ღრღნის ეჭვები და მუდამ დარწმუნებულია თავის განუმეორებლობაში. ჭკვიანს კი ხშირ შემთხვევაში, თავდაჯერებულობა აკლია და საკუთარ შესაძლებლობებშიც ეჭვი ეპარება.

სულელი პრობლემების გაჩენისას იბნევა, ბედზე ჩივილს იწყებს და ცრემლებს აღვარღვარებს. მის მიმართ გარშემო მყოფები სიბრალულით ივსებიან და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან. ჭკვიანი არასდროს ტირის, ცდილობს, სირთულეებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს.

სულელი, როგორც წესი, მშვენივრად გამოიყურება, სილამაზის სალონში ბევრ დროს ატარებს და საყვარელს თუ მეუღლეს სიამოვნებით ყვლეფს. ჭკვიანი პრაქტიკულია, იცის ფულის ყადრი, არასდროს ფლანგავს მას და ხშირად, საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს ეუბნება.

როგორც ჩანს, სულელს მართლაც უმართლებს და ცხოვრებაც ეიოლება. მაგრამ ჭკვიან ქალს ერთი დიდი უპირატესობა აქვს: მას ყოველთვის ეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ სულელის ნიღაბაფარებულმა მთელი ცხოვრება ბედნიერად გაატაროს, სულელს კი ეს არასდროს გამოუვა. ■

როგორ მოვუაროთ მშრალ და ცხიმიან თმას

ყველაზე ნაკლებ-პრობლემური ე.წ. ნორმალური ტიპის თმაა. მის მოსავლელად განსაკუთრებული ძალისხმევა არ გჭირდებათ. მაგრამ ძალზე მშრალი ან პირიქით, ცხიმიანი თმის პატრონებმა სასურველია იცოდნენ — თმა მუდამ წესრიგში რომ ჰქონდეთ, მას საგანგებოდ უნდა მოუარონ.

ცხიმიანი თმის დასაბანად გამოიყენეთ გაგრილებული და გადაწურული მუხის ქერქის ნახარში (3 ს/კ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში); მშრალი თმა კი დაბანის წინ დაიმუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეითუნის ზეთით. შემდეგ თავზე შემოიხვიეთ თბილი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ, შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და 1 ცალი ათქვეფილი კვერცხი ან ცოტაოდენი ამუავებული რძე შეიზილოთ. ბოლოს ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი გადაივლეთ.

ნიღბები მშრალი თმისთვის

√ ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.

√ დაბანიდან დაბანამდე, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევით (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაისვით თმაზე. შემდეგ ჩამოიბანეთ.

ნიღბები ცხიმიანი თმისთვის

√ ერთი კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩ/კ წყალი, შეიზილეთ თმაში, გაიჩერეთ დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არსებული ქოლესტერინი ხელს უშლის ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.

√ 1-2 კვერცხის ცილა საგულდაგულოდ, ქაფის წარმოქმნამდე თქვიფეთ, შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის შემცველი საპნით ჩამოიბანეთ.

√ 100-150 გ შავი პური დააქუცმაცეთ და დაასხით ადუღებული, ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაბურავი და გაიჩერეთ 20-30 წუთი. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ბოსტნეულის სალათა სიმინდის მარცვლებით

მასალად საჭიროა:

კომბოსტო — 200 გ;
დაკონსერვებული სიმინდის მარცვლები — 100 გ;
კიბორჩხალას ჩხირები — 100 გ;
მწვანე ხახვი — 50 გ;
ლიმონის წვენი — 1 ს/კ;
მაიონეზი — 5 ს/კ;
ნახევარი კონა ოხრახუში;
შაქარი, მარილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

დაჭერით კომბოსტო, სტაფილო, მწვანე ხახვი და კიბორჩახალას ჩხირები. შეურიეთ სიმინდის მარცვლები. მოაყარეთ მარილი, შაქარი და მოასხით მაიონეზი, ლიმონის წვენი და კარგად აურიეთ. სუფრაზე მიტანის წინ სალათა მწვანილით მორთეთ. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. გემისთვის სახელის შეცვლა ცუდ ნიშნად მიიჩნევა.

2. ტარას ბულბას თავი პოლონელებს 2 ათას ოქროდ ჰქონდათ შეფასებული.

3. ცირკში, არენასა და კულისებს შორის დაკიდებულ ფარდას ფორჰანგი ჰქვია.

4. ჰალსტუხის გამოგონებას სამი ქვეყანა — ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი იჩემებს.

5. ხოსე კარერასმა, პლაჩიდო დომინგომ და ლუჩანო პავაროტიმ ტრიოში 1990 წელს იმღერეს.

6. ლორნეტი ძველებური, დასაკეცსახელურიანი სათვალეა, რომელსაც თვალებთან ხელით იჭერდნენ.

7. ბიბლიურმა აბრაამმა საკუთარი ხელით გაიკეთა წინადაცვეთა და შემდეგ, შვილებსაც გაუკეთა.

8. მამაკაცის ორგანიზმში ცრემლის ჭარბი რაოდენობით წარმოქმნას ტესტოსტერონის ჰორმონი აფერხებს, რის გამოც, კაცები ქალებზე იშვიათად ტირიან.

9. ავსტრალიის წყლებში მობინადრე მედუზა პირუკანჯის შხამი კობრას შხამზე ასჯერ ტოქსიკურია.

10. მიქელანჯელოს მამას სურდა, მისი შვილი ვექილი გამხდარიყო და ხატვის დროს თუ შეუსწრებდა, სასტიკად სჯიდა.

11. ერთხელ სპარტელ კანონმდებელ ლიკურგეს ჰკითხეს, — რატომ დააწესე ასეთი ძუნწი და უბრალო მსხვერპლშეწირვაო? მან უპასუხა: „რათა სპარტელებმა არასდროს შეწყვიტონ ღვთის პატივისცემა“.

12. ძველი რომის იპოდრომის ტრიბუნები 320 ათას მაყურებელს იტევდა. შესადარებლად ვიტყვი, რომ „უემბლის“ სახელგანთქმულ სტადიონზე 90 ათასი გულშემატკივარი ეტევა.

13. 1960 წელს ბრაზილიის მთავრობამ პელე ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა, რათა 20 წლის ფეხბურთელი სხვა ქვეყნის კლუბებს არ გადაებირებინათ.

14. ვერსალის ზავის თანახმად, გერმანელებს საზღვაო და საჰაერო ფლოტის შექმნა აკრძალული ჰქონდათ. „ლიუფტვაფეს“ არსებობა ჰიტლერმა ოფიციალურად მხოლოდ 1935 წლის მარტში დაადასტურა.

15. სირაკუზის მმართველმა გერონმა ერთ-ერთ ტბაზე ხომალდი-სასახლე ააგებინა. ამ მცურავ სასახლეზე, რომლის გემბანზეც 400 ჯარისკაცი ეტეოდა, ყოველგვარი კომფორტით მოწყობილ 120 კაიუტასთან, ბიბლიოთეკასთან, სპორტულ და სანადიმო დარბაზებთან ერთად, აფროდიტეს ტაძარიც მდებარეობდა.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა და გაძლიერებული ქართული სახელმწიფო

იმ პერიოდისთვის, როდესაც ბიზანტიაში მართლმადიდებლობის შევიწროება ხდება, საქართველოში სამონასტრო ცხოვრება აღორძინებულია და უამრავი ბერმონაზონი მოღვაწეობს.

„საქართველოს ერთ დიდ გალავანს თუ შემოვავლებთ, ერთი დიდი მონასტერია“

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— საინტერესოა, ჯვაროსნულ ლაშქრობებში ევროპაში მცხოვრები რომელი ერები მონაწილეობდნენ?

— ეს იყო გერმანელების, იტალიელებისა და ფრანგებისგან შემდგარი არმია. ამ დროისათვის ესპანეთი არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი და ჯვაროსნულ ლაშქრობებში ამიტომაც ვერ მონაწილეობდნენ. რაინდთა უმეტესობას ფრანგები შეადგენდნენ, რადგან იმ დროისათვის საფრანგეთი და ინგლისი შედარებით ერთიანი იყო. გერმანიაში უამრავი სამეფო სამთავრო არსებობდა, რომელიც ერთმანეთს ხშირად ებრძოდა და სამხედრო ძალა უმეტესად, ამ დაპირისპირებისკენ იყო მიმართული; იტალიაც დაყოფილი იყო. მის ერთიანობას პაპის ხელისუფლება უშლიდა ხელს. ამ შიდა პრობლემების გამო, რაინდობის კლასიკურ ხანაში — XIV-XV საუკუნეებში ჯვაროსნული მოძრაობის წამყვან ძალად საფრანგეთი დარჩა.

— როგორც ვიცით, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისას ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ცხადია, ამის მიზეზი ბიზანტიის იმპერიის დასუსტება იყო...

— ბიზანტია გარშემორტყმული იყო სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ხალხებით, რომლებიც ბიზანტიის იმპერიისა და ქრისტიანების მიმართ აგრესიულად იყვნენ განწყობილნი და მათ შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა დაპირისპირება. ბიზანტიის იმპერია გამუდმებულ ბრძოლებში დასუსტდა. ამას იმპერიაში გავრცელებულმა კორუფციამაც შეუწყო ხელი, რომელიც იმდროინდელ ისტორიკოსთა ცნობით, საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ნაწილში, მათ შორის, ეკლესიაშიც კი იყო გამეფებული. ხშირი იყო შიდა დაპირისპირებაც, რასაც ამა თუ იმ იმპერატორის ჩამოგდება მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა: — ბიზანტიელებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ახალი იმპერატორი აირჩიონ, მაგრამ მისი დანიშვნის მომენტიდან იმპერატორის შეცვლაზე ფიქრობენო. ამ ყველაფერმა — ბიზანტიის იმპერიის დასუსტება, საბოლოოდ კი განადგურება და დაცემა გამოიწია.

უკვე XII საუკუნისთვის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებს მთლიანად ჯვაროსნები აკონტროლებენ, წმინდა მთაზე ციხესიმაგრეებიც ააშენეს და ჯვაროსნული სამთავროებიც შექმნეს, თავად იერუსალიმის სამეფოც კი დააარსეს. ჯვაროსნები წლების განმავლობაში აკონტროლებდნენ წმინდა მიწას. ამ პერიოდში, ევროპელ მომლოცველებს იქ თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა. ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ჯვაროსნები ძალიან ხისტნი იყვნენ. ისინი არა მხოლოდ მუსლიმანების მიმართ იჩენდნენ აგრესიას, არამედ მართლმადიდებლებსაც ავიწროებდნენ და დევნიდნენ. როდესაც ჯვაროსნებმა ათონის მთა დაიკავეს, მართლმადიდებელი ბერებიც არ დაინდვეს, ივერონის მონასტერში მოღვაწე ბერმონაზვნები შეიპყრეს და ვისაც ფიზიკურად მუშაობა შეეძლო, მონებად გაყიდეს, მოხუცები და სნეულები კი გემზე აიყვანეს და გემი ჩაძირეს. თუკი მართლმადიდებლებს, მით უმეტეს, ბერმონაზვნებს ასე ეპყრობოდნენ, ადვილი წარმოსადგენია, რა დამოკიდებულება ექნებოდათ მუსლიმანების მიმართ.

— XII საუკუნისთვის დედაეკლესიის — მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს საბოლოოდ ჩამოშორდა დასავლეთი ნაწილი. ამ პერიოდისთვის რომელ ტერიტორიებზეა გავრცელებული მართლმადიდებლობა?

— ლათინურ-პაპისტურ მიმდინარეობასა და მართლმადიდებლობას შორის უკვე აბსოლუტური განხეთქილება არსებობს, მათ სწავლებებიც და ტრადიციებიც განსხვავებული აქვთ. რომის ეკლესიის, რომის საპატრიარქოს ჩამოშორების შემდეგ, მართლმადიდებელი ეკლესია კარგავს დასავლეთ ნაწილს. რაც შეეხება ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები არსებობდა, ეს ტერიტორიები მუსლიმანებს აქვთ დაპყრობილი, თუმცა იქ მართლმადიდებლური საპატრიარქოები კვლავ არსებობს.

ამავე პერიოდში, XII-XIII საუკუნეებისთვის სრულდება ქრისტიანობის გავრცელება სლავეთის ტერიტორიაზეც, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, IX საუკუნიდან დაიწყო. შემდგომში, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ეს ტერიტორია ლათინების მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა, საქართველოსაც უხდებოდა ბრძოლა მუსლიმანურ სამყაროსთან — აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის, დასავლეთი კი თურქეთის

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

16. XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა პარფიუმერების მიერ გამოშვებული „კრასნაია მასკვა“ საკმაოდ რიგიანი სუნამო იყო, ოღონდ, ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა — ქვეყნის მასშტაბით ლამის ყველა ქალს, მისი სურნელი ასდიოდა.

17. იპოლიტე ხვიჩიას ბავშვობაში კუშიას ეძახდნენ. იგი ოჯახში მეექვსე, ნაბოლარა შვილი იყო. ჭამა არ უყვარდა და დედამისი დღენიადაგ საჭმელს აძალებდა. რუსული „კუშაის“ ნაცვლად, „კუშია, შვილო, კუშიაო“, — ეუბნებოდა და მეტსახელიც აქედან შერჩა.

18. ჩრდილოეთ კორეაში მობილური ტელეფონით საზღვარგარეთ დარეკვა აკრძალულია და ამის გამო, კორეელები ჩინეთიდან არალეგალურად შეტანილი ტელეფონებით სარგებლობენ. მსგავსი დანაშაულისთვის, ჩრდილოეთ კორეის სასამართლომ ერთ მოქალაქეს, რომელმაც სამხრეთ კორეაში ნათესავს დაურეკა და თავის საწარმოში დაფასოებული ბრინჯის საფასური აცნობა, სიკვდილიც კი მიუსაჯა.

19. როცა ამერიკელმა ჩარლზ სიმენმა ცოლი შეირთო, მისმა ადვოკატმა, საპატარძლოს დაჟინებული მოთხოვნით, საქორწინო ხელშეკრულებაში სპეციალური პუნქტი შეიტანა, რომლის მიხედვითაც, სიმენს კატეგორიულად ეკრძალება კოსმოსში გაფრენა. დაქორწინებამდე სიმენი ტურისტის რანგში, ორჯერ იყო კოსმოსში ნამყოფი.

20. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საბჭოთა ჯარისკაცებმა გერმანიაში 2 მილიონი ქალი გააუპატიურეს. მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა, ამერიკელთა ავიადაბომბვების შიშით გონებაარეული

გერმანელი ქალები გაიძახოდნენ, — ჯობს რუსი გაწვეს ზემოდან, ვიდრე თავს ამერიკელი დაგტრიალებდესო.

21. 1529 წელს თურქეთის სულთანი სულეიმანი განგებ აყოვნებდა ალყაშემორტყმულ ვენაზე შეტევას, რადგან იერიშით აღებული ქალაქი, იმდროინდელი წესის მიხედვით, სამი დღით საძარცვავად უნდა დაეთმო საკუთარი ჯარისკაცებისთვის, ხოლო თუ ვენა დანებდებოდა, ქალაქის მთელი საგანძური სულეიმანის კუთვნილება გახდებოდა. P.S. გაჭიანურებული ალყის მიუხედავად, ვენის დამშეულმა მოსახლეობამ ქალაქი არ დათმო და მანამდე გაძლო, ვიდრე თურქი იანიჩრები ვენის კედლებიდან ავსტრიელმა ლანდსკნეხტებმა არ დაიფრინეს.

გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ერთადერთი, სლავეთის ტერიტორიები არ იყო დაპყრობილი სხვა სარწმუნოების ხალხისგან და ამიტომაც, იქ ქრისტიანობას აღორძინების საშუალება მიეცა, მაგრამ შემდგომში, რუსეთის ეკლესიამ თავად გამოიყენა ის მეთოდი, რასაც რომის ეკლესია იყენებდა: იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რუსეთის სახელმწიფომ დაიკავა, ადგილობრივ ენებზე მსახურებების აღსრულება აკრძალა, ღვთისმსახურება მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა აღვლენილიყო.

მართლმადიდებლური სარწმუნოება გავრცელებული იყო საქართველოს ტერიტორიაზეც. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოზე — სპარსეთს, დასავლეთზე კი ოსმალეთს ჰქონდა გავლენა, საქართველოს ეკლესია შედარებით დამოუკიდებელი იყო და ქრისტიანობის სასარგებლოდ გაცილებით დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებდა, ვიდრე სხვა ადგილობრივი ეკლესიები.

— ამ პერიოდისთვის რაიმე ახალმა მწვალებლურმა მიმდინარეობამ ხომ არ იჩინა თავი?

— თუ არ ჩავთვლით მცირე ერეტიკულ დაჯგუფებებს, რომლებიც ძირითადად, კონსტანტინოპოლში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და ძალზე მცირე მიმდევრები ჰყავდათ, ახალი მწვალებლური მიმდინარეობა არ წარმოქმნილა. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა — ის ტერიტორიები, სადაც ამ პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოებაა გავრცელებული, ძირითადად, მუსლიმანობის ბატონობის ქვეშაა. შეიძლება ითქვას, ეკლესიას ზედმეტი ბალასტი მოცილებული აქვს — ადამიანები პატივისა და დიდების გამო აღარ იღებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, რადგან მართლმადიდებლებს მიწიერი დიდება და პატივი აღარ ჰქონდათ... ამიტომ ეკლესიის წიაღში აღარ არიან ადამიანები, რომლებიც ერესს შექმნიან. ერესიერარქები პატივმოყვარენი არიან, ყოველთვის ჭეშმარიტების მდევნელთა მოწინააღმდეგეთა მხარეს აღმოჩნდებიან ხოლმე.

— როგორ მიმდინარეობს სამონასტრო ცხოვრება? სად არსებობს მძლავრი სამონასტრო ცენტრები?

— XII საუკუნის ძირითადი მძლავრი სამონასტრო ცენტრი ათონის მთაა. წმინდა მიწაზე ჯვაროსნებსა და მუსლიმანებს შორის ბრძოლებმა პალესტინური სამონასტრო ცენტრების განადგურება გამოიწვია. პალესტინის სავანეებში მხოლოდ ერთეული მოღვაწენი დარჩნენ. ეგვიპტური უკვე კარგა ხანია, აღარ არსებობს. დარჩა ათონის წმინდა მთა, სადაც მართლმადიდებელ ბერმონაზონთა თავმოყრა მოხდა.

ამ დროისთვის სამონასტრო ცხოვრება აღორძინებულია საქართველოშიც, სადაც უამრავი ბერმონაზონი მოღვაწეობს. ერთ-ერთი ევროპელი მოგზაური წერს: საქართველოს ერთ დიდ გალავანს თუ შემოვავლებთ, ერთი დიდი მონასტერიაო. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, იმ პერიოდში, ოქროს ხანას რომ ვუწოდებთ — დავით აღმაშენებლის ეპოქიდან ლაშა გიორგის მეფობის ჩათვლით, სამოციდან სამოცდაათიათასამდე ბერმონაზონი მოღვაწეობდა. მემატიანეთა ცნობით, ბრძოლის დროს გაცილებით მეტი ბერი ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს გამარჯვებას, ვიდრე მეომარი იბრძოდა ბროლის ველზე. მეომართა მაქსიმალური რაოდენობა ქართველებმა დიდგორის ომის დროს გამოიყვანეს — მაშინ ქართველთა ლაშქარი 50 ათასამდე ვაჟკაცისგან შედგებოდა, მათი გამარჯვებისთვის კი 70 ათასი ბერი ლოცულობდა. ცხადია, ეს მეომრები საუკეთესონი იყვნენ, ჭეშმარიტი სარწმუნოებაც ჰქონდათ და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულიც ამოძრავებდათ, მაგრამ ამ ადამიანების უკან 70 ათასი ბერმონაზონი იდგა და მათი გამარჯვებისთვის ლოცულობდა.

იმ პერიოდში, როდესაც ბიზანტიაში მართლმადიდებლობის შევიწროება ხდება, საქართველოში მართლმადიდებლობა ბრწყინავს. XIII საუკუნის დასაწყისამდე საქართველოს ეკლესია ძალიან მტკიცე იყო იმის გამო, რომ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ხელისუფლებაც მტკიცედ იცავდა. ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ სხვაგანაც იცავდა ქრისტიანებს, საქართველოს ხელისუფლებას დიდი გავლენა ჰქონდა იერუსალიმის მმართველზეც და ეგვიპტის სულთანზეც. საქართველოს სახელმწიფოს შიშით, მუსლიმანური სამყარო მართლმადიდებლებს რბილად ექცეოდა. ■

რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

ვარჯიშები გონებისათვის: ნეირობიკის 25 საიდუმლო

როცა ყოველდღიურად ერთსა და იმავე სამუშაოს ვასრულებთ, ახალზე გადართვა სულ უფრო გვიძნელდება, რადგანაც მახსოვრობა თანდათანობით სუსტდება, ყურადღების კონცენტრაციის უნარი მცირდება... ეს რომ არ დავუშვათ, ტვინი უნდა გავავარჯიშოთ ანუ დავკავდეთ ნეირობიკით.

რა არის ნეირობიკა

ნეირობიკა არის გონების ვარჯიში, ტვინის აერობიკა, რომელიც მიმართულია აზროვნების გაუმჯობესებისკენ. ეს ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ლოურენს კატცემ და მენინგო რუბინმა. მათვე შეიმუშავეს ვარჯიშების კომპლექსი გონებისთვის.

ნეირობიკა აუცილებელია ყველასთვის: ბავშვებისთვის — რათა გაუძლიერდეთ ყურადღების კონცენტრირების უნარი და ადვილად აითვისონ ახალი მასალა; ზრდასრულებისთვის — რათა ტვინი მუდმივად ტონუსში ჰქონდეთ და არ დაუშვან მახსოვრობის გაუარესება.

მახსოვრობა იმიტომ უარესდება, რომ თავის ტვინის ნერვულ უჯრედებს შორის კავშირი ირღვევა. ადრე, ცუდად მომუშავე ტვინის უჯრედის აღდგენა შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ დღეს ეს მტკიცებულება უარყოფილია. კვლევებით დადგინდა, რომ ნერვული (მათ შორის, თავის ტვინის) უჯრედების აღდგენა რეგულარული გონებრივი ვარჯიშებით მიიღწევა. სწორედ ამ მიზნებისთვის იქნა შემუშავებული ნეირობიკა.

ნეირობიკის მიზანი

ვარჯიშის მთავარი ამოცანაა ტვინის მუშაობის სტიმულირება და მახსოვრობის გავარჯიშება.

გონების ვარჯიშები ძალიან მარტივი და ამავდროულად, წარმოუდგენლად ეფექტიანია. ვარჯიში არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებასა და დროის შერჩევას ანუ ის შეიძლება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას (გზაში, შესვენებაზე, საწერ მაგიდასთან, შხაპის მიღებისას და სხვა) ჩაიტაროთ.

ზოგიერთი ვარჯიში, რეგულარული შესრულების შემთხვევაში, თქვენი ცხოვრების წესი გახდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ სარგებელს მოგიტანთ.

ტვინის მუშაობის მასტიმულირებელი ვარჯიშები:

1. ხშირად წადით ისეთ ადგილას, სადაც არასდროს ყოფილხართ ან სადაც ძალზე იშვიათად დადიხართ. ეს შეიძლება იყოს პარკი ან საიუველირო მაღაზია.

2. შეიძინეთ ეთერზეთი ან ნებისმიერი არომატიზებული ნივთი და ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე შეისუნთქეთ — ეს ტვინის „გამოფხიზლებაში“ დაგეხმარებათ.

3. საღამოს ოთახში სინათლე ჩააქრეთ და გონებაში მოიარეთ მთელი ოთახი. ეს ვარჯიში ყურადღების კონცენტრაციის უნარს გაგიუმჯობესებთ. ასევე შეგიძლიათ, თვალებდახუჭულმა მიიღოთ შხაპი — რადგან ვერაფერს ხედავთ, გრძნობათა სხვა ორგანოები მკვეთრად გააქტიურდება.

4. კბილები გაიხეხეთ არა მუშა ხელით, არამედ იმით, რომელიც ნაკლებად აქტიური გაქვთ: მემარჯვენეებმა — მარცხენა ხელით, ცაციებმა — მარჯვენათი.

5. ატარეთ სხვადასხვანაირი ტანსაცმელი და აქსესუარები. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტანისამოსის შეცვლისას, ადამიანის ეცვლება არა მხოლო შეგრძნებები, არამედ აზროვნებაც.

6. ბრაილის შრიფტისა (კითხვისა და წერის სისტემა ბრმებისათვის) და ჟესტების ენის ათვისება ძნელია, მაგრამ ეს პროცესი ადამიანის გრძნობებს არაჩვეულებრივად ავითარებს. გონების გასავარჯიშებლად საკმარისია ჟესტების ენით მისალმება, მარტივი შეკითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა.

7. იარეთ სამსახურში ან მაღაზიაში ახალ-ახალი გზებით — ეს არა მარტო ტვინის მუშაობაზე აისახება დადებითად, არამედ განწყობილებასაც გაგიუმჯობესებთ.

8. იყავით თავდაჯერებული. დათანხმდით ნებისმიერ სამუშაოს, თუნდაც ისეთს, რომელშიც კარგად ვერ ერკვევით. როცა ადამიანმა ზუსტად არ იცის, რა გააკეთოს, ტვინი გააქტიურებას იწყებს.

9. იყავით ორიგინალურები და სტანდარტულ შეკითხვებს არატრადიციულად უპასუხეთ.

10. შეეცადეთ, თითებით სხვადასხვაგვარი მონეტის ერთმანეთისგან გარჩევა ისწავლოთ. ეს სავარჯიშო უმჯობესია, ჩაატაროთ მაშინ, როცა ვინმეს ელოდებით — ასე დროც სწრაფად გავა და არც ლოდინი დაგტანჯავთ.

11. დროდადრო წაიკითხეთ ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც ადრე ყურადღებას არ აქცევდით.

12. დაუწიეთ ტელევიზორს ხმა და მხოლოდ გამოსახულებაზე დაკვირვებით შეეცადეთ, გაიმეოროთ დიალოგი ან მონოლოგი. თუ ამ ვარჯიშს მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად შეასრულებთ, ეს პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო გახდება.

13. დასვენების დღეები ქალაქგარეთ, ბუნებაში გაატარეთ ან წადით კონცერტზე, თეატრში, კინოში — ახალ-ახალი შეგრძნებები გონებაზე დადებითად აისახება.

14. ეს ვარჯიში შეგიძლიათ, დასვენების დღეებში შეასრულოთ: თუ თქვენ ყველაფერს ნელა აკეთებთ, შეეცადეთ, სამუშაოს შესრულების ტემპი 2-ჯერ გაზარდოთ, ხოლო თუ წუთითაც არ შეგიძლიათ ერთ ადგილზე გაჩერება, მაშინ საკუთარი თავი აიძულეთ, საქმე აუჩქარებლად გააკეთოთ. ამისათვის ყურადღების კონცენტრირება დაგჭირდებათ.

15. მოიგონეთ ხუმრობები და ანეკდოტები — ეს არა მარტო ასტიმულირებს გონებრივ შესაძლებლობებს, არამედ ავითარებს კრეატიული აზროვნების უნარს.

5 ვარჯიში მახსოვრობის გასავითარებლად

1. საკუთარ თავს უბრძანეთ: „ეს დაიმახსოვრე!“

მაგალითად, თუ თქვენ გაგაცნეს

ადამიანი, გუნებაში გაიმეორეთ მისი სახელი და უბრძანეთ საკუთარ თავს, ეს ინფორმაცია შეინახოს.

2. მიაგენით მოტივაციას

შეეცადეთ წარმოიდგინოთ, რომ ის ადამიანი, რომლის სახელიც უნდა დაიმახსოვროთ, შეიძლება, მომავალში დაგჭირდეთ. მოტივაციის პოვნა ტვინის მუშაობას ასტიმულირებს.

3. ასოციაცია

აირჩიეთ თქვენს ბინაში ან ოფისში არსებული 10 უძრავი ნივთი. დაიმახსოვრეთ ისინი განსაზღვრული თანამიმდევრობით და მომავალში, როცა რაიმე სიის დამახსოვრება დაგჭირდებათ, სიის ყოველი პუნქტის ასოცირება ამ საგნებთან მოახდინეთ.

4. უცხო ენების შესწავლა

აუცილებლად დაიწყეთ უცხო ენების შესწავლა. ეს ააქტიურებს მახსოვრობის უნარს და ავითარებს ასოციაციურ აზროვნებას. თუ უცხო ენების შესწავლას მიჰყოფთ ხელს, გაგიადვილდებათ არა მარტო უცხო სიტყვების, არამედ ყოველდღიური ცხოვრებიდან ისეთი ფრაზების დამახსოვრებაც კი, რომლებიც ადრე მუდმივ შეხსენებას საჭიროებდა.

5. დაიმახსოვრეთ ტელეფონის ნომრები

თავდაპირველად, დაიმახსოვრეთ იმ ადამიანების ტელეფონის ნომრები, რომლებთანაც ყველაზე ხშირად ურთიერთობთ, შემდეგ კი ნაკლებად მნიშვნელოვანი ნომრები დაიზეპირეთ. დროთა განმავლობაში ზოგიერთი ნომერი დაგავიწყდებათ, მაგრამ ეს ნორმალურია. მთავარია, ინფორმაცია მახსოვრობაში რამდენიმე დღით მაინც შეინახოთ.

I გაუმჯობესება 10 წუთში

გაგიკვირდებათ, მაგრამ ესეც შესაძლებელია. ტექნიკა მარტივია, მაგრამ ინტელექტუალური შესაძლებლობების მოკლე დროში გაუმჯობესებას იწვევს.

1. ისუნთქეთ ღრმად

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი, მაგრამ ეფექტიანი ვარჯიში. ღრმა სუნთქვის დროს ორგანიზმი დუნდება და ტვინს მეტ ჟანგბადს აწვდის. ამასთან სუნთქვა მხოლოდ ცხვირით უნდა განხორციელდეს.

2. აუტოჰიპნოზი

ეს არის სპეციალური ფსიქოლოგიური ვარჯიში. აუტოჰიპნოზის შემუშავება ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურად ხდება და კონტროლს საჭიროებს. ამიტომაც, მისი ჩატარება, პირველ ხანებში მაინც, მხოლოდ სპეციალისტის თანდასწრებითაა რეკომენდებული.

3. დაჯექით გამართულად და აუცილებლად მოკუმეთ პირი

ასეთი პოზა ყურადღების კონცენტრირების და „ჯანსაღად“ აზროვნების საშუალებას მოგცემთ. შეგიძლიათ, ექსპერიმენტი ჩაატაროთ: გონებაში რომელიმე ორი მათემატიკური ამოცანა ამოხსენით, ოღონდ, ჯერ პირღია მდგომარეობაში, შემდეგ კი — პირი დამუწეთ. გვერწმუნეთ, თქვენ აშკარად იგრძნობთ განსხვავებას.

4. ფიზიკური დატვირთვა

თავის ტვინთან სისხლის უკეთ მიწოდებისთვის საკმარისია ფიზიკური ვარჯიში. წავარჯიშება „გამოაფხიზლებს“ ტვინს და გააქტიურებს მის მოქმედებას. ყველაზე კარგია გავლა-გამოვლა. მეტი იმოძრავეთ, იარეთ ფეხით, ველოსიპედით, იცეკვეთ, იმუშავეთ ბაღში. გახსოვდეთ, ვარჯიშისას ტვინს მეტი სისხლი მიეწოდება, ეს კი აუმჯობესებს მის მუშაობას და ახალი ნერვული უჯრედების ზრდასაც უწყობს ხელს.

5. იკვებეთ სწორად

დალიეთ ყავა

კვლევებმა უჩვენა, რომ ყავა, ისევე, როგორც კოფეინის შემცველი სხვა სასმელები, სწრაფად აზროვნებაში დაგეხმარებათ. მართალია, ეფექტი დროებითია, მაგრამ ყავის დალევა ხომ ყოველდღე შესაძლებელია.

√ შეზღუდეთ შაქრის მოხმარება — ეს პროდუქტი ანელებს აზროვნების პროცესს, მასში დიდი რაოდენობით ნახშირწყლების შემცველობის გამო. ამიტომაც, მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ შაქრის, ასევე, კარტოფილისა და თეთრი ფქვილისგან დამზადებული ცომეულის ჭამა რეკომენდებული არ არის.

√ ტვინისათვის სასარგებლოა ბოსტნეული, ხილი.

√ კვირაში რამდენჯერმე მიირთვით თევზი, განსაკუთრებით კარგია ორაგული.

√ აუცილებლად შეათანხმეთ ექიმთან, გესაჭიროებათ თუ არა პოლივიტამინების მიღება.

თუ გსურთ სხარტი გონების ხანგრძლივად შენარჩუნება, გაითვალისწინეთ შემდეგი:

√ ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და რეგულარულად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გასინჯვები. გახსოვდეთ, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, დეპრესია, ცუდი კვება დამანგრეველად მოქმედებს ადამიანის ტვინზე.

√ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კარგად გამოძინებას. გახსოვდეთ, ძილის რეგულარული ნაკლებობა (დღეღამეში 7-8 საათზე ნაკლები) ხელს უშლის ყურადღების კონცენტრირებას და აქვეითებს მეხსიერებას.

√ ებრძოლეთ სტრესს. იგი არღვევს დამახსოვრების, სწავლის პროცესს, იწვევს უძილობას.

√ მეტი ურთიერთობა იქონიეთ ხალხთან, დაკავდით ქველმოქმედებით, მოძებნეთ სამუშაო თქვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

√ დაბოლოს, შეეცადეთ, თქვენს ცხოვრებაში შეიტანოთ მეტი მრავალფეროვნება. აქტიური, ახალი შეგრძნებებითა და ემოციებით სავსე ცხოვრება მოწყენის საშუალებას არ მოგცემთ და ნათელ გონებას მრავალი წლის განმავლობაში შეგინარჩუნებთ.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ახალი ნომერი
ოჯახის
მეუღლეები
ცხოვრებიდან მიხეილ...

ადამიანი

სოლომონ აშორდია — ქართველი ყალბისმქმნელისა და ავანტიურისტის საოცარი თავგადასავალი

„სოლომონ აშორდია ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი ავანტიურისტი გახლავთ, რომელსაც მსოფლიოს ისტორიული მისტიფიკატორების ნუსხაში საპატიო ადგილი უკავია. ის ყალბი საბუთების შედგენის სფეროში ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე იყო. XIX საუკუნის მიწურულს, მისი შემწეობით, ქუთაისის გუბერნიის 2 ათასამდე მცხოვრებმა თავადისა და აზნაურის ღირსებები მიიღო... საქართველოდან გაქცევის შემდეგ, სოლომონმა თავისი ავანტიურისტული საქმიანობა იმდროინდელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში განაგრძო. მან, ყალბი საბანკო საბუთებით, თავის თანამზრახველებთან ერთად, რუსეთის ბანკებიდან დაახლოებით ხუთი მილიონი მანეთი გაიტანა. მის შესახებ საქართველოსა და რუსეთში არაერთი ლეგენდა და მითი არსებობდა. ის წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო: ერთი მხრივ — თაღლითი და ავანტიურისტი და მეორე მხრივ კი — ქველმოქმედი, ყურადღებიანი, პირნათელი, რომელიც სხვისას არაფერს შეირჩენდა. სოლომონს ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება და საქმიანობა ჰქონდა“, — მითხრა პროფესორმა მალხაზ აშორდიამ, რომელიც ცნობილი ავანტიურისტის ძმის შვილიშვილი გახლავთ.

ლალი ფაცია

— სოლომონ აშორდიას გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმის, ჩემი პაპის — მიხეილ აშორდიას ოჯახში სოლომონის ცხოვრების შესახებ არაერთი დოკუმენტური მასალა დარჩა, რაც მამაჩემმა — ტული აშორდიამ, რომელიც სოლომონის ძმისშვილი გახლდათ, მოიძია. მან საგულდაგულოდ შეაგროვა სოლომონის ყველა სასამართლო პროცესის დოკუმენტური მასალა, ბიძამისზე გაეცნო იმდროინდელ პრესას და ერთად შეკრიბა როგორც საგაზეთო პუბლიკაციები, ასევე ნათესავებისა და თანამედროვეების მოგონებები. ამრიგად, მამაჩემის მიერ, რომელიც სამწუხაროდ ცოცხალი აღარ არის, უამრავი მასალა იქნა შესწავლილი და შეჯერებული. სოლომონის ცხოვრების შესახებ, მამა წლების განმავლობაში ეძებდა და აგროვებდა უამრავ დოკუმენტურ მასალას, როგორც თბილისისა და ქუთაისის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის არქივში; სურდა, შეექმნა სრული დოკუმენტური ქრონოლოგია ბიძის ცხოვრების შესახებ. მან მართლაც ბევრი მნიშვნელოვანი წყარო მოიპოვა და გასული საუკუნის 60-იან წლებში, გამოსაცემად მოამზადა წიგნი, მაგრამ მაშინ მისი დაბეჭდვა შეუძლებელი იყო.

— **მაგრამ მამის სურვილს ფრთები თქვენ შეასხით და იანვარში, მამათქვენის ავტორობითა და თქვენი რედაქტორობით გამოიცა წიგნი — „სოლომონ აშორდია — ზუგდიდელი ქართველი ავანტიურისტის თავგადასავალი“...**

— დიახ. ასეა... გამოგიტყდებით და, წიგნზე მუშაობამ მეც სერიოზულად გამიტაცა. თუ მამაჩემი მასზე მთელი ცხოვრება მუშაობდა, მე ამ საქმეს შვიდ-ნახევარი წელიწადი მოვანდომე...

პირველი სიყალბე

სოლომონს პირველი სიყალბე, მისივე ამხანაგების თქმით, ჯერ კიდევ ზუგდიდის სასწავლებელში სწავლის დროს ჩაუდენია; გაკვეთილის დროს, ამხანაგების თვალწინ, სუფთა ფურცელზე სამმანეთიანი დაუხატავს. გაკვეთილების შემდეგ კი წასულა ბაზარში და იმ „ფულით“ ცხვარი უყიდია, რომელიც შინ მიუყვანია. მამა დიდხანს ცდილობდა, გაეგო, საიდან ჰქონდა ფული. სოლომონი ატყუებდა, რომ ის სამმანეთიანი იპოვა. საბოლოოდ კი ეს ამბავი პოლიციას გაუგია, სადაც დაუბარებიათ კიდეც მამაშვილი. მამისგან ხელწერილი აუღიათ, რომ მისი შვილი — სოლომონი მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენდა. ერთი სიტყვით, ის მაშინ პოლიციას იოლად გადაურჩა, მაგრამ შინ მამისგან კარგად მოხვდა...

პირველი ნაბიჯები

სოლომონი უნიჭიერესი ადამიანი იყო. ბავშვობიდან კარგად ხატავდა, მღეროდა. ჰქონდა კარგი კალიგრაფია. ადვილად ამსგავსებდა სხვების ხელმოწერებს. ჩინებულად შეუსწავლია რუსული ენა — შეუცდომლად წერდა და კითხულობდა. ჰქონდა ახლის ათვისების საოცარი უნარი. უყვარდა კითხვა. თურმე საშინლად განიცდიდა იმას, რომ სწავლა-განათლება ბოლომდე არ ჰქონდა მიღე-

ბული. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მის ოჯახს მატერიალურად უჭირდა და სკოლის დამთავრების შემდეგ, მას ფინანსურად ვერ ეხმარებოდა. ამიტომ იძულებული გახდა, სამსახური დაეწყო. მუშაობდა ზუგდიდის სამაზრო სამმართველოში და პარალელურად, მომრიგებელ მოსამართლესთანაც — მწერლად... იმის გამო, რომ კარგი ხმა და სმენა ჰქონდა, ზუგდიდის ეკლესიაშიც გალობდა... შემდეგ სამუშაოდ ქუთაისში გადავიდა და იქ სამსახური ნოტარიუსთან დაიწყო. მოგვიანებით ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში ჩაირიცხა. ნიკო მინგრელსკის კანცელარიაშიც მუშაობ-

სოლომონი ქუთაისის ციხეში. 1910 წელი

და... სამსახურით მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო, წინსვლას ცდილობდა, მაგრამ ამაში ხელს მისი გლეხური წარმომავლობა უშლიდა, რის გამოც გადაწყვიტა, აზნაური გამხდარიყო, რაც მას თანამდებობრივი წინსვლის საშუალებას მისცემდა. მაგრამ მას არ ჰქონდა აზნაურული წარმომავლობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი. ამიტომ კარგად ისარგებლა ნაცნობობითა და თავისი მდგომარეობით და ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში — ყალბი სიგელები შეადგინა — მამის — გვაჩი და პაპის — სქვამი აშორდიების აზნაურული წარმოშობის შესახებ. ამ სიგელებზე დაყრდნობით, ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ, 1898 წელს, მიიღო დადგენილება — აშორდიების გვარის აზნაურული წარმოშობის შესახებ. მეტი დამაჯერებლობისათვის სოლომონმა თავისი გვარიდან — აშორტია ამოიღო ასო „ტ“ და იგი „დ“-თი შეცვალა. ასე წარმოიშვა აზნაურული გვარი — აშორდია. ჩვენ დღესაც ამ გვარს ვატარებთ. მოგვიანებით სოლომონმა იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სახელზე თხოვნა შეიტანა, რომ ის პირველი რიგის მოსამსახურედ გაემწესებინათ. იმპერატორის მიერ თხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, სოლომონს აღნიშნულ საეპარქიო კანტორაში მუშაობა დაუწყია კიდეც.

პირველი დაპატიმრება

პირველი სერიოზული დანაშაული, რომლის გამოც აშორდია გაასამართლეს, 1893 წლის ოქტომბერში ჩაიდინა. ამ წელს, 18 წლის სოლომონი ქუთაისიდან ზუგდიდში დაბრუნდა, სადაც მომრიგებელ (შუამავალ) მაჭავარიანის თხოვნით, გარკვეული დროით, მასთან სამუშაოდ დარჩა. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ზუგდიდის სოფლის საზოგადოების 18 კომლი გლეხი, 1863 წლის აღწერით, ჩაწერილი იყო სოფელ ზუგდიდის, ხოლო 1886 წელს შედგენილი საოჯახო სიებით — დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებად. ამის გამო ისინი, როგორც სოფლისა და როგორც დაბის მცხოვრებნი ორმაგ გადასახადს იხდიდნენ. ორმაგი გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით, აღნიშნულმა გლეხებმა 1893 წელს თბილისის სახაზინო პალატას თხოვნით მიმართეს, რათა ისინი დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებად ჩაერიცხათ. პალატამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო სოფლის საზოგადოების ყრილობის დადგენილება მათი ამ საზოგადოებიდან დათხოვნის შესახებ. ზუგდიდის მაზრის პოლიციის სამმართველოს მოხელე, სოლომონის თანაკლასელი, ვინმე პლატონ ქარდავა ამ გლეხების მეზობელი იყო, რომელთა შორისაც ავტორიტეტით სარგებლობდა. მან გაავრცელა აზრი, თითქოს იცოდა მთავრობის ახალი დადგენილება, რომ მსგავსი ჩარიცხვისათვის არ იყო საჭირო სოფლის მცხოვრებ გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილება. ქარდავამ მათ გარკვეული საფასურის (15 მანეთი) სანაცვლოდ, დახმარება აღუთქვა. გლეხებს ეჭვი არ შეუტანიათ მის სიტყვებში, ისე დათანხმდნენ. პლატონმა ამ საქმეში დახმარება სოლომონს სთხოვა. 1893 წლის 31 ოქტომბერს სანიკიძის დუქანში მათ შეადგინეს სოფლის ყრილობის ორი ყალბი დადგენილება, ზუგდიდის სასოფლო საზოგადოების 321 გლეხის ყალბი ხელმოწერით. ტექსტებზე ხელი სხვადასხვა პირმა მოაწერა... სოლომონმა დანაშაული არ აღიარა...

ის ადგენდა ყველა სახის ყალბ საბუთს, რაც მისთვის დიდი შემოსვლის წყარო იყო... 1900 წლის 26 აპრილს სოლომონს თავადაზნაურობის ყალბი საბუთების შედგენის გამო ბრალდება წაუყენეს და პატიმრობა შეუფარდეს. ის როგორც საშიში დამნაშავე, ერთადგილიან ნესტიან საკანში მოათავსეს, სადაც განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. აუკრძალეს გასეირნება, ნათესავებთან შეხვედრა და წიგნების კითხვა (მისთვის დასჯის უმაღლესი ფორმა ის იყო, რომ კითხვის საშუალებას არ აძლევდნენ). სხვადასხვა ინსტანციის სახელზე მან არაერთხელ შეიტანა თხოვნა-საჩივარი; ინტელექტუალური მონაცემების გამოყენებით, ყველანაირად ცდილობდა, ციხიდან თავის დაღწევას და თავისუფლების მოპოვებას. საჩივრების წერის პროცესი, შეიძლება ითქვას, სოლომონისთვის თავისუფლებისთვის ბრძოლის სულიერი გამოვლინება იყო. ასეთი შემართებით ბრძოლა თავისუფლებისთვის მისთვის დამახასიათებელი იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში. საკუთარი თავგადასავლების შესახებ ჩანაწერებს აკეთებდა. ჩანაწერების დიდი ნაწილი დაიკარგა, ჩვენს ოჯახს იქიდან მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა... მოკლედ, ქუთაისის ციხიდან თავდებით გათავისუფლების შემდეგ სოლომონი ზუგდიდში, მშობლების სახლში იყო. მაგრამ, მალე, ქუთაისის საოლქო სასამართლომ აზნაურების საქმის გამო, მისი კვლავ დაკავების შესახებ გამოსცა განკარგულება. მან იცოდა, რომ ამ საქმის გამოძიება რამდენიმე წელიწადს გასტანდა, ამიტომაც, მეორედ დაპატიმრების შიშით, მან, 1902 წლის 9 ივლისს, ბათუმში დახრჩობის სცენა გაითამაშა.

ზღვაში „დახრჩობის“ ინსცენირება

სოლომონი გარკვეულ პირებს მოეთათბირა, მათ შორის ასლან-ბეგ აბაშიძეს, რომელმაც სპეციალურად შეარჩია კაცი, რომელმაც სოლომონის ტანისამოსი ჩაიცვა. მან, ხალხის დასანახავად, ნაპირზე გაიხადა ტანსაცმელი და ზღვაში შევიდა. შემდეგ სიბნელით ისარგებლა და წყლიდან სხვა მხარეს შეუმჩნევლად ამოვიდა. სავარაუდოდ, ასლან-ბეგ აბაშიძის წინასწარი დავალებით, ბერძენმა მარულიდიმ პოლიციას ყურადღება მიაპყრობინა იმ ფაქტზე, რომ ზღვაში მობანავე ერთი ადამიანი აღარ ჩანდა. მას ზღვაში სოლომონის დახრჩობის ფონის შექმნა უნდოდა. თავად სოლომონი კი იმ დროს ბათუმიდან ფაეტონით გაემგზავრა და თურქი ახმედის დახმარებით, თურქეთში ნავით გადავიდა... თუმცა ეს ამბავი საიდუმლოდ მაინც ვერ დარჩა... მალე გამოჩნდა იმდროინდელი საგაზეთო სტატიები. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სოლომონის ზღვაში დახრჩობის ამბავს... ბათუმის ინციდენტის შემდეგ, აშორდიამ დატოვა საქართველო და გარკვეული პერიოდი თურქეთში ცხოვრობდა;

ყალბი პასპორტებით, გამოგონილი გვარებით (დაახლოებით 15-20 გვარზე მაინც ჰქონდა მისივე ხელით დამზადებული ყალბი პასპორტი — ანანიევი, ზედგინიძე, ზახაროვი, თავზაროვი...) ის სხვადასხვა ქალაქში (სარატოვში, ყაზანში, ორენბურგში, კიევში) ცხოვრობდა. აშხაბადში ვინმე პორუჩიკ ანანიევის გვარით იყო ცნობილი. აშხაბადიდან ბაქოში წასულა, რომ იქიდან ირანში გამგზავრებულიყო, სადაც მრავლად ყოფილან ქართველები, რომლებიც პირველი „ამერიკული ტიპის“ კაპიტალისტ აკაკი ხოშტარიასთან მუშაობდნენ... მისი შუა აზიიდან წამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ

სოლომონის ქალიშვილი — ნათელა

იმ ქართველებთაგან მას ბევრი იცნობდა. ზოგმა აზნაურების საქმეში მისი მონაწილეობის შესახებაც კი იცოდა. შიშობდა, რომ ისინი პოლიციაში დააბეზღებდნენ, ამიტომ იქაურობა დატოვა.

გაქცევა ბაქოს ციხიდან

1905 წლის 27 მარტს, ბაქოს ნავსადგურში, საფოსტო გემ „კნიაზ ბარიატინსკ"-ის სპარსეთში გამგზავრების წინ, ნაბადსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სოლომონი სალაროსთან მივიდა და ბილეთის ურიგოდ აღებას შეეცადა. მას წესრიგისკენ მოუწოდეს. სოლომონმა ეს იუკადრისა და იქ მდგომებს აუწყა, რომ გადაცმული ოფიცერი იყო და მას ბილეთის აღება ურიგოდ ეკუთვნოდა. ამის მომსწრე უბნის ზედამხედველმა საბუთი მოსთხოვა. სოლომონმა ჟანდარმერიის როტმისტერ ვინმე ზედგინიძის სახელზე შედგენილი უვადო საბუთები წარუდგინა. ზედამხედველმა ბოდიში მოუხადა და წავიდა. გემის გასვლის შემდეგ, ზედამხედველთან შტურმანი — სპიროვსკი მისულა და უკითხავს — იცოდა თუ არა, ვინ იყო ის ქართველი. ზედამხედველს უპასუხია, რომ იგი ჟანდარმერიის როტმისტრიაო. შტურმანს სიცილით უთქვამს, რომ ის როტმისტრი კი არა, ცნობილი ყალბისმქნელი აშორდია იყო, რომელზედაც ძებნა იყო გამოცხადებული. ამის შემდეგ ლენქორანის მაზრის პოლიციის უფროსისთვის დეპეშა გაუგზავნიათ. იქაურ პოლიციას სოლომონი გემიდან ჩამოუსვამს და დაუკავებია. დაკავებისას სოლომონს პორუჩიკ ალექსი ანანიევის სახელზე ყალბი პასპორტი წარმოუდგენია, მაგრამ მაინც დაუპატიმრებიათ და ბაქოს ციხეში გადაუგზავნიათ... დაკითხვისას, კანტორაში, სოლომონის ყურადღება მიიპყრო ციხის ზედამხედველისადმი პოლიცმაისტერის ერთმა მიწერილობამ. მისი დანახვისთანავე, ციხიდან გაქცევის აზრმა გაუელვა — დაჟინებით დააცქერდა ბლანკს, თანამდებობის პირთა ხელმოწერებს და გაქცევის გეგმაც შეადგინა. მოძებნა ქაღალდი, მელანი და კონვერტი. მან 1905 წლის 6 აპრილს პოლიცმაისტერის თანაშემწე გრეჩკოვის სახელით პორუჩიკ ანანიევის გათავისუფლებაზე ყალბი მიწერილობა და დაგენილება შეადგინა, სადაც ეწერა, რომ ის თითქოს შეცდომით, აშორდიასთან მსგავსების გამო დააპატიმრეს, და რომ აშორდიას მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო. სოლომონს როგორღაც მოუხერხებია, წერილი ციხის ზედამხედველის კანტორაში დაეტოვებინა... ძალიან მალე ამ წერილის საფუძველზე ის ციხიდან გაათავისუფლეს.

ძმები — მიხეილ და სოლომონ აშორდიები. 1898 წელი

გაზეთი „ივერია", 1905 წელი, 14 აპრილი, ხუთშაბათი, №53

„ახალი ამბავი

ამას წინათ ვწერდით, რომ ბაქოში დაატუსაღეს ყველასაგან ცნობილი სოლომონ აშორდია. ეხლა, როგორც „ბაკინსკიე იზვესტია" გადმოგვცემს, აშორდია ციხიდან გაქცეულა. დაჭერის დროს აშორდიას უპოვნეს საზღარგარეთის პასპორტი ალექსი ანანიაშვილის სახელზე... ვინ მიიტანა ციხეში ეს ქაღალდი, — ჯერ არ იციან. აშორდიას პოლიცია ბეჯითად ეძებს".

თანამედროვეების მოგონებები

ერთხელ სოლომონი მეგობრებთან ერთად რესტორანში სადილობდა. იქვე მაგიდაზე ფულის კუპიურა 100 მანეთი დახატა. სადილობის შემდეგ რესტორნიდან გასვლისას, დაუძახა ოფიციანტს და ანიშნა, რომ ფული მაგიდაზე დატოვა. ოფიციანტი სწრაფად გაეშურა მაგიდისკენ, 100 მანეთი დაინახა და გახარებულმა მისი აღება დააპირა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ფულის ნიშანი იმდენად ოსტატურად იყო დახატული, რომ ახლო მანძილიდანაც კი მისი გარჩევა შეუძლებელი იყო.

ერთხელ თბილისში ყოფნისას, სოლომონმა გაიგო, რომ მდიდარ სომეხ ვაჭარს ქალაქში კარგი ბაღის ყიდვა სურდა. როდესაც ვაჭარი ბაღში სეირნობდა, მის გასაგონად ბაღის დარაჯს დაუძახა, შეაქო იგი და გულისხმიერი სამსახურისთვის 10 მანეთი აჩუქა. ეს რომ ვაჭარმა დაინახა, სოლომონის პიროვნებით დაინტერესდა და ბაღში მოსეირნე ხალხისგან მასზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყო (ისინი ძირითადად სოლომონის თანამზრახველები იყვნენ). მათგან შეიტყო ვაჭარმა, რომ ეს ბაღი სოლომონის „საკუთრება" იყო. ვაჭარმა სოლომონს ბაღის მიყიდვა სთხოვა, რაზედაც აშორდია დათანხმდა და გარიგებაც შედგა — ქალაქის მმართველობის გაყალბებული საბუთების თანახმად, ალექსანდრეს ბაღი ნამდვილად სოლომონ აშორდიას ეკუთვნოდა. მან ბაღი ვაჭარს რამდენიმე ათას მანეთად „მიჰყიდა" და გაუჩინარდა. შეძენილით გახარებულმა ვაჭარმა როდესაც ბაღის რეკონსტრუქცია დაიწყო, ქალაქის ხელისუფლებამ ამის საშუალება არ მისცა, რის გამოც იგი დიდხანს დადიოდა სხვადასხვა ინსტანციაში, სანამ არ დარწმუნდა, რომ იგი კლასიკურად გააბრიყვეს.

ვლადივოსტოკში ცხოვრების დროს, 1907 წლის ზაფხულში, რესტორანში სოლომონმა საფრანგეთის ელჩის ქალიშვილი გაიცნო, რომელიც იქ მამასთან, არდადეგებზე იყო ჩასული. მათი ნაცნობობა ინტიმურ ურთიერთობაში გადაიზარდა. გოგონამ სოლომონს პარიზში გამგზავრება იმ მოტივით შესთავაზა, რომ იგი იქ უკეთესად იცხოვრებდა, ვიდრე რუსეთში ცხოვრობდა. სოლომონმა უარი უთხრა და ეს იმით ახსნა, რომ მას მხოლოდ რუსეთში შეეძლო კარგად ცხოვრება, რადგანაც მიაჩნდა, რომ იქ ადვილი იყო მეფის სულელი ჩინოვნიკების გაბრიყვება. ქალიშვილისა და სოლომონის ურთიერთობით უკმაყოფილო საფრანგეთის ელჩმა მეფის მთავრობაში იჩივლა, მაგრამ ეს საქმე მიფუჩჩდა და სოლომონი გადარჩა.

აშორდიას თემა ქართულ ლიტერატურაში

სოლომონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საზოგადოებისა და პრესის ყურადღების ცენტრში იყო. მისი ყველა დაპატიმრება, ციხიდან გაქცევა თუ სასამართლო პროცესი მაშინვე აისახებოდა ხოლმე იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. მისით ინტერესდებოდნენ ქართველი „ცისფერყანწელებიც". კერძოდ — ვალერიან გაფრინდაშვილის ადრეულ ლექსებსა და წერილებში „აშორდიას" თემას გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი. აღსანიშნავია აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის პალინდრომი — „აი, რა მზის სიზმარია". მასში ხაზგასმულია ის, რომ იმდროინდელი საქართველო ისეთნაირად აირია, რომ თავადი და აზნაური ან არ, ან ვერ თავადობდა და აზნაურობდა. რომ ქართველი საზოგადოება რეგრესს განიცდიდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი

რუსეთის საერთო იმპერიული პოლიტიკა გახლდათ. სოლომონ აშორდიასა და „აშორდიას აზნაურების“ თემამ ასახვა — მხატვრულ პროზაშიც, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის, შალვა დადიანის ნაწარმოებებში პოვა.

— ბატონო მალხაზ, როგორ გგონიათ, იყო თუ არა სოლომონ აშორდია მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პროტოტიპი?

— კი, სოლომონისა და კვაჭის საქმიანობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. უბრალოდ, მიხეილ ჯავახიშვილმა ამ ყველაფერს, ცხადია, მხატვრული სახე მისცა... სოლომონი ძარცვავდა საწყობებს, ბანკებს, საქონელი მაღაზიებიდან ყალბი ჩეკებით გაჰქონდა. მოსაკლავად დასდევდნენ და ვერ იჭერდნენ. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, მოსკოვში დიდძალი ფული იმ ბინაში დატოვა, სადაც ცხოვრობდა. ოქროს მონეტები პიანინოს ფეხებსა და ხალიჩებში ჰქონდა შენახული. შემდეგ მის ჩამოსატანად გაემგზავრა, მაგრამ როსტოვში რომ ჩავიდა (ბათუმიდან მოტორიანი ნავით გავიდა), იმის გამო, რომ მოსკოვში დენიკინი იყო, იქ აღარ შეუშვეს... ამიტომ უკან დაბრუნდა, გზაში გაცივდა და რომ ჩამოვიდა, მალე გარდაიცვალა. თუმცა მანამდე გეგმაში ჰქონდა, რომ საფრანგეთში წასულიყო...

— ოჯახი თუ ჰქონდა?

— კი. ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი, რომელსაც თავად ვერ მოესწრო. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, 1982 წელს, მისი ქალიშვილი პირველად მაშინ ვნახეთ. მანამდე რატომღაც გვიმალავდნენ... ის ქალბატონი შარშან ნოემბერში გარდაიცვალა.

— სოლომონი რა ასაკში გარდაიცვალა?

— 45 წლის გახლდათ. 1875 წელს იყო დაბადებული...

— როგორც მისი შთამომავალი, რას გრძნობთ?

— მე მისი პირდაპირი შთამომავალი არ ვარ. იგი ჩემი პაპის ძმა იყო. მე ჩემი ცხოვრება მაქვს, მას თავისი ცხოვრება ჰქონდა... მთელი ბავშვობა, სახლში სულ მესმოდა, რომ სოლომონის სახით ასეთი ნათესავი გვყავდა... მამაჩემი ბიძამისს არ იცნობდა. იგი 8 თვის ყოფილა, სოლომონი რომ გარდაცვლილა. სიკვდილის წინ კი ძმისა და რძლისთვის უთქვამს: ყველაფერი გაყიდეთ და ბავშვს სწავლა-განათლება მიეცითო. ამის შემდეგ ატირებულა და მომკვდარა კიდეც... მამა დამსახურებული ინჟინერ-კონსტრუქტორი იყო, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში მუშაობდა. არაერთი გამოგონების ავტორი გახლდათ. ის სერიოზულად იყო დაინტერესებული საქართველოს ისტორიით. სოლომონის ცხოვრების შესწავლას კი, შეიძლება ითქვას, რომ თავი მართლაც შესწირა. მამის საქმე წლების შემდეგ მე გავაგრძელე. წიგნზე ასე ემოციურად იმიტომ ვმუშაობდი, რომ ერთი მხრივ, მამაჩემის საქმეს ვაგრძელებდი; მეორეც — როდესაც ახლოს გავეცანი სოლომონის ცხოვრებას, ადამიანურად ძალიან შემეცოდა... ■

ამპლუა

82 წლის გივი შავგულიძის ფორმაში ყოფნის „რეცეპტი“

82 წლის გივი შავგულიძემ მაყურებელს პროექტ „ნიჭიერიდან“ (სადაც მან ტატიანა საპოჟკინასთან ერთად ფიგურული ვალსი შეასრულა) დაამახსოვრა თავი, უფრო ზუსტად — შეახსენა: ბატონი გივი მომღერალი, მოცეკვავე, მსახიობი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი გახლავთ. ანსამბლ „ერისიონიდან“ პენსიაში გასვლის შემდეგ, აწ უკვე გარდაცვლილი ქალიშვილის თხოვნით, თავის სახლთან ახლოს მდებარე სულხან-საბას სახელობის ბაღს 20 წლის განმავლობაში ყოველგვარი ფულადი ანაზღაურების გარეშე უვლიდა. ამჟამად ბაღის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, გივი შავგულიძე კი უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა... ჩვენს საუბარს ბატონი გივის ძაღლი — კუსაც ესწრებოდა. ძაღლმა ბევრი იბრძოლა, ვიდრე ოთახში შემოაღწევდა, კარს თათებით მონდომებით ფხაჭნიდა. ამიტომ ინტერვიუ კუსაზე საუბრით დავიწყეთ:

ეთო ყორღანაშვილი

— კუსა სიკვდილისგან ვიხსენი კარგა ხნის წინ. საშინლად წვიმიანი ამინდი იყო — ლამის მთელი თბილისი წყალს მიჰქონდა. ეს ძაღლი სულხან-საბას სახელობის ბაღის ღობეში გაჭედილი ვიპოვე — საცოდავად წკმუტუნებდა. სახლში წავიყვანე. მაშინ ძალიან პატარა იყო, ყველა ეფერებოდა. ახლა უკვე გაიზარდა, ყეფა დაიწყო... ჩემ გარეშე ვერ ძლებს! ერთხელ, საცეკვაოდ რომ მივდიოდი, ავტობუსში კუსაც ამოპარულა, სავარძლის ქვეშ შემძვრალა და გასუსულა. კუსა მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა საცეკვაო დარბაზში შესულს ბავშვებმა მკითხეს: ეს ძაღლი თქვენია? გვაჩუქეთო. წაიყვანეთ-მეთქი, — ვუპასუხე. მართალია, კუსას ბავშვები უყვარს, მაგრამ ვერ შემელია (*იღიმის*)...

— ცეკვაზე სად დადიხართ?

— მუშთაიდის ბაღში, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „თელაში“. მოცეკვავეებს შორის, ყველაზე ხანდაზმული მე ვარ. სტუდიაში ჭარბწონიანი ადამიანებიც დადიან, რადგან წონაში დაკლება სურთ. 82 წლის ვარ და ნახე, როგორ ფორმაში ვარ! ეს ცეკვის დამსახურებაა! სხვათა შორის, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების წრეზე ჟურნალისტი — ნუგზარ რუხაძეც დადის.

— ბატონი ნუგზარი კარგად ცეკვავს?

— ორივე კარგად ვცეკვავთ (*იღიმის*)!

— სტუდიაში რამდენ ხანს ატარებთ?

— კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და პარასკეობით მივდივარ. მეცადინეობას საღამოს 8-ის ნახევარზე ვიწყებთ და 9 საათზე ვამთავრებთ. დანარჩენ დღეებში სტუდია დაკავებულია — ცეკვაზე ახალგაზრდებიც დადიან.

— დიდი ხანია, რაც სამეჯლისო-სპორტული ცეკვების წრეზე დადიხართ?

— უკვე მეხუთე წელი დაიწყო. დაახლოებით, 5 წლის წინ უმცროსი ქალიშვილი დამეღუპა — თავში სიმსივნე აღმოაჩნდა. დაავადების შესახებ გვიან შევიტყვეთ, თორემ ყველაფერს გავყიდდი და ჩემს შვილს დავეხმარებოდი. ჩემ თვალწინ დალია სული — სულხან-საბას სახელობის ბაღში, სკამზე... წინათ სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონში“ ვმღეროდი. ჩემი ქალიშვილი ცოცხალი რომ იყო, მითხრა: მამა, პენსიაში რომ გახვალ, სულხან-საბას სახელობის ბაღს მიხედეო. 20 წლის განმავლობაში ბაღს უსასყიდლოდ ვუვლიდი. ახლა რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ხელოვანი კაცი ვარ, უსაქმოდ ვერ ვჩერდები, ამიტომ სტუდიაში წავედი. იქ როგორ მოვხვდი, გაინტერესებს?

— რა თქმა უნდა!

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი გახლავართ. მომღერალ „ჩოხოსნებს“ ჩვენი ხელმძღვ-

ანელი გვყავს და საკმაოდ საინტერესო ღონისძიებასაც ვგეგმავთ (წინასწარ თქმა არ მინდა). სტუდია „თელას“ ხელმძღვანელი — თენგიზ გაჩეჩილაძეც „ჩოხოსანია“. საკუთარ დაბადების დღეზე კარგად რომ ვიცეკვე, სტუდიაში მიმიპატიჟა. ცეკვის წრეზე თითო ადამიანი თვეში 45 ლარს იხდის. თანხის გადახდის საშუალება არ მქონდა, მაგრამ მითხრეს, — შენ ოღონდ მოდი, ფული არ გვინდაო. თანხა რომ მომთხოვონ, კი წამოვალ უკან, აბა, რა ვქნა (*იღიმის*)?

— **შემოსავლის წყარო არ გაქვთ?**

— არავითარი, მხოლოდ პენსიის იმედად ვარ.

— **როცა სტუდიაში არ ხართ, რას აკეთებთ? როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

— დილით ეზოს ვალაგებ და მიუხედავად იმისა, რომ ბაღის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, მზრუნველობას მაინც არ ვაკლებ: ამას წინათ, ქარმა ხეებს ტოტები ჩამოამტვრია. რომ გამოიდარებს, ამ საქმესაც მივხედავ. ახლა ბაღი ცოტათი გადააკეთეს — ასფალტი დააგეს. ხეხილის ნერგები, ყვავილები ჩემი სახლის ეზოში წამოვიღე — მინდა, ჩემი გოგოს საფლავზე გავახარო. აბა, ხომ არ გადავყრი?! ბუნება ძალიან მიყვარს!

— **შვილი კიდევ გყავთ?**

— კი, შვილიც მყავს, შვილიშვილებიც და შვილთაშვილიც! ჩემი მეუღლე დიასახლისია. ახლა ცოტა შეუძლოდაა, მაგრამ საერთოდ, ყოჩაღი ქალია! ახალგაზრდობაში ძალიან კარგად კერავდა.

— **ახალგაზრდობაში თქვენ რას საქმიანობდით?**

— მუსიკალური კომედიის თეატრში ვმუშაობდი; ოპერაში, „ერისიონში“ და დიდი ხნის წინ, სამხედრო ნაწილის ანსამბლშიც ვმღეროდი. მომღერალი უფრო ვარ, ვიდრე — მოცეკვავე. პროექტ „ნიჭიერის“ მესამე ტურში რომ გადავსულიყავი, დიდი სურვილი მქონდა, მაყურებლის წინაშე სიმღერით წარვმდგარიყავი.

— **„ნიჭიერში“ მონაწილეობა საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტეთ?**

— არა, მუშთაიდის ბაღში ჟურნალისტები მოვიდნენ. ჩემი ასაკი რომ გაიგეს და თან, ნახეს, რომ კარგად ვცეკვავდი, „ნიჭიერში“ მონაწილეობა შემომთავაზეს.

— **„ნიჭიერის“ პირველ ტურში პარტნიორთან ერთად იცეკვეთ. ქალბატონი ტატიანა საპოჟკინა როგორ შეარჩიეთ?**

— ჩვენთან ყველაზე კარგად ეგ ცეკვავს და იმიტომ (*იცინის*)! ტატიანა პედაგოგიცაა. ადრე პარტნიორობას 18 წლის გოგონაც მიწევდა.

— **როცა ცეკვავთ, როგორი განცდა გეუფლებათ?**

— სტუდიიდან შინ რომ ვბრუნდები, თავს პატარა ბიჭივით ვგრძნობ. ცეკვა ჯანმრთელობაა. სამშაბათი და პარასკევი საღამოს დადგომას მოუთმენლად ველოდები ხოლმე!

— **ალბათ, ქალბატონი ტატიანასა და თქვენი შესრულებული ფიგურული ვალსი თქვენმა მეუღლემაც იხილა.**

— კი, ტელევიზიით ნახა და აღფრთოვანდა! ჩემი მეუღლე იმ ქალებს არ ჰგავს, ქმრებზე რომ ეჭვიანობენ (*იღიმის*).

— **ალბათ, ეს თქვენი დამსახურებაა.**

— უპირველეს ყოვლისა, ქალი უნდა გენდობოდეს. ოჯახში ჩემი ადგილი კარგად ვიცი.

— **თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ?**

— წარმოშობით ქუთაისელი ვარ. ჩემი ყველაზე დიდი სურვილი თბილისში ჩამოსვლა და ხალხისთვის ჩემი სიმღერის გაცნობა იყო. სხვათა შორის, საკუთარ ხმაში მე თვითონ ისე დარწმუნებული არ ვიყავი, როგორც ჩემი მეზობელი — ანეტა ადანაია. ანეტა მაშინ იმდენი წლის იყო, რა ხნისაც ახლა მე ვარ (*იცინის*). ცეკვაც ბავშვობიდან მიყვარს — სკოლაში ცეკვის წრეზე დავდიოდი. დედაჩემს 8 შვილი ვყავდით — 1 გოგონა და 7 ბიჭი. მამა ფრონტზე დაიკარგა. ერთი ძმა ომიდან ღრმა ჭრილობით დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. ძალიან დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. ასეთმა ცხოვრებამ შრომა მასწავლა: ლუკმაპურის საშოვნელად მუშაობა ჯერ კიდევ ბავშვმა დავიწყე...

მეუღლესთან ერთად

გივი შავგულიძე შვილებთან ერთად

— **დედაქალაქში როგორ მოხვდით?**

— „მუსიკალური ათწლედისთვის“ დათიკო გამრეკელი, ნადია ხარაძე, ანა ჩიჯავაძე, დათიკო ანდღულაძე, ვალერიან ქაშაკაშვილი ახალგაზრდებს ეძებდნენ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონს სტუმრობდნენ. მაშინ ქუთაისში, მესხიშვილის სახელობის თეატრში სტატისტად ვმუშაობდი. მე ვალერიან ქაშაკაშვილმა „აღმომაჩინა“. ქუთაისიდან თბილისში რომ გამოვემგზავრე, 19 წლის ბიჭი ვიყავი. 120 ახალგაზრდიდან „ათწლედში“ მხოლოდ 18 მიგვიღეს. ჩემთან ერთად სწავლობდნენ: თენგიზ ზაალიშვილი, ჯანო კახიძე... „ათწლედის“ დირექტორი გივი სვანიძე იყო. ახალგაზრდობაში პურის ფულის საშოვნელად, რამდენიმე ბიჭთან ერთად სასაფლაოზეც ვმღეროდი... შემდეგ მუშაობა მუსკომედიის თეატრში დავიწყე და ახლობლებმა მითხრეს: დროა, ცოლი შეირთოო. მეუღლე დედამ გამირიგა. ჩემი ცოლი ახლაც კარგი ქალია და ხომ ნარმოგიდგენიათ, ახალგაზრდობაში რა ლამაზი იქნებოდა! ასაკით ჩემზე უმცროსია. ისე, მეც ყველა მეუბნება — 65 წლისას ჰგავხარო (*იცინის*). ასაკი არ მეტყობა. სულ ფორმაში რომ ვარ, ეს ცეკვის დამსახურებაა!

— **„ნიჭიერის“ მესამე ტურში მაყურებელს რას ჰპირდებოდით?**

— რადგან მაყურებელს ჩემი შესრულებული ცეკვა ვუჩვენე, მინდოდა, შემდეგ ტურში მემღერა. ქართულ ან იტალიურ სიმღერას შევასრულებდი. სიმღერების სახელწოდებებს არ დავასახელებ.

— **ხმას როგორ უფრთხილდებით?**

— ალკოჰოლურ სასმელს არ ვსვამ: ღვინო ქვევრებს ხეთქავს! მას რომ აჰყვეს კაცი, დაიღუპება! არიან მომღერლები, რომლებიც სიგარეტს ეწევიან, მაგრამ მე არ ვეწევი. საერთოდ, არც ერთი „ჩოხოსანი“ არ ვეწევით! მოკლედ, ხელოვანი კაცი ვარ — მთელი ცხოვრება ვცეკვავ და ვმღერი. ახლაც ასეთი გამოპრანჭული იმიტომ ვარ, რომ ცეკვის კონკურსზე მივიჩქარი.

— **იმედია, ძალიან არ დაგაყოვნეთ. კონკურსში თქვენც მონაწილეობთ?**

— არა, ახალგაზრდები მონაწილეობენ. ყოველი თვის ბოლოს, სტუდიაში მოცეკვავეების „გადახალისება“ ხდება... დღეს საცეკვაოდ არ მივდივარ, მაგრამ თუ შემომთავაზებენ, — ბატონო გივი, თქვენც იცეკვეთო, სიამოვნებით დავთანხმდები (*იცინის*)...

■

ქეთი ორჯონიკიძე ახალ ამპლუაში

„იხარეთ ჩემთან და ჩემ გარეშე“

მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემ თავისი შემოქმედებით საზოგადოებას უკვე შეაყვარა თავი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ გარდა მუსიკისა, მას ლექსების წერის ნიჭიც აქვს. ქეთი პოეზიას წლების წინ ეზიარა და უკვე ლექსების მესამე კრებული გამოსცა.

ლიკა ქაჯაია

ქეთი ორჯონიკიძის ფანებმა ცხადია, ეს ამბავი მალევე აიტაცეს და მეც მიბიძგეს იმისაკენ, რომ მომღერალი ახალ ამპლუაში წარმოგიდგინოთ. ამას წინათ მისი კრებული, სახელწოდებით — „იხარეთ ჩემთან და ჩემ გარეშე“ შემთხვევით ჩამივარდა ხელში. კრებულს წინ უძღვის ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის შეფასება, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„ქეთი ახალგაზრდა გოგონაა და უკვე იცის, რომ რთული ყოფილა უცრემლო ტირილი. ბნელით მოცული ქვეყანა შემოქმედისთვის ნათელია, ჰოდა, უასაკობის ჟამსაც გრძნობს შემოქმედი, რომ უნდა გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი. რთულია? დიახ, რთულია, მაგრამ არ უნდა გძულდეს მაინც, რამეთუ, ღმერთი სიყვარულია.

„თუ სიყვარულის გულისთვის,/ მას ღამე უნდა ეთია,/ ყოველთვის თავს არწმუნდებდა,/ რომ ქვეყნად ერთადერთია./ ყველაფრის ამის მოწმე კი/ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთია,/ მისთვის სიცოცხლეც, სიკვდილიც,/ ორივე თითქოს, ერთია“.

მე მჯერა დამწყები შემოქმედისა, რომ: „ვინც ბედისწერას გაურბის, იგი პირველი კვდება!/ ვის ეშინია სიკვდილის? — მას, ვინც სიცოცხლით ტკბება“.

აქვე გთავაზობთ ქეთის ერთ-ერთ უსათაურო ლექსს:

„მინდა, რომ გითხრა მიყვარხარ, მაგრამ მაშინებს პასუხი,
შიშის მორევში ვცურავ და მიჭერს მისივე მარწუხი,
როგორ მინდა, რომ მოვიდე, ბაგე ბაგეზე შეგახო,
ანდა პირიქით ვერასდროს, ვეღარასოდეს ვერ გნახო.
ორი მხარე აქვს ყველაფერს, ჩემთვის ორივე ცუდია,
იცი, რა არის სიკვდილი? სიცოცხლის ჩუმი ქურდია,
ვერ ვიტყვი ალბათ ვერაფერს, გრძნობა ეს არასწორია,
ეშმაკი მტანჯავს, მაწუხებს, სული ამომდის მგონია“.

ქეთი ორჯონიკიძე:

— აქ 13 წლის ვარ და მართლა კარგად გამოვიყურები. ეს იყო ფოტომოდელობის პირველი მცდელობა. ასეთ ფოტოებს ბავშვობაში ხშირად მიღებდნენ.

„ქათამაძის სიმღერები კოსმოსში გაგზავნეს(?!)“

„ნინოს მუსიკა ყველაზე მძიმე დღეებში დაგვეხმარა“

რამდენიმე დღის წინ ნინო ქათამაძე ქართულ ტელეეკრანებზე გამოჩნდა და თინეიჯერებიც გააქტიურდნენ, მისი შემოქმედებისა თუ პირადი ცხოვრების შესახებ ათასი კითხვა დამაყარეს. ვინაიდან მომღერალთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ (იმედია, ამას უახლოეს ნომერში შევძლებთ), შევეცადეთ, მის შესახებ რაიმე ინფორმაცია მაინც მოგვეპოვებინა. როგორც შევიტყვეთ, ნინო თავის მსმენელს მალე ახალი სიმღერებით გაანებივრებს და მიუხედავად იმისა, რომ მომღერალს მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, კარიერის შეწყვეტას ნამდვილად არ აპირებს (როგორც ამას ბოროტი ენები ამბობენ). ახლა კი მომღერლის შესახებ ინტერნეტფორუმზე მიმოფანტულ მოსაზრებებს გაგაცნობთ.

ანია:

„იმისათვის, რომ წარმატებული იყო, მხოლოდ ნიჭი და ვოკალი არაა საკმარისი. პირველ რიგში, ადამიანი უნდა იყო. ნინო ძალიან თბილია და რაც მთავარია, ერთი დიდი ინსტრუმენტია, მუსიკას სხეულით ატარებს“.

აჩრდილი:

„ძალიან ნიჭიერი და გულიანი მომღერალია. ნინო ქათამაძისგან 5 ქეთი მელუა გამოიჭრება (ყველა ასპექტში) და სხვასაც ბევრს „ჩააჩუმებს“.

VOL4ICA:

„მე არ ვიცი, დღეს როგორ უყურებს სამყაროს, მაგრამ წლების წინ მოვისმინე მისი „სულიკო“ და ლამის, გავრეკე. ვთქვი კიდეც: მგონი, გვეშველა-მეთქი, მაგრამ დამეთანხმებით, პირვანდელ ნინო ქათამაძესა და დღევანდელს შორის დიდი განსხვავებაა“.

ანია:

„მუსიკაშია განსხვავება? მისი მუსიკა მგონი, ძალიან არ შეცვლილა, ხოლო თუ გარეგნობას გულისხმობ...“

— ამ პერიოდში გადავწყვიტე, რომ ძალიან სექსუალური უნდა ვყოფილიყავი და მგონი, ეს გამომივიდა კიდეც.

— ერთი პერიოდი გოთის სტილში ვიცვამდი, თმაც შავად მქონდა შეღებილი და ფრჩხილებიც; შემდეგ ემოც ვიყავი — ეს სტილი მხოლოდ 2-3 დღე მქონდა მორგებული...



— ეს ფოტო ძალიან მიყვარს, ჩემია, აქ ნამდვილად მე ვარ, ასეთ ფორმაში თავს კომფორტულად ვგრძნობ. ეს არის გიტარა, რომელმაც დამასისხლიანა: ემოციურად ვუკრავდი და როცა ვიგრძენი, რომ ხელი ძალიან დამისველდა, უკვე გვიანი იყო.

დაბოლოს, როგორც ქეთი ამბობს — „გარკვეული პერიოდი მაქვს რაღაც ახირებები და ვიდრე ამ ამოჩემებას არ დავიკმაყოფილებ, ვერ გავჩერდები“ — ამაზე მომღერლის ფოტოებიც მეტყველებს, სადაც მისი ცნობა თითქმის შეუძლებელია.

■

JNOSY:

„ძალიან მაგარია, ყველანაირად. ცოტა მეტი რომ იშრომოს და მუსიკა წეროს, საუკეთესო იქნება. მაგას რომ მუსიკალური მონაცემები აქვს...“

ბოგო:

„საინტერესოა, რას ნიშნავს მუსიკის სხეულით შეგრძნება?.. რაც შეეხება ქათამაძე ნინას, ერთი რამ მაინტერესებს — რატომაა ყველა მისი სიმღერა დაუმთავრებელი და ღრიალა?“

ოლეგუერი:

„ნინო ქათამაძის მოსმენა თურმე, 100 იმ საქმეში შედის, რაც ყველა ადამიანმა უნდა გააკეთოს... მისი სიმღერების ჩანაწერები კოსმოსში გაგზავნესო ანუ უცხოპლანეტელების მუსიკამდე „ქაჩავს“.

ანჩო:

„აუ, მაგ გოგოს ლაპარაკი ძალიან მაღიზიანებს, სულ სასწაულებსა და სათნოებაზე ლაპარაკობს. ვითომ, „ძალიან კეთილშობილია“, არადა, როგორც ვიცი, ხანდახან („ზა კადრომ“) გემრიელად იგინება“.

MERRYGOROUND:

„ნინო ძალიან მიყვარდა, როგორც შემსრულებელი და ახლაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩემთვის, მისი შემოქმედება უკვე ამოწურულია. არც აფერისტობას დავაბრალებ და არც არაფერს — გაიყინა ადამიანი ერთ ნოტზე და ეგაა. თუმცა, ზოგიერთი კომპოზიციის მოსმენა დღესაც მსიამოვნებს“.

უშენობა:

„ნინო ქათამაძე ყველა ქართველი შემსრულებლისგან გამოირჩევა მუსიკის სტილით, შესრულების მანერით, ხასიათით, ხარისხით, სილამაზით და აზრით... ან როგორი ემოციით მღერის?! ძალიან მიყვარს მისი სიმღერები, განსაკუთრებით კი, აი, ეს: „ისევ და ისევ მივდივარ სადღაც,/ ნაცნობი ქარი მაცილებს მხოლოდ,/ ისევ და ისევ, მე ვფიქრობ შენზე,/ და შენი თმების ოკეანეზე... ნუთუ სადღაც აქ არის,/ შენი ლურჯი თვალები... ეჰ“.

WATERS:

„ნინო მოსკოვში, კლუბ „BI-2“-ში უძლიერეს კონცერტებს მართავს. თუ ამ ქალაქში მოხვდებით, იქ აუცილებლად შეიარეთ და არ ინანებთ“.

ბეკო:

„ნინოს მუსიკა ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეებში დაგვეხმარა. ჰოდა, იმის მერე მიყვარს“.

ანია:

„მაშინ, პირადად ჩემს ცხოვრებაში რომ არ გამოჩენილიყო, არ ვიცი, დღეს როგორ ვიქნებოდი. ალბათ, სტაფილოსფერის ნაცვლად, ნაცრისფერი ან ლურჯი ვიქნებოდი“.

ბეკო:

„აბა, სხვა რა ევალება მუსიკოსს?“

INT3LIG3NT:

„ნინო უკრავს სულის მუსიკას. მის „ოლეიზე“ მაჟრიალებს“.

KISSIE:

„ეს ქალი ძალიან მიყვარს. ასე მგონია, ყველა ბგერას გრძნობს. ერთხელ ტელეეკრანზე ვნახე, რაღაც კონფერენციაზე გახლდათ მისული, დახვეული თმით, მაკიაჟით. მოკლედ, ძალიან NEAT იყო, ლამაზად გამოიყურებოდა, მაგრამ მე არ მომეწონა — ნაღდი ქათამაძე არ იყო და იმიტომ!“

ნინაჩო:

„ნინო უძლიერესია, მაგის თავისუფალ სტილს ვენაცვალე... იცის თავისი საქმე და როცა მღერის, მუსიკას მართლა გრძნობს“.

JHON ZORN:

„ქათამაძე არა, დაბოლილი... კარგი ბენდი ჰყავს, მაგრამ მისი სიმღერა რა მოსა-

თინეიჯერული პონტები

წონია?! არ მევასება მიმბაძველი „სასტავი“...

ანჩო:

„მეც მაჟრიალებს, ოღონდ მაშინ, როცა მის ლაპარაკს ვისმენ. ისე, უნდა ვაღიარო, ბევრ ქართველ მომღერალს სჯობია“.

AR-PHARAZON:

„არ მესმის, ქათამაძეს და კორკოტაშვილს ერთმანეთს რატომ ადარებენ? ნინო ჩამოყალიბებული მუსიკოსია, თანაც, ძალიან თავისებური და განსხვავებული, სალომე კი ნიჭიერი, მაგრამ აშკარად, ჯერჯეროობით, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი შემსრულებელია“.

გვასკა:

„ნინოს ხმასა და იმპროვიზაციის უნარს ვერავინ წაართმევს, მაგრამ მუსიკა — მისი არ არის (2 კომპოზიციის გარდა); ყოველ თემას თავისი ავტორი ჰყავს, არანჟირება კი გოჩასია, გიტარისტის. კარგია თუ ცუდი — მიმართულებაც, გემოვნებაც და ხასიათიც ბენდის დამსახურებაა“.

CAMEL:

„მინდა, ყველასათვის საყვარელი გოგო ვიყო“ — ასეთი „როუები“ არ მიყვარს!“

COOL-GIRL:

„მე ქათამაძის „იები“ მომწონს და კიდევ, ერთი სიმღერა, რომელსაც მგონი, „მზეო ლილეო“ ჰქვია — წლების წინ, საახალწლო კონცერტზე, ბავშვებთან ერთად იმღერა და ძალიან მომეწონა. სხვა სიმღერებზე აბა, რა გითხრათ? ნინოს ფანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ კარგი ხმა რომ აქვს, ამაზე კამათიც არ შეიძლება“.

AR-PHARAZON:

„ვარ უცხოეთში. აქამდე მხოლოდ უცხოურ მუსიკას ვუსმენდი, მაგრამ ახლა გამიჩნდა ბუნებრივი სურვილი, ჩემს ძვირფას თანაკურსელებს ქართული მუსიკა მოვასმენინო. აქამდე ქართულ თანამედროვე სიმღერებს დავცინოდი, არასერიოზულად აღვიქვამდი და იცით, რა? — ყველაზე ცუდი ისაა, რომ ახლაც ასეა! სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე ისეთი ღირსეული ჯგუფი, რომლის სიმღერებსაც უცხოელებს თამამად მოვასმენინებდი. გამონაკლისია მხოლოდ ნინო ქათამაძე, ჯგუფი „ინსაითი“ და „ვვ ა“... ნინო ძალიან საინტერესო მუსიკოსია. მისი რეპერტუარიდან სულ რამდენიმე მუსიკა მომწონს, მაგრამ „კაკ მინიმუმ“, თავს მაინც არ გვჭრის. ამასთანავე, ძალიან კარგად უკრავენ „ინსაითის“ წევრები; ქათამაძე „პროსტა“, „ტიპობის“ ამბავში კი არა, მთელი გულით მღერის, ბოლომდე იხარჯება. ემოციის ასე გამოხატვა ყველას როდი შეუძლია“.

FALLE-NAN-GEL:

„ერთხელ ნინოს და „ინსაითის“ კონცერტზე, პეტერბურგში — MUSICHALL-ში ვიყავი. არ ველოდი, დარბაზი რუსებით თუ იქნებოდა სავსე. ამ ადამიანებმა ქართველი მომღერლის სიმღერის ტექსტები ზეპირად იცოდნენ. დარბაზში მხოლოდ ოციოდე ქართველი თუ იქნებოდა და ისინიც, მეორე სიმღერის მერე, როცა ნინოს „პარამა პუპუ“-ს ალღო ვერ აუღეს, ადგნენ და წავიდნენ. უვიცები! ჯაზმენი არ ვარ, მაგრამ მის კომპოზიციებს ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენ, უნიჭიერესი პიროვნებაა!“

ჯორჯ მნორისსონი:

„თავის ჭკუით, ჯენის ჯოპლინობს, მაგრამ რაც არის, იმად დარჩება“.

ანია:

„სად ჯენის ჯოპლინი და სად ქათამაძე? ოდესმე, მის კონცერტზე თუ ყოფილხარ?“

დათუნა:

„მისი სიმღერები არ მომწონს, მაგრამ მაინც, ბევრ ვითომ მომღერალს სჯობია“.

ანია:

„აი, რუსები მასზე სტატიებს აქვეყნებენ. ამ რუსებმა ყველაფერში როგორ უნდა გვაჯობონ, ჰა? ნერვები მეშლება! ქალი ჩვენიანია და სხვა აფასებს, თან ჰყვება, ჩვენ კი რა უზარო ხალხი ვართ... აუ, რატომ არა ვარ ჟურნალისტი?!.“ ■

თინეიჯერები გვწერენ

EKOBOY:

„მე და საზოგადოება

მე ერთი ჩვეულებრივი, 18 წლის მოზარდი ვარ. იყვნენ ავანტიურისტები, მეამბოხეები პოლიტიკასა თუ ხელოვნებაში, მაგრამ საზოგადოება დარჩა ანგარიშგასაწევ „ფასეულობად“. მოვახდენ ციტირებას ორი გამოჩენილი ადამიანის სიტყვებისას, რომლებიც თავიანთი ეპოქის ბუმბერაზი, ბრბოს ცნობიერების შეცვლისკენ მსწრაფი პიროვნებები იყვნენ. ნაპოლეონი ამბობდა: „საზოგადოებრივი აზრი? ეს ხომ ქუჩის ქალია“ ან კიდევ, თეოდორ რუზველტი: „არ მადარდებს ჩემზე სხვები რას იტყვიან, მაგრამ ნამდვილად მაღელვებს ის, თუ რას ვიტყვი საკუთარ საქციელზე — აი, ეს არის ხასიათი“... ხომ ეთანხმებით თითოეულ მათგანს?.. და მაინც, რა არის სოციუმის ცნება — სტერეოტიპი, შექმნილი ადამიანების მიერ, რომელიც დაუწერელი კანონებით გვიმორჩილებს? რატომ ვუბამთ მხარს უმრავლესობას? იმიტომ, რომ იგი ყოველთვის მართალია თუ მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა ძლიერია, ჩვენ კი ჩვეულებრივ ადამიანებს, უბრალოდ, გვეშინია მისი?! ვოცნებობ, მალე გავხდე დამოუკიდებელი, რათა ჩემი მომავალი წარვმართო ისე, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ. ვერავინ მოთვლის, რამდენი პრობლემა ჩნდება თინეიჯერობის ასაკში, მათგან კი 80% მშობლებთან და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისას ჩნდება; ისინი ვერ გიღებენ ისეთს, როგორიც ხარ. არ მოსწონთ, როცა სხვებისგან გამორჩეული სტილი გაქვს (იქნება ეს პირსინგი თუ ტატუს გაკეთება) — ეს არის ბარიერი, რომელიც მრავალი მცდელობის მიუხედავად, ძველმა თაობამ ვერ გადალახა და ჩვენ, თინეიჯერებს აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ მათ უნდა გავუგოთ. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: უცხოეთში ყველა მოსწავლე, გარკვეული ასაკიდან (რასაკვირველია, სურვილის მიხედვით), სწავლის პარალელურად, მუშაობს „პროფილაქტიკაში“, ბარში, დისკოთეკაზე, ქუჩაში უბრალო მოვაჭრედაც კი, და რაც მთავარია, იქ ბავშვის სოციალური წარმომავლობას ანუ ვინ ვისი შვილია, დიდი ყურადღება არ ექცევა. ხომ ვართ დასავლური ცივილიზაციისკენ მსწრაფი ერი? მაშინ მითხარით, რომელი ქართველი მშობელი დაუშვებს იმას, რომ მისმა შვილმა ბარში იმუშაოს, საკუთარი ჯიბის ფულის გამოსამუშავებლად? — მხოლოდ აბსოლუტური მინიმუმი. — რა სჭირს ჩემს ოჯახს სამაგისოო, — ამბობენ და სახე ეცვლებათ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მუშაობა ცუდია, არამედ — ხალხი რას იტყვისო?! მაშ, მოდი, ყველა დავეთანხმოთ იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი „ქუჩის ქალია“. მთავარი შიშველი „მე“-ს დანახვაა, რომლის გამოც არასოდეს არ უნდა შეგრცხვეს.

მე მოზარდი ვარ და უკვე მრავალი პრობლემა მქონდა, ჩემი არაორდინარულობისა და ექსცენტრიკულობის გამო. ასეთ დროს, არის მომენტები, როცა სულის სიმარტოვე გიჭიროს, გიძნელდება მოიკიდო ფეხი ქვეყანაში, სადაც შენნაირების ადგილი არაა, როცა საზოგადოება შენს გაგებას არ ცდილობს, როცა არ გყავს მეგობარი და მხოლოდ ორი გზა გრჩება — ან სხვათა ფეხის ხმას უნდა აჰყვე, ან იპოვო შენი მიკროსამყარო. ცხოვრება სავსეა სიცარიელით, მარტოობით, ხანდახან კი მოულოდნელი სიურპრიზებითაც. პირადად მე, უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობ და ეს მაძლევს ძალას.

P.S. ჩემს სათქმელს თავი აქ მოვუყარე. არ მინდა, სულით მეამბოხედ მიმიჩნიოთ, მაგრამ ამ ყველაფერმა დამღალა. ჰო, ვიცი, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ამიტომ მოდი, ყველას თავისი გზით გაუმარჯოს!“

ეკიგვა:

„რუისპირის წერილმა მაიაკოვსკი გამახსენა: „თუ გსურს გაიგო, რომ ეს მიწა არის დაღმართი, დაჯექ საკუთარ საჯდომზე და გასწი, დაქანდი“. ჰოდა, ამ პატარა ბიჭს, ახლა რომ იწყებს ცხოვრებას, საკუთარ აზრებსა და საჯდომზე დაყრდნობა არ აპატიეს, დაღმართის ბოლოს თავადაც ვიწრო მსოფლმხედველობის, „დაქანებულნი“, მაგრამ ძლიერნი ამა თელავისანნი დახვდნენ, ამაზრზენი მეთოდებით გაუსწორდნენ და ცოდნის ტაძრის კარი დაუხურეს. ამით რუისპირის განვითარება არ დამუხრუჭდება და ალბათ, მომავალში უფრო კორექტულად, შელამაზებულად დააფიქსირებს თავის აზრს, ხოლო უფროსების ასეთი უხერხემლო პატრიოტიზმი შავ ლაქასა და უნდობლობას დატოვებს მოზარდის სულში. არადა, რა თქვა ასეთი მიუტევებელი ამ ბავშვმა?.. მე ვსწავლობდი თელავში, მეექვსე კლასიდან კი თბილისში გადმომიყვანეს და აქ დავამთავრე საშუალო სკოლა. ჰოდა, მერწმუნეთ, დედაქალაქი მართლაც, ცოდნის მიღების მეტ საშუალებას გვაძლევს და დროა, სირაქლემას პოზა შევიცვალოთ. პროვინცია ხალხის სამშობლოა, პროვინციალიზმი კი — ბრბოსი; გამოდით და ჩვენც გამოგვიყვანეთ ამ ვიწრო ჩარჩოებიდან, ბატონებო. მე და ჩემს პატარა ძმას კახეთი მთელ ქვეყნას გვირჩევნია, მადლობელნი ვართ იმისათვის, რომ კახეთის ძუძუ გვიწოვია, მაგრამ პატარა ცდომილებისთვის ნუ მოგვწამლავთ, შეგვარგეთ ეს ტკბილი რძე და გვაცალეთ ცხოვრება, „დაღვინება“. P.S. ლიკ, როგორ დავეხმაროთ ამ ბავშვს?“. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-10

ავჯა (ძვ.) — ხვეწნა, მუდარა, ვედრება.
ავჯამი არაბ. (საუბ.) — რეგვენი, ბრიყვი.
ავჯასპი (ქიმ.) — მძიმე ლითონების გოგირდმჟავა მარილი.
ავჯილლა — დაუკოდავი ცხენი.

ბ

ბაბანი — თრთოლა, კანკალი, ძაგძაგი.
ბაბაყული — უუმური, უცხვირპირო ადამიანი.
ბაბაჭუა — იგივეა, რაც ობობა.
ბაბილო — იგივეა, რაც უსურვაზი (ველური ვაზი).
ბაბლი — 1. ჩვეულებრივ მრავლობითში: ბაბლები (ძვ.) — საბნის თავსა და ბოლოში მიკერებული ნაჭრები (სხვა ქსოვილისა). 2. სამკუთხა ნაჭრები, რომლისგანაც იკერება საბანი (იციან ქართლში).
ბაბრი სპ. — 1. იგივეა, რაც ჯიქი. 2. დიდი დათვი.
ბაგა — საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის (წნული ან ფიცრული).
ბაგა — ახალი ვენახი.
ბაგბაგი (კუთხ.) — იგივეა, რაც ბაბანი (კანკალი).
ბაგვი — 1. მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ (იციან რაჭაში). 2. ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი.
ბადაგი — ყურძნის წვენი, შესანახავად მოდუღებული.
ბადალი — ტოლი, სწორი.
ბადახში სპ. — წითელი ფერის ძვირფასი ქვა.
ბადექონი — ქონის ფენა, რომელიც მუცლის არეში შიგნეულზეა შემოკრული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

ვინა სთქვა

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები – შემჯული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
ყლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და ჯოშჯი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში,
ჩვენში დალვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმეოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი – ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთლად ალბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ ჯარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

სიმონ ჩიქოვანი

„Всё обнажённое прекрасно, лишь раздетое смешно!“ (Юкио Мисима)

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 11

მანანასგან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, ზოომაღაზიასთან დავდექი. ვიტრინის მიღმა რადიატორს მიფიცხებული ორი საძაგელი ზაზუნა და გაქუცული კატა მეგობრულად თვლემდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ სიცივემ ძვალ-რბილში დამიარა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მიშა კოზაკოვის პატივსაცემად საგულდაგულოდ ჩაცმული ფრანგული აბრეშუმის ზურგამოღებული სარაფანი ყინულად იქცა. ფეხები გამეთოშა, თითქოს ფეხშიშველი ვიდექი რუსულ მიწაზე. მანანა არსად ჩანდა, ერთადერთი ხსნა ზოომაღაზიის გვერდით კაფე „არბატი“ იყო. ასმა გრამმა ტვინი გამილღო, აზროვნება დამიბრუნა და ოდნავ შემთბარი ისევ გარეთ გავედი. კიდევ ერთი საათი გავიდა და მე საკუთარ თავზე გამოვცადე, რას გრძნობდნენ გამყინვარების პერიოდში ცოცხალი არსებები. შურით გავხედე ზოომაღაზიის ბინადრებს, რა ენაღვლებათ, რა, და ისევ თბილ კუნძულზე, „არბატში“ შევბრუნდი.

ყოველ ნახევარ საათში პროცედურული შესვლა-გამოსვლისა და მიღებული ას-ასი გრამის შედეგად სურათი რადიკალურად შეიცვალა. საოცრად გალამაზდნენ ზოომაღაზიის ზაზუნები, ხოლო გაქუცული ფისო სიამის კატის ამაყ შთამომავალს მივამსგავსე. ამით ჰალუცინაციები არ ამოწურულა. არბატზე ღამაზი, ამაყი და მხრებში ღაღად გაშლილი თავად ჰერცოგი ანჟუელი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. „ნუთუ ამდენი დავლიე“, — გავიფიქრე და ვიტრინისაკენ მივტრიალდი.

— Морошкина, да? — მომესმა ზურგს უკან „ანჟუელის“ ხმა.

— Да, — ვთქვი დაბნეულმა.

— Я Кирил Козаков, Мананин брат, извините, Манана и Леван с папой задержались и ждут вас в театре.

„უფ, შენ გაიხარე“, — შვებით ამოვისუნთქე და რუსული ახალი სერიალის „გრაფინია დე მონსოროს“ ერთ-ერთ მთავარ გმირთან, ჰერცოგ ანჟუელთან კირილ კოზაკოვის იდენტიფიკაციამ საბოლოოდ დამაბრუნა რეალობაში. ისევ გასაძაგლებულ ზაზუნებსა და გაქუცულ კატას მალულად ენა გამოვუყავი და კირილს ამაყად გავყევი რუსული ბომონდის დასაპყრობად.

მანანასა და ჭოლას, ჩემი სიკეთისა არ იყოს, წუხანდელიც და დილანდელი ბახუსიც გვარიანად ეტყობოდათ. „შეხვედრა ელბაზე“ გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

საიუბილეო საღამო ორ გენიალურ რუს მსახიობს, შირვინდტსა და გაფტს მონაცვლეობით მიჰყავდათ. მათი ნათამაშები როლები სამუდამოდ ჩაიბეჭდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მაყურებლის ცნობიერებაში. უზადო იუმორი, გამჭრიახობა და ენაკვიმატობა მათი საფირმო ნიშანი გახლდათ. სცენაზე რუსი სამსახიობო და საესტრადო ელიტის წარმომადგენლები მილოცვებითა და საინტერესო ამბების გახსენებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. მანანა, ჭოლა, მე და თინათინი იმდენს ვიცინოდით, რომ ცრემლები გვდიოდა. მართალია, პატარა თინათინს ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ ჩვენზე აყოლილი არანაკლებ ხალისობდა და თან დროდადრო სცენისკენ თითს იშვერდა და „გრუზინული“ რუსულით — □то мой дедушка-ს ხმამაღლა გაიძახოდა.

და აი, დადგა საღამოს კულმინაციური მომენტი. შირვინდტმა სცენაზე მიხაილ კოზაკოვის ცოლებს, შვილებსა და შვილიშვილებს უხმო და დარბაზში ღამის მე და ჭოლა დავრჩით. მიშას ქორწინებების ამბავი თავად ირანის შაჰსაც კი განაცვიფრებდა.

— ჩემები მაინც ყველაზე ღამაზები არიან! — თქვა ამაყად ჭოლამ და ეს სრული სიმართლე იყო!

— Мананкина подруга, Лали, — ჩამომართვა ხელი სცენიდან ჩამოსულმა მაესტრომ, — будем дружить!

ბანკეტი გადაცემა „Вокруг смеха“-ს უფრო ჰგავდა. ემოციისაგან ძალაგამოლეულს მხოლოდ ერთ რამეზე მწყდებოდა გული, — რა იქნება, ასეთი საღამოები თბილისშიც იმართებოდეს, ჩვენ ხომ ამ საერთო კულტურის მატარებლები ვართ. ამდენი წელია, ერთად მოვდივართ და ერთი-ორი უნიჭო პოლიტიკოსის გულისათვის არ ღირს საერთო მართლმადიდებელი ფესვების დაკარგვა. გადაწყვეტილია, რადაც უნდა დამიჯდეს, კოზაკოვი თბილისში უნდა ჩამოვიყვანო, რომ ამ სიამოვნებისა და სიყვარულის მოწმეები ქართველებიც გავხადო!

„ვესტნიკი“

საქართველოს კურორტები, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად საქართველოს მიეკუთვნება და არა მონაკოს, ევროპული ფასებით აოცებს დამსვენებლებს. მაგალითად, ბაკურიანისა და ალპების ფასები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ალპების სასარგებლოდ არა მხოლოდ მომსახურების, არამედ სიძვირის მხრივაც. მოწკლაპუნე, მოზოზიალე დედების გაუთავებელი გაბმული სოპრანო ვის არ დააკარგვინებს დასვენების სურვილს. მოწეული სიგარეტისა და დალეული ყავის რაოდენობა კი მანჯურიის მზვერავთა და ბრძოლაში გაწაფულ მომთმენ ნინძათა უმრავლესობას გამოიყვანდა მწყობრიდან.

— გიუნა, დედიკო, ამოდი აუზიდან, ამოდი-მეთქი! დაყრუვდი, ბიჭო? მოდი-მეთქი!

— კარგი რა, დე, კიდევ ცოტა ხანს... გთხოვ რა, ცოტაც...

— ამოდი, თორემ ახლავე დავურეკავ მამაშენს!

— გვანცა 5-მეტრიანს არ გასცდე, გაიგე, გოგო, არ გასცდემეთქი, სათვალე გაიკეთე, თმა გადაივარცხნე, პირი დახურე.

— ნიკა, ძაღლს ნუ ეთამაშები, გიკბენს, ოოო, ერთი თქმით ვერ

უნდა გაიგო? მაინცდამაინც მუცელში 40 ნემსი გინდა ხო?

— რეზიკო, ჭამის დროა, რა აგიღო? რაა, არ მესმის? მარტო ხაჭო და არაჟანი რას გეყოფა? კატლეტს შეჭამ, ან ციგას თვალითაც ვერ ნახავ!

— ბიძინა, ჩამოდი, თორემ სულ არ მიჯერებს გივიკო, კარგი, რა, აქეთ გამომიშვი და შენ იქ გულაობ, არა? ფულიც აღარა გვაქვს, ბიძინა, გესმის, არ გადამიყვანო ახლა ჭკუიდან!

— ჰო, დედა, ჰო, არ გაცივდებიან, კი, ორი რეიტუზი და თბილი უშანკა ახურავს, დღეს მაკარონი და ხბოს ხორცი ჭამა, კი, დედა, კი, თაფლსაც ვაჭმევ.

დედების მრავალხმიანი ქორალი სასტუმროს ფოიეში ექოდ გარდაიქმნებოდა და ბუმერანგივით ისეთი სიძლიერით ბრუნდებოდა, რომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ მამები ცოლ-შვილის წამოსაყვანად, როგორც წესი, ბაკურიანში მძღოლს გზავნიდნენ, ან ახალტარებანასწავლ ხმაურიან მეუღლეებს უპრობლემოდ აბარებდნენ ნაფერებ, განებივრებულ მომავალ თაობას.

იმის გამო, რომ ყველასათვის ცნობილი იყო ჩემი და ქართული კურორტების „სიამტკბილობის“ ამბავი, პატარა გიორგის მხოლოდ დანიშნულების ადგილამდე ვაცილებდი, მერე კი მას მიშიკოს მზრუნველი მშობლები უვლიდნენ.

მობილურმა ტელეფონმა დარეკა და მეორე მხარეს ზაზა შენგელიას ხმა მომესმა.

— ლალ, სად ხარ?

— ბაკურიანში, რომელი ხარ?

— ზაზა ვარ, შენგელია, სასწრაფოდ მჭირდები, ხომ იცი, პირველ არხზე რეორგანიზაციაა და რაღაც უნდა შემოგთავაზო.

— კარგი, ხვალ დილით ჩამოვალ, — ვთქვი მე და გვარიანად დაინტრიგებულს მთელი ღამე არ დამეძინა.

მეორე დღეს ზაზას კომფორტულ კაბინეტში ვიყავი.

— მოკლედ, ასე, მე და მარკ ალექსანდროვიჩმა ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, „ვესტნიკი“ შენ წაიყვანო. სხვათა შორის, ეს აზრი ნუგზარ ფოფხაძემაც მოგვიწონა, ამბობდა ზაზა.

ჩემი დები, ნინო და სოფო, ბატონ ნუგზარის მეზობლები იყვნენ, სოფო კი მისი ქალიშვილის, ნათიას მეჯვარე, ამიტომ ბატონ ნუგზარის პროტექცია არ გამკვირვებია, თუმცა ვტყუი, გამიკვირდა, აბა, დღეს თავისი ინიციატივით ვინ შეგაწევს სიტყვას?

— ზაზა, იცი, რამდენი ხანია საეთერო რუსულით არ მილაპარაკია? „თამარიონის“ შემდეგ.

— რა პრობლემაა შენთვის? ცოტა წაივარჯიშე და მორჩა. მოკლედ, ხვალ ეთერში ხარ.

— ხვალ? — ვიკითხე მე და მივხვდი, რომ მორიგი ტრანსფორმაცია მელოდა.

ბატონი მარკი ერთ-ერთი პირველი „ტელევიზიონშჩიკი“ იყო, შესაბამისად, უზარმაზარი გამოცდილება და თავისი საქმის ცოდნის ჯანსაღი ამბიცია ჰქონდა. მასთან მუშაობას ყველა როდი ბედავდა. საკმაოდ ცინიკურ და მომთხოვნ უფროსს ახალბედა წამყვანები დიდხანს ვერ უძლებდნენ.

— შემოდი, მოროშკინა. ესე იგი, დღეიდან პარტნიორები ვართ? — მკითხა ღიმილით.

— დიახ, ბატონო მარკ, მაგრამ საქმე ის არის, რომ დიდი ხანია საეთერო რუსულით არ მილაპარაკია და გადმორთვა მჭირდება.

— მერე გადმოერთე, რა პრობლემაა, მექანიზმი ხომ არ დაგიშავდა? — გაიცინა მარკმა და მეც საქმეს შევუდექი.

დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში რუსულ ტექსტებს ვკითხულობდი და მეტყველებას ვხვეწდი.

დღითი დღე ჩვენი ურთიერთობა ნამდვილ, მყარ, დროში გავრცობილ ფაქიზ მეგობრობად ჩამოყალიბდა. ლია ბურჭულაძე, მარკ რივკინი და ცირა ლაბაური, ტელევიზიის ეს კორიფეები, ჩემი საუკეთესო უფროსი მეგობრები და ცხოვრების მეგზურები გახდნენ.

იმ პერიოდში საქართველოს პარლამენტს ერთი კარგი ტრადიცია ჰქონდა, — წელიწადში ერთხელ რუსეთის დუმის დეპუტატებთან ერთად სოჭში ფეხბურთის მატჩებსა და ეგრეთ წოდებულ უჰალსტუხო შეხვედრებს მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტებზე არ ვმუშაობდი და ჩემი საქმე სტუდიური ეთერი იყო, ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა მარკმა გამომიცხადა, რომ



ბატონი მარკ რივკინი ერთ-ერთი პირველი „ტელევიზიონშჩიკი“ იყო

მორიგ ამხანაგურ საპარლამენტოსადუმო შეხვედრაზე გასაშუქებლად მე უნდა წავსულიყავი. მიზეზი რამდენიმე იყო: უპირველესად, რა თქმა უნდა, რუსულის ცოდნა, და მეორე — სასტუმროს ხარჯები დაიზოგებოდა, რადგანაც მთელი სოჭი, პრაქტიკულად, ჩემი ოჯახი იყო.

— Езжай, Матроскина, თანაც შენებს მოინახულებ, 3-4 დღეს რამენაირად უშენოდ გადავაგორებთ, აგერ მიშა რობაქიძე დაგვეხმარება, — მიშა ჩემი მეწყვილე გახლდათ, რომელსაც „ვესტნიკი“ ორშაბათობით მიჰყავდა და თანაც ОРТ-ს სიუჟეტებს ამზადებდა.

— კი, ბატონო, სიამოვნებით, ქალები ხომ იქნებიან?

— რას ამბობ, ფეხბურთის მატჩზე რა ქალები, რის ქალები? თანაც ჩვენს პარლამენტში ხომ ისეთები არიან, სულ სპორტული ტრუსები მოუხდებათ. როდის აქეთ გაინტერესებს ქალები?

— კარგი რა, ალექსანდროვიჩ, ისე, ვისი იდეა იყო ნეტავ სოჭის არჩევა? წარმომიდგენია, ცოლები რას დაიპუტავენ თავზე თმას! — გამეცინა მე და წარმოვიდგინე პარლამენტარების გამცილებელი მეორე ნახევრების სასოწარკვეთილი სახეები.

— ნუ იცი შენ ასე... მოკლედ, აიბარგე და ხვალ ფოთისკენ გაემგზავრები, იქიდან კი „კომეტა“ გადაგიყვანთ.

— ოკეი, ბოს, გასაგებია, ოპერატორი?

— ოპერატორი პარლამენტის პრესცენტრიდან მოდის და იმედია, ერთმანეთს გაუგებთ, რაც შეიძლება ბევრი სინქრონი წამოიღე, მით უმეტეს, არაოფიციალურ ვითარებაში რუსები უფრო ენაწყლიანები არიან.

— ხო, ჩემსავით, არა? — ჩავუკარი თვალი ალექსანდროვიჩს.

— მარკ, მეც გამიშვი რა, — დაიწუწუნა ცირა ლაბაურმა, — ხომ იცი, რამდენი რამ მაკავშირებს სოჭთან? უჰ, დაგომისი სულ თვალწინ მიდგას, Помнишь, მარკ, რა დრო იყო?

— Даб сшкшлщ, როგორ არ მახსოვს, ამ ოხერ ბიუჯეტს რა ვუყო, თორემ აგერ მატროსკინაც თავისიანებთან უნდა გაჩერდეს, ოპერატორსაც კი ვსესხულობთ, Разве это нормально?

ცირამ და მარკმა კიდევ დიდხანს გააგრძელეს დებატი „это нормально“-ს გარშემო, მე კი სოჭელებისათვის სუვენირების საყიდლად გავეშურე.

მეორე დღეს ფოთში პარლამენტარებთან შეხვედრა მელოდა.

— აბა, ქალს გემზე უბედურება მოაქვსო? — ჩამესმა ვიღაცის სასინი და მივხვდი, რომ პარლამენტარების მეორე ნახევრების პოზიცია არ შემშლია. ასეთ შემთხვევებში მე ყოველთვის მუშტებს ვკრავ, რომ „თვალი არ მეცეს“, თუმცა ყოველთვის არ მშველის და დროდადრო ან ფეხს ვიტრიალებ, ან სწორ ადგილას ვეცემი. მოკლედ, საერთო გესლოთერაპიის მერე ჩვენ, მე და 14 საქართველოს პარლამენტის წევრი, რუსეთის დუმის გასაცამტვერებლად დავიძარით.

„კომეტა“ მექსიკური მივარდნილი სოფლიდან წამოსულ სარჩოსანოვაგით დატვირთულ „ელ კორასონის“ ავტობუსს უფრო ჰგავდა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ გადაჰყავდათ სოჭში ქათმები და ერთი ცხვარიც კი? მაგრამ რას გაუგებ ასეთ ჭრელ კავკასიელ ხალხს?

იმის გამო, რომ აფხაზეთის სანაპირო არცთუ უხიფათო ზოლი იყო, „კომეტა“ საკმაოდ შორს იჭერდა კურსს და შესაბამისად, გზა ორმაგდებოდა. ექვსსაათიანი ზოზინის მერე, როგორც იქნა, სანატრელი ნაპირი გამოჩნდა. უკონტროლოდ დარჩენილი პარლამენტარები ერთ წუთში თითქოს ბიჭებად გადაიქცნენ და ისეთი ხმაურით ხვდებოდნენ მოახლოებულ პორტს, თითქოს ჩვენი საცოდავი „კომეტა“ კოლუმბის გემი იყო, ისინი კი იუნგები, რომელთაგან ერთ-ერთმა შესძახა, — Terra Inkognita! — და უცხო ნაპირი სამუდამოდ აღიბეჭდა მსოფლიო რუკაზე.

ფეხბურთის მატჩები ლუდის მოყვარულთა კლუბის ორთაბრძოლებს უფრო ჰგავდა, თუმცა „სპორტსმენები“ არც უმაგისობას განიცდიდნენ. საღამოები ამგვარი შეხვედრებისათვის დამახასიათებელი ბანკეტებით, ცეკვა-თამაშითა და ხმაურიანი რუსეთ-საქართველოს სიყვარულში დაღვრილი სადღეგრძელოებით გრძელდებოდა, მით უმეტეს, რომ რუსებს გარდა ღიპიანი პარლამენტარებისა, უმშვენიერესი სპორტის მიმომხილველი ქალბატონები ამშვენებდნენ. ნატაშები, ლიუდები და ლარისები ხომ ქართველთა ცნობიერებას, და არა მარტო ცნობიერებას, მუდამ მაამებლურ მალამოდ ედებოდნენ.

მე გული მოვიოხე ნათესავებთან ყოფნით და კიდევ ერთხელ გულში გავიფიქრე, ნეტავ რა უნდოდა დაღლოცვილ ბებიაჩემს, ამ ღამაზი ქალაქიდან რომ წამოგვყარა-მეთქი და უკან დასაბრუნებელ სამზადისს შევუდექი. „კომეტის“ გახსენება მძიმე ასოციაციებს იწვევდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

პორტში მისულებს უცნაური შფოთი დაგვხვდა, ჩვენი ავადსახსენებელი საცურაო დანადგარის მესვეურები ხელებს შლიდნენ და რაღაცას მეგრულად არკვევდნენ. დიდი ბებია აგრაფინას ნასწავლი მეგრული, აი, უკვე მერამდენედ გამომადგა. ცხადი იყო ერთი რამ: „კომეტის“ ერთი ძრავა მწყობრიდან იყო გამოსული და ამიტომ ზღვის ნაპირთან ძალიან ახლოს უნდა ევლო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს შემადგენლობაში ისეთი დეპუტატებიც იყვნენ, რომლებიც აფხაზებს დასახვრეტთა სიაში ჰყავდათ შეყვანილი, დელეგაციის სხვა წევრებიც საკმაოდ სარფიანი ნადავლი ვიქნებოდით. შერლოკ ჰოლმსობა არ იყო საჭირო, რომ მიმხვდარიყავი იმ მზაკვრულ გეგმას, რომელიც მავანთა თავებში მოიხარშა, მით უმეტეს, რომ ერთი კვირის წინ აფხაზებმა შავი ზღვის სანაპიროდან მეთევზეებიანი სეინერი გაიტაცეს და ჯერაც არ ჩქარობდნენ დაბრუნებას.

გეგმა მზაკვრული და ბარბაროსული იყო. ნაბახუსევი დეპუტატები გვიან მიხვდნენ საშიშროების არსს და ისე დაფრთხნენ, ბევრ მათგანს ახალგარუჯულ კანქვეშაც დაეტყო ფერწასულობა.

„ჩემი საქართველო“ კაზაკთა ატამანი

მე ამასობაში „ვესტნიკში“ პირდაპირი სატელეფონო ჩართვა მქონდა და მიშა რობაქიძეს მომხდარის მოკლე შინაარსს გადავცემდი, რომ ამ დროს ეთერში მარკის ხმა შემოესმა.

— Всех к чёртовой бабушке, Матроскина, держись, моя девочка! Уходи к своим и сиди, пока всё не успокоится!

რაც ყველაზე მთავარი იყო, ეს სიტყვები პირდაპირ ეთერში გაისმა. ალექსანდროვიჩი ისეთი აღელვებული იყო, რომ მიუხედავად მრავალწლიანი პრაქტიკისა და დიდი პროფესიონალიზმისა, პირველ ადგილას სწორედ მე, მისი თანამშრომელი, უმცროსი მეგობარი და ჟურნალისტი დამაყენა და მთელ ქვეყანას გააგებინა, რომ გუნდური პრინციპი ყოველთვის ამართლებს!

ჩვენ კი ერევნიდან მოგვიწია დაბრუნებამ. თბილისში ჩამოსულებს უამრავი ჟურნალისტი გველოდებოდა. პირველი, ვინც დავინახე, მარკი იყო, ისე ჩამეხუტა, გეგონებოდა, დიდგორის ბრძოლიდან დაბრუნებულს მხედავდა.

— Чтоб больше никаких поездок! — მითხრა და დაორთქლილი სათვალე მოიხსნა.

როგორც შემდგომ გაირკვა, ქართულ დეპუტაციაზე თავდასასხმელად აფხაზები მართლაც ამზადებდნენ ოპერაციას, რადგან საკმაოდ „მსუყე“ აფხაზი ავტორიტეტი იყო გატაცებული და ჩვენი წარმომადგენლობითი დელეგაცია მართლაც ფასდაუდებელი საპირწონე იქნებოდა.

„ქალს გემზე უბედურება მოაქვს“, — როგორც ჩანს, ეს გამონათქვამი გამოცდილი მეზღვაურების მართლაც მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკაა.

„ჩემი საქართველო“

„ვესტნიკისეული“ დრო, პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, ბევრი სიკეთის მომტანი იყო. ჩემი ცხოვრების არქივში უკვე „საუკეთესო ორენოვანი ჟურნალისტის“ წოდებაც ფიგურირებდა. სრული ჰარმონია შეფსა და კოლექტივთან, ტელევიზიის ჭრელი და არაერთგვაროვანი შიდა სამზარეულოს გათვალისწინებით, დიდი ფუფუნება იყო. და მაინც, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა თავს არ მანებებდა. ალბათ, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ საკუთარ თავთან დაუძინებელი ბრძოლა მქონდა გამოცხადებული. რუსულენოვან წამყვანთან ჩემი გაიგივების მზარდი ტენდენცია წინა წლების გარჯას წყალში მიყრიდა. კიდევ ცოტაც და, ქართველი ერის ცნობიერებაში სამუდამოდ დავრჩებოდი როგორც რუსი, ნამდვილი რუსი — მეტყველებით, მენტალიტეტითა და გამომეტყველებით! არჩევანი გასაკეთებელი იყო, მაგრამ რასა და რას შორის? ტელევიზიიდან წასული ჟურნალისტები ძალიან ხშირად იკარგებიან ცხოვრების უსაზღვრო მორევში, ოდესღაც ცნობილი, პატივსაცემი საქართველოს ტელევიზიის უნიჭიერესი და ულამაზესი დიქტორები რეორგანიზა-

ციის გამო ბორტს მიღმა აღმოჩნდნენ. გაირკვა, რომ ტელევიზია მასში მომუშავე ადამიანებს ცხოვრების იმუნიტეტს უკარგავს, ცნობილი სახეები ცვდებიან, ხოლო ჟურნალისტურ პროფესიას ყავლი გასდის. აბა, ორმოცი წლისა ხომ არ ირბენ ქუჩა-ქუჩა ან მაყურებელს ბუნებრივად და სინქრონულად მომატებული ნაოჭებითა და წონით ხომ არ შეურაცხყოფ? თანაც რუსულენოვანი გადაცემის მერე სად იმუშავებ, რუსულ სკოლაში თუ სადგურის სადისპეტჩეროში? აბა, ასე ნაფერები ქართული ენა და ტრადიციები?! რით განვსხვავდები მე რუსულენოვანი მოქალაქეებისაგან, რომელთაც ქართული ენის უცოდინარობა ხშირად მეორეხარისხოვან ადამიანებად აქცევდა სამშობლოში, დიახ, შეიძლება არა ისტორიულ, მაგრამ საკუთარ სამშობლოში.

* * *

— ზაზა, შენთან საქმე მაქვს, — დავურეკე ტელევიზიის შეფ-ნოვატორ ზაზა შენგელიას.

— ძალიან კარგი, მეც მაქვს ორიოდ სიტყვა სათქმელი, — მომიგო ზაზამ საკმაოდ გაბრაზებული ტონით, — ჩემთან გელოდები.

ზაზას ოთახი მესამე სართულზე იყო. მდივანმა მანიშნა, რომ შეფი მელოდებოდა.

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, რომ აღარ გამოჩნდე ჟურნალების გარეკანზე, ხომ გთხოვე? ჯერ პიარდებიან ქართული გადაცემის წამყვანები და მერე შენ!

— ეგ რა შუაშია, ზაზა, კორესპონდენტს ვინც აინტერესებს, იმასთან მიდის! — ვპასუხობდი მე.

— ჰო, არა? რა არის ეს? — და ზაზამ ჟურნალ „ბომონდის“ ახალი ნომერი გადმომიგდო, სადაც მე ტყავის შარვალში მოტოციკლეტზე შემჯდარი მთელ გვერდზე ვიყავი გამოჭიმული.

— რა არის და რუბრიკა „ჰობი“. რა, არ შეიძლება? დანარჩენებზე თუ შეიძლება იმაზე წერა, სად და როგორ ირუჯებიან, ან ღამე რა აცვიათ, ეს რატომ არის მიუღებელი?

— იმიტომ, რომ შენ რუსული „ვესტნიკი“ მიგყავს და არა ქართული „მაცნე“, გაიგე? მე მჭირდება ცენტრალური, ქართული საინფორმაციოს გაპიარება, შენ კიდევ „პერეხვატს“ აკეთებ.

— ო, მეც მანდა ვარ. მოკლედ, ზაზა, მე ასე გადავწყვიტე: ან შენ რომელიმე ქართულ გადაცემას მაძლევ, ან მე მივდივარ ტელევიზიიდან, ამჯერად საბოლოოდ, ქვეყანაზე სხვა საინტერესო საქმეებიც არსებობს.

— გადაირიე? — მკითხა გაოგნებულმა ზაზამ, — რა დროს ეგ არის? არა მაქვს ქართული გადაცემა, არა! მერე, რომელი დადიანი შენა ხარ? რით არ მოგწონს მოროშკინას „ვესტნიკი“?

— აი, საქმეც ეგ არის, რომ არ მინდა გადარუსება, ისედაც რუსული გვარი მაქვს. თუ შეგიძლია, მომეცი ქართული გადაცემა, თანაც „ვესტნიკის“ ქრონომეტრაჟი ძალიან მოკლეა და ვერ ვასწრებ მაყურებლამდე სათქმელის მიტანას.

— აი, დარდი, — იყო ზაზას პასუხი, — ხომ იცი, რომ ტელევიზიიდან თავისით არ მიდიან? ყოველდღე ეთერში ხარ, ხალხი გიცნობს, ხელფასი მაღალი გაქვს, რა გინდა კიდევ?

— ქართული ენა! — ვუპასუხე და მაგიდაზე ჩემი წასვლის განცხადება დავუდე.

— მგონი, შეიშალე, ვის ემახსოვრები, აქედან რომ გახვალ? და საერთოდ, ვინ იქნები? მხოლოდ ტელევიზიას შეუძლია ამ კაიფის მოცემა. არავინ არ იქნები, გესმის, არავინ, არავის აღარ ენდომები, და ისე გაქრები, თითქოს არც ყოფილხარ! — ბრაზობდა ზაზა.

— რას იზამ, სამაგიეროდ ეს ჩემი არჩევანია! — ვუთხარი და კარი გამოვიჯახუნე.

არავინ არ ვიქნები, არა? ტელევიზია „თავისუფლების კუნძულია“, მისი შეფები კი, როგორც წესი, მინი ფიდელ კასტროები. მათი ბრძანება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, სატელევიზიო თათბირები კი დაგუბებული პირადი წყენის გადმონთხეულ შადრევნებს უფრო ჰგავს. ყოველი, თუნდაც კულტურულად ნათქვამი სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს თქვენს წინააღმდეგ! ტელევიზია ჭაობია, მაგრამ როგორი საყვარელი ჭაობი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №11, 2010

ბოჩა მანველიძე

დამწვარი ტროტილის ღრუბელმა გოგა კედელს შეანარცხა და ძირს დასცა. ყუმბარის ნამსხვრევებმა ყვრიმალი და ლოყა დაუსერა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია ჭრილობებიდან ჩამონადენი სისხლისთვის. ძალა მოიკრიბა, გვერდზე გადაბრუნდა და მზერით გზატკეცილი მოძებნა.

ერეკლეს თავის სიახლოვეს მოჰკრა თვალი. ცალი ხელით მიწას ეყრდნობოდა, მეორით კი ავტომატიდან ისროდა. ასფალტზე, მის მარჯვენა მუხლთან სისხლის გუბე იდგა. მოშორებით ცოტნე იწვა. სტავრო არსად ჩანდა. წინ წასული რამდენიმე ქართველი მეომარი უკან მობრუნებულიყო. ისინი კედლების გასწვრივ ჩასაფრებულიყვნენ და მძიმე მდგომარეობაში ჩაცვენილ თანამებრძოლებს ავტომატების ცეცხლით იფარავდნენ.

— ბიჭებს მიხედე!.. — გამოსძახა ერეკლემ. — დროზე გაიყვანე აქედან! ამათ დიდხანს ვერ შევაჩერებთ!

რამდენიმე წამი, რომელიც ღია გზატკეცილზე გაატარა, უსასრულობად მოეჩვენა. მოსახვევიდან აფხაზთა ავტომატები კაკანებდა. საპირისპირო მხრიდან ქართველი მებრძოლები ისროდნენ. თვითონ და მისი მეგობრები კი პირდაპირ ცეცხლის ზოლში იყვნენ მოქცეული. ასეთ ვითარებაში დაჭრილებამდე მიღწევის თეორიული შანსიც კი არ არსებობდა...

გოგამ წამოიწია და წელში მოხრილი წინ გავარდა. ორიოდე ნახტომით ცოტნეს გვერდით აღმოჩნდა. ის უძრავად იწვა, მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. გოგა მის გვერდით ჩაჯდა და საძილე არტერია მოუსინჯა. სუსტმა ფეთქვამ მიანიშნა, რომ ის ცოცხალი იყო. ამ დროს თვალი მოჰკრა სტავროს, რომელიც ყუმბარმტყორცნით აფეთქებული მანქანის ნამსხვრევებს შორის იწვა, და მისკენ გადაინაცვლა. მისმა ხილვამ თავზარი დასცა. მიხვდა, რატომაც ვერ დაინახა თავიდან: სტავრო, მანქანის ნაფლეთებივით, გამურულ-გაჭვარტლული იყო და შორიდან არ ჩანდა; ტანსაცმელს კვამლი ასდიოდა, სახე აფეთქებისას წარმოქმნილ ცეცხლის ღრუბელს დაეწვა, სახის კანი ალაგ-ალაგ დახეთქილი ჰქონდა; ნახეთქების ნაპირებიდან სისხლი მოჟონავდა, მარჯვენა მკლავი მოსტეხოდა და არაბუნებრივად მოღრეცოდა გვერდზე... სხვა ჭრილობები არ შეუმჩნევია — მათი ძებნის აღარც დრო ჰქონდა და აღარც საშუალება: ასეთ მდგომარეობაში, მისი გადარჩენა წამებზე იყო დამოკიდებული.

ტყვიები წუილით კვეთდა სივრცეს, მის გვერდით ასფალტსა და კედლებს ეხეთქებოდა, მაგრამ გოგა აღარაფერს აქცევდა ყურადღებას. მძიმე ტვირთისგან ორად მოხრილი ჯიუტად წინ მიიწევდა და თან კბილებში ცრიდა:

— ცოტაც... ცოტაც და ყველაფერი კარგად იქნება... კიდევ ათი ნაბიჯი... რვა... ექვსი... ცოტაც და...

ბრძოლის ველად ქცეული ქუჩა უკან დარჩა. ის იყო, თავი საავადმყოფოს ეზოს შეაფარა, რომ ზურგს უკან ყუმბარამ იგრიალა. ნამსხვრევები არ მოხვედრია, მაგრამ აფეთქების ტალღამ მაინც დაანარცხა ძირს. დაცემისას სტავრომ მძიმედ დაიგმინა. ამ დროს მათთან ექიმი მივარდა.

— საკაცე გვინდა! — წამოიძახა გოგამ მისი მიახლოებისას.

— მაგის დრო არ არის, ისე უნდა წავიყვანოთ, — უპასუხა ექიმმა და სტავრო მიწიდან წამოსწია.

ექიმმა და გოგამ დაჭრილი მიმღებ განყოფილებაში შეიყვანეს. იქ ისეთივე ქაოსი სუფევდა, როგორიც მთელ გაგრაში. კედლების გასწვრივ, ბრძოლაში დაღუპული მეომრები ესვენნენ. ზოგისთვის საკაცეც აღარ ჰყოფნიდათ და პირდაპირ იატაკზე დაესვენებინათ. საპროცედურო მაგიდები სისხლით იყო მოსვრილი, იატაკზე სისხლიანი სახვევები ეყარა.

გოგა ჩქარობდა. როგორც კი სტავრო საპროცედურო მაგიდაზე დაუშვეს, კარისკენ გავარდა.

— სად მიდიხარ? — სწრაფად დაადევნა ექიმმა.

— იქ კიდევ არიან დაჭრილები! — გამოსძახა გოგამ.

— არ წახვიდე, მეორედ ასე აღარ გაგიმართლებს! — დაუყვირა ექიმმა, მაგრამ გოგას მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, საოპერაციოდან გავარდა და სირბილ-სირბილით გაუყვა დერეფანს. ექიმი მაინც არ მოეშვა. სტავროსთვის ჭრილობების დამუშავება იქვე მყოფ ექთანს მიანდო და უკან დაედევნა.

ერეკლემ მხოლოდ რამდენიმე წუთით შეძლო მოიერიშე აფხაზების შეჩერება. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ბრძოლის ველიდან სტავროს გასაყვანად, მაგრამ თავად ველარ მოასწრო სამშვიდობის გაღწევა: გოგას ჯერ კიდევ არ მიეღწია საავადმყოფომდე, როცა ერეკლეს ზედიზედ ორი ტყვია მოხვდა გვერდში. მძაფრმა ტკივილმა მზერა დაუბნელა. ძალაგამოცლილმა ხელით მოისინჯა ჭრილობა. მერე კი ძალა მოიკრიბა, ისევ შემართა ავტომატი და სროლა განაგრძო. რამდენიმე ჯერის გასროლის შემდეგ მჭიდი დაიცალა. ერეკლემ ძალაგამოცლილი ხელით ქამარზე მორგებული ჩანთა მოსინჯა. ის ცარიელი აღმოჩნდა. ვაზნების გარეშე დარჩენილმა, მის გვერდით მწოლიარე ცოტნეს გახედა, მკერდზე მორგებული „ლიფჩიკიდან“ მას რამდენიმე მჭიდი მოუჩანდა, მაგრამ ჭრილობებითა და სისხლდენით დასუსტებული, იმ რამდენიმე მეტრსაც კი ველარ გადალახავდა... ერეკლე მიხვდა, რომ ეს დასასრული იყო. უსარგებლოდ ქცეული ავტომატი მიწაზე დააგდო და ქამრიდან ერთადერთი შემორჩენილი ხელყუმბარა მოიხსნა...

გოგამ სირბილით გადაკვეთა საა-

ვადმყოფოს ეზო, მაგრამ ქუჩაში გასვლა ვეღარ მოახერხა — იქაურობა უკვე აფხაზებს დაეკავებინათ. მათგან ოციოდე მეტრში ერეკლე და ცოტნე მოჩანდნენ. მაგრამ აფხაზები ყურადღებას აღარ აქცევდნენ უძრავად გაშეშებელ მოწინააღმდეგეებს, ახლა ისინი ქუჩის ბოლოში გამაგრებულ ქართველებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულები.

— ერეკლე!.. — მთელი ხმით შესძახა გოგამ.

ერეკლე ოდნავ შესამჩნევად შეინძრა, თავი გვერდზე გადახარა და გამოხედა. წამით მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. მის თვალებში ამოკითხულმა ტკივილმა და უიმედობამ ყველაფერი მიავიწყა — თავბრუსხვევაც, მისგან ორმოცდაათიოდე მეტრში მყოფი აფხაზებიც და ავად მოსისინე ტყვიებიც. მაგრამ როგორც კი ნახტომისთვის მოემზადა, უკნიდან წამოწეული ექიმი მხრებში სწვდა, მთელი ძალით მიწისკენ დაქაჩა და ყურში ჩასძახა:

— რას აკეთებ?! სამ მეტრსაც ვერ გაივლი!..

— თავი დამანებე! — გაიბრძოლა გოგამ.

— არა!.. — ექიმმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ მოსახვევიდან აფხაზური სიმბოლიკით მოხატული საბრძოლო მანქანა გამოგრიალდა. მანქანა წამით შედგა, ზარბაზნიდან ქუჩის ბოლოში გამაგრებულ ქართველ მებრძოლებს ესროლა, შემდეგ კი მუხლუხების ღრჭიალით ადგილიდან დაიძრა და მათკენ გაქანდა.

აფხაზები მაშინვე წამოიშალნენ და ავტომატების სროლით, უკან გაჰყვნენ. მათი მოახლოებისთანავე გოგამ წინააღმდეგობა შეწყვიტა. ახლა მისთვისაც ნათელი იყო, რომ ერეკლემდე და ცოტნემდე მიღწევას ვერ შეძლებდა. დაჭრილებამდე აფხაზებს მასზე ბევრად ნაკლები მანძილი აშორებდათ. თანაც, მათ საბძოლო მანქანა მიუძღოდა წინ.

იმის შეგრძნებამ, რომ მის მეგობრებს რამდენიმე წუთის სიცოცხლე დარჩენოდათ, მზერა აუჭრელა. თვალზე თავისთავად მოადგა ცრემლი. რომელიღაც საშინელებათა ფილმის უსუსურ პერსონაჟად იგრძნო თავი. ფოლადის ურჩხული მუხლუხების ამაზრზენი ღრჭიალით მიცოცავდა მისი მეგობრებისკენ, მას კი არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. გაგრის შემოსასვლელთან ბრძოლისას ერეკლეს მიერ ნათქვამი სიტყვები გაახსენდა: ეს ომია და აქედანვე შეეგუე იმ აზრს, რომ ყოველ წუთს შეიძლება, ნებისმიერი ჩვენგანი დაიღუპოსო!

ამასობაში საბრძოლო მანქანა ერეკლეს წინ აღმოჩნდა. გოგა არნახულმა შიშმა შეიპყრო. ცოტაც და, მისი მეგობარი მუხლუხების ქვეშ აღმოჩნდებოდა, მაგრამ მოულოდნელად საბრძოლო მანქანამ მოძრაობის მიმართულება შეცვალა და გვერდზე გაუხვია. მისმა მანევრმა გოგას იმედი გაუჩინა: იქნებ მანქანის უკან მომავალ მებრძოლებსაც იგივე გაეკეთებინათ და ერეკლესა და ცოტნესთვის გვერდზე ჩაევლოთ?.. მაშინვე წარმოიდგინა, თუ როგორ გასცდებოდნენ აფხაზები და კაზაკები იქაურობას და როგორ გაიყვანდა მეგობრებს სამშვიდობოს. სად წაიყვანდა შემდეგ, დაჭრილებს?.. ამაზე აღარ ფიქრობდა. მთავარი იყო, გადაერჩინა, დანარჩენი კი თავისთავად მოგვარდებოდა. მაგრამ...

აფხაზებისა და კაზაკების მიახლოებისას ერეკლე ისევ ამოძრავდა.

— არა... არა... არა!.. — დაძაბული იმეორებდა ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი გოგა. — არ გაინძრე... იწექი!..

ერეკლეს ამოძრავება მოწინააღმდეგესაც არ დარჩა შეუმჩნეველი. მის სიახლოვეს მყოფმა მებრძოლებმა ყვირილით შემართეს იარაღი და მიზანში ამოიღეს, მაგრამ სროლა ვეღარ მოასწრეს. ერეკლემ მძიმედ მოიქნია მკლავი და ხელყუმბარა ისროლა...

დანარჩენი გოგას აღარ დაუნახავს. სიმწრით კრიჭაშეკრული სახით მიწაზე დაემხო.

აფეთქების ყრუ გუგუნმა სწრაფად გადაურბინა ბრძოლის ველად ქცეულ ქუჩასა და საავადმყოფოს ეზოს...

ექიმმა რამდენჯერმე შეანჯღრია გოგა და ჩასძახა:

— რა მოგდის?!. შენი დახმარება მჭირდება! მე ქირურგი არა ვარ. ეს ბიჭი კი მხოლოდ სისხლის შეჩერებით ვერ გადარჩება — სერიოზული ოპერაცია სჭირდება!.. გესმის, რას ვამბობ?!

დაბნეულმა გოგამ შეხედა. მზერა ისევ აჭრელებული ჰქონდა და ბუნდოვნად აღიქვამდა, რაც ირგვლივ ხდებოდა.

— გესმის?! უნდა დამეხმარო! — განაგრძო ექიმმა.

— ჰო... მესმის... — მექანიკურად ჩაილაპარაკა გოგამ.

— მაშინ, ოპერაციისთვის მოემზადე, — დაასრულა ექიმმა და პირსაბანისკენ შებრუნდა.

ექთანს საგულდაგულოდ დაემუშავებინა სტავროს ჭრილობები. სხეულიდან მთლიანად მოეშორებინა დამწვარი ტანსაცმლის ნარჩენები. სისხლის დენაც შეეჩერებინა, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარი იყო. სერიოზული ოპერაციის გარეშე მას ვერ გადაარჩენდნენ.

ნაცნობმა ატმოსფერომ გოგა სწრაფად დააბრუნა ჩვეულ მდგომარეობაში. საოპერაციო მაგიდასთან მიახლოებისას თავისთავად გაუქრა თავბრუს ხვევა, დაღლილობის შეგრძნება. აუჩქარებლად მოათვალიერა ოპერაციისთვის გამზადებული ინსტრუმენტები, გახედა ექიმსა და ექთანს, რომლებსაც მისთვის ასისტენტობა უნდა გაეწიათ და ჰკითხა: მზად ხართ თუ — არაო?

— მზად ვართ, — დაუდასტურეს მათ.

— მკლავით ვიწყებთ... ვხსნით სახვევს, — თქვა გოგამ და სკალპელი მოიმარჯვა.

სტავროს მოტეხილი მკლავი უკვე დამუშავებული ჰქონდა, როდესაც დერეფანში ჩექმების ბრაგაბრუგი გაისმა. ხმაურს ყვირილი მოჰყვა.

— არის აქ ვინმე? — ყვიროდა ვიღაც რუსულად.

— მე გავალ, — თქვა ექიმმა და საოპერაციო მაგიდას მოშორდა. მაგრამ ვიდრე გარეთ გავიდოდა, საოპერაციოს კარი მტვერში ამოგანგ-

ლულმა, ტანმაღალმა წვეროსანმა შემოაღო. ის შეიარაღებული იყო: მხარზე ავტომატი ეკიდა, ქამარზე — ხელყუმბარები და საბრძოლო დანა; ხელები და მკერდი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, თავი მწვანე ლენტით ჰქონდა წაკრული.

წვეროსანმა სწრაფად შეათვალიერა საოპერაციოში მყოფნი და შემდეგ იკითხა:

— თქვენ გარდა სხვა ექიმებიც არიან საავადმყოფოში?

— საავადმყოფო ევაკუირებულია, — უპასუხა ექიმმა.

— ეს ვინ არის? — წვეროსანმა მზერა სტავროს მიაპყრო. — ქართველია?

— არ ვიცით, — მშვიდად უპასუხა ექიმმა.

— არ იცით?! — ეჭვით გახედა წვეროსანმა.

— ჰო, არ ვიცით. საავადმყოფოს წინ ვიპოვეთ. ანდა, რა მნიშვნელობა აქვს, ქართველია თუ არა?! ჩვენთვის ის მხოლოდ პაციენტია.

— მაგას მერე გავარკვევთ... დაჭრილი გვყავს... მიხედეთ...

— მეორე საოპერაციოში შევიყვანოთ... გამომყევით, — უპასუხა ექიმმა და კარისკენ წავიდა.

ცოტა ხანში ექიმი მარტო დაბრუნდა უკან.

— მძიმე მდგომარეობაა... მკერდი ყუმბარის ნამსხვრევებით აქვს სავსე...

— ვნახავ, — თქვა გოგამ, — შენ აქ დარჩი.

— რაა გასაკეთებელი?

— სახის დამუშავება განაგრძეთ. დამწვარი ქსოვილები მოაცილეთ და დიდ ჭრილობებზე ნაკერები დაადეთ, — უპასუხა გოგამ და კარისკენ წავიდა.

დაჭრილი 17-18 წლის ყმაწვილი აღმოჩნდა. უგონოდ იყო და ოდნავ შესამჩნევად სუნთქავდა. მკერდზე სისხლით გაჟღენთილი სახვევი ედო. გოგამ სწრაფად გაუსინჯა პულსი, შემდეგ მაკრატელი მოიმარჯვა და მკერდიდან სახვევი მოაშორა. ახალგაზრდას ათამდე იარა აღმოაჩნდა. მათი უმეტესობა ზედაპირული იყო. ყუმბარის ნამსხვრევებს მხოლოდ კანი დაესერა, ორს კი ღრმად შეეღწია.

— რას იტყვი? — ჰკითხა წვეროსანმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს.

— მძიმე ჭრილობები არა აქვს, მაგრამ ბევრი სისხლი დაუკარგავს... შეიძლება, ოპერაცია ვერ გადაიტანოს...

— თუ დაიღუპა, შენც ვერ გადარჩები! — მუქარით წამოისროლა წვეროსანმა.

— რას იზამ?!. ამ ომმა უკვე ბევრი სიცოცხლე შეიწირა!

— შენ მართლაც მოგბეზრებია თავი! — ავად წამოიძახა წვეროსანმა და ავტომატი მოზიდა.

— რა შეიცვლება მაგით?!. — მშვიდად ჩაილაპარაკა გოგამ და საქმიანობა განაგრძო.

— მე უკვე ვთქვი სათქმელი. დანარჩენზე შენ თვითონ იფიქრე!

— ვინ არის შენთვის? — ჰკითხა გოგამ.

— ძმაა, — ყრუდ ჩაილაპარაკა წვეროსანმა.

— მერედა, რაზე ფიქრობდი, როცა იარაღს აძლევდი ხელში და საბრძოლველად მიგყავდა?..

— ომი ასაკს არ ცნობს!

— რომელი ჯგუფის სისხლი აქვს?

— პირველი.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა გოგამ.

— დარწმუნებული ვარ... მეც იგივე ჯგუფი მაქვს.

— სისხლის გადასხმა დასჭირდება... საავადმყოფოში კი მარაგი აღარ არის...

— მე გადავუსხამ! — წვეროსანმა მაშინვე იშიშვლა მკლავი.

— გასაგებია, მაგრამ ერთი გადასხმა საკმარისი არ იქნება... — გოგა მცირე ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ დაამატა: — გვერდით, საოპერაციოდან ექთანი მოიყვანე. უთხარი, რომ სისხლის გადასხმის სისტემა მჭირდება.

წვეროსანმა უხმოდ დაუქნია თავი და კარისკენ გავარდა.

200 გრამი სისხლი გადასასხმელად სტანდარტული დოზა იყო. როგორც წესი, ამაზე მეტს დონორს არ უღებდნენ, მისი მდგომარეობა რომ არ გართულებულიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში 200 გრამი დაჭრილს არაფერს უშველიდა, მას ბევრად მეტი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

— კიდევ ამიღე! — უყოყმანოდ მოითხოვა წვეროსანმა.

გოგა არ შელაპარაკებია. თავადაც კარგად იცოდა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, მაგრამ დაჭრილის მდგომარეობა სისხლის დამატებითი დოზის გადასხმის შემდეგაც არ გამოსწორდა. ნელა, მაგრამ არტერიული წნევის მაჩვენებელი მაინც დაბლა იწევდა...

— როგორ არის საქმე? — იკითხა წვეროსანმა, როდესაც გოგას შეჭმუხნილ შუბლს მოჰკრა თვალი.

— თავიდანვე მეშინოდა ამის: სისხლი კიდევ გვჭირდება.

— კიდევ ამიღე! — შესთავაზა წვეროსანმა.

— რისთვის?.. მერე, შენ რომ დაგჭირდეს სისხლის გადასხმა?!..

— ამიღე! — ჯიუტად გაიმეორა წვეროსანმა. — ჩემმა ძმამ უნდა იცოცხლოს!

გოგა წამით ჩააცქერდა სახეში და მერე თქვა:

— ნუ გეშინია. შენი ძმა იცოცხლებს! მე პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს!

— შენ გადაუსხამ? — გაოცებით წამოიძახა წვეროსანმა.

— შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას? — ჰკითხა გოგამ.

წვეროსანმა დუმილით უპასუხა.

— დუმილი თანხმობის ნიშანია, — ჩაილაპარაკა გოგამ. მერე ექთანს მიუბრუნდა და უთხრა, სისტემა მოამზადეო.

სისხლის მომდევნო გადასხმამ შესამჩნევად იმოქმედა დაჭრილის მდგომარეობაზე — წნევის ვარდნა შეჩერდა.

— ხომ გითხარი, გადარჩება-მეთქი, — წნევის შემოწმების შემდეგ უთხრა გოგამ წვეროსანს.

წვეროსანი ძმას მიუახლოვდა, შუბლზე მოეფერა და ისე რომ თავი არ მოუბრუნებია, იკითხა:

— რა გქვია?

— გოგა.

— გაგრელი ხარ?

— არა, თბილისელი.

— თბილისელი?! — სწრაფად გამოხედა წვეროსანმა. — იბრძოდი?

— მეგობრების დახმარებას ვცდილობდი...

— გასაგებია... — ჩაილაპარაკა წვეროსანმა და მარჯვენა გაუწოდა: — გურამი მქვია. წარმოშობით ტყვარჩელიდან ვარ.

გოგამ უხმოდ ჩამოართვა ხელი.

— დღეიდან ჩემი ძმის ძარღვებში, როგორც ჩემი, ისევე შენი სისხლიც ჩქეფს. აღარ მაინტერესებს, იბრძოდი თუ არა; რაც უნდა მოხდეს, სიტყვას გაძლევ — ვერავინ შეგეხება! და თუ შეგეხება, შენზე ადრე ჩემი მოკვლა მოუწევს!

— სხვისთვის თუ გააკეთებ მაგას?

— სხვისთვის?! — გაუკვირდა გურამს. — ვის გულისხმობ?

— გვერდითა პალატაში რომ ბიჭი წევს: მე შენი ძმა გადავარჩინე და ჩათვალე, რომ ახლა ჩემი ძმის გადარჩენას გთხოვ!

— სიტყვას გაძლევ, რომ იმ ბიჭს არაფერი დაუშავდება! — უყოყმანოდ უპასუხა გურამმა.

გაგრაში ისევ გრძელდებოდა შეტაკებები, როდესაც საავადმყოფოში გურამისა და მისი ძმის თანამებრძოლები მივიდნენ. გურამი ცოტა ხანს ესაუბრა მათ. მერე გოგას მიუბრუნდა და ჰკითხა, რას აპირებო?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა გოგამ.

— ჩემი ძმის გუდაუთაში გადაყვანას ვაპირებ. შენ და შენი მეგობარი ჩემთან ერთად წამოდით, — შესთავაზა გურამმა.

— ახლა ჩემი მეგობრის ტრანსპორტირება სასურველი არ არის. თანაც, რა უნდა ვაკეთო გუდაუთაში?!. — იუარა გოგამ.

გურამმა მასთან ახლოს მიიწია და ხმადაბლა განაგრძო ლაპარაკი:

— სწორად გამიგე. არ ვიცი, როდის დავბრუნდები უკან. არ მინდა თქვენი მარტო დატოვება. დიდი ბრძოლა იყო და სისხლიც ბევრი დაიღვარა. ნებისმიერი აფხაზი მტრად ჩაგთვლის და ყურადღებას არ მიაქცევს იმას, რომ ექიმი ხარ. ხვდები, რას გეუბნები?

— მესმის, — თავი დაუქნია გოგამ.

— ახლა ყველაზე კარგი — თქვენი რუსეთში გაყვანა იქნებოდა, მაგრამ ვიდრე ჩვენები საზღვარზე არ გავლენ, ეს ვერ მოხერხდება.

— ქართველები თუ დაბრუნდნენ გაგრაში?.. — მოურიდებლად ჰკითხა გოგამ.

— არა. ეგ გამორიცხულია. მაგის იმედი ნუ გექნება. ჩვენ ბოლომდე გავალთ და შემდეგ, სოხუმს მივუბრუნდებით. ჯობს, გამომყვე...

— არა, — ისევ იუარა გოგამ. — მეშინია: ჩემი მეგობარი მგზავრობას ვერ გადაიტანს.

საავადმყოფოდან წასვლამდე გურამმა საგანგებოდ გააფრთხილა ექიმი, — ვინც უნდა იკითხოს გოგას აქ ყოფნის მიზეზი, უთხარი, რომ ჩემი — გურამ ჩამბას ახლობელი და მეგობარიაო. შემდეგ, თანამებრძოლების დახმარებით, დაჭრილი ძმა მანქანაში გადაიყვანა და გუდაუთისკენ გაემგზავრა. გოგა კი პალატას დაუბრუნდა, რომელშიც სტავრო იწვა.

ცოტა ხანში პალატაში ექიმი შემოვიდა. სტავროს ისევ ეძინა. გოგა კი დაღვრემილი გასცქეროდა ქუჩას, რომელზეც ისევ ესვენნენ ბრძოლაში დაღუპული ერეკლე და ცოტნე.

— მგონი, შეცდომა დაუშვი. უნდა წასულიყავი, — უთხრა ექიმმა გოგას, — აფხაზები თავისებური ხალხია, მაგრამ იმას ვერ დაუკარგავ, რაც კარგი აქვთ: არ უყვართ სიტყვის გატეხა. თუ იმ კაცმა პირობა მოგცა, რომ ბოლომდე გიპატრონებდათ, ესე იგი, გიპატრონებდათ!

— მის სიტყვაში ეჭვი არ შემპარვია, მაგრამ სტავროს ვერ მივატოვებდი.

— მესმის... მაგრამ რას შეცვლის შენი აქ ყოფნა? ყურადღებას მეც არ მოვაკლებდი, დაცვით კი... — ექიმმა პაუზა გააკეთა და ყრუ ხმით დაამატა: — აფხაზებმა თუ მისთვის რაიმეს დაშავება მოინდომეს, ვერ მე შევაჩერებ და ვერც — შენ!

— ბიჭები?! — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ. — ბიჭებს რა პასუხი გავცე?! ისინი ჩემს წასაყვანად მოვიდნენ აქ და ასე, უჭირ-

ისუფლოდ როგორ მივატოვო?!

— ძნელია, — ამოიოხრა ექიმმა, — ომი ისეთ რამეებს გვაჩვევს, რაზეც ადრე ფიქრიც კი შეგვაშინებდა!

გოგა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს საავადმყოფოს ეზოში ორი მანქანა შემოვიდა. იქიდან შეიარაღებული აფხაზები გადმოვიდნენ, მათ შორის რამდენიმე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაციც იყო. ექიმი ყურადღებით დააკვირდა მათ, მერე თქვა, — ეს ხომ ჩვენი ექიმები არიანო! — და სწრაფი ნაბიჯით პალატიდან გავიდა.

აფხაზი სამხედროები სარდლობის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ — უმოკლეს დროში საავადმყოფოს ამოქმედება, რათა შეტაკებებში დაჭრილ-დასახიჩრებული მებრძოლების მკურნალობა ყოფილიყო შესაძლებელი. მათთან ერთად იმყოფებოდა რამდენიმე აფხაზი ექიმი, რომელიც ომის დაწყებისთანავე გაერიდა ქართველების მიერ დაკავებულ გაგრას.

საავადმყოფოს დათვალიერებისას აფხაზური სარდლობის წარმომადგენლებმა იმ პალატაშიც შემოიხედეს, რომელშიც სტავრო იწვა.

— ესენი ვინ არიან? — ჰკითხეს ექიმს, გოგასა და სტავროს დანახვისას.

— პაციენტები არიან, — უპასუხა მან.

შემოსულთაგან ერთ-ერთი საწოლს მიუახლოვდა, სტავრო ყურადღებით შეათვალიერა და იკითხა:

— ქართველია?

— არ ვიცი, — უპასუხა ექიმმა, — საავადმყოფოს წინ ვიპოვეთ. უგონოდაა. თავის ვინაობას ვერ ასახელებს და საბუთებიც არა აქვს.

— შენ?! — მიუბრუნდა აფხაზი გოგას. — შენც უგონოდ ხარ?

— არა, — უპასუხა გოგამ.

— ესეც ჩვენი პაციენტია, — სწრაფად ჩაურთო ექიმმა, — უფრო სწორად, იყო: აქ, საავადმყოფოში ვმკურნალობდით. პროფესიით ექიმია და ბრძოლების დაწყების შემდეგ, საავადმყოფოში ჩვენს დასახმარებლად დარჩა. დღეს დილით ერთ აფხაზ მებრძოლს ოპერაცია ჩაუტარა და დაღუპვას გადაარჩინა.

— სადაური ხარ? — ისევ გოგას მიმართა აფხაზმა.

ვიდრე გოგა პასუხს გასცემდა, პალატაში კიდევ ერთი შეიარაღებული აფხაზი შემოვიდა. მისი დანახვისას აფხაზურად რაღაც წამოიძახა და მეგობრულად გადაკოცნა დაუპირა.

— შენი ნაცნობია? — ჰკითხეს ახალმოსულ აფხაზს.

— თქვენ რა, ამ კაცს არ იცნობთ?! — გაიკვირვა ახალშემოსულმა. — ეს ხომ ჩვენი ძმაა — რაულ ხიუბა!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

სიკვდილის სუნთქვა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №11, 2010

კახი მოუთმენლად ელოდა, როდის გავაგრძელებდი საუბარს. მოვიღუშე, განზე გავიხედე და ძლივს გასაგონი ხმით ამოვთქვი.

— აჯობებს, სხვა იპოვო.

— ერთხელ უკვე გითხარი, სხვა არავინ მინდა-მეთქი.

— მაგრამ ამის გაკეთებას არ ვაპირებ, კახი. არ მინდა შენგან ინტერვიუ, ვერ დავწერ. როგორმე თავად უნდა იპოვო გამოსავალი, მაპატიე, — გადაჭრით უარვყავი მისი წინადადება.

— კარგი, რახან შენსას არ იშლი, სხვა რა დამრჩენია, — მხრები აიჩჩა, — თუკი არ გსურს, შევეშვათ ამაზე ლაპარაკს. მოდი, გინდა, ამ საღამოს ერთად ვივახშმოთ?

— თუკი იმისთვის მეპატიჟები, რომ გადამათქმევინო, ახლავე უარს გეუბნები. აზრს არ შევიცვლი, იცოდე.

— ხედავ, როგორ შეიცვალა სიტუაცია? — გულიანად გაიცინა. — ახლა მე გთხოვ დაჟინებით იმ სტატიის დაწერას, რომლისთვისაც ასე იბრძოდი.

მისმა თბილმა გამოხედვამ ლამის გონება დამიბინდა. როგორ მინდოდა ამწუთას მის მკლავებში აღმოვჩენილიყავი...

— პირობას გაძლევ, თუკი ერთად ვივახშმებთ, ამ თემაზე კრინტსაც არ დავძრავ, — კახიმ შემრიგებლურად ასწია ხელი, მის თვალებში კი ეშმაკური ნაპერწკლები გაკრთა.

— მაშინ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? — ცივად ვკითხე, თან მთელი არსებით ვცდილობდი, შევწინააღმდეგებოდი საკუთარ სურვილს.

— რაზეც მოისურვებ. ამინდზე... შენზე... ჩემზე...

— ძალიან მოკლე საუბარი გამოგვივა, — ნაღვლიანად წარმოვთქვი, — თანაც, ძალიან ცივა. შენ მე უპრინციპო ჟურნალისტი გგონივარ. შენ კი ჩემს თვალში საზიზღარი პიროვნება და მექალთანე ხარ. აი, ეს იქნება ჩვენი დიალოგი.

— მომეცი საშუალება, ყველაფერი თავიდან დავიწყო. ახლა მე და შენ უკვე აღარ გვაქვს საიდუმლო, ამიტომაც გზაზე არაფერი გადაგვეღობება, ვერავინ გაბედავს ხელის შეშლას.

— რომელ გზაზე, რას გულისხმობ? გინდა, მომთაფლო, სტატია რომ დამაწერინო? თუ კვლავ ჩემი ლოგინში შეტყუება განიზრახე? რაშია საქმე? რა ხდება, ლალი დაკავებულია ამ საღამოს? — ვიგრძენი, როგორ ამიკანკალდა ხმა.

— ლალი ნიუ-იორკშია, — თქვა და მოულოდნელად მოიღუშა.

— მერე რა! დაელოდე, სანამ ჩამოვა. თანაც, დღეს საღამოს მე პაემანი მაქვს დანიშნული, — უფრო და უფრო ვღიზიანდებოდი.

— ვისთან? — მის ხმაში ძველებური სითბოს ნატამალიც აღარ დარჩენილიყო.

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? — ვეცადე, უდარდელად გამომსვლოდა.

— აქვს! — მოკლედ მოჭრა.

— თემურ არაბულთან, — არც ვაციე, არც ვაცხელე და მივახალე.

— თემურ არაბული? ეს ის ფოტოგრაფია, შენთან რომ ალიანსი შეკრა?

— ჰო, სწორად გამოიცანი, — თავხედურად გავუსწორე თვალი.

— ესე იგი, კვლავ ერთად ხართ, არა?

— როგორც ჩანს, ასეა.

— შენ კი მეუბნებოდი, საერთო არაფერი გვაქვსო...

— ძალიან გთხოვ, თავი დამანებე... ეს შენი საქმე არ არის.

— შენ მართალი ხარ... ეს ჩემი საქმე არ არის, — გამშრალმა წარმოთქვა კახიმ, წამოდგა და მძიმე ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან...

სარკიდან მომზირალ საკუთარ ორეულს თვალს არ ვაშორებდი, თითქოს ჩემი მეორე მეს შესწავლა მქონოდა განზრახული. ჩემი შავი კაბა უბრალო იყო, ამავდროულად, ელეგანტური — იგი ხაზს უსვამდა ჩემს ვიწრო წელს და ძალიან გრძელი იყო, ლამის იატაკს ედებოდა. სამკაული აღარ გავიკეთე, თმა გავიშალე მხოლოდ და კიდევ ერთხელ შევათვალიერე ჩემი თავი. გამეცინა. მხარზე დაყრილი ქერა თმით ნადირობის ქალღმერთ დალის დავემსგავსე.

„წავა“, — კმაყოფილმა გავიფიქრე და ღაწვებზე ვარდისფერი ჩრდილი დავიმატე, მთლად ფერმკრთალი რომ არ ვყოფილიყავი.

დღეს განსაკუთრებული საღამო მელოდა. მე და მამუკა „თბილისი მერიოტში“ ვიყავით მიპატიჟებული, ერთი ცნობილი მწერლის წიგნის პრეზენტაციაზე. არ იყო გამორიცხული, კახიც მოსულიყო, ამიტომაც ძალიან მინდოდა, კარგ ფორმაში ვყოფილიყავი.

— მაინცდამაინც მე რატომ მიგყავარ? — ვკითხე რედაქტორს წინადღეს, როცა მოსაწვევი გადმომცა.

— იმიტომ, რომ მინდა, შენ დაწერო ეს მასალა.

— ანდრონიკაშვილიც იქ იქნება, არა?

— რა თქმა უნდა, — თითქოს ნიშნის მოგებით მითხრა.

როგორ უნდა, რომ გამამწაროს. აღარ იცის, შური როგორ იძიოს ჩემზე. ვერა და ვერ მაპატია, კახიზე მასალა რომ არ დავწერე. მას შემდეგ საშვილიშვილოდ გადამეკიდა მგონი. არ შევეპასუხე, რადგან ვიცოდი, ახლა რომ რამე მწარე მეთქვა, საბოლოოდ გავაფუჭებდი ყველაფერს.

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც კახის შევხვდი. ამ ხნის განმავლობაში ცოტა დავწყნარდი და მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ანდრონიკაშვილს უარი ვუთხარი სტატიის დაწერაზე. ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, მამუკა ასე რომ მექცევა. კახიმ

რომ დაურეკა, უთხრა თურმე, თანახმა ვარ, ქეთი კანდელაკს ინტერვიუ მივცეო. მე კი... კატეგორიულად უარზე დავდექი. რატომ, თავადაც ვერ ვუძებნიდი ჩემს საქციელს ახსნას. რა სულელურად მოვიქეცი. ის ალბათ, სხვა ჟურნალისტს მოელაპარაკება და იმ კვირაში რომელიმე სხვა ჟურნალი ან გაზეთი დაწერს უზარმაზარ სტატიას კახი ანდრონიკაშვილზე. მე? მე რა მომელის? რა თქმა უნდა, სამსახურიდან დათხოვნა... ამასთან, კარგი ჟურნალისტის რეპუტაციასაც უნდა დავემშვიდობო...

სწორედ ამიტომ არ შევეკამათე მამუკას და უხმოდ დავთანხმდი, მწერალთა საღამოზე ერთად წავსულიყავით. თუ იქ კახი ვნახე, აუღელვებლად დაველაპარაკები, ვეტყვი, რომ გადავიფიქრე და მზად ვარ, მისგან ინტერვიუ ავიღო. იმედია, ამჯერად თავად არ გაჯიუტდება და უარით არ გამომისტუმრებს. რას ვიცინებ, უარი რომ მტკიცოს!

„ეს მხოლოდ სამუშაოა, ჩემი სამუშაო“, — მშვიდად ვუხსნიდი საკუთარ თავს, — „ახლა მხოლოდ ამაზე უნდა ვიფიქრო, სამსახურზე და კიდევ... ბავშვზე. ფული ხომ მჭირდება“. სულ ერთი საათით განვმარტოვდებით, თავიდან მოვაყოლებ ყველაფერს და მნიშვნელოვან დეტალებს ჩავინიშნავ, რომ არაფერი გამომრჩეს. ეჰ... როგორ დამღალა ამ ყველაფერმა... არა უშავს, სამაგიეროდ, როცა ინტერვიუ გამოქვეყნდება, ერთხელ და სამუდამოდ დავისვენებ მისგან და საბოლოოდ დავივიწყებ. მერე კი ვიცხოვრებ ისე, როგორც აქამდე ვცხოვრობდი.

ზუსტად რვა საათზე ადგილზე ვიყავით. მამუკა ისე გამოპრანჭულიყო, აღტაცება ვერ დავმალე. პირველად ვნახე სოლიდურ ფორმაში. ჯინსისა და ბოტასის გარდა, მის ტანზე სხვა ტანსაცმელი მგონი, არც მინახავს.

დარბაზში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი, ამიტომ კახის მოძებნა ხალხის ამ ნაკადში იოლი არ იყო. როგორც ყოველთვის, საღამო ერთი საათით გვიან დაიწყო. დაგვიანება ხომ ქართველების სენია. ჯერ ავტორი გამოვიდა და თავის ახალ წიგნზე დიდხანს ილაპარაკა, მერე სცენა კოლეგებმა და კრიტიკოსებმა მორიგეობით „აითვისეს“. კახიც სწორედ მაშინ დავინახე, სცენაზე რომ ავიდა აზრის გამოსათქმელად. ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა, ძალიან უხდებოდა.

როცა ავტორის ქება-დიდებას მორჩნენ, მოწვეულმა სტუმრებმა ფოიეში გადაინაცვლეს, სადაც სასმელი, ხილი და ნამცხვრები ელოდათ.

— რა დრო გასულა, — მამუკას მივუბრუნდი, როცა საათზე დავიხედე, — გვიანაა უკვე.

— არა უშავს, ტაქსით გაგამგზავრებ, შენ არ იდარდო. წამო, საჭირო ხალხი უნდა გაგაცნო, მომავალში გამოგადგება, — მითხრა, ხელკავი გამომდო და თან გამიყოლა.

ფოიეში ძალიან ცხელოდა. მამუკამ წითელი ღვინით სავსე ბოკალი მომაწოდა და იქვე მდგომ ვიღაც ორ მამაკაცს წარუდგინა ჩემი თავი. აშკარად ჩანდა, რომ ორივეს კარგად იცნობდა, მე კი აზრზეც ვერ მოვედი, ვინ იყვნენ. არც სახელები მეცნო მათი და არც გვარები. თავაზიანად ჩამოვართვი ხელი ორივეს, თუმცა მზერა განზე გამირბოდა, კახის ვეძებდი.

— მამუკა, საჩვენო არაფერი მოგეძებნება რედაქციაში? არ გინდა, ჩვენც დაგვასაქმო? — ეშმაკურად გაიცინა მაღალმა, რომელსაც დათო ერქვა.

— მაშაყირებ? — ვერ მიუხვდა ჩემი რედაქტორი ხუმრობას.

— რატომ უნდა გაშაყირებდე, შე კაი კაცო, ასეთი მზეთუნახავები თუ გყავს რედაქციაში, სიამოვნებით შევითავსებდი კორესპონდენტის ადგილს და ვივლიდი მეც ინტერვიუების ჩასაწერად, — ირიბად გამომხედა მამაკაცმა.

— აუ, შენ რა გითხარი, — ხმამაღლა გაიცინა მამუკამ, — შენ ოღონდ წერა მოინდომე და როცა გინდა, მაშინ მოდი.

— არ დაუჯეროთ, ჩემი მთავარი რედაქტორი არ არის სანდო ადამიანი. ამას რომ უყურებთ, მზად არის, შარი მომდოს და დღესვე გამიშვას სამსახურიდან.

— მართლა, მამუკა? ეგეთებიც ისწავლე? ადრე სხვანაირი იყავი! — ახლა დათოს გაეცინა.

მეორე ჩუმად იდგა, საუბარში არ ჩარეულა.

— არ გრცხვენია, ქეთი? შენგან ეს მეკუთვნის? შენი გაშვება რომ მნდომოდა, იცი შენც, როდის მოხდებოდა ეგ, — მიკბინა მამუკამ.

მისი სიტყვები უკვე აღარ მესმოდა, თითქოს სმენა დამეხშო, რადგან, როგორც იქნა, კახი დავინახე. ბართან ახლოს იდგა, სვეტს ნახევრად მოფარებული, გარშემო უამრავი ადამიანი ეხვია. მის გვერდით კი შავთმიანი ქალი იდგა, ოღონდ ჩემკენ ზურგშექცევით. თავდაპირველად ლალი გოლოვინა მეგონა, მაგრამ ქალი უეცრად მოტრიალდა და მიეხვდი, რომ შევცდი. იმასაც მივხვდი, რომ ეს ქალი ადრე არასდროს მენახა. გულში ჩხვლეტა ვიგრძენი. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ ვეჭვიანობდი. მოულოდნელად ქალი ფეხის წვერებზე აიწია და კახის ლოყაზე აკოცა. მამაკაცმა გაუღიმა და მხარზე მოხვია ხელი შავთმიანს... სწორედ ამ დროს ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა... იმდენად უხერხულად ვიგრძენი თავი, სწრაფად მოვტრიალდი და შევეცადე, ისეთი სახე მიმეღო, თითქოს მამუკასთან საუბრით ვიყავი გართული.

— როგორ ცხელა აქ, არა? — შევღიმე მამუკას. — ცოტა ხნით ჰოლში გავალ, კარგი? სუფთა ჰაერს გადავყლაპავ, თორემ შეიძლება გული წამივიდეს.

— როგორც გინდა, ოღონდ არ დამეკარგო, — ამ სიტყვებით მამუკამ ხელზე მაკოცა, რითაც აშკარად მოიწონა თავი ნაცნობი მამაკაცების წინაშე.

ხელუხლებელი ბოკალი ბარის დახლზე შემოვდგი, არეული ნაბიჯებით გავარღვიე ხალხის ტალღა და ჰოლში გამოვედი. ცივი ჰაერი მესიამოვნა. ოდნავ შვება ვიგრძენი. აქ არც ხმაური ისმოდა და არც ხალხმრავლობა შეინიშნებოდა, პირიქით, გარშემო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

— როგორც იქნა, დაგიჭირე სალაპარაკოდ, — მომესმა უეცრად ზურგს უკან.

თითქოს ადგილს მივეყინე. არც მიფიქრია, უკან თუ გამომყვებოდა. როგორც ჩანს, თვალს მადევნებდა. რაც შემეძლო, ნელა მოვტრიალდი.

ის მარტო იყო, თანმხლები შავთმიანი ქალის გარეშე. არ ვიცოდი, გამხარებოდა ეს ამბავი თუ მწყენოდა. კახი მომიახლოვდა და გვერდით ამომიდგა.

— კარგი საღამოა, არა? — მკითხა და გვერდულად გამომხედა.

— არაჩვეულებრივი, — სასწრაფოდ დავეთანხმე, რადგან რაღაც მეც უნდა მეთქვა.

— და საერთოდ არ ცივა...

— ჰო.

— აი, ხომ ხედავ, ამინდზეც ავლაპარაკდით, — გაიღიმა, — კიდევ რაზე შეგვიძლია ვისაუბროთ?

— არ ვიცი...

— გარდა იმისა, რომ შენ უპრინციპო ჟურნალისტი ხარ, მე კი მექალთანე და ქალების გულთამპყრობელი? — გააგრძელა მან.

— არ გინდა, ეს

თემა უკვე ამოვწურეთ.

— მართლა? როდის? რაღაც არ მახსენდება...

— სამაგიეროდ, მე მახსენდება. ეს უკვე ძველი ამბავია, გაცვეთილი...

— კარგი, მაშინ შენ ილაპარაკე, მე კი მოგისმენ.

— ის ქალი ვინ არის? — ჩემდა უნებურად გამექცა კითხვა.

— რომელი ქალი? — ვითომ ვერ მიმიხვდა.

— შენ რომ გახლავს თან, ახალი მეგობარია?

— ა! თუ გინდა, მოგვიანებით გაგაცნობ, — ცბიერმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

მის ხმაში მხიარული ნოტები შევნიშნე, რამაც ძალიან გამაღიზიანა.

— გმადლობ, არ მჭირდება. შენი ქალები არ მაინტერესებს.

— ნამდვილი ქალი-გამოცანა ხარ... მე კი მეგონა, მისგან ინტერვიუს აღებას მოისურვებდი.

რამდენიმე წუთით დუმილი ჩამოვარდა. არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა. რატომ უნდა დავხარბებოდი მისი საყვარლისგან ინტერვიუს? ბრაზი უფრო და უფრო მერეოდა. ვცდილობდი, აღელვება არ შემტყობოდა და დაბნეული ვაცეცებდი თვალებს აქეთ-იქით. არ მინდოდა, მისთვის თვალებში შემეხედა. მეშინოდა ამ მზერის. მეგონა, შუბლზე მეწერა, თუ როგორ მიყვარდა იგი და რაოდენ ტკივილს მაყენებდა მისი დანახვა.

— შენი მეგობარი სადღაა? — მოულოდნელად წინ დამიდგა და თავი დახარა, რომ ჩემი მზერა დაეჭირა.

— რომელი მეგობარი? — დახშული ხმით ვკითხე და ალეწილმა გვერდზე გავიხედე, საკუთარ გულისცემას ვგრძნობდი.

— ბევრი გყავს?

— მეგობარი კი.

— მეგობარ მამაკაცს ვგულისხმობ.

— თემურზე მეკითხები? — ისეთი ინტონაციით წარმოვთქვი, თითქოს მის გარდა, უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დამცინავად გაისმა მისი ხმა, — აქ ვინც გახლავს, ის ვიცი, ვინც არის, ამიტომაც არ მაინტერესებს.

— თემური დღეს არ მუშაობს.

— არ მუშაობს? მას რა, დასვენების დღეებიც აქვს?

— რატომაც არა?! ჩვენც ადამიანები ვართ, — ირონია გავურიე ხმაში.

— თქვენ ერთ რედაქციაში მუშაობთ?

— არა.

— აბა, ერთმანეთს საიდან იცნობთ?

— ღმერთო ჩემო, რა შენი საქმეა? დაკითხვას მიწყობ?

— უბრალოდ, მაინტერესებს.

— ის სხვა გაზეთში მუშაობს და დღეს სხვა საქმეზეა წასული.

— სხვა საქმეზე? რომელ საქმეზე?

— არ ვიცი... რაღაც რეპორტაჟს ამზადებს ალბათ...

— აკი ისვენებსო?

— ჩემგან ისვენებს, — „გამოვასწორე“ ნათქვამი.

— შენგან? რატომ, ასე უმწარებ ცხოვრებას?

— როგორც ჩანს.

— დარწმუნებული ხარ, რომ თბილისშია? — არ მეშვებოდა კახი.

— რა თქმა უნდა, წეღან ველაპარაკე, — დაბეჯითებით ვთქვი, თუმცა წარმოდგენაც არ მქონდა, ამწუთას სად იმყოფებოდა არაბული, თანაც ძალიან მიჭირდა ტყუილის თქმა, ყალბად გამომდიოდა ყოველი სიტყვა.

— ესე იგი, მოგვიანებით უნდა შეხვდე?

— არ ვიცი... შეიძლება შევხვდე, შეიძლება არა. რატომ მეკითხები ასეთ რამეებს? შემთხვევით, ხომ არ ეჭვიანობ? — გაგულისებულმა თავი ავწიე და თვალი თვალში გავუყარე.

— შენი აზრით, უნდა ვეჭვიანობდე? მაქვს კი საეჭვიანო საბაბი? — ცალი წარბი ასწია და მომაჩერდა.

— თავი დამანებე, ძალიან გთხოვ. ვერ გამიგია, მაშინ რატომ მეკითხები?

— უბრალოდ, მაინტერესებს და მეტი არაფერი.

მისმა აუღელვებელმა ხმამ გული შემიკუმშა. ჰო, რა თქმა უნდა, რატომ უნდა იეჭვიანოს? მე ვინ ვარ მისთვის? ასი წელი არაფერში ვჭირდები.

— ლალი რატომ არ არის აქ? — ახლა მე გადავედი იერიშზე, თან ღრმად ამოვიოხრე, მშვიდი ხმით რომ მელაპარაკა, — მეგონა, მასთან ერთად მოხვიდოდი საღამოზე.

— ლალი ნიუ-იორკშია.

— ამდენ ხანს? ერთი კვირის წინაც ასე არ მითხარი? როგორი საქმიანი ქალია, როგორი დაკავებული... — გოლოვინას მისამართით ბოღმა დავანთხიე.

— ჰო, შეხვედრები აქვს, თანაც ძალზე სერიოზული...

— შენი წიგნის საქმეებს ხომ არ აგვარებს? იქაც უნდა გამოსცე შენი რომანები?

— არა, არა, თავის საქმეზეა წასული, მე არაფერ შუაში ვარ.

— და ალბათ ეს ძალიან გაღელვებს, არა? — ინტერესი გამიღვივა მისმა ნათქვამმა.

— რა?

— ის, რომ თავის საქმეზეა წასული და არა შენ გამო.

— რატომ უნდა მაღელვებდეს? — გაოცება აღებეჭდა სახეზე.

მისმა გამომეტყველებამ მე უარესად გამაოცა.

— რა ვიცი... ვიფიქრე... მეგონა, შენ და ლალის... მეგონა, ის ქალი შენ მოგწონდა, — ისე დავიბენი, ძლივს მოვუყარე სათქმელს თავი.

— მომწონდა? რა თქმა უნდა, როგორც კოლეგა, როგორც ბიზნესპარტნიორი და როგორც მეგობარი, მომწონს. სხვა მასთან არაფერი მაკავშირებს, თუ ეს გაინტერესებს. როგორც ქალი, ის ჩემთვის არ არსებობს და არც არასდროს არსებობდა. დაგაკმაყოფილა ჩემმა პასუხმა? არა?

— შენი საქმისა შენ იცი... ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ვიცი, რომ ის ჭკუას კარგავს შენზე.

— ვინ, ლალი? — კახის ხმამაღალი სიცილი აუტყდა. — რა საინტერესოა ამის მოსმენა! საიდან დაასკვენი? ჩვენზეც გავრცელდა ჭორები? ეს ალბათ ახალი ამბავია, რომელიც ჯერ მეც არ ვიცი, არა?

— ჭორები რა შუაშია. მე მინახავს მისი მზერა, როცა შენ შემოგყურებდა... — ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ უკან მაინც არ დავიხიე.

— იცი ამწუთას რა ვიგრძენი? კვლავ შენი სევდის სურნელი მოვარდა საიდანღაც... გიგრძნია ოდესმე, როგორი სურნელი აქვს სევდას?

— არა, — ლამის ჩურჩულით წარმოვთქვი.

— მინდორში ეულად ამოსული შროშანის, რომელიც საღამოს ფუტკარს ელოდება.

პასუხი არ გავეცი. ალეწილი ვიდექი და გამოსავალს ვერ ვპოულობდი, როგორ მოვქცეულიყავი — მიმეტოვებინა და ფოიეში დავბრუნებულიყავი, თუ მასთან საუბარი გამეგრძელებინა.

— იცი, ლალი ვისთან ერთად არის ნიუ-იორკში? — მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა.

— რა ჩემი საქმეა?!

— მგონი, შენი საქმეც უნდა იყოს, თუკი გულწრფელი ხარ ჩემთან...

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.

— ლალი და თემურ არაბული ერთად გაემგზავრნენ ნიუ-იორკში ათი დღის წინ. როგორც ჩანს, სერიოზულად უყვართ ერთმანეთი და ქორწილისთვის ემზადებიან. ვინ იცის, იქნებ საქორწინო მოგზაურობაც მოიწყვეს უკვე...

ამის გაგონებაზე თითქოს ადგილზე გავქვავდი. ალმური წამეკიდა სახეზე. დამფრთხალი მივაჩერდი მამაკაცს. ჩემს გულს საშინელი ბაგაბუგი გაჰქონდა. უნებურად მკერდზე მივიდე ხელი, თითქოს ამ ხმის დაფარვას ვცდილობდი.

— რა იყო, არ გჯერა? ეს სრული სიმართლეა, ქეთი... შენ მე კვლავ მომატყუე, — ხმადაბლა თქვა და ღაწვზე ჩამომისვა ხელის ზურგი, — რატომ?

მისმა შეხებამ თავბრუ დამახვია. კვლავ მომიარა ძლიერმა სურვილმა, მის მკლავებში ჩავკარგულიყავი. ვგრძნობდი, როგორ მიჭირდა ცდუნებასთან გამკლავება.

— მე... მე... არ ვიცი...

— მაშინ მე შევეცდები, გამოვიცნო. იქნებ გინდა, მაიძულო... — შემპარავად დაიწყო მამაკაცმა და თითები ღაწვიდან მოშიშვლებულ ყელს ჩააყოლა.

— რა უნდა გაიძულო? — ტუჩები გამიშრა ნერვიულობისგან, საკუთარი ხმა ძლივს მესმოდა.

— ეჭვიანობა. გინდა, რომ მაეჭვიანო... თანაც საშინლად.

— არა, რას ამბობ... — ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე, როგორც დანაშაულზე წასწრებულმა ბავშვმა, — რაში მჭირდება ეს? — ისე ვიყავი დაძაბული, ნეწყვი ყელში გამეჩხირა.

როგორ არ მინდოდა, კვლავ მისი მომნუსხველი თვალების ტყვე აღმოვჩენილიყავი. არადა, ერთიანად ვცახცახებდი მისი თითების შეხებისგან, — მომისმინე, კახი... მგონი, აჯობებს, შენს მეგობარ ქალთან დაბრუნდე. ალბათ უკვე გეძებს... მე კი თავი დამანებე... ვხედავ, რომ ძალიან გინდა, ისევ გამოიყენო შენი შარმი და... და... საზიზღარი მექალთანე ხარ და მეტი არაფერი! სულაც არ მინ...

— კარგი, რა, დამშვიდდი. ხომ ხედავ, როგორ ნერვიულობ, სიტყვები გერევა ერთმანეთში. იცი, ყველაფერს რა სჯობია? წამოდი ჩემთან ერთად და იმ ქალს გაგაცნობ. იმედია, თავაზიანად მოეპყრობი... — ეშმაკურად შემომღიმა.

— გეყოფა, კახი! — ოდნავ ვკარი ხელი, მაგრამ არ გამომივიდა. თითები მძლავრად ჩამჭიდა მაჯაში და ფოიესკენ გაემართა.

წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. შემეშინდა, უცხო ადამიანების ყურადღება არ მიგვექცია, ამიტომაც მორჩილად გავყევი.

შავთმიანი ქალი ბართან იდგა და ვიღაცას ხელების ლამაზი მოძრაობით ელაპარაკებოდა.

— ჯული! — დაუძახა კახიმ.

მეგონა, მომესმა... წამით სუნთქვა გამიჩერდა. ნუთუ ეს ქალი მარგველაშვილია? მაგრამ მას ხომ ჩემსავით ქერა თმა ჰქონდა? ნუთუ ასე შეცვალა თმის ფერმა?

ქალმა ნელა მოაბრუნა თავი.

— ქეთი, გაიცანი, ეს ჯულია.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ? — აღმომხდა გაოგნებულს.

ახლა კი ვიცანი... უბლზე ჩამოშლილი თმა და სახეზე სქლად დადებული მაკიაჟი შესამჩნევად უფარავდა ნაიარევს, რომელიც მრუდე ზოლივით გასდევდა საფეთქლამდე. მაინც საოცრად მომხიბვლელი იყო.

მან თბილად გამიღიმა, თავი დამიქნია და მარცხენა ხელით თავის თმას შეეხო.

— რაც თმა შავად შევიღებე, ვერავინ მცნობს. თქვენ ალბათ, ქეთი კანდელაკი ხართ...

— დიახ...

— ძალიან გამიხარდა, რომ გაგიცანით. რამდენი ხანია, კახს ვეხვეწები, მოიყვანე ის გოგო, მადლობა უნდა გადავუხადო, ჩემს შვილს ასე მზრუნველად რომ უვლიდა-მეთქი და არ დააყენა საშველი. როგორც იქნა, შევხვდით ერთმანეთს. მაინცდამაინც აქ არ მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ რა გაეწყობა, ჩემი ძმის ბრალია ყველაფერი. არა უშავს, სხვა დროს მე თვითონ დაგპატიჟებთ ჩემთან და გამოვასწორებ ამ სიტუაციას.

— რას ამბობთ!

— ისეთი მადლობელი ვარ თქვენი, ვერც წარმოიდგენთ. ყველაფერი ვიცი, როგორ უვლიდით ნუკის, რა ამაგიც

გაქვთ მასზე... ჩემზე იყოს, ქეთი, საყვარელო... — მარგველაშვილი ძალიან გულწრფელი ჩანდა.

— ნუკი ისეთი საოცარი ბავშვია... რა ამაგი, რას ბრძანებთ...

— მე თქვენ არაჩვეულებრივი საჩუქარი ჩამოგიტანეთ გერმანიიდან, — მოულოდნელად ჩემკენ გადმოიხარა ქალი და საიდუმლოდ ჩამჩურჩულა, — როდის გამოივლით ჩვენთან? სულით და გულით გეპატიჟებით.

— რა ვიცი, როგორმე მოვახერხებ...

— აპ, აპ, აპ... როგორმე არ გამაგონოთ. ხვალვე გელოდებით. აუცილებლად!

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ საუბარში კახი ჩაერია.

— ჯული, მე უნდა გავიდე. ქეთისთან საქმე მაქვს... შენ დარჩები?

— გასაგებია, სიხარულო, — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა მარგველაშვილმა, — გვიან მოხვალ?

— არ ვიცი, გააჩნია სიტუაციას...

— ესე იგი, დაგაგვიანდება, — გადაიკისკისა ქალმა.

— ინტერვიუ უნდა მივცე ქალბატონ ქეთევანს და რამდენ ხანს გასტანს, ეს მასზეა დამოკიდებული, — არ დაიბნა კახი.

— კარგი, მაშინ მე არ ვიჩქარებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან აპირებთ ასვლას. გამოვიცანი?

— ნიჭიერი მყავხარ, — გაუღიმა მამაკაცმა.

— ნუკისაც მიხედე. ამწუთას ველაპარაკე ნათიას და სძინავსო, მითხრა. შენ მაინც...

— ნუ გეშინია, მივხედავ. შენ სულ არ იყავი აქ, მაგრამ ვუვლიდით... მანქანის გასაღებს შენ გიტოვებ, ჩვენ ტაქსით წავალთ. ყოველი შემთხვევისთვის, სანამ მოხვალ, დამირეკე, — მრავლისმეტყველად დააყოლა კახიმ და მკლავზე წამეტანა, — წავედით, ქეთი.

— მოიცა... — ხელი ძალით გავაშვებინე, — მე ვერ წამოვალ შენთან ერთად, გასაგებია? — აღელვებულს სუნთქვა შემეკრა, — მე მარტო არ ვარ... ჩემი რედაქტორი...

— რა შენი რედაქტორი?

— მე აქ მამუკასთან ერთად ვარ.

— მამუკა ყველაფერს გაიგებს, პრობლემა არ არის.

— გაგიჟდი? როგორ ავუხსნა მას...

— ქეთი, მამუკას საღამოს მოსაწვეები მე გავუგზავნე. მან იცოდა, რომ შენ უნდა წამოეყვანე და არა სხვა ჟურნალისტი.

— რა-ა? გინდა მითხრა, რომ საგანგებოდ მოაწყვე ეს შეხვედრა? — თვალები გამიფართოვდა.

— აბა, რა! ეს ერთადერთი საშუალება იყო, მენახე და დაგლაპარაკებოდი. წინა კვირას ისეთი შეუვალი იყავი, მეგონა, არასდროს მოისურვებდი ჩემთან შეხვედრას. სხვა გზა არ დამიტოვე.

გარდერობში მდგომ ქალს ჟეტონი მივაწოდე და ჩემი ლაბადა გამოვართვი. კახი ჩაცმაში დამეხმარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ქუჩაში ვიყავით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ვახო საბლიანის გაგონებაზე ანამ უცებ მუხრუჭს მიადგა ფეხი. მანქანა გზისპირზე გადაიყვანა და გაჩერდა.

თვალწინ თავისი ქორწილის ღამე წარმოუდგა... სურათები ერთმანეთს ცვლიდა: უამრავი სტუმარი... თეთრი კაბა... გოჩა... სროლის ხმა... მანქანასთან ჩაკეცილი ქმარი... სისხლით შეღებილი თეთრი პერანგი... მიწა... ანას ხელები... საქორწილო კაბა... ანას კივილი... განგაში... ერთმანეთში არეული სტუმრები... გნიასი...

ამ ყველაფერმა მის გონებაში რამდენიმე წამში გაირბინა, მაგრამ ანას მოეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გავიდა... ზიზღმა ტუჩის კუთხეები აუწია.

— ანა, სად ხარ, რატომ გაჩუმდი? — ირაკლის ხმამ გამოაფხიზლა.

— აქ ვარ, — ჩასძახა ანამ ტელეფონში, — მაგაზე სხვა დროს, ახლა მაგისთვის არ მცალია, — უთხრა და ტელეფონი გათიშა.

შინ მისულმა სასწრაფოდ ჩაყარა ბარგი ერთ მოზრდილ ჩანთაში, შემდეგ რამდენჯერმე გადაამოწმა, რამე ხომ არ დარჩა და ვინაიდან რეისი დილის 4 საათზე იყო დანიშნული, გადაწყვიტა, 2-3 საათი დაეძინა კიდეც.

დაწვა, მაგრამ თვალი ვერ მოხუჭა. გოჩაზე ფიქრი არ შორდებოდა. ახლა, როცა ვახო ასე ხელმისაწვდომი გახდა, თითქოს უკან დაიხია ქალმა. შეეშინდა. რამდენჯერმე წარმოიდგინა, როგორ ახლიდა ტყვიას იმ ადამიანს, რომელმაც მისი ცხოვრება დაანგრია, ბედნიერება წაართვა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამ მომენტს სიზმარშიც ხშირად ხედავდა და ყოველთვის მაშინ ეღვიძებოდა, როცა გადამწყვეტი მომენტი დგებოდა და სასხლეტზე თითი უნდა დაეჭირა... ახლაც, გონებაშიც, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა... კარგა ხანს იწვალა და ის იყო, ძილმა თავი წაართვა, რომ ტელეფონმა დარეკა.

— ანა, გამოგივლი. მზად ხარ? — ჰკითხა გიორგიმ.

— რომელი საათია? — თბილ ძილბურანს ვერ თმობდა.

-— უკვე 2 საათია. სანამ შენამდე მოვალ, სანამ აეროპორტამდე მივაღწევთ, 3 გახდება. რეგისტრაცია სამზე იწყება.

— კარგი, მზად დაგხვდები. შენი მანქანით წავიდეთ?

— არა, ტაქსით მოვალ. არ ვტოვებ ხოლმე მანქანას აეროპორტში.

— კარგი, გელოდები.

ანა წამოდგა და ფაციფუცით შეუდგა ჩაცმას. ტანზე მოტმასნილი, მუხლამდე სიგრძის ჯინსის შარვალი და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, თეთრ ტოპზე თეთრი, თხელი ქსოვილის, ბოლომდე ჩაღილული, გრძელსახელოიანი პერანგი შემოიცვა. თავისი გიშერივით შავი, ტალღოვანი თმა უბრალოდ დაივარცხნა და უკან გადაიყარა.

— პოლონეთიდან რომ დავბრუნდები, თმას შევიჭრი, — განაჩენივით გამოუტანა საკუთარ თავს.

— შენ რა, იპარები? — ახალგამოღვიძებული ნინო წამოადგა თავზე.

— არ მინდოდა, გამეღვიძებინე.

— მიდიხართ? — ნინოს ზურგს უკან ბელას გაბურძგნილი თავი გამოჩნდა. თან თვალებს ისრესდა.

ანა მასთან მივიდა, ჩაცუცქდა და ჩაიხუტა.

— მივდივარ, მაგრამ მალე დავბრუნდები. შენ კი შემპირდი, რომ კარგად მოიქცევი და ნინოსა და ციცოს დაუჯერებ.

— კი, დავუჯერებ, — თავი დააქნია გოგონამ და თავისი შავი თვალები შეანათა.

— ბებიასთანაც წაგიყვანენ. როცა მოგენატრება, ნინოს უთხარი და წაგიყვანს. კარგი?

— ჰო, — ისევ დაეთანხმა ბელა.

— კარგი. ახლა ჩამეხუტე და გაიქეცი დასაძინებლად.

ანამ მანქანის სიგნალის ხმა გაიგონა და აჩქარდა. დედა და ნინო გადაკოცნა, დაემშვიდობა და გავიდა.

— დავაგვიანე? — ჰკითხა გიორგის, როდესაც უკანა სავარძელზე, მის გვერდით მოთავსდა. კი არ მოთავსდა, დაეხეთქა...

— არა, არც ისე. მაინც არ გვაგვიანდება, არ ინერვიულო, — დაამშვიდა გიორგიმ.

— ყველაფერი შენ მოგანდვე, არც კი მიკითხავს, იქ სად უნდა ვიცხოვროთ. ამდენ საქმეში სულ ვერ მოვიცალე მაგაზე სალაპარაკოდ, — ანამ მამაკაცს შეხედა.

გიორგის სახე სულ ახლოს იყო. მან უცებ შეაბრუნა თავი და უხერხულობისგან ჩაახველა.

— სასტუმროში, რა თქმა უნდა, და ცალ-ცალკე ნომრებში, რა თქმა უნდა...

— ენა გააჩუმე! — ფერდში იდაყვი გაჰკრა ანამ.

— არა, თუ შენი სურვილი იქნება...

— გიორგი, შენი ძმაკაცის შეყვარებული რომ ვარ, მგონი, დაგავიწყდა.

— თქვენ ხომ იჩხუბეთ?! თუ ეს მოჩვენებითი ჩხუბი იყო?.. — ეშმაკურად ჩაიცინა მამაკაცმა.

— შენ კი ჩასაფრებული იყავი, როდის ვიჩხუბებდით, ხომ?

— კარგი, ანა, ვხუმრობ. სიმართლე თუ გინდა, მე სიძეობას გიპირებ და... იმედია, ამის წინააღმდეგი არ იქნები.

— შენ რა, ჩემს დას დაადგი თვალი?

— დიახ... ვმუშაობ მაგ მიმართულებით...

— ნინოს გავაფრთხილებ, რომ შენს ანკესს არ წამოეგოს.

— კარგი, ანა, რა, მიწუნებ?

— არა, მაგრამ ჩემი დისთვის მაინც უკეთესი მემეტება. ისე, გამოგდის რამე?

— ჯერჯერობით მხოლოდ თვალებით ვეთამაშები, მერე ვნახოთ... — გულიანად გაიცინა მამაკაცმა.

ანამ ტუჩები გაბუსხა და გაჩუმდა.

გიორგის კი კარგა ხანს ეცინებოდა ჩუმ-ჩუმად და ანას გადახედავდა ხოლმე.

როგორც იქნა, აეროპორტში მივიდნენ. რეგისტრაცია უკვე დაწყებული იყო. სასწრაფოდ გაიარეს ყველა პროცედურა და მალე თვითმფრინავში თავიანთი ადგილებიც მოძებნეს.

ანა ილუმინატორთან მოთავსდა, გიორგი კი ნაპირზე. შუა სავარძელი ცარიელი დარჩა.

— აქეთ დაჯექი, ვინმე უცხო ჩაჯდება ჩვენ შორის, — ხელი დაარტყა ცარიელი სავარძლის სახელურს ანამ.

— არ მიყვარს შუა სავარძელში ჯდომა...

— კარგი, — ანამ ილუმინატორში ყურება განაგრძო.

თვითმფრინავთან მოფუსფუსე აეროპორტის თანამშრომლებს აკვირდებოდა. თავისი და ირაკლის შეხვედრა გაახსენდა — ამერიკიდან დაბრუნებულს, აეროპორტში ფეხი რომ გადაუბრუნდა და მიწაზე დაებერტყა.

ქალი თავის ფიქრებს უღიმოდა და ეს ყველაფერი ისე ნათლად წარმოიდგინა, რომ ირაკლის სუნამოს სურნელიც კი იგრძნო. ამან კიდევ უფრო გაუმძაფრა მოგონებები... მაგრამ უეცრად გამოერკვია. თვითმფრინავის სალონში დამდგარი სუნი მისი ფიქრის ნაყოფი სულაც არ გახლდათ... ანამ ირგვლივ მიმოიხედა. გასასვლელში ირაკლი იდგა და სტიუარდესას რაღაცას ელაპარაკებოდა. ქალმა თვალებს არ დაუჯერა. ჯერ მას

შეხედა, მერე — გიორგის, რომელიც გულუბრყვილო ბავშვივით აფახულებდა თვალებს და ანასკენ არც იყურებოდა.

ირაკლიმ იქაურობა მოათვალიერა და ანას თვალებს რომ გადააწყდა, ხელი აუწია და მისკენ წამოვიდა.

— როგორ ხართ, ახალგაზრდებო? უჩემოდ აპირებდით, არა, ვარშავაში გამგზავრებას?!. გუგულებივით კი დამსხდარხართ, მაგრამ შუაში ეს ცარიელი „ბუდე“ მე დამიტოვეთ?.. — ცარიელ სავარძელზე მიუთითა.

— ჰო, დაგიტოვეთ, იქნებ კვერცხის დადებას აპირებ და... — ანამ ირაკლის თვალი აარიდა და ისევ ილუმინატორში ყურებას მოჰყვა.

— დაჯექი, დაჯექი, ნუ მსახიობობ, — გიორგიმ შეთქმულივით გაუცინა.

ირაკლი ანასა და გიორგის შორის დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ქალისკენ შებრუნდა, გიორგის ზურგი შეაქცია და თვითონაც ილუმინატორში ყურება დაიწყო.

— გახსოვს, აქ რომ წაიქეცი? — ჰკითხა ანას.

— მახსოვს, — ანამ ისე მშვიდად უპასუხა, თავადვე გაუკვირდა.

— მაგარი იყო... რომ წაიქეცი, საცვალიც კი გამოგიჩნდა, ქარმა კაბა რომ აგიფრიალა.

— გმადლობ, რომ შემახსენე. შემრცხვა კიდევ ერთხელ. მიზანი მიღწეულია, — გაღიზიანებული ხმით უთხრა ქალმა.

— ჩემი მიზანი ეგ არაა, — ირაკლი მასთან ახლოს მიიწია, ტუჩებით ლამის ყურზე შეეხო, — ჩემი მიზანი — შენი ხელში ჩაგდებაა, — ჩურჩულით უთხრა.

ანა შეიშმუშნა და გაიწია. არადა, სიამოვნებით ჩაეხუტებოდა და იმ ტუჩებსაც დაუკოცნიდა, რომლითაც ახლა ასე ტკბილად ეჩურჩულებოდა. მაგრამ როგორც კი ის ღამის სტუმარი გაახსენდა, რომელიც ირაკლის სახლიდან გამოვიდა, მაშინვე გაუქრა ყველა გრძნობა და მხოლოდ ბრაზი დარჩა. თუმცა გულის სიღრმეში, ირაკლის არც ამტყუნებდა, რადგან ახალგაზრდა მამაკაცს ვიღაც რომ ეყოლებოდა, ეგ ხომ ისედაც უნდა სცოდნოდა.

ირაკლი არ ეშვებოდა. ხან მის ხელს აიღებდა და ხელებს შუა მოიქცევდა, ხან სახეზე ჩამოშლილ თმას გადაუწევდა, ანა კი ყურადღებას არ აქცევდა. როგორც იქნა, ლაინერი აფრინდა. ქალს ეს მომენტი არ უყვარდა. გული თითქოს მკერდიდან ამოხტომას ლამობდა, ყელში ებჯინებოდა და რაღაცნაირად უფრიალებდა. სამაგიეროდ, თვითმფრინავი რომ გასწორდებოდა, მერე კი უყვარდა ილუმინატორში ყურება და იმის დანახვა, ჯერ როგორ პატარავდება შენობები, ადამიანები, მერე კი საერთოდ ქრება... პატარაობაში ხშირად მჯდარა საათობით და უშბის წვერზე „წამოგებული“ ღრუბლებისთვის უცქერია. მოსწონდა, როცა მას რაიმე ცხოველს, ფრინველს ან საგანს ამსგავსებდა. შემდეგ ღრუბელი ნელ-ნელა ფორმას იცვლიდა... ის წინასწარ ცდილობდა ხოლმე, წარმოედგინა, როგორ ფორმას მიიღებდა შემდეგ თეთრი ქულა, მაგრამ იშვიათად თუ გამოიცნობდა. თუ ძალზე თეთრი, ფუმფულა და მკვრივი ღრუბელი იყო, ოცნებობდა, ისეთი მსუბუქი ყოფილიყო, რომ ზედ ჩამომჯდარიყო და იქიდან გადმოეხედა ქვეყნიერებისთვის. თვითმფრინავის სალონიდან კი ღრუბლებს ახლოდან უყურებდა და ფიქრობდა, რომ ოცნება ხელიდან ეცლებოდა, ვინაიდან აშკარა იყო, ვერასოდეს შეძლებდა ღრუბელზე ჩამოჯდომას. ქვევიდან კი ყველაფერი სხვაგვარად ჩანდა და ოცნებაც უფრო ხელმისაწვდომი ეჩვენებოდა...

ცოტა ხანში ანას ძილი მოერია. სავარძლის საზურგეს თავი მიაყრდნო და თვალები დახუჭა. იგრძნო, ირაკლიმ როგორ წამოსწია ოდნავ წინ, როგორ ამოუდო მკლავი თავქვეშ, როგორ მიიხუტა, მაგრამ თავი მოიმძინარა, ვითომ არც გაუგია, ცხვირი მის მკერდში ჩაყო და კარგა ხანს იყო ასე გარინდებული. შემდეგ მართლა ჩაეძინა.

დაშვება რომ დაიწყო, ირაკლიმ მაშინ გააღვიძა.

ლოყაზე მამაკაცის პერანგის ღილი ჰქონდა „მიხატული“ და ეწვოდა.

— ისარგებლე, რომ ჩამეძინა, არა?!. — მსუბუქად უსაყვედურა.

— თორემ შენ წინააღმდეგი იყავი, არა?!. — გიორგის გაეცინა.

— შენ ვინ გეკითხება, მე წინააღმდეგი ვიყავი თუ არა?! — ლოყაზე ხელი მოისვა ანამ და ჩანთიდან სარკე ამოიღო.

კარგა ხანს უყურებდა საკუთარ გამოსახულებას, შემდეგ კი ჩასასვლელად მოემზადა.

აეროპორტში მათ მასპინძელი დახვდა, სასტუმრომდე მიაცილა და საღამომდე დაემშვიდობა.

— ქართველი ამას არ იზამდა, — აღნიშნა ანამ, როცა ის წავიდა.

— ჰო, ქართველი წაგვიყვანდა სადმე, კარგად გამოგვათრობდა და მერე მოგვიყვანდა და დაგვყრიდა სასტუმროში გალეშილებს, — გაიცინა გიორგიმ.

— ესაა შენი ოთახი, — გიორგიმ გასაღები მოარგო და გადაატრიალა.

— გმადლობ, დროებით, — ანამ კარი მიხურა და ოთახს თვალი მოავლო.

მდიდრულად მოწყობილი აპარტამენტი იყო. საძინებელში დიდი საწოლი იდგა. ქალი ლოგინზე ზურგით დაეცა და ხელები გაშალა. მგზავრობამ დაღალა და ახლა დაძინება ყველაფერს ერჩივნა. სულ 3 საათი ჰქონდა თავისუფალი დრო. შემდეგ მამაკაცები ჰოლში დაელოდებოდნენ.

ანა სააბაზანოში შევიდა. გაუხარდა, ჯაკუზი რომ დახვდა. წყლით გაავსო, ჩართო და ჩაწვა. ესიამოვნა წყლის ჭავლი, რომელიც სხეულზე ელამუნებოდა. მოითენთა, მოეშვა და იქვე ჩაეძინა.

თვალები რომ გაახილა, მიხვდა, რომ კარგა ხანი იქნებოდა გასული, რაც სააბაზანოში იმყოფებოდა. წყალი გადაივლო და ჯაკუზიდან ამოვიდა. სასწრაფოდ ჩაიცვა, სველი თმა აიკეცა და ოთახიდან ტყვიასავით გავარდა. „რა ცუდია, მობილურით რომ არ შემიძლია დაკავშირება“, — გაიფიქრა, კიბეზე რომ ჩარბოდა.

ადმინისტრატორს სალონის ადგილმდებარეობა ჰკითხა და თმის გასაშრობად გაემართა. ამ დროს ირაკლის ხმა წამოეწია და შეჩერდა.

— გოგო, რას დაგვიხეთქე გულები?! რაც შენს კარზე ვაბრახუნეთ! ახლა უკვე ვაპირებდით, ადმინისტრატორისთვის გვეთხოვა დახმარება.

— ჩამძინებია, — ბოდიშივით მოიხადა ანამ.

— ისე როგორ გეძინა, რომ კარზე ბრახუნი ვერ გაიგონე?

— სააბაზანოში მეძინა... — გაულიმა ანამ.

— ახლა სად გარბიხარ?

— ახლა თმას გავიშრობ სალონში და შემოგიერთდებით, — ქალი პასუხს აღარ დალოდებია, შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა დანიშნულების ადგილისკენ.

ცოტა ხანში მოწესრიგებული დაუბრუნდა მამაკაცების კომპანიას. გარეთ კი მასპინძელი, იანო ელოდა, რომელმაც ყველანი ლანჩზე დაპატიჟა.

საქმიანი შეხვედრა მესამე დღისთვის დაგეგმეს. მანამდე კი ვარშავის დასათვალიერებლად დრო ბლომად ჰქონდათ.

ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. მოილაპარაკეს, რომ მეორე დღეს სამივენი ექსკურსიაზე წავიდოდნენ, მაგრამ დილით გიორგიმ მათთან ერთად წასვლაზე უარი თქვა — ვარშავაში მცხოვრები მეგობრის მონახულება მოიმიზეზა და სასტუმროში დარჩა.

ირაკლიმ სასტუმროშივე იკითხა, სად შეიძლებოდა გასეირნება, გზამკვლევიც შეიძინა და მანქანა დაიქირავა.

ანა კარგ გუნებაზე იყო. იცინოდა, ხუმრობდა, ცდილობდა, ძველი წყენა აღარ გაეხსენებინა. ირაკლიც კრინტს არ ძრავდა კამათის შესახებ და ორივე ბედნიერად გრძნობდა თავს. თუმცა ანას მაინც არ ასვენებდა ნანას არსებობა.

— სად მივდივართ? — დაინტერესდა მას შემდეგ, როცა მიხვდა, რომ ქალაქგარეთ იყვნენ.

— აქედან 400 კილომეტრში ქალაქია, გორა კალვარია და იქ წავიდეთ, გუერსკის ციხე ყოფილა, ისტორიული ადგილია და ვნახოთ.

— რა, ვარშავა უკვე დავათვალიერეთ და ახლა მიმდებარე ტერიტორიებზე გადავედით?.. — გაეცინა ანას.

— რა გენაღვლება, საქმე მაინც არაფერი გვაქვს, ლაპარაკ-ლაპარაკით ისე ჩავალთ და ჩამოვალთ, ვერც გავიგებთ.

— სალაპარაკო ნამდვილად გვაქვს, — როგორც იქნა, მტკივნეულ თემას შეეხო ქალი.

— ანა, მოდი, მაგაზე ნუ ვისაუბრებთ. მე შენ მიყვარხარ, გაღმერთებ და მინდა, რომ ჩემი ნაწილი გახდე. რაც შეეხება ნანას, ის დროებით იყო ჩემს ცხოვრებაში. მას ქმარი ჰყავს, ოჯახი აქვს... რაც მთავარია, არ მიყვარს. ნანა შენი მეტოქე ვერ იქნება. როცა ის ჩემთან ნახე, სწორედ იმ თემაზე გვქონდა ლაპარაკი, რომ ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო და ერთმანეთს უნდა დავშორებოდით. მე ვარ მამაკაცი, რომელსაც 3 წელი მქონდა ურთიერთობა ქალთან და მას ერთი ხელის მოსმით ვერ გავაგდებდი ჩემი ცხოვრებიდან. მინდოდა, ისე დავშორებოდი, რომ გულში ბოღმა არ დარჩენოდა და არც ტკივილი მიმეყენებინა. მას ვუყვარვარ, ვიცი, და მებრალებოდა კიდეც. ამიტომ ჯერ ნიადაგი მოვამზადე, შემდეგ კი ავუხსენი ყველაფერი და შევთანხმდით, რომ ჩვენი ურთიერთობა დამთავრდა. შეგიძლია, არ დაიჯერო, რასაც გეუბნები, მაგრამ მაშინ უნდა მოიყვანო მყარი არგუმენტი საიმისოდ, რომ ეს ტყუილი რამეში მჭირდება. მე არც შენი შეცდენა მაქვს განზრახული, არც რამე მჭირდება შენგან, გარდა სიყვარულისა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი გახდე და დაგიმტკიცო, რომ მართალს ვამბობ. ანა, მინდა, რომ ცოლად გამომყვე. არასოდეს შემოგთავაზებ საყვარლობას. იმიტომ კი არა, რომ ეს მიუღებელია და არ გაკადრებ; იმიტომ, რომ სამუდამოდ შენთან ყოფნა მინდა.

ირაკლი გაჩუმდა. საუბრისას ხშირად გადახედავდა ქალს — მის რეაქციას აკვირდებოდა.

ანა დუმდა. ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ სათქმელს თავს ვერ უყრიდა. უნდოდა ეთქვა, რომ ძალიან უყვარდა, მისი ალერსი სურდა და რომ მის მიახლოებაზე საშინელი რეაქცია ჰქონდა, შინაგანად იძაბებოდა და თავს ძლივს ერეოდა, რომ არ ჩახუტებოდა, მაგრამ არ იყო ეს იოლი სათქმელი.

— ანა, მითხარი, გჯერა ჩემი თუ არა?

ქალმა მის მკლავს ლოყა დაადო. აგრძნობინა, რომ ყველაფერი დაივიწყა, რომ სჯეროდა მისი და მასთან ყოფნა სურდა. ამ ერთი ჟესტით ყველაფერი თქვა.

ირაკლიმ ხელი მოხვია, მიიზიდა და მის თავს ლოყა დაადო.

კარგა ხანს იარეს ასე, ჩუმად. მერე მამაკაცმა მანქანა გზისპირზე გადაიყვანა და ანას მიუბრუნდა. თვალებში ჩახედა. ჯიუტი და თავნება ქალი სადღაც გამქრალიყო. თვინიერი და მორჩილი ქალი შეჰყურებდა მამაკაცს.

ირაკლიმ ჯერ მისი სახის თვალიერებას მიჰყო ხელი, თითქოს პირველად ხედავდა, ყველა ნაკვთი შეისწავლა. შემდეგ ტუჩებზე დაეკონა. ანას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მის მკლავებს დაჰყვა და ლამის გულზე დაადნა საყვარელ მამაკაცს.

— ის, რაც წეღან გითხარი, სულაც არ ნიშნავს, რომ ქორწინებამდე სექსი არ გვექნება, — ვნებიანად ჩასჩურჩულა ყურში, როცა ქალის ტუჩებს მოსწყდა. სახე დაუკოცნა და მანქანა დაქოქა.

მოსაღამოებული იყო, როცა გორა კალვარიაში ჩავიდნენ. ძლივს მოასწრეს ისტორიული ციხის ნახვა. ღამდებოდა.

— მოდი, ამაღამ აქ დავრჩეთ, სასტუმროს მოვძებნი.

— გიორგი გაგიჟდება, — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ანამ.

— გიორგიმ იცის, რომ ამაღამ არ მივალთ, არ ინერვიულებს. მხოლოდ მე და შენ ვიქნებით... ერთ ნომერს ავიღებ, დიდი საწოლით.

— მაშ, მოაწყვეთ, არა?.. ის განგებ დარჩა, შენც განგებ წამომიყვანე ასე შორს... არ მინდა აქ დარჩენა, არც ტანისამოსი მაქვს და არც სურვილი. წავიდეთ! — გადაჭრით თქვა ქალმა.

— ტანისამოსი ვიყიდოთ ხვალ დილით, რა პრობლემაა, და მერე დავბრუნდეთ უკან.

— არა, წავიდეთ! არ მინდა აქ გაჩერება, — ისე კატეგორიულად თქვა, ირაკლი მიხვდა, არაფერი გაუვიდოდა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

შუაღამე იყო, როდესაც სასტუმროში შევიდნენ. ჰოლში გიორგის გადააწყდნენ, რომელიც დივანზე ნებივრად მიწოლილიყო და ახალგაზრდა ქალს პოლონურად ელაპარაკებოდა.

— შენ რა, პოლონური იცი? როგორ გამაკვირვე! — ანას გაოცებისგან ლამის ყბა ჩამოუვარდა.

— თქვენ რა, მოხვედით? ძალიან გამაკვირვეთ, — იმავე ტონითა და გამომეტყველებით უპასუხა გიორგიმ.

— ჩაგეშალათ გეგმა, ჩა-გე-შა-ლათ! — დამარცვლა ბოლო სიტყვა ქალმა.

— წამოხვალ ზევით, გიო? — ირაკლიმ მათ პაექრობას ყურადღება არ მიაქცია.

— წადით და მეც ამოვალ.

— მე ანასთან ვიქნები და რომ ამოხვალ, იქ შემოდი, ცოტა ხანს ვილაპარაკოთ. ტელევიზორში პოლონურ გადაცემებს ვუყუროთ და ვინაიდან ჩვენ ენა არ ვიცით, შენ გადაგვითარგმნი.

— მოვილაპარაკეთ, — ხელი აუქნია გიორგიმ, — თავი დამანებეთ, 15 წუთში ამოვალ.

ანამ კარი შეაღო და ხელის ცეცებით ჩამრთველის ძებნა დაიწყო. ირაკლიმ კარი მიხურა, შიგნიდან გადაკეტა, ანას ხელები ზურგს უკან დაუჭირა, სინათლე რომ არ აენთო, მთელი ტანით მიაწვა და ზურგით კედელზე მიაკრო.

ანამ ხელების გათავისუფლება სცადა, მაგრამ რაც მეტს იბრძოდა, მით უფრო ბოჭავდა მამაკაცი და გასაქანს არ აძლევდა. ირაკლი მთელი ძალით უჭერდა ხელებს და ბოლოს ისე მოიქცია მკლავებში, რომ განძრევის საშუალებაც აღარ ჰქონდა. დაიღალა ამდენი ჭიდაობით და მოეშვა.

— კარგი, გამიშვი, მეტკინა, — შეევედრა.

— პირობა მომეცი, რომ შუქს არ აანთებ და გაგიშვებ, — დაჰპირდა მამაკაცი.

— კარგი, არ ავანთებ. ოღონდ გამიშვი.

ირაკლიმ ხელი გაუშვა. ანამ მაჯები მოისრისა და თან ტკივილისგან დაიმანჭა. ირაკლიმ მისი ხელები ხელებში მოიქცია და დაწითლებული ადგილები დაუკოცნა. შემდეგ მოულოდნელად ხელში აიტაცა და საძინებლისკენ წავიდა.

ანამ კისერზე შემოაჭდო მკლავები და გაიტრუნა. ქალი საწოლზე ფრთხილად დაუშვა, თვითონაც იქვე ჩამოუჯდა და ბლუზის ღილების გახსნა ქვევიდან დაიწყო.

ანამ თვალები დახუჭა. ცოტა ხანში მამაკაცის ტუჩების შეხება მუცელზე იგრძნო. მის თმაში თითები შეაცურა... ნეტარებისგან კვნესა აღმოხდა. ირაკლი გაახელა მისმა საქციელმა. კოცნა-კოცნით ზევით მიიწევდა... ანას ყველა მოძრაობა და გამოხედვაც კი მორჩილებას გამოხატავდა...

ოთახში ჩამოწოლილი ვნების ვარდისფერი ნისლი კარზე კაკუნმა გაფანტა...

— გიორგი იქნება, — დაიჩურჩულა ანამ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაწანწალა

„გამარჯობა, მე ახალი ვარ. ჩემს თავს მგზავნელს ჯერ ვერ დავარქმევ, მაგრამ ვეცდები, ეს საპატიო სახელი მოვიპოვო. თემასთან დაკავშირებით მინდა ერთი ამბავი მოგიყვეთ: ჩემს ბავშვობაში, მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა. მარტოხელა იყო. თვითონ ამბობდა, რომ გათხოვილი არასოდეს ყოფილა. იქვე, ჩვენს სახლთან ერთი, მისი ასაკის კაცი დადიოდა ხოლმე. სულ მთვრალი იყო. ტანისამოსიც ჭუჭყიანი ეცვა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი, ამ ქალმა სად გაიცნო ეს მამაკაცი, მაგრამ შინ მიიყვანა. თმა შეკრიჭა, წვერი გაპარსა, სუფთა და ახალი ტანისამოსი ჩააცვა და მშვენიერი კაცი დააყენა მისგან. სმისთვის რომ თავი დაენებებინა, ცოტა დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ მაგასაც მიაღწია. ამ ქალმა 46 წლის ასაკში შვილიც კი გააჩინა. ეს კაცი მთლიანად შეიცვალა. ვერც კი წარმოიდგენდი, რომ ეს ის ადამიანი იყო, ხშირად ჩვენს სადარბაზოსთან რომ იჯდა და ეძინა. ახლა მათი შვილი 20 წლისაა. გადასარევი ოჯახი აქვთ და თავს მშვენივრად გრძნობენ. ჩემი აზრით, ეს ქალის კარგი გავლენის „კლასიკური“ მაგალითია. დეიდა“.

თავისუფლებაწართმეული და გამოსწორებული

„ჩემი აზრით, ქალს შეუძლია მამაკაცი ისე ატრიალოს, როგორც უნდა. არ გაგიკვირდეთ, რასაც გეტყვით, მაგრამ ჩემს ძმას მაგალითად, სიდედრი მართავს და მის ცხოვრებაზე საკმაოდ დიდ გავლენასაც ახდენს. ჩემი ძვირფასი ძმა ერთი ფუქსავატი და მსმელი ბიჭი იყო. სოფელში ვცხოვრობთ და წლები ისე გადიოდა, თოხსა და ბარს ხელს არ ჰკიდებდა. დილით გავიდოდა შინიდან და შუაღამისას ბრუნდებოდა. გარეგნობა კი ჰქონდა კარგი და მაგარი, მაგრამ

მარი ჯაფარიძე

მგონი, გაზაფხულმა აკრიბა „სიჩქარე“ და სადაცაა, დაგვცხება კიდეც. ამ კვირაში აღარ ვაპირებ შესავალში თქვენი „საქციელების“ განხილვას, რადგან არ მინდა, გუნება გაგიფუჭოთ. და საერთოდ, ძალიან ბევრ მესიჯს არ დავბეჭდავ. რატომ? ასე მინდა და „მიტომ“! აბა, თქვენ რომ გეუბნებით, გაფრთხილებთ, გევედრებით და გეხვეწებით, დაშოშმინდით, ნუ ჩხუბობთ, ერთმანეთს ნუ დახრავთ-მეთქი, ხომ მაინც ისე იქცევით, როგორც გინდათ? ჰოდა, მეც ისე მოვიქცევი, როგორც მე მინდა და... აშენდება ქვეყანა. ერთი სიტყვით, ამ კვირაში „სადამსჯელო“ ოპერაციას ჩავატარებ და ვნახოთ, რა შედეგს გამოიტანს...

ახლა კი თქვენი მესიჯები. წინასწარ მინდა გითხრათ, ახალი და ძალიან კარგი მგზავნელები შემოგვემატნენ, რაც ძალიან სასიხარულოა.

ქალის დადებითი და უარყოფითი როლი მამაკაცის ცხოვრებაში

რად გინდა? ცარიელი „ჩუჩელა“ იყო და ეგაა. ჰოდა, ერთმა ქალაქელმა, სტუმრად ჩამოსულმა ქალმა დაადგა თვალი, თავისი შვილისთვის უნდოდა და ფაქტობრივად, სათხოვნელად მოვიდა. დედაჩემმა უთხრა, უქნარა და უსაქმურია, ნეტავ რა ჯანდაბად გინდათო? ჩემს ძმას ჭკუაში დაუჯდა ქალაქელი გოგოს ცოლად მოყვანა, იქ ცხოვრება, მანქანიანი სიდედრი და ფულიანი სიმამრი და არც გოგო იყო დასაწუნი. მოკლედ, ქორწილი გადავიხადეთ. იმ დღეს დამთავრდა ჩემი ძმის თავისუფლება და ფრთები შეეკვეცა მის ოცნებებს. მხართეძოზე წამოვწვებიო, ფიქრობდა, სიდედრმა კი, იცოცხლე, ისეთი ამბავი აწია... სამსახურიც უშოვა, თანაც — 2 და სულ კონტროლის ქვეშ ჰყავს. ახლა 2 შვილი ჰყავს, ცალკე ცხოვრობს ოჯახით და აბა, კარგი ბიჭია და არ იმუშაოს... სიდედრს კი თვალებში უყურებს, რომ არაფერი ეწყინოს, რადგან შვილებზე გიჟდება, ისე უყვარს და ეშინია, შინიდან არ გამოაგდონ და შვილების ნახვის უფლება არ წაართვან. მოკლედ, ასე იმოქმედა სიდედრმა ჩემს ძმაზე. ჩვენ მოგვწონს და თვითონ კი ხმას არ იღებს ამ თემაზე. ღერღეტა“.

დაღუპული

„ნეტავ იცოდეთ, რა მაგარი ამბავი უნდა მოვყვე. ადრე ერთი ბიჭი მიყვარდა. ჭკუა მეკეტებოდა მასზე, სუნთქვაც კი არ შემეძლო დათოს გარეშე. ჰოდა, გარკვეული დროის შემდეგ შევნიშნე, რომ ჩემ მიმართ გაცივდა. ძველებურად ველარ ვგრძნობდი მისგან სიყვარულს. თითქოს თავსაც კი მარიდებდა. საგონებელში ჩავვარდი. რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. მერე გავიგე, ვიღაც ნარკომანი გოგო გაუცნია. იმასთან სექსიც ჰქონდა და თან წამალზეც შესვა. რაღაში ვჭირდებოდი? თავს გადასარევად გრძნობდა მასთან. ძალიან გავბრაზდი და თავმოყვარეობაც შემელახა. ჰოდა, ამის გამო მისთვის არც არაფერი მიგრძნობინებია. ნელ-ნელა, გაჭირვებით დავივიწყე და სწავლაზე გადავერთე. გავიდა დრო... იმ გოგოს მშობლებმა გაუგეს, რომ წამალზე იჯდა და სასწრაფოდ საზღვარგარეთ გაუშვეს. ეს ჩემი ყოფილი „ლოვე“ კი დარჩა ასე... აღარც წამლის მიმწოდებელი ჰყავდა და არც ფული ჰქონდა, რომ „ლომკა“ მოეხსნა. დაიწყო ჩემთან რეკვა და ამბები. ახლოსაც არ გავიკარე. ჰოდა, მერე სხვა გზა რომ არ ჰქონდა, დაიწყო შინიდან ნივთების გამოტანა და გაყიდვა. მოკლედ, დააქცია ოჯახი. რამდენჯერმე დაიჭირეს კიდეც და გამოუშვეს. ახლა ცოლიც მოუყვანია, მაგრამ ექოსკოპიაზე რომ წაიყვანა ცოლი, ექიმებმა აბორტის გაკეთება ურჩიეს, რადგან ბავშვი რაქიტული დაიბადება. მოკლედ, დაინგრია ცხოვრება. უფრო სწორად, იმ გოგომ დაუნგრია. არ გეგონოთ, მიხარია. ძალიან მწყდება გული. მართლა კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ქალმა ცუდი გავლენა მოახდინა მასზე. მარ, ნიკს არ მივაწერ ამჯერად. შენ ხომ მიცანი?“

დედის როლი

„გამარჯობა ყველას. კარგი თემაა და მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც მე მეხება. მარი, პატარა გოგო არ გეგონო, 49 წლის ქალი და 2 შვილის დედა ვარ. ჩემი უფროსი ვაჟი უკვე 30 წლისაა. სწორედ მასზე მინდა მოგიყვეთ. 25 წლის იყო, როცა ჩვენი კარის მეზობელ გოგონაზე თქვა, მიყვარს და ცოლად უნდა მოვიყვანოო. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. ის ბავშვი ჩემს ხელში იყო გაზრდილი, შვილივით მყავდა და ვერაფრით წარმომედგინა, ოჯახში რძლად შემოსულიყო. თანაც, ცოტა ბუზღუნა მამა და კაპასი დედა ჰყავდა და არ მინდოდა მათთან დანათესავება. ძალს ჩემი შვილი იყო, ძალს — მე და არ მოვაყვანინე ცოლად. მისი მშობლები თანახმა იყვნენ, მაგრამ როცა გაიგეს, მე წინააღმდეგი ვიყავი, იმათაც გააფიჩინეს ფეხები. ამის გამო უსიამოვნებაც კი მოგვივიდა. მოკლედ, ის გოგო გაათხოვეს. ჩემი შვილი კი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. მებრალებოდა, მაგრამ უკვე გვიანიც იყო, თანაც, მაინც მიმაჩნდა, რომ სწორად მოვიქეცი. ცოტა ხანში ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი გოგონა მოიყვანა შინ და გაგვაცნო, ჩემი საცოლეაო. მომეწონა, მაგრამ ისე როგორ გავჩერდებოდი, მის შესახებ არაფერი გამეგო? ჰოდა, გავიკითხ-გამოვიკითხე და განათხოვარი, თანაც შვილიანი აღმოჩნდა. ერთი ამბავი ავტეხე, მაგრამ ამჯერად შვილმა გამომიცხადა, რომ დათმობას არ აპირებდა და ერთ მშვენიერ დღეს, სახლიდან წავიდა და იმ გოგოსთან გადავიდა საცხოვრებლად. ლამის გავგიჟდე. მგონი, შვილი საერთოდ დავკარგე. ვიცი, რომ უსიყვარულოდ მოიყვანა და შესაძლოა, დიდხანს ვერც გაჩერდეს მასთან, მაგრამ ჩემი იმედი რომ არ გამართლდეს? არადა, ისეთი კარგი შვილი მყავს, ისეთი ნიჭიერი და ლამაზი... მის ცხოვრებაში მე ვითამაშე დიდი და ცუდი როლი. ახლა რა ეშველება ამ საქმეს, არ ვიცი. პატივისცემით, დედა“.

ელიკო და ვიქტორა

„დიდი ხნის წინანდელი ამბავი უნდა მოგიყვეთ. მოკლედ, მეშახტეების ქალაქში ვცხოვრობ. ჩემს მეზობლად ცოლ-ქმარი — ელიკო და ვიქტორა ცხოვრობდა. ორივე მაღაროში მუშაობდა და ერთად მიდიოდნენ-მოდიოდნენ. შუა ხნისანი იყვნენ, ახალგაზრდები არ გეგონოთ. მოკლედ, მაღაროში მომუშავე ყველა ქალისთვის აუცილებელი იყო, შარვლით ევლო. მიუხედავად ამისა, ვიქტორა ელიკოს შარვლის ჩაცმას უკრძალავდა, რადგან ქალს საკმაოდ დიდი უკანალი ჰქონდა და თანაც, მაშინდელ დროში ცოტა „ბნელი“ ხალხი ცხოვრობდა. მოკლედ, რა ექნა საწყალ ქალს და ასეთ ხერხს მიმართა: შარვალზე ზემოდან კაბას გადაიცვამდა, როგორც კი უბნის უფროსს დაინახავდა, კაბის ბოლოს ხელს დაავლებდა და შარვალში ჩაიტენიდა. წვალობდა საწყალი, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს რა მოხდა?.. ეს ჩვენი ელიკო მოდის საიდანღაცადან, დიდი, ყოჩაღი ნაბიჯებით მოაბოტებს. ქმარიც იქვეა, თავის საქმეს აკეთებს და უცებ დაინახა, უბნის უფროსი მოდის... სტაცა კაბას ხელი და ჩაიტენა... ბანდაჟში. თურმე შარვალი არ სცმია და გამოაჩინა მთელი „ავლადიდება“. ხალხი სიცილით დაიხოცა, ქმარი კი სიბრაზისგან გამწვანდა. იმის მერე ცოლისთვის აღარ დაუშლია შარვლის ჩაცმა და ასე გადაწყდა ეს ამბავი“.

ბედნიერი

„ქალის როლი რომ ძალიან დიდი იყო კაცის ცხოვრებაში, არასდროს მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ამ ბოლო ერთ თვეში საბოლოოდ დავრწმუნდი ამ აზრის სისწორეში. ხომ იცით, საერთოდ, ქართველები მაშინ ვიჯერებთ ამა თუ იმ ფაქტს, როდესაც ჩვენს რეალობაში ხდება. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ქალის კარგ როლზე მიწევს ამ შემთხვევაში ყურადღების გამახვილება. ერთი ბერბიჭად დარჩენილი ბიძია მყავდა, რომელიც ყოველთვის ძალიან სერიოზული და სიტყვაძუნწი იყო. არასდროს არავინ ჰყვარებია, მთელი 31 წლის განმავლობაში და მისი დაოჯახების საკითხი მწვავედ იდგა ოჯახურ საბჭოზე. ისეთი მკაცრი და ლაკონური პასუხით იშორებდა თავიდან დაოჯახების შესახებ დასმულ კითხვებს, რომ მხოლოდ გიჟი თუ გაბედავდა მისთვის ამ საკითხზე ჩაკირკიტებას. მაგრამ არასოდეს თქვა არასოდესო, — თქვეს ბრძენმა ადამიანებმა და კიდევ ერთხელ და სამუდამოდ დამარწმუნა ცხოვრებამ ამ გამონათქვამის სისწორეში, ბიძაჩემთან დამოკიდებულებაში. :) 2010-მა წელმა, მე თუ ბევრი სამეცადინოთი და მოახლოებული გამოცდებით „დამასაჩუქარა“, ბიძაჩემს უდიდესი სიყვარული, არაჩვეულებრივი ადამიანი და ცხოვრების თანამგზავრი უძღვნა. ამ „ცხოვრების თანამგზავრმა“ აგვილაპარაკა მუდამ მდუმარე და სერიოზული მამუკა, დააწყებინა ფიქრი, ოცნება და 31 წლის ასაკში ისევ დაბრუნა ბავშვობაში. ის ახლა დღედაღამ თავის ინგაზე საუბრობს. :) სიყვარულო, ძალსა შენსაო და მართლაც რომ ყველაფერი შესძლებია სიყვარულს და როგორც მამაჩემი ამბობს, ბიძაჩემის გაბრწყინებული თვალების

დანახვისას, სიყვარულმა მამუკა კი არა, გადარია ტარიელი. ჰოდა, მეც ძალიან მიყვარს ჩემი ბიძია და მისი ცხოვრების ასე გამახალისებელი და რადიკალურად შემცვლელი ქალბატონი, ინგა. მიყვარხართ და მინდა, სულ ასეთი შეყვარებული თვალებით უყუროთ სამყაროს და ასე გიხაროდეთ ერთმანეთის დანახვა და რაც მთავარია, ოცნება ამისრულოთ და პატარა ბავშვი მაჩუქოთ. ეშმაკუნა“.

ასე დაიწყო

„ე.ი. „გზავნილების“ როლიო, არა? ნუ, საიდან დავიწყო, აღარ ვიცი. დღევანდელ დღესავით მახსოვს ჩემი პირველი გზავნილი, სათაურით, „უდისციპლინო“, რომელიც 2007 წლის აპრილში დაიბეჭდა. მაშინ ნიკიც სხვა მქონდა... ამბის „გზაში“ მოწერის პროვოცირება ისევ „გზავნილებმა“ და ერთ-ერთი ძველი მგზავნელის სახალისო ამბავმა მოახდინა... საჯარო ბიბლიოთეკაში, წიგნის მოლოდინში უსაშველოდ გაწელილ დროს „გზავნილების“ კითხვით ვავსებდი, რომ... ისეთი ჭექა-ქუხილივით სიცილ-ხარხარი ავტეხეეე... მომკიდეს ხელი და გამომაბრძანეს გარეთ, ლამის საშვიც ჩამომართვეს... ჰოდა, იმწამსვე მოვიმარჯვე მობილი და მოგწერე... ისე გამიკვირდა, პირველივე მცდელობა ასე შედეგიანი რომ აღმოჩნდა და ისევ მოგწერე, ამჯერად უკვე ლექსად. ისევ დაბეჭდე, მერე ისევ, ისევ დაა... ახლა უკვე შენგან გათამამებული გოგო, თუ აღარ დამიბეჭდავ ხოლმე, საყვედურებით გავსებ (ამისთვის მაპატიე). დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს ცხოვრების გზის ის ბილიკი იყო, რომელიც ადამიანმა შეიძლება, მთელი ცხოვრება ეძებოს და გვიან ან საერთოდ ვერ იპოვოს, მე კი ასე უცებ და მოულოდნელად გიპოვეთ. „გზავნილებმა“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩემი ჟურნალისტური ცხოვრების პირველი ნაბიჯების გადადგმაში. როცა უნივერსიტეტში ლექტორმა გვკითხა, ვინ რომელ ჟურნალს კითხულობთო, ნეტავ იცოდეთ, რა სიამაყით ვუპასუხე, რომ ეს ჟურნალი „გზა“ იყო და საყვარელი რუბრიკა — „გზავნილები“. და როცა თქვა, „გზავნილებს“ მეც ხშირად ვკითხულობო, ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა... მით უმეტეს, როცა ვუთხარი ჩემი მგზავნელობის შესახებ... შემდეგ იგივე, მატარებელში განმეორდა, გვერდით მჯდომმა ბიჭმა შეამჩნია, რომ რამდენჯერმე გადავიკითხ-გადმოვიკითხე „გზავნილები“ და მკითხა: აუ, შენც გევასება „გზავნილები“? ჯერ კი გამიკვირდა, მაგრამ დადებითად ვუპასუხე... შემდეგ ჩემს ნიკს დაადო ხელი და იცით, რა თქვა? ამას ვერ ვიტან, კაი მეტიჩარა ჩანსო... როცა თბილისს მოვაღწიეთ, გულთბილად დავემშვიდობე, ცხვირზე „გზა“ ავაფარე და — მთელი გზა ამ მეტიჩარა გოგოს ებაასებოდიმეთქი, — მივახალე, თან ჩემს ნიკზე მივუთითე... ნეტავ გენახათ, რა სახე მიიღო და იქვე მჯდომმა ქალბატონებმა სულ „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“ მეძახეს... მერე მომაყოლეს, თუ როგორი იყო მარი ჯაფარიძე და მგზავნელები... ან იმ გრძნობას რა შეედრება, როცა დღის განმავლობაში, რომელ საიტზეც უნდა დავრეგისტრირდე ამ ნიკით, მეკითხებიან, ის SWEET-ი ხომ არ ხარ, „გზაში“ რომ ამესიჯებსო? ამაზე საოცარი რაღა უნდა იყოს? აქ ბევრი მეგობარი შევიძინე... ვისწავლე, რომ ყველაზე და ყველაფერზე დადებითი ემოციის გამოხატვა არ შეიძლება, რომ ადამიანის გაცნობისას დიდი სიფრთხილე მმართებს, ყველას არ უნდა გავუყადრო თავი... და მრავალი სხვა რამ... თვითშეფასების კრიტერიუმიც ერთიორად ამიმაღლდა და „გზავნილები“ ჩემს სავიზიტო ბარათად იქცა... ყველაზე სასაცილო (თუ სატირალი) კი იცით, რაა? რაც უნდა მძიმე სიტუაციაში ვიყო, აი, მაგალითად, ხის კენწეროზე რომ ვიყო დაკიდული, კივილ-წივილის ნაცვლად, როგორ ფიქრობთ, რას ვიზამ? რას და, საკუთარ თავს და, ჩემს სიახლოვეს თუ ვინმეა, ვამშვიდებ: ამასაც გავუძლოთ და მაგარი „გზავნილი“ გამოვა-მეთქი. ალბათ იფიქრებთ, გაგიჟდაო, ხომ? მგონი, ეგრეა... კიდევ ბევრი რამის დაწერა შემიძლია, მაგრამ გამიგრძელდა სიტყვა... დაბოლოს, მინდა მგზავნელებს ვთხოვო, რომ ამ ისედაც შეშლილ, ტყუილითა და სიცრუით სავსე სამყაროში, სადაც ყველა ყველას ერჩის და გესლავს, „გზავნილები“ მაინც შემოვინახოთ ისეთ ადგილად, სადაც ერთმანეთს მოვეფერებით, ცხოვრების უღიმღამო წუთებს გავუფერადებთ და სულიერად დავისვენებთ... SWEET-GIRL“.

დამგემოვნებელი

„4 წლის და 7 თვის წინ აღმოვაჩინე პირველად ჟურნალი „გზა“ და „გზავნილები“. მაშინ ნატალისა და ზურას ამბავმა მიმიზიდა და მალე „გზავნილებიც“ „დავაგემოვნე“. მას შემდეგ ამდენი წელია, „გზავნილების“ „დაგემოვნება“ წესად მექცა, ყოველ ხუთშაბათს დილით. ჯერ თვალს ვადევნებდი სხვებს, მერე კი გავბედე და დავამესიჯე. :) პირველი მესიჯის დაბეჭდვის სიხარული რაოდენ დიდი იყო, ენა ვერ იტყვის. :) მიხაროდა ჩემი გზავნილის ხილვა ჟურნალში. თუმცა, დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ 13 წლის „მეს“ ჩემი ადგილი დამემკვიდრებინა. კარგა ხანს საიდუმლოდ ვინახავდი ჩემს ნიკს, მაგრამ მაესტრომ ახადა ჩემს ოჯახში ჩემს ნიკს ფარდა, როცა ერთხელ დამირეკა და ეშმაკუნა იკითხა. ბევრი კარგი ადამიანი ვიპოვე და 3 უახლოესი მეგობარი შევიძინე ამ ჟურნალის საშუალებით. ეშმაკუნა“.

არც ისე იდეალური

„იყო დრო, როცა „გზავნილები“ იდეალური მეგონა, სითბოთი და სიყვარულით სავსე. მეგონა, ვინც რას ამბობდა, გულიდან ამოსული იყო. თუმცა ვცდებოდი... გული ბევრჯერ მეტკინა და ალბათ ჩემი ბრალიც იყო, რადგან არ გავიცანი კარგად ადამიანები და ისე შევიყვარე, მაგრამ არ ვნანობ, რომ ვარ მგზავნელი, რადგან, როგორც რეალობაში, აქაცაა კარგი და ცუდი და მე ისეთი ადამიანები ვიპოვე, იმდენი ლამაზი წუთი, საათი და დღე იყო, რომ... ხან თელავში ჩამოდიან მგზავნელები, ხან მე ჩავდივარ თბილისში, ერთმანეთს რომ შევხვდეთ, უბედნიერესები ვართ! თქვენთვის ღირდა იმ ყველაფრის გადატანა... მის რეალი“.

სერიალი

„კარგი თემაა ნაღდად. სოფელში, ჩემს მეზობლად ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, იმათ მეზობლად კი ქვრივი ქალი. ის ქვრივი ძალიან ლამაზი იყო და სანამ ძაძებს ატარებდა, ხმას ვერავინ სცემდა. რამდენიმე წლის შემდეგ, შავი კაბა რომ გაიხადა, ყველა კაცი ტუჩებს ილოკავდა და თვალებს უპრაწავდა. ქვრივი არავის იკარებდა, მაგრამ შეუჩნდა ეს ჩვენი ემზარი და არ მისცა მოსვენება. გადაუდგებოდა გზაზე და ლაპარაკით „აბეცებდა“. ერთი ღობე ჰყოფდათ და ზოგჯერ ღობესთან გამოიჭერდა ხოლმე. მოკლედ, იმდენი ქნა, შინაც შეუძვრა და ლოგინშიც ჩაუწვა. ყოველლამე, სანამ სამსახურიდან შინ მივიდოდა, ყანის მხრიდან მოუვლიდა ეზოს, იმ ქვრივთან გადაიპარებოდა და შინ მერე მიდიოდა. იმდენი იძრომიალა, იმ ქალმა მანქანაც უყიდა. ამ ემზარას ერთი აშარი ცოლი ჰყავდა. სულ ეჩხუბებოდა ქმარს. ის ქვრივი კი ალბათ კარგად ექცეოდა და იმიტომაც, იმასთან ერჩივნა. ადგა და შინიდან წამოვიდა და საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ატყდა ალიაქოთი და ამბავი... ქალებმა სულ თმით მოჩეჩეს ერთმანეთი, რაღა არ უწოდეს, კაბებიც შემოახიეს, მაგრამ ბოლოს დაზავდნენ. ჰოდა, ემზარმა შუაში ღობე აიღო, ეზოები გააერთიანა და ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად, 2 ქალთან ერთად. ისე, ცხოვრებაც უფრო ააწყეს. ხუმრობა ხომ არაა, ყველანი მუშაობდნენ და საერთო საქმეს აკეთებდნენ. კარგად იყვნენ, ვიდრე... ემზარის ბიჭს იმ ქვრივის ერთადერთი გოგო არ შეუყვარდა?!. ჰოდა, აბა, მაშინ ატყდა ერთი ამბავი, ისინი რომ გაიპარნენ. თურმე ეს ემზარას ბიჭი დაძვრებოდა იმ გოგოსთან და რომ დაორსულებულა, გადა-

უწყვეტიათ, გაპარულიყვნენ. ჰოდა, ასეც მოიქცნენ. ამაზეა ნათქვამი, ვერ გაიგებ, ვისი სათლელი ვის ფანქარს თლისო. ბოლოს ყველანი კიდევ ერთხელ დაზავდნენ და განაგრძეს ცხოვრება ძველ რეჟიმში. ოღონდ, სიძე-პატარძალი საქართველოდან წავიდა. ერთი სერიალის ამბავი მოგიყევით. ეგაა, რომ არავის და-ძმა ან უცნობი დედა არ გამოსჩენია და არც მკვდრეთით აღმდგარა ვინმე. ისე, ძალიან საინტერესოა ეს ცხოვრება, არა? რეჟისორი“.

ბოღმა და სიყვარული

„მარი, პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ აფერუმ შენს ნერვულ სისტემას! თუ რატომ, ამას თვითონ მიხვდები, ჭკვიანი გოგო ხარ. ახლა რაც შეეხება ამბავს, რომელიც ვერავისთვის გამიმხელია და მისი მოსმენის ან, უკეთ რომ ვთქვათ, წაკითხვის ექსკლუზიური უფლება გხვდა წილად. მოკლედ, მყავს ბიძაშვილი ბიჭი, რომელთან ერთადაც გავიზარდე. სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა და უზომოდ გვიყვარდა. გარეგნულად გოგოს ჰგავდა და ძალიან განიცდიდა ამას. სულ ნერვიულობდა. დაახლოებით 10 წლის ასაკში, რუსეთში, მამიდასთან გამგზავნეს მშობლებმა. ლადო ამ დროს 11 წლის გახლდათ. 2 წლის შემდეგ ჩამოვედი და, რა თქმა უნდა, ლადოც იმ დღესვე მოვიდა სტუმრად. საოცრად შეცვლილი იყო, ნაღვლიანი და სევდიანი. საერთოდ, როცა ერთად ვიყავით, მარტოებს ყოველთვის ერთ ოთახში გვეძინა. იმ საღამოსაც მარტო დავრჩით და თითქმის დაგვათენდა საუბარში. გამთენიისას ისეთი რამ მითხრა, მთელი 3 დღე ვტიროდი. მათ მეზობლად გადმოვიდა ერთი ნაცხარი კაცი, რომელიც 1 წლის განმავლობაში აუპატიურებდა და გამჟღავნების შემთხვევაში, მშობლების მოკვლით ემუქრებოდა. 12 წლის ბავშვისთვის ანუ ჩემთვის, ეს ამბავი ათმაგად საშინელი გასაგები (ან რა გაგებაზეა ლაპარაკი) იყო. იმდენი შევძელი, რომ ლადო ჩემთან დავტოვე და ამასობაში, ის კაცი ისევ დაიჭირეს. გავიდა დრო. ამ თემაზე აღარც ვსაუბრობდით და ერთმანეთზე ძველებურად ვაფანატებდით. მერე აღმოვაჩინე, რომ ლადოს ქალებით გატაცება მხოლოდ ნიღაბი იყო. მას კაცები უფრო ხიბლავდა. მალე თვითონ გამომიტყდა ამაში. ძალიან მიყვარდა და ამიტომ ვაპატიე. შარშან, ლონდონში წავიდა სასწავლებლად და 2 თვის წინ დაბრუნდა. მთელი დღე ერთად ვიყავით, ვსეირნობდით. შემდეგ მე საქმე გამომიჩნდა სამსახურში და ბინის გასაღები მივეცი. გვიან დავბრუნდი; ვიფიქრე, არ გავაღვიძო-მეთქი და მეორე გასაღებით გავაღე კარი. საძინებელში კი ლადო და მისი (როგორც შემდეგ გავიგე, იმ დღეს გაცნობილი) პარტნიორი სიყვარულობდნენ. სხვა ოთახში გავედი და არ ვიცოდი, რა მექნა. კინაღამ შევიშალე. ლადო მალევე გამოვიდა და მხიარული საუბარი დაიწყო. ლეოც გამაცნო. კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, მერე კი ორივენი გავყარე სახლიდან. 2 თვე გავიდა, ერთ კვირაში მიდის ლონდონში და მე ხმას არ ვცემ. იმ „კადრებს“ ვერ ვშლი გონებიდან. მას კი უთქვამს, ალბათ, ჩემმა წარმატებამ დაბოღმაო. ბიძამ შემომითვალა, ცივი და უგულო ყოფილხარ, თურმე არ გიცნობდიო; მე კი ხმას ვერ ვიღებ ან როგორ ვთქვა ყველაფერი? მირჩევნია, „ბოღმა“ ვეგონო ბიძას, ვიდრე შვილის მკვლელად ვაქციო. აი, ეს მინდოდა მეთქვა, თორემ გამაგიჟებდა უთქმელობა“.

დედის მაგიერი

„ჩემს ცხოვრებაში მასწავლებელმა ითამაშა დიდი როლი. ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა ქეთინო მასწავლებელი, რომელიც ძალიან დახვეწილი და განათლებული ქალი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანი იყო, ძალიან კარგად ესმოდა ყველა ბავშვის. თანაგრძნობაც შეეძლო და რჩევის მოცემაც. დედა 4 წლისას დამეღუპა და როდესაც ქეთინო მასწავლებელი გავიცანი, მაშინ გავიფიქრე, რომ დედაჩემი სწორედ ასეთი ქალი იქნებოდა. ვერ ვუბედავდი თქმას, თორემ მართლა დედასავით მიყვარდა. ვცდილობდი, ხშირად მენახა, დავლაპარაკებოდი, რჩევა მიმეღო. ხანდახან რაღაცას მოვიმიზეზებდი და შინაც ვეწვეოდი ხოლმე. მას უკვე შვილიშვილებიც ჰყავდა და მშურდა მისი ოჯახის წევრების, რომ ასეთი კარგი დედა, ბებია, დედამთილი ჰყავდათ და მასთან ერთად ცხოვრობდნენ. როდესაც წამოვიზარდე, მამასთან კონფლიქტი მომივიდა. მაშინვე ქეთინო მასწავლებლისკენ გავემართე და გული გადავუშალე (სკოლა დამთავრებული მქონდა უკვე). ჩამიხუტა, დამარიგა და საღამოს შინ დავბრუნდი, მაგრამ ისევ ვიკამათეთ მე და მამამ. შუაღამისას მივადექი ქეთინო მასწავლებელს ატირებული. 18 წლის ბიჭი მტირალი რომ დამინახა, გადაირია. იმ ღამეს მასთან დავრჩი და ბედნიერი ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ გვერდით ოთახში, კედლის იქით, ჩემს საყვარელ ადამიანს ეძინა. აღარ მინდოდა მისი სახლიდან წამოსვლა, მაგრამ იქ ვერ დავრჩებოდი. მეორე დღეს თბილისში წამოვედი ბედის საძებნელად. აქ ცოტა ხანს ნათესავთან ვიცხოვრე. მერე სამსახურიც ვიშოვე. სამსახური რაა, მანქანების ხელოსანმა ამიყვანა მოსწავლედ. საქმე კარგად ავითვისე და იმავე ავტოპროფილაქტიკაში, სადაც მოსწავლედ ვიყავი, ერთი ბოქსი ვიქირავე და დამოუკიდებლად დავიწყე მუშაობა. მარტო ვცხოვრობდი და ვცდილობდი, კარგად მოვქცეულიყავი. სულ ქეთინო მასწავლებლის დარიგება მედგა ყურში. თუ რამეს ვაკეთებდი, ვფიქრობდი ხოლმე — ქეთინო მასწავლებელს ეს მოეწონება? ერთ დღეს, როცა ცოტაოდენი ფული მოვაგროვე, ახალი ტანისამოსი ვიყიდე, გამოვიპრანჭე, ხელი საჩუქრებით დავიმშვენე და შინ წავედი, მამის და ახლობლების მოსანახულებლად. რაღა თქმა უნდა, ქეთინო მასწავლებელთანაც მივედი. ის შინ არ დამხვდა. მერე მითხრეს, თურმე რძალს შინიდან გაუგდია და სოფლის განაპირას, დანგრეული, უპატრონო სახლი რომაა, იქ ცხოვრობსო. ლამის გული გამისკდა, ეს რომ გავიგე. მივაკითხე. ისეთ პირობებში ცხოვრობდა, ლამის ავტირდი. იქ აღარ გავაჩერე, მოვკიდე ხელი და თბილისში, ჩემთან წამოვიყვანე. ჯერ ნაქირავებში ვცხოვრობდით. ქეთინო მასწავლებელი რომ ჩემთან წამოვიყვანე, პასუხისმგებლობის გრძნობა მომემატა, თავი კაცად ვიგრძენი, რადგან ვიღაცაზე უნდა მეზრუნა. მერე ისე კარგად ავაწყვე საქმე, რომ საკუთარი, მინიპროფილაქტიკა გავხსენი, შემდეგ გავაფართოვე კიდეც და ასე გამომივიდა ბიზნესი. შემდეგ კიდევ მივამატე რაღაცები და წელში გავიმართე. ბინაც ვიყიდე... ამასობაში 15 წელი გავიდა. ცოლი მოვიყვანე, შვილებიც მყავს, ჩემი ქეთინო მასწავლებელი დღემდე ჩემთან ცხოვრობს. ის უკვე საკმაოდ მოხუცია და გული მტკივა, როცა გავიფიქრებ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ჩემს მეუღლესთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. თავის ოჯახს დიდი ხანია, შეურიგდა, მაგრამ არაფრით არ გავუშვი მათთან საცხოვრებლად. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ დღემდე „დედა“ ვერ დავუძახე. არადა, ნეტავ იცოდეთ, როგორ მინდა, ერთ მშვენიერ დღეს გავბედო და ვუთხრა — დედა! მარი, დამიბეჭდე ეს მესიჯი. წავაკითხებ. იცოდეს, რომ მისი მადლიერი ვარ და ყველაზე დიდი როლი სწორედ მან ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ვალერი“.

■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ

—

„დღეს პირველი აპრილია (მომწერეთ საპირველაპრილო ხუმრობებისა და ოინების შესახებ)“.

გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61 ან
მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„კაცი ბედს გარეთ ეძებს, ქალი შინ ელოდება“

„სიყვარული აუცილებლად გეწვევა...“

„გზის“ №11-ში დაიბეჭდა 19 წლის ნეზნაკომკას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ერთი ჩვეულებრივი, სიმპათიური გოგოა, რომელსაც სურს, ვინმე უყვარდეს. „ზოგჯერ მაშფოთებს კიდეც ის ამბავი, რომ 19 წლის გოგოს დამმესიჯებელიც არავინ მყავს :((. ვერ ვხვდები, საპირისპირო სქესისგან სრული უყურადღებობის მიზეზი რა არის“.

ლიკა ქაჯაია



ჭრიჭინა:

„შეიძლება, ბევრ ბიჭს მოეწონო, მაგრამ არჩევანი მასზე უნდა შეაჩერო, ვინც შენი ღირსი იქნება. მთავარია იგრძნო, რომ ის — ის არის, ვისაც ეძებდი, თორემ მხოლოდ იმიტომ, რომ თავი მარტოსულად არ იგრძნო და დამმესიჯებელი გყავდეს, შეყვარებულის ყოლა სისულელეა. პირადად მე, თბილისში ძებნით რომ დავიღალე, 400 კილომეტრი გავიარე და ბათუმში ვიპოვე :)). მოკლედ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ნუ ნერვიულობ და პრობლემებს ნუ იქმნი. ისე, იცოდე, ბევრჯერ მოგენატრება დრო, როცა თავისუფლად დაჭრიჭინებდი“.

მარი, *17 წლის:*

„შენი გაცნობა მინდა. იცი, მეც ხშირად მაწუხებს ეს საკითხი. P.S. გთხოვთ, ნეზნაკომკას ჩემი ნომერი მიეცით“.

სევდიანი პრინცესა:

„შენ არა გაქვს ისეთი პრობლემა, რომელსაც არ ეშველება. ახლა კი ეცადე, საკუთარ თავს მოერიო და მიხვდები, რომ არაფრის გამო ნერვიულობ. წარმატებებს გისურვებ!“

აზიელი:

„რა გააკეთო, ჩემო კარგო და დაჯექი, ბევრი, ბევრი იფიქრე, ბოლოს კი ინატრე, რაც გინდა... ვაახ, არ გადაშენდა აზროვნება?! მაპატიეთ, ამაზე მეტს ვერაფერს მოგწერთ. დასკვნები თავად გამოიტანეთ“.

სვეტა:

„კარგი, რა, ეს რა პრობლემაა?! 19 წლის ასაკში ასე რატომ წუწუნებ? მიდი, რა, დატკბი ცხოვრებით და იმ თავისუფლებით, რომელსაც ოჯახის შექმნის შემდეგ აუცილებლად უნდა დაემშვიდობო (თუ, რა თქმა უნდა, ქართველს გაჰყვები ცოლად). გისურვებ ბედნიერებას და გირჩევ, 25 წლამდე გათხოვებაზე არც კი იფიქრო“.

სოფიო:

„სითბო და სიყვარული ყოველ ადამიანს სჭირდება. ბიჭებთან მიმართებაში ძალიან ცივი ნუ იქნები. ცოტა გაიპრანჭე. გაინაზე და შენი პრინციც გამოჩნდება!“

სანტა:

„19 წელი კატასტროფა არაა, ნუ ღელავ. ჩემო კარგო, ცოტა იაქტიურე და შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ვინმე — ნუ, ოცნების პრინცი თუ არა, ჩვეულებრივი მოკვდავი მაინც :)). გაკოცე“.

ლუნა:

„უსიყვარულოდ ცხოვრება მართლაც, მომაბეზრებელია. ადამიანს სიყვარული ამხნევებს და სიცოცხლის ხალისს მატებს. ცუდია, ეს გრძნობა რომ არ გამოგიცდია. შეეცადე, ყველა ის კარგი თვისება, რაც გაქვს, ბიჭებსაც დაანახვო. სავალდებულო არაა, პირველი ნაბიჯი ბიჭმა გადადგას — თუ ამას გოგო გააკეთებს, არაფერი დაშავდება. იყავი გულღია, კეთილი და სამართლიანი ბიჭების მიმართ, ხშირად გაიპრანჭე და ისინი აუცილებლად შეგამჩნევენ. გული თუ გულობს, ადამიანი ყველაფრის გაკეთებას შეძლებს. ეტყობა, შენი გული არ გულობს, თორემ ერთ ბიჭს მაინც გაიცნობდი, სამესიჯოდ მაინც. ლამაზ, სიყვარულით სავსე ცხოვრებას გისურვებ!“

ანასტასია:

„ჩემო კარგო, ეს ნერვიულობად არ ღირს, დამიჯერე. ყველაფერი ღმერთის ნებაა და სიყვარული შენც მალე გეწვევა. ღმერთი შენკენ“.

მეგი:

„არ გრცხვენიათ, ასეთი სისულელის გამო რომ წუწუნებთ? ხალხი შიმშილით იხოცება, მოზარდები ქუჩაში უპატრონოდ ყრიან, თქვენ კი მხოლოდ იმაზე ფიქრობთ, ვის დაუმესიჯოთ და გაეპრანჭოთ. ვაი, ჩვენს თავს, ეს რა შავბნელ საუკუნეში ვართ. ნეზნაკომკა, ჯობია, სწავლით დაკავდე და სიყვარულობანაზე ნაკლებად იფიქრო. მოვა დრო, როცა სიყვარულიც გეწვევა“.

თიკო:

„მინდა, მეგობრული რჩევა მოგცე. მოდი, ასე მოვიქცეთ: ეცადე, თვითონვე გამოიცნო, რა არის იმის მიზეზი, რომ შენით არავინ დაინტერესდა? გირჩევ, შეიცვალო ხასიათი, ქცევა, გარეგნობა, პიროვნული თვისებები, იმუშავე საკუთარ თავზე, ბევრი იკითხე, იყავი ნაზი, ქალური, მშვიდი, სასიამოვნო, სუფთა, მოვლილი; ნუ იქნები ყალბი, ხელოვნური, უხასიათო, ბიჭური და „აგდებული“. მერწმუნე, მერე ყველას მოეწონები. წარმატებებს გისურვებ, პირად ცხოვრებაში!“

სოფო83-მწარე:

„იმედს ნუ გადაიწურავ, ახალგაზრდა გოგო ხარ და ყველაფერი წინ გაქვს. მალე დიდი სიყვარული გეწვევა და ბედნიერი იქნები. წარმატებები!“

უდარდელა:

„იმის პირობას ვერ მოგცემ, ძალიან შეგიყვარდები-მეთქი, მაგრამ მეგობრობის ფასი რომ ვიცი, ამას თუ გინდა, ბიბლიაზე დავიფიცებ. ჰოდა, ჩემო კარგო, თუ გინდა, ვიმეგობროთ, აგერა ვარ და აი, ესაა ჩემი ნომერი: 8(74) 06.12.31. მომწერე. P.S. მეგობრობას სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და კარგი გაგებით გთავაზობ, მააააშ!“

სვანი ნინუცა:

„დაიკო, შეიძლება ასე ჯობია კიდეც. მე 19 წლის ვარ, ბევრი თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ ბედნიერი მაინც არასდროს ვყოფილვარ. მიყვარს ის, ვინც არ უნდა მიყვარდეს. წარმატებები!“

კუსა:

„უბრალოდ, სურვილი გაქვს, შეყვარებული გყავდეს, მაგრამ მერე, როცა ვიღაც შეგიყვარდება, შეიძლება, ეგ სურვილი გაქრეს კიდეც. მინდა გითხრა, რომ სხვა, უფრო დიდი პრობლემებიც არსებობს“.

ბუშტი:

„ვახ, ვახ, ვახ, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა. ცოლიანი რომ არ ვიყო, შეგირთავდი, აბა, რას ვიზამდი, როცა ჯიგარიც კი ამიწვა შენმა

მესიჯმა... კაცო, 19 წლის ასაკში ასე რამ გადაგრიათ, „გზაში“ რომ აგზავნით „ესემესს“: დამეხმარეთ, შეყვარებული ამ მყავსო? ნუთუ, სხვა საფიქრალი არა გაქვთ?.. გასაგებია, რომ შენ გარშემო ყველა შეყვარებულია და შენც გინდა, „ლოვე“ გყავდეს, მაგრამ ხომ გაგიგონია: მოთმინებითა შენითაო?.. ჰოდა, მოითმინე შე დალოცვილო, შენა და ეღირსები „ლავსთორისაც“.

ლიკა, *ფოთიდან:*

„სიყვარული მოულოდნელად გეწვევა, ნუ იდარდებ. მე 22 წლის ასაკში ვიპოვე სიყვარული და ახლა ბედნიერი ვარ. უბრალოდ, იყავი ბუნებრივი და საყვარელი“.

დამავოი:

„ჩემო კარგო, არაფერიც არ უნდა გააკეთო. სიყვარულს დაელოდე და მერწმუნე, იგი ძალიან, ძალიან მალე გესტუმრება, აი, მერე კი, ოიიი... არც გაბედო შეყვარებულის გაჩენა მხოლოდ იმიტომ, რომ შენ გარშემო ყველას ჰყავს „ლოვე“. აბა, რა საგანგაშო ასაკი შენ გაქვს, ასე რომ დარდობ? წარმატებები, სიხუ!“

თარსი გოგო:

„ზოგჯერ, ლამაზი გოგონები თაყვანისმცემლების გარეშე რჩებიან. გარეგნული სილამაზე საკმარისი ნამდვილად არ არის. გირჩევ, საკუთარ თავში რაღაც შეცვალო, უკეთესობისკენ. თუნდაც, იმიჯი შეიცვალე, გახალისდი, რაიმე საინტერესო საქმე წამოიწყე, ცხოვრება გაიმრავალფეროვნე და ახალი ნაცნობები შეიძინე“.

LADY FLOWER:

„შენმა წერილმა ჩემი თავი გამახსენა — მაგ ასაკში და მერეც, მსგავსი პრობლემა მაწუხებდა და რჩევას ვერავის ვეკითხებოდი, ნაკლს საკუთარ თავში ვეძებდი. მართალია, უამრავი მეგობარი მყავდა, მაგრამ თაყვანისმცემელი — არც ერთი. 27 წლის ასაკში მეწვია სიყვარული. შემიყვარდა და ბედნიერი ვიყავი მისი ყურადღებით, სითბოთი, მაგრამ ეს გრძნობა ისეთი ფერადი არ ყოფილა, როგორიც მეგონა. იმდენად მინდოდა, ვინმეს ვყვარებოდი, რომ საკუთარ ილუზიებში ჩავიძირე და ვერ მივხვდი, რომ სინამდვილეში, მეთამაშებოდნენ, ეთამაშებოდნენ ჩემს ოცნებებს, ჩემ მიერ შექმნილ სამყაროს. დაშორების წინ იცი, რა მითხრა? — გულით ვერ მიგიღე და შენთან აღარ მინდაო. არადა, ადრე სულ სხვანაირი იყო. ამ ტკივილის გადასატანად ბევრი დრო დამჭირდა. ასე მეგონა და დღემდე მგონია, რომ მის გარდა ვერავის შევიყვარებ. სულიერმა მოძღვარმა მითხრა, — უფალმა უკეთ იცის, რა დროს რა გჭირდებაო. უფლის ნებას მიენდე, დადებითი ემოციებით აივსე გული და რაც მთავარია, იყავი ფხიზლად, რათა არ მოგატყუონ, გული არ გატკინონ. ილოცე და სული დაგიმშვიდდება. მირჩევნია, მთელი ცხოვრება უსიყვარულოდ გავატარო, ვიდრე კიდევ ერთხელ მატკინონ გული. ჩემო კარგო, ყველაფერი წინაა და მალე გეწვევა ლამაზი სიყვარული. იცოდე, არ აჩქარდე!“

რუსპირი:

„ჩემო კარგო, სიყვარულს ძებნა არ სჭირდება, ის თვითონ მოვა და გაგაბედნიერებს. ჯერ მხოლოდ 19 წლის ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს. მერწმუნე, ეს გრძნობა აუცილებლად გეწვევა. სიყვარული დაუპატიჟებელი სტუმარივითაა და მაშინ მოვა, როცა ყველაზე ნაკლებად ელი, თანაც — ისე, რომ არც კი დაგიკაკუნებს. რაც შეეხება დამმესიჯებელს, ახლა მოიცააა! — დღეს ბიჭის გაცნობის იმდენი საშუალება არსებობს, რომ მაგას ვერ დავიჯერებ... ნუთუ, არ გაგიგონია: — კაცი ბედს გარეთ ეძებს, ქალი შინ ელოდებაო? ჰოდა, შენც დაელოდე. P.S. ქართველებს სიტყვები დაგველია, ნეზნაკომკა რომ არ დაგერქვა?“

უცნოგი:

„მეც არ მყავს შეყვარებული, მაგრამ თავს მაინც კარგად ვგრძნობ — 20 წლის ვარ და გაუთხოვრობა არც მადარდებს. მოგცლიათ, რა“.

გრუზინკა:

„ვფიქრობ, ძალიან მორცხვი ხარ და ყველაფერი ამის ბრალია ან ისე იცვამ, რომ ბიჭები შენს გარეგნულ სილამაზეს ვერ ამჩნევენ. იქნებ, ჩაცმის სტილი შეიცვალო?!“

ანასტასია:

„ჩემი აზრით, სანერვიულო არაფერი გაქვს და არც ისეთ ასაკში ხარ, შინაბერობის გეშინოდეს. აუცილებლად შეხვდები ადამიანს, რომელიც ცხოვრებას გაგილამაზებს. P.S. ისე, ბიჭები მხოლოდ პრობლემებს ქმნიან და შესაძლოა, ცხოვრება შეგაზიზღონ, მთელი საკაცეთი დაგავიწყონ“.

იკუშკეგი:

„საყვარელო, კონკრეტულ რჩევას ვერავინ მოგცემს. იქნებ, ძალიან სერიოზული ხარ და ყველაფერს ზრდასრული ადამიანივით უყურებ? ფაქტია, პრობლემა არსებობს, მაგრამ გამოსავალს მხოლოდ შენ თუ იპოვი. შესაძლოა, გარეგნობას სათანადო ყურადღებას არ უთმობ. იქნებ, ჩაცმის სტილი ან ვარცხნილობა არ გაქვს სწორად შერჩეული?! რაც არ უნდა გითხრან, დამიჯერე, ლამაზად და მოხდენილად ჩაცმა, მაკიაჟის გაკეთება ქალს ძალიან უხდება. საყვარელო, ძალიან მინდა, ბედნიერი იყო. დამიჯერე, როცა საჭირო იქნება, სიყვარული აუცილებლად გეწვევა, თანაც — თავისთავად, ყოველგვარი ძებნის გარეშე. წარმატებებსა და დიდ ქალურ ბედნიერებას გისურვებ!“

ნინი:

„ნუ ღელავ, ყველაფერი წინ გაქვს და მალე ვიღაც აუცილებლად შეგიყვარებს. მე შეყვარებულად არ გამოგადგები, მაგრამ თუ გინდა, ვიმეგობროთ :))“.

„პატიმარი შემიყვარდა... ძალიან ვნერვიულობ“

სალი:

„თქვენი მეშვეობით გავიცანი პატიმარი ბიჭი, რომელიც შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ 2 კვირაა, არ შემხმიანებია და ძალიან ვნერვიულობ. გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა? იქნებ, მანაც წაიკითხოს ეს წერილი. P.S. ირაკლი შევჩენკო, ძალიან მიყვარხარ“. ■

„არ მინდა, კლასელებთან ურთიერთობა გავიფუჭო“

უცნოგი:

„თქვენი დახმარება მეც დამჭირდა. შეიძლება, ჩემი პრობლემა სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემთვის ბევრს ნიშნავს. არ ვიცი, ეს წერილი დაიბეჭდება თუ არა, მაგრამ მაინც გწერთ... მოკლედ, ძალიან ცუდად ვარ. საქმე ისაა, რომ კლასელებს ვუყვარვარ: ერთი ჩემი უახლოესი დაქალის ძმაა, მეორე კი მეც ძალიან მომწონს. აუ, მართლა არ მინდა, კლასელებთან ურთიერთობა გავიფუჭო და არც ის მინდა, დაქალს გული ვატკინო. სხვათა შორის, ახლა მასშიც ეჭვი მეპარება — ადრე ყველაფერს ვუყვებოდი, დღესდღეობით კი ვეღარ ვენდობი. თავს საშინლად ვგრძნობ. სკოლაში მისვლა აღარ მინდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა“. ■

P.S. მაშ ასე თუ სალისა და უცნოგის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ 27-35 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ, ზრდილობიან, კარგად აღზრდილ მამაკაცს. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სერიოზული, კარგად აღზრდილი გოგო.

2. გავიცნობ მოწესრიგებულ, დასაქმებულ და შეძლებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ქვრივი, 40 წლის. ლეილა. იმერეთიდან.

კაცები

3. დამირეკოს „გზა“ №6, მე-9 მესიჯის ავტორმა. თამაზი.

4. გავიცნობ თბილ და სათნო ქალბატონს, 32-დან 40 წლამდე.

5. ვარ 26 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, მოწესრიგებულ მანდილოსანს.

6. გავიცნობ 20 წლამდე ასაკის გოგოს. ვარ 20 წლის, უიღბლო ბიჭი.

7. მინდა გავიცნო ნათკა, რომელიც წერს: ციხიდან, რომ გამოხვალ, ყველაფერი ცუდი წარსულს ჩააბარე... ჩემი სახელია გიო შარანგია.

8. ვარ 31 წლის. ვცხოვრობ რაიონში. გავიცნობ მანდილოსანს, 35 წლამდე. ერთგულებას ვაფასებ და მთავარია, ჰქონდეს ბინა ქალაქში. გიგი.

9. გავიცნობ გოგოს, 35 წლამდე. ვარ 32 წლის. ვცხოვრობ რაიონში.

10. ვეხმაურები მე-10 ნომრის მე-4 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, გავიცნოთ ერთმანეთი. ან გადაეცით ჩემი ნომერი.

11. გავიცნობ „გზა“ №11, მე-3 მესიჯის ავტორს. ვარ 45 წლის. გამომეხმაურეთ ამ ნომერზე. პატივისცემით.

12. ვარ 18 წლის, ცოტათი დაკომპლექსებული ბიჭუნა. გელი, მუდამ შენი ვამეხი.

13. ვარ 22 წლის, მაღალი, სამსახურიანი ბიჭი. გართობის მიზნით გავიცნობ 18-30 წლის გოგოს. „გზის“ მომდევნო ნომერში მომწერეთ თქვენი ტელეფონი და თავად დაგიკავშირდებით.

14. გავიცნობ ლამაზ, თბილისელ, ჰიგიენურ, დასაქმებულ მანდილოსანს... ვარ თბილისელი, 29 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მომწერეთ თქვენ შესახებ. გიო.

ვეძებ

15. ვეძებ ნუგზარ და ციალა ხიჯიებს, ზუგდიდიდან. მაია, გურიიდან.

სხვადასხვა

• დათო ბ-ს! დათო, ჩვენ კარგად ვართ. ნიკა გაბრაზებულია, მაკა უფრო გწყალობს. მიხედე თავს, იფიქრე და ჭკუით გადაწყვიტე, როგორ აჯობებს. გავიგე, მარხულობ. იქნებ, ეზიარო?! ჩაგირიცხავ, რასაც მოვახერხებ. დააბარე იმ კაცს. თუ რამე გინდა. მარი, ნიკა და მაკა.

• ბერბიჭა, დამავიო, ნიბუ და აზიელ, მიხარიხართ და თქვენ გამიხარდით. ჩემი კატა გარფილდიც უერთდება ჩემს სიხარულს. :-) P.S. სიხარულზე მძაფრი თუ არსებობს რამე? მემე.

• ქალი ცდუნებას მადლობა, რომ არ გადავავიწყდი, ძალიან მიყვარს დაია, ჩემი ცდუნება ქალია, ეს ჩვენი აწყურის პრინცი (9717), უზომოდ მომენატრება, ჩვენგან წავიდა, დაგვტოვა, მის მოლოდინში გაწვიმდა, მოდი და დარი დადგება, შენ ხომ არ იცი რომ გელი, ეს ლექსი თქვენ მოგიძღვენით, ედელვაისი მოგელით. ძალიან მიყვარხართ. ედელვაისი.

• აზიელო, კეთილგანწყობის მაღალფარდოვნად და თავშეკავებით გამოხატვა დავაფასე! დარწმუნებული ვარ, რომ შენი სახით კიდევ ერთი გულითადი მეგობარი შევიძინე. სარვიეტა.

• სასტავში მიმილებთ თუ არაო? ვბრაზდები. :) მთავარია, ისე არ მოიქცე და წერო, რომ შენთან კონტაქტის სურვილი გაგვიქრო. რაც ბევრნი ვიქნებით, მით უკეთესია. სარვიეტა.

• ოდესღაც მგზავნელო, შესაძლებლობა რომ მქონდეს, აუცილებლად გათხოვებდი დოჩანაშვილის იმ წიგნს. :) P.S. უღრმესი მადლობა ჟურნალ „გზას“, ამ პროდუქტისთვის! სარვიეტა.

• 1,2,3... ერთს გეტყვი ახლა: ااا... შეე ხ...., და ასე, რა. ვერ გაიგე ვერაფერი?

• ვალერი მამასახლისო, მამუკა ვარ, შენი დეიდაშვილი. შენი დუტით ვბლატაობ. მალე გამოსვლას გისურვებ. მაგრად გვიყვარხარ. ვანო, გელა, დათო, თეო, მარი, ეთო, გკოცნით ყველა.

• მოგესალმებით, მგზავნელებო. აქ მოვედი იმი-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სთვის, რომ სისხლი გაგიშროთ :) SWEET-BOY.

• თათა, როგორ ხარ? :) აი, ხომ მოვეეე... :) მარი, ისე, სვანური სისხლი მიჩქეფს და რაღაც მაინც გვაქვს საერთო. :) SWEET-BOY.

• კახა, გოგამ მოგატყუა. რუსკას ანგარიშზე არ ჰქონდა და შენ რომ კარტა მაჩუქე, იმ ნომრით სწერდა გოგას და გოგას მე ვეგონე. ტელეფონი ჩართე და აგიხსნი უკეთესად. მანჩო.

• მინდა, მარტოსულს ვუთხრა: როცა შენი გზავნილი წავიკითხე, ძალიან მეტკინა გული, რადგან შენგან განსხვავებით მეგობრების სიყვარულით განებივრებული ვარ. ისინი რომ არა, ჩემს სიცოცხლეს აზრი მართლაც არ ექნებოდა. წარმომიდგენია, რასაც გრძნობ, მაგრამ არავის მისცე უფლება, შეგცვალოს, რადგან თამაში მხოლოდ სცენაზეა გამართლებული და არა — ცხოვრებაში. ვინც ნამდვილად შენი მეგობრობის ღირსია, ის აუცილებლად დაგაფასებს და გაგიფრთხილდება და ვინც ვერ დაინახავს შენში სიკეთეს, გაუშვი, იფრინოს. თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ როგორც გენიოსის ადგილი არაა უგნურთა შორის, ისე არაა შენი ადგილი უღირსთა შორის. კუდრაჭა.

• საკუთარ თავებს რატომ აძლევთ ჩემი შეუერაცხყოფის უფლებას? სიტუაციაში სათანადოდ არ ჩახედულობის გამო თქვენი უსამართლო დასკვნებისთვის თამამად შემიძლია უზრდელი გიწოდოთ! მიკი, მაგ შლანგივით გრძელი ენისთვის სიამოვნებით აგიწევდი ყურს. ემიგრანტო დეიდა, ამხელა ქალმა არ იცი, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩაკვეხება უშნო საქციელია? მოგწონს უშნო საქციელების ჩადენა? დაბოლოს, შეეშვით რა, ჩემს კბენას. ისიც მეყოფა, რაც ზაფხულში კოლოებმა მიკბინეს. :-) მისტერ.

• მისის, გაიხარე. :) ძალიან გამახარე, რომ მომწერე „გზაში“. გაკოცე ბევრი. მიყვარხართ ყველა უზომოდ. მარიკუნა, შენზე მაბოდებს. ჯუსტ ნათი, გაკოცე. ედელვაისი.

• 9717, ნუ დამივიწყე, დაბრუნდი „გზაში“. ჭრიჭინობელავ, როდის უნდა შემომეჭყლიტო? :-) ASHLEY, რა მადლობა, გეკადრება? ჯული, ხინკალი მინდა. :-) პაჩი-პუჩები ყველას! სოფი19.

• დოლარ, შენს ქართველობაში ეჭვი მეპარება. 81 წლის ქალი შენი ნანია? უი, არ მოიყარე მისი ხნის. შენისთანა გარეწარი და უსირცხვილო რა სამართლიანობაზე ბოდავს? ფუი, რაა...

• შენი ია-თი ნიკი სულ არ მაინტერესებს, ეგ ხალხი ცუდად დაახასიათე, ეხები მათ, ვინც არაფერს გიშავებს და არც ეგაა ადამიანობა და არც ის, რომ პლაგიატობას სწამებ. აბსურდა.

• ჩემი თქვენდამი სიყვარული იზრდება... „გზის“ და მგზავნელების ლომკა მაქვს... მენატრებიიით... გულში გიხუტებთ... ედელვაისი.

• ძალიან მინდა გავიცნო მგზავნელები: ფისო, იტალიიდან თამარი. ასევე, ვინც გამეცნობა, გამიხარდება. ფისომ ერთ ადამიანს რომ მიმართა, მეც იმ მდგომარეობაში ვარ. ისე, ტყუილი აქ არაა, გვერდით მეგობარი არ მყავს. ერთი პრობლემა მაქვს და პირადად გეტყვით. ტელეფონის ნომერი „მობილი-ზაციაში“, „გზა“ №6, მე-7 მესიჯია. გთხოვთ, ნუ დამტოვებთ უმეგობროდ.

• დამავიო, შე თვითონ კარგო და საყვარელო, შენა. :) გაკოცე მაგ თბილ სულში. გკითხულობ დიდი სითბოთი და ღიმილით. :) ვერძი.

• 9717, მართლა წახვედი? :(ერთი ნათელი სხივი უნდა მოაკლო შენი სახით „გზას“? არ გრცხვენია, ჩემო კარგო? :(დაბრუნდი, რაა.. ძალიან გაფასებ და მიყვარხარ. ვერძი.

• ფეშენ, გამიხარდა, რომ ასე თბილად დამხვდი. :) კი, ახალი ვარ და იმედი მაქვს, ჩემს აქ დაბერებასაც ისეთი ფასი ექნება, როგორც ღვინოს, 100 წლის შემდეგ. :) ვერძი.

• რა კარგია ეს ბერბიჭა, კაცო. :) მოსული არ ვარ, დამხვდა და ლექსშიც კი მომიძღვნა პატარა ადგილი. :) ნამდვილად ყურადღებიანი და კარგი ბიჭი ხარ. გაკოცე. ვერძი.

• გადარეულო, შენგან დაბნეულობა მიკვირს. გადარევა უფრო მოგიხდება, ეჭვი მაქვს. :) სახლში იციან, აქ რომ ხარ? :) კარგი ადამიანი ჩანხარ, გადარეულო. ვერძი.

• ASHLEY და მისტერ, ასეთმა აქტიურმა და კარგმა მგზავნელებმა რა ვერ გაიყავით ერთმანეთში? იცით, როგორ გული მწყდება, თქვენი ჩხუბის და გაუგებრობის შემხედვარეს? ჩემი (და ალბათ არა მარტო ჩემი) დიდი სურვილია, შერიგდეთ, აპატიოთ ერთმანეთს უნებლიე თუ „ნებლიე“ სიტყვები, ორივემ ცოტ-ცოტა დაუთმოთ ერთმანეთს და დათბეთ... ორივე ძალიან კარგები და საყვარლები ხართ, გენაცვალეთ და ვწუხვარ, რომ ასე ხდება თქვენ შორის. გიყვარდეთ ერთმანეთი! „გზას“ არ უხდება ჩხუბი, კარგებო. ვერძი.

• მარი, პირადად შენ — უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ერთი რიგითი მგზავნელისგან. ასეთი ნიჭიერი, ყურადღებიანი და გულთბილი სვანი ჯერ არ შემხვედრია. :) ვერძი.

• მისტერ, რა უძალიანმაგრესად ჰგავხარ დოლარას, კატუნი? საერთო ინკუბატორი, ჯურღმული, ბოღმა და თავხედობა! ოო... მითხარი, რომ ვცდები და ეს ის არ არის, რაც მე მგონია?! თუუ?

• მარიამულ, მპუა. მე ახალი ვარ. ვერ წარმოიდგენთ, გამოსაგზავნი ტექსტი რამდენჯერ ავკრიბე, ხან შევცვალე. თქვენთან მეგობრობის სურვილი მაქვს. იმედია, მიმიღებთ? ლიკუნა.

• ხალხო, ძალიან მიყვარხართ და ძალიან მინდა თქვენთან ყოფნა. პირველად გწერთ და სულ, სულ მოგწერთ ხოლმე... სოფ.

• ჰოდა, რატომ გადაეწყვიტე დამესიჯება: ძალიან მინდოდა მგზავნელების ჯგუფში გაწევრება, მაგრამ მგზავნელი უნდა იყოო და აი... :-) სოფ.

• ნეტავი გამაგებინა, რად ვერ გაიგეს ქალებმა, შენი გული რომ ჩემია და მხოლოდ მე ერთს დამნებდა. სადამდე? შენ უნდა მითხრა, აქ აზრი არ აქვს დაწერას. ცხრათვალამ გაკოცა.

• არც იუდას შეერგო გამცემლობაში აღებული 30 ვერცხლი. ადამიანებს მაგრად იყენებ, უმადურო წამქეზებელო, ვითომ მორწმუნევ. ჯანდაბამდე გზა გქონიათ, განახებთ რევანშს!

• დოლარ, გზააბნეულო სულო, დაიჩოქე და ემთხვიე ბერბიჭას (თუ გინდა მეც). მანამდე ეგ მყრალი ენა-პირი წაიშკურკე, ნახიშტარო. ენიგმა.

• ფეშენ, ნიბუმ მითხრა, ნომერი გამორთული აქვსო. სამაგიეროდ, მე მაქვს სულ ჩართული და გელი ჯიუტად. ქ-ნო ნანი, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას და სიყვარულს. ენიგმა.

• გაიხარე ბერბიჭ, მოკითხვისთვის. მართალია, პირადად არ გიცნობ, მაგრამ ყოველთვის მსიამოვნებს შენი გზავნილების კითხვა. მემე, შემოგვლე თბილ და კეთილ გულში. ნიბუ.

• აზიელი ლა საკალელი ყოფილა... როდის მესტუმრები, ქალი? ენიგმა, რას იზამ, უნდა ამიტანო, მეც ერთ-ერთი შენი სასჯელი ვარ, ძამიკო. :-) მაგრამ ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ. ნიბუ.

• მოგესალმებით, მე თქვენი ჟურნალის თაყვანისმცემელი ვარ, დაარსების დღიდან და ჯერ არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია წაუკითხავი. ძალიან მიყვარხართ.

• დოლარ, შენებრ გონჯები, შენისთანა ბოზები, სულწაწყმედილები ხართ, გულისამრევ პოზებით. ნუღა მომწერ, სანამ არ შეიცვლ-გადმობოზდები. P.S. ფანდარასტი რომ ხარ, იცოდიი? ენიგმა.

• ცისი, ცხადშიც რომ გაკოცო, ვერ დამალავ ვიცი კარგო და ცხრათვალა რომ გაიგებს, თავს ვერ იგრძნობს ნეტარადო. ისე ჩუმად კი გნახავდი, ნეტავ რატომ, ნეტავ რატოომ? გაკოცე. ბერბიჭა.

• შენმა სითბომ განა სანტა, მარტო დარდი გამიფანტა? ახლომხედველს გენაცვალე, შორსმხედველი განგიმარტავ: შენ ნომერი მომეცი და თავად მოგწერ, ოღონდ მართლაა. ბერბიჭა.

• დოლარამ ჩემო ნინიავ, ნერვები გადამირია, წასვლას ვფიქრობდი ახლა კი, კრიზისი გადავლილია. P.S. გაიხარე, კარგო ადამიანო. ჯერჯერობით ვერც მე გელევით, ვერაა... ბერბიჭა.

• ფორტუნასგან მერგო გრანტი, მას ნიკად აქვს ემიგრანტი. ნიჭიერი, მხიარული, ჭკვიანი და დიპლომატი. P.S. საყვარელო, გაცნობის სვეტში დაწერე და შენს ნომერს ასე გავიგებ. ბერბიჭა.

• დოლარ, ალბათ სახე დარო, შეგნებით კი სახედარო, ამ ჭიტლაყით ეგებ მიხვდე, აუდო და გამეცალო. ვიბრატორი მოიხმარე, რომ ენებისგან დაიცალო. ბერბიჭა.

• დოლარ, ავხორცო, ავსულო და გიჟო, დარწმუნებული ვარ, არამც თუ აქ, ოჯახშიც ვერ გიტანენ. დოლარას ნიკს ნუ ეფარები, მშიშარავ. რაო, ჩემი პასუხით ყურადღების ცენტრში ექცევი, არა? არ გავარტყი, ასეთ პოპულარობას? მამა აკაკი გჭირდება, ეშმაკების დასაფრთხობად. ნი ხოჩიშ? აბა, რა ჯანდაბა ხოჩიშ? მაშინ უბრალოდ, წადი, შენი... ბერბიჭა.

• პრივეტ, მარიკუნაააა, მე ახალი ვარ, ხომ მიმიღებ? :-) იცი, ყველა ძალიან კარგები ხააართ! ჩუპი, შენ უძალიანმაგრესი გოგოოო, ხომ მიცანი, ვინც ვაარ? ჯერ—ო.

• გეე, მენატრები და მიყვარხარ გულში, მაგრად. არ გამიბრაზდე ამ მესიჯზე რა, გთხოოვ. მიყვარხარ!!! ჯერ—ო.

• მიყვარხარ, რადგან სიყვარულის მოგონებები შენ გიკავშირდება და მძულხარ იმიტომ, რომ მოგონებებია და მეტი არაფერი. ჯერ—ო.

• მარტოხელა და მარტოსული ადამიანისთვის „გზა“ გულის მალამოა, „გზავნილები“ სულის ელექსირი, მგზავნელები — კარგი და მართალი ადამიანები. მტკვარი54.

• ვალერი მამასახლისს: როგორ ხარ? დღეს ჩემი დაბადების დღეა, 22 მარტი. ყველა აქაა. ძალიან მინდოდა, შენც აქ ყოფილიყავი. იმედი არ დაკარგო. გვენატრები. მოკითხვა. ანა.

• ვალერი მამასახლისო, სიცოცხლეს, ჩემო იმედო, გადაყვანაზე დადებითი პასუხია. ღმერთი შენთანაა, იმედი არ დაკარგო. ადვოკატს ელოდე, განახავს. მოკითხვა. ეკა, ზინა, სეგუნა.

• ისე, ASHLEY, შენი გამკვირვებია. არ მინდა, ამ თემას დავუბრუნდეთ, მაგრამ მიკვირს და მაინც უნდა ვთქვა, როგორ მოგივიდა აზრად ჯერ ის, რომ მარი რომელიმე მგზავნელზე იჭორავებდა საერთოდ? და მერე თუ რამეს იტყოდა, ისიც მისტერთან (აქ გულისწასვლამდე ხარხარი)? უფრო ჭკვიანი მეგონეეე... რომელიმე თქვენგანს, შორიდან მაინც რომ მოგესმინათ, ამ ზაფხულს როგორი სითბოთი და სიყვარულით საუბრობდა მარი თქვენზე, ცოტათი მაინც სხვანაირად მოიქცეოდით... მის მაგივრად მე რას ვიზამდი, არ ვიცი... ალბათ მტკვარში გადაგყრიდით ყველას (ჩემიანად, რა თქმა უნდა), მაგრამ გაგვიმართლა, რომ ბევრს გვითმენს ეს ადამიანი... 2 ყური იმისთვის გვაქვს, რომ ხანდახან, განსაკუთრებით კი უარყოფითი ფრაზეოლოგიის გაგონებისას სკვაზნიი მოვაწყოთ. წარმატებებს გისურვეებთ... SWEET-GIRL.

• მეც დიდი გოგო ვარ უკვეეე... მალე ჩემს გზავნილომანიას 3 წელი შეუსრულდება. ეჰ, რამდენი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში ამ 3 წლის მანძილზე და ამ

ყველაფერს „გზავნილები“ სულ თან სდევდა... რამდენი ტკივილიანი ამბავი გადამხდენია თავს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ამ ყველაფრისთვის იუმორისტული სახე მიმეცა და მხიარულად გადმომეტანა ჟურნალის ფურცლებზე. რამდენად გამომდიოდა, ეგ უკვე აღარ ვიცი... ფეშენისი არ იყოს, ჩემს ძველ გზავნილებს რომ ვუყურებ, გული მიმდის, ისეთი ენითაა დაწერილი... ვარსკვლავებს არც ახლა ვეთამაშები, მაგრამ შედარებით გავიზარდე და ეს შენი დამსახურებაა, მარიამულ... ჩემი პირველი მასწავლებელი, ჟურნალისტურ გზაზე შენ ხარ. როცა გზავნილს არ მიბეჭდავდი ხოლმე, ჯერ მეწყინებოდა, მერე გადავხედავდი, თუ რატომ არ დაბეჭდე, მომდევნო გზავნილს კი უკვე სხვანაირად შევასუნელებდი, რომ ისეთი უმარილო არ გამოსულიყო და როცა უკვე ჟურნალში ვპოულობდი ამ ყველაფერს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს სიხარული ამ 3 წლის მანძილზე არ გაუფერულებულა. პირიქით, უფრო გაიზარდა და უსაზღვრო გახდა. ამას წინათ ერთ-ერთმა ძველმა მგზავნელმა შემომჩივლა, შენ როგორ გიმართლებს, ხშირად გიბეჭდავს მარიო. ჰოდა, ჩემო მარიამულ, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ჩემი გზავნილების კითხვა (წყევლა გამოვიდა ვითოოომ?) და მე კი შენგან ამ ნაბჟუტურევის დაბეჭდვა ნუ მომაკლოს ღმერთმა. ესეც ასეეე... მიყვარხარ და მუდამ ჩემს გულში ხარ, მგზავნელებიანად. გკოცნით, თქვენით დამტკბარდაშაქრებული SWEET-GIRL.

• ე.ი. რაც ლიკუნია დაგვიბრუნდა, მას შემდეგ მინდა კმაყოფილება გამოვხატო და ვერა და ვერ მოვახერხე... არ ვარ ახლა მე სკლეროზიანი? ალბათ ემოციების ბრალიცაა... შემოგვლე ქალუკა, ყოველთვის მომწონდა შენი ჩვენდამი მოძღვნილი ლექსები და აბბა შენ იციიი... გაგვახარე ხოლმე ხშირად. ჩუუპ, ჩემი ლამპასტიკი ვინ ალისოოო? გეხუტეთ. ერთს ველოდები კიდევ დაა... ბექუნია, აქ ხაარ? SWEET-GIRL.

• არა, რააა... როდის უნდა მომემატოს ჭკუა (ეს დედაჩემის საყვარელი ფრაზაა)? ამას წინათ გამიშვეს, ხორცი იყიდეო, მე კიდევ ისეთი საყვარელი სათამაშო შემხვდა... ცდუნებას ვერ გავუძელი და შემომეყიდა... ჰოდა, დავდექი ახლა და ეგ სათამაშო ჭამეოო, მითხრეს... შევჭამ ბატონო, შევჭამ, ოღონდ თქვენ არ შემჭამოთ მანამდე... SWEET-GIRL.

• გაზაფხულის დილაა და.../ წვიმა აფრქვევს დილის სურნელს,/ გაზაფხულზე შემიყვარდი.../ სწორედ ისე.../ როგორც სულელს.../ ჩემი ფიქრი, ჩემი გრძნობა.../ შენთვის წარმოადგენს სულერთს.../ ისე გულუბრყვილოდ გენდე.../ როს შეჰფერის ძლიერ სულელს.../ ჩემი ლტოლვა მაშინდელი.../ ჰგავდა გაზაფხულის ღრუბელს.../ ეს ღრუბელიც გაჰყვა ქარს და.../ დამავიწყდი, როგორც სულელს... ეს ლექსი ერთი ადამიანის „დასაფლავების“ წლისთავთან დაკავშირებით... SWEET-GIRL.

• პრივეტ მარი, წინა ნომერში მოგწერე და არ დამიბეჭდე და ძალიან მეწყინა. გილოცავთ მოგვიანებით ჟურნალის 10 წლის თავს. ვგიუდები ამ ჟურნალზე, ისე შემიყვარდა. სიმართლე გითხრა, 2 წელია, ვკითხულობ. ყველაფერს ვკითხულობ. ძალიან მიყვარს რომანები და „გზავნილები“. პატარა ნიცა.

• ვრცელ მესიჯს ვწერდი... უცებ გამეცინა და წავშალე. არ ღირს თავის მართლება და არც აყოლა ვინმეზე. თუურმე დოლარა ჯყოფილვარ. სასაცილოა პირდაპირ... ძაალიან კარგი, კიდევ რომელ ნიკს მოგაწერებთ? მაინტერესებს თქვენი ფანტაზია სადამდე გასწვდება. :) სოოოფ19, ვამაყობ,

• შენი ჯულიეტა რომ ვარ. მიყვარხარ, სიხარულოოო, გაკოცე ბევრი. გადარეულოო, გაიხარე შენ. თოლია, არც ჩემამდეა შორი სიყვარულით სავსე ხალხისთვის. კამ-კამ, მე გითხარი, ჯერ ადამიანები გაიცანი და ისე შეიყვარე, რომ გული არ გეტკინოს, რადგან რაც ბრწყინავს, ყველაფერი მართლაც არაა ოქრო. ასე სიხარულოო. ჰეი, ლიმოოონ, ისეთი პატარაც არ ხარ, რომ შენი ნაწერები ვერ ვიპოვო „გზის“ ფურცლებზე. :) ნუ მტოვებ მარტოს, კაი? მის რეალი.

• მარ, მინდა იმ გოგონას გამოვუხმაურო, სულით ბოზი ვარო, რომ ამბობს. პირველ რიგში, მინდა დაგამშვიდო. შენს ასაკში სექსისადმი ინტერესი და ბიჭებისადმი სურვილი სრულიად გასაგებია. რა თქმა უნდა, ყველა მოზარდი შენს მდგომარეობაში არაა, მაგრამ როგორც ჩანს, ჰორმონებმა ბოროტად შემოგიტია... ბოზობისაგან ღმერთმა დაგიფაროს, უბრალოდ, აკრძალული ხილისკენ ილტვი. მოდი, ასე შევთანხმდეთ: ინტერესი გასაგებია, ისიც მესმის, რომ თავს ვერ ერევი, მაგრამ სიტყვა ბოზი თავიდან ამოიგდე, კარგი? ეცადე, მაინცდამაინც სექსზე არ იფიქრო. იქნება სექსოლოგთან მისვლა გეცადა? დამიჯერე, უსაშველო არაფერი გჭირს, კარგად გაიაზრე, რომ ვნებას თუ აჰყვები, ცხოვრება მართლაც დაგენგრევა. წარმატებებს გისურვებ. თეთრი ყვავი.

• რისთვის მომიხმო სახელმა შენმა... თუკი მზე ჩემთვის აღარ მზეობდა... ხომ ჯობდა, ისევ ეულად მევლო და შენით გზები არ ამრეოდა... სულ ერთი წამით შევხვედით ერთმანეთს, სულ ერთი წამით... მაგრამ იმ წამში უკვდავება ვიგემეთ სრული... ჩვენ ყველა გრძნობა, ყველა განცდა უცებ დავცალეთ... და იმ კოცნაში ამოვხადეთ ყველაფერს სული... SWEET-GIRL.

• ეს იყო შორეულ ბავშვობაში. მაშინ 13 წლის ვიყავი. ზაფხული იყო. სოფელში მივდიოდი და ჟურნალი ვიყიდე. კითხვას რომ შევეყევი, „რეალური“ აღმოვაჩინე. მაშინ მარი ზურაზე და ნატალიზე წერდა. მერე — „გზავნილები“ და მორჩა! დიაგნოზი მალე დამესვა: მგზავნელომანია შემეყარა. მახსოვს პირველი მესიჯის სიხარული, რამდენიმე წლის განმავლობაში სახლში დამალული ჩემი ნიკი, ხუთშაბათის მოლოდინის ბევრი კარგი და სამწუხაროდ, ცუდი მოგონებაც, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ „გზამ“ ჩემთვის ბევრი კარგი მოიტანა, თუნდაც იმიტომ, რომ ამისრულა აუხდენელ ოცნებად დარჩენილი ბავშვობის ოცნება და მაჩუქა და — ნესი-ნესუკა (ყოფილი მარტოსული), ჩემი დიდი ძამიკო — FILIPPO, რომელიც ძალიან მენატრება და მიყვარს და დუჩი — ჩემი ყველაზე, ყველაზე... :) ვიპოვე არაჩვეულებრივი ადამიანები: როკო, ნელკა, მონასტრის ბიჭი, რომლებიც არაჩვეულებრივები არიან მართლაც და მიინდა, ყველას დიდი სიყვარული გისურვოთ, „გზას“ კი გამრავლება და კიდევ უფრო და უფრო საინტერესო გახდეს ჩვენი ჟურნალი. მიყვარხართ ყველანი. ეშმაკუნა.

• რომელმან შექმნა ჟურნალი, შარმითა მის მიერითა, სახელად მას „გზა“ უწოდა, სხვა იყო მთლად იერითა, ხალხმა განხილვა დაიწყო, აზრითა ზღვამშიერითა, ჟურნალი გამორჩეული არის მუზათა ფერითა. რუბრიკები აქვს რჩეული, იტევს მრავალსა თემასა, თავმოყრილია ცნობები, სიტყვა ეძლევა ყველასა, ხალხს უყვარს ესე ჟურნალი, ვითარც ქათამი მელასა, ვინც მისსა გემოს გაიგებს, ვერ ანაცვალებს ვერასა. როგორც ყველას და ყველაფერს, ამ ჟურნალსაცა აქვს გული, „გზავნილებია“ სახელად, მისახედრად — არა რთული. მგზავნელნი სისხლის ძარღვებად მუშაობენ ვითარც „რული“. ამას ვერ შეცვლის ვერც ქრთამი, ვერა ოქრო, ვერა ფული. ამ თვისა ბოლოს ჟურნალ „გზას“ უსრულდება 10 წელი, კიდევ ახალსა რუბრიკებს ინტერესით უფრო ველი. იდღეგრძელეთ... მის გაზრდაში მოგიმართოთ ღმერთმა ხელი, მის რეალი ვწერ ამ სტროფებს, რითმა მიპყრობს ლექსის მწველი. მის რეალი. P.S. მარის, ჟურნალის რედაქციას, უბრალო მკითხველებს და მგზავნელებს გილოცავთ 10 წლის იუბილეს. :) HAPPY BIRTHDAY TOOO YOUUUU!

გზავნილები

• მოვიკითხავ ფლამინგოს, CRAZY-ს, მაესტროს, უზნეოს, მანაველს, სესის, ლუნას, 9717, დაბრუნდი, პლიზ, აბეზარავ, სად დამეკარგე? ყველა მენატრება, ვინც დაგვტოვა. მიყვარხართ. ედელვაისი.



გილოცავ!

• ASHLEY, საყვარელო, დაბადების დღეს გილოცავ. გაიზარდე დიიდი გოგო. ფლამინგო, შენ გზაში ჩემი სიმდიდრე ხარ. რუისპირო, მიყვარხარ. კლეოპატრა და სოფი17, გაიხარეთ. ჭრიჭინა.

• ლორელაი, გილოცავ პატარას დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარდოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ. მეც მიყვარხართ. ტირიფი73.

• ლილოში, ლოჭინის დასახლებაში ტარიელ ზათუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 მარტს! თაია, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და სოფოსთან ერთად.

• ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო რომანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 მარტს. უკვე 3 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძამიკოსთან და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. გულიკო მამიდა.

• ჩემს საყვარელ მამას, მიშიკო მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. შენი შვილი, ცირა.

• ხაშურში მცხოვრებ ლაშა კურტანიძეს ვულოცავ 29 მარტს, 24 წლის იუბილეს. ლაშ, გისურვებ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. ნინია (ნინო ივანიძე).

• ელენე წიკლაურს ვულოცავ 25 მარტს, დაბადების დღეს. ელი, საყვარელო ადამიანო, დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. თინი.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **Guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე **8884**. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **Guli 18-10** და გაგზავნეთ **8884**-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ჯი ასეთია:

„ჩემი ურგებბი ხალათი ქმარს, ქმარი — „შკაფს“

დასაწყისი იხ. გვ. 34

მოკლედ, პაემანზე წასასვლელად მზად ვიყავით და ისღა დაგვრჩენოდა, შინიდან გასვლის წინ კართან სამჯერ დავტრიალებულიყავით, ზღურბლისთვის მარჯვენა ფეხით გადაგვებიჯებინა, მხარს ზემოთ სამჯერ გადაგვეფურთხებინა (ეს მარგარეტის რჩევები არაა, ბებიაჩემი მარიგებდა, — თუ მნიშვნელოვან საქმეზე მიდიხარ, ასე უნდა მოიქცეო) და ნიზას ბედის საძებნელად წავსულიყავით.

შეხვედრა შედგა. დანიშნულ ადგილზე დიდი ჯიპი გველოდა. მანქანა უკან მივუყენე და დაველოდეთ, როდის ინებებდა გარეთ გადმოსვლას ბატონი „სასიძო“. როგორც ჩანს, უკანა ხედვის სარკეში დაგვინახა და მანქანიდან გადმოვიდა. თვალით ავზომეთ ერთმანეთი ორივე მხარეს. ნიზას შევხედე. სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა. მამაკაცმაც ისეთი სახე მიიღო, დარწმუნებული ვარ, რომ არ მორიდებოდა, ტუჩებსაც მოილოკავდა. ხელი ჩამოგვართვა და მცირეხნიანი მოკითხვის შემდეგ თავისი მანქანით გასეირნება შემოგვთავაზა. დავთანხმდით და მასთან გადავინაცვლეთ. გეზი მცხეთისკენ აიღო. სასიამოვნო მოსაუბრეც აღმოჩნდა და უცებ გავშინაურდით.

ძველი დედაქალაქი დავათვალიერეთ (თითოეულმა ალბათ მეათასედ) და რესტორანში შევედით.

აქ იწყებოდა მთავარი „განყოფილება“, რომელიც კახასთვის გადამწყვეტი იქნებოდა და რომელზეც ნიზა მთელ იმედებს ამყარებდა. ქალბატონი მარგარეტის მიერ შექმნილ „სახელმძღვანელოში“ ეწერა, რომ თუ გინდა გაიგო, „ის ის არის“, მაშინ მამაკაცს ინტერვიუ უნდა ჩამოართვაო. ჰოდა, ჩემი საქმეც ეგაა, ინტერვიუების მეტი რა გამიკეთებია, წლების განმავლობაში (თუმცა, გათხოვებაზე არ მოქმედებს)?

ნიზას მარგარეტისეული, დასასმელი კითხვები წინასწარ ჰქონდა დაზეპირებული და შესაფერის მომენტს ეძებდა, რომ „ინტერვიუ“ დაეწყო. რამდენიმე ისეთი კითხვაც ჰქონდა, რომელიც მე დამაზეპირებინა (თვითონ მათი დასმა ეუხერხულებოდა) და ახლა, მომტანის მოლოდინში, ხანდახან ფეხს გამკრავდა ხოლმე, დაიწყეო.

— ძალიან მშია, — წუწუნებდა კახა.

ჩვენც გვშიოდა, რადგან ამ მზადებასა და ფაციფუცში წახემსებაც დაგვავიწყდა.

ორივე ნერვიულობდა, შიმშილისა თუ უხერხულობის გამო, მე კი არხეინად ვიჯექი და ვაკვირდებოდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ცოდვა გამხელილი ჯობია და თან გონებაში უკვე „სიტუაციას“ ვალაგებდი და ნათლად ვხედავდი, როგორ დავწერდი ამა თუ იმ მომენტს.

— ღმერთი გწამთ? — დასვა პირველი კითხვა მოთმინებაგამოლეულმა ნიზამ.

— ძალიან გშიათ და გაგაწვალეთ, არა? — სინდისის ქენჯნა იგრძნო კახამ...

ბუნებრივიც იყო, რომ იმ მომენტში კახამ ეს კითხვა სხვაგვარად გაიგო. ნიზამ გადმომხედა. მე კი სიცილი ძლივს შევიკავე.

— კახა, რა დღესასწაულებს აღნიშნავთ ხოლმე და ვისთან ერთად? — არ ეშვებოდა ჩტო.

— ჩემთვის სულ დღესასწაულია, თქვენისთანა მანდილოსნებთან ურთიერთობა, — მეც გამრია „საქმეში“, — ამიერიდან მხოლოდ თქვენთან ერთად აღვნიშნავ, ყველა დღესასწაულს.

დამაიმედებელი ტექსტი იყო, მაგრამ ეს ის არ იყო, რისი გაგონებაც ნიზას უნდოდა. ამიტომ, უკმაყოფილოდ აიბზუა ტუჩი.

— დიდ ქალაქში გირჩევნიათ ცხოვრება თუ სოფლად?

— დიდ ქალაქში, რა თქმა უნდა, — კახამ სერიოზული სახე მიიღო.

ამასობაში მიმტანმა შეკვეთაც მოიტანა და მამაკაცმა პირველი სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, სიკეთის მომტანი ყოფილიყოს, — სასმელი უცებ გადაკრა და ნიზას ქათმის ხორცი შესთავაზა.

— სიკვდილით დასჯაზე რა აზრის ხართ? — შესცინა ნიზამ.

— ქათამს თუ გულისხმობთ, არა მგონია, ის რაიმე დანაშაულისთვის დაესაჯათ. უბრალოდ, წესია ასეთი. ადამიანი ქათამს იმიტომ ზრდის, რომ შემდეგ დაკლას, შეწვას, მიირთვას და ისიამოვნოს.

მდაა, ვატყობდი, „ინტერვიუ“ ისე არ ვითარდებოდა, როგორც საჭირო იყო და აუცილებლად უნდა ჩავრეულიყავი. კახას ნამდვილად არ ჰქონდა მარგარეტის წიგნი წაკითხული და აზრზე არ იყო, როგორი პასუხები უნდა გაეცა.

— თუ არ ვცდები, თქვენ თავადური გვარის წარმომადგენელი ბრძანდებით, ხომ? — გამახსენდა მარგარეტის შეგონება იმის შესახებ, რომ მამაკაცს თავის ქების საშუალება უნდა მისცე.

— დიახ, — სახე გაებადრა კახას, — ბაბუაჩემის ბაბუა ძალიან მდიდარი იყო, დიდი გავლენაც ჰქონია თურმე, რუსეთში რომ ჩადიოდა, მეფის კარზე იღებდნენ, დიდი პატივით. ბაბუაჩემის მამაც საკმაოდ გავლენიანი კაცი ყოფილა თურმე, დიდი მამულები ჰქონდა და მერე გააკულაკეს. ბაბუაჩემი დიდ თანამდებობაზე მუშაობდა, რაიკომის თავმჯდომარედ დანიშნეს იმის გამო, რომ მამამისს გადაუდგა და დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, ოპოზიციაში ჩაუდგა. მამაჩემი ტრესტის მმართველი იყო, მილიონების პატრონი, მაგრად ვცხოვრობდით, საქართველოს ყველა ქალაქში, მოსკოვსა და პეტერბურგში სახლები გვქონდა, მე კი...

„უმალვე შეაწყვეტინეთ მონოლოგი, თუ იგრძენით, რომ თქვენი მეგობარი სიმართეს არ ლაპარაკობს. მაგალითად, თუ გიმტკიცებთ, რომ აქვს მილიარდი დოლარი, რომ დედოფალ ვიქტორიას ვაჟიშვილია ან რომ მას ეკუთვნის პენიცილინის აღმოჩენა, მაშინვე უთხარით, რომ არ გჯერათ მისი“.

— თქვენ მე მგონი, იტყუებით, — გავიხსენე მარგარეტის რჩევა და შევაჩერე, სანამ კიდევ რამეს იტყოდა.

— ჰო, ვიტყუები, მართალია, თავის მოწონება მინდოდა, — დაიმორცხვა კახამ და უცებ აღიარა „დანაშაული“, — სინამდვილეში, მართლა ასე იყო, როგორც გითხარით, მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბებში.

— ყველაზე მეტად რომელი ნათესავი გიყვარდა? — ნიზამ ჩამომართვა სიტყვა.

— ბებია.

— ბავშვობის დაბრუნება გინდა? — ინიციატივა მე ავიღე.

— კი, როგორ არა.

— ზაფხულს ვისთან ერთად ატარებდი? — ფაქტობრივად, ჯვარედინ დაკითხვას ვუწყობდით.

— ბებიასთან ვისვენებდი ხოლმე და იქ ჩემი ბიძაშვილებიც იყვნენ, — ხუთოსანი მოსწავლესავით უპასუხა კახამ და მე შემომხედა. ლოგიკურად, ჩემი ჯერი იყო, კითხვის დასმის.

— მოწიფულობის რომელი ეტაპი მიგაჩნია უფრო მნიშვნელოვნად? — იმედი არ გავუცრუე და კითხვა უმალ შევაგებე. თუმცა, ეს ყველაფერი უკვე საშინლად მაღიზიანებდა, მაგრამ ნიზას დაყინებული მოთხოვნის, თვალების ბრიალისა და მინიშნებების გამო ვაგრძელებდი თამაშს.

— რა ასაკში ჩაგეხრინწა ხმა? — როგორც ჩანს, „მოწიფულობის ხანა“ რომ გაიგონა, ნიზას მარგარეტის შემდეგი კითხვა გაახსენდა და წინა კითხვაზე პასუხიც არ დააცადა, ისე დასვა შემდეგი.

მაგიდასთან სიჩუმე ჩამოვარდა. კახამ ხან მე შემომხედა, ხან — ნიზას...

— ცამ... ჰმ, — ჩაახველა, — ცამე... ჰმ, — ისევ ჩაახველა, — ცამეტი წლის ასაკში, — სწორედ ისეთი ჩახლეჩილი ხმით თქვა, როგორც მაშინ ჰქონდა ალბათ.

— ცოლი არ გყოლია არასოდეს? — ისევ მე დავეხმარე ნიზას.

— არა, არ მყოლია, რადგან ქალებთან დაკავშირებით ცოტა სხვანაირი აზრი მაქვს. მიმაჩნია, რომ მამაკაცმა ცოლი გვიან უნდა მოიყვანოს.

— გოგონებს რა ასაკში მიაქციე პირველად ყურადღება?

— დაბადებიდან ვაქცევდი! — ძალიან თავდაჯერებულად თქვა, „რესპონდენტმა“, — როგორც დედაჩემი ამბობდა, თურმე, სულ პატარა ვიყავი, როცა ქალებს დავდევდი დასაბურჯგნად. ისე კი 10 წლიდან უკვე თვალებს ვუბრიალებდი გოგონებს. არა, მახსოვს, 8 წლის ვიყავი, როცა დედამ მუსიკის მასწავლებელთან მიმიყვანა. ჰოდა, მას ბავშვად მივაჩნდი. გაკვეთილზე რომ მივდიოდი, მასწავლებელი პენუარში მხვდებოდა. ინსტრუმენტთან რომ დავჯდებოდი, ისიც გვერდით მეჯდა. ხალათი გაეხსნებოდა ხოლმე და ცალკე მკერდი უჩანდა, ცალკე — ფეხები. ვიტანჯებოდი. ძალიან მინდოდა მისი შიშველი ადგილებისთვის მეყურებინა, მაგრამ როგორღა დავუკრავდი? ამიტომ, ეშმაკობას მივმართე. შინ ნაწარმოებს ზეპირად ვსწავლობდი, გაკვეთილზე კი გადასარევად ვუკრავდი, თან მასწავლებელს ვათვალიერებდი ხარბი მზერით. ასე რომ

მგონი 8 წლის ასაკში დავინტერესდი ქალებით სერიოზულად, — ძალიან გულახდილი პასუხი გაგვცა.

— შეგიძლია, რამდენიმე მამაკაცი გაიხსენო, ვინც შენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა?

— კი, მამა, ბაბუა და კიდევ ერთი მამაკაცი, ვინც პირველი სექსუალური გამოცდილება მიმაღებინა, — გულიანად გაიცინა კახამ.

— ოდესმე გინდოდა, გოგო ყოფილიყავი? — ძალიან უცნაური კითხვები აქვს ამ მარგარეტს, ჩემი აზრით, მაგრამ ნიზა თავს ვალდებულად მიიჩნევს, მაინც დასვას.

— გაწყენინე რამე? — თვალები ააფახულა კახამ, — შენ წეღან სხვა რამე ხომ არ იფიქრე? სექსუალური გამოცდილების მიღებაში ის ვიგულისხმე, რომ იმ კაცმა ქალებში წამიყვანა, თორემ... მე გენაცვალე, ნამდვილი მამაკაცი ვარ და ვინმეს რამე არ შეეშალოს.

— არა, რას ბრძანებთ? — დაიბნა ნიზა, — ეგ არ მიგულისხმია. უბრალოდ, დავინტერესდი.

— არასოდეს მდომებია ქალობა და არც ახლა მინდა! — ძალიან მტკიცედ თქვა.

— რატომ? — ეს კითხვა „სახელმძღვანელოში“ არ ეწერა, მაგრამ მაინც დაუსვა.

— იმიტომ! — საკმაოდ „არგუმენტირებული“ პასუხი გასცა მამაკაცმა.

— პირველი პაემანი როდის გქონდა?

— არ მახსოვს.

— ვისთან?

— ალბათ გოგოსთან.

— იმის მერე ვის ხვდებოდი კიდევ? — არ ისვენებდა ნიზა და არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ფეხს ფეხზე ისე ვაჭერდი, როგორც გაქანებული მანქანის მძღოლი — მუხრუჭის სატერფულს, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა.

— ნანას, ლიას, მადონას, ვალიას, კატიას, მაგრამ ეს არა მგონია, საინტერესო იყოს.

— რომ შეგეძლოს გახდე ის, რაც გსურს, რას აირჩევდი?

— დიდი სიამოვნებით გავხდებოდი შენი ქმარი.

— ვინ გაგანათლა სექსის საკითხებში? — წინა პასუხით კმაყოფილმა ნიზამ უადგილო შეკითხვა დასვა...

არა! ეს არ უნდა ეკითხა! მაგრამ გაფრენილ სიტყვას უკან ვერ დააბრუნებ...

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებ! — კახა როგორც ჩანს, შეეგუა იმას, რომ კიდევ უამრავ კითხვაზე მოუწევდა პასუხის გაცემა და ტაქტიკა შეცვალა. თუ აქამდე კითხვას არ აგდებდა, ახლა უკვე არჩევით დაიწყო პასუხების გაცემა.

— რა შეხედულების ხარ სექსზე? ვინ უნდა ასწავლოს სექსი და ვინ უნდა მიიღოს სიამოვნება? — თავისას უბერავდა ნიზა და მისი საქციელი ძალზე მაღიზიანებდა.

— ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. თუ საქმე ისე წავიდა, რომ შენ მასწავლი სექსს, მაშინ არა მგონია, ჩვენი ოჯახი შედგეს, — დანანებით დააქნია თავი.

— რამე თუ აგიშენებია?

— მე უკვე გითხარი, რომ სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელი ვარ და თუ არ ამიშენებია, აბა რა გამიკეთებია?

— მოდი, შემდეგი სადღეგრძელო შემოგვთავაზე, — ინიციატივა ავიღე, რადგან მივხვდი, კახას ჩემზე მეტად აღიზიანებდა შექმნილი სიტუაცია.

— მოდი, შენ თქვი, — მე დამითმო თამადობა.

— იცი, მე მინდა, ნატურალური და საღი ურთიერთობა ვადღეგრძელო, მარგარეტის დედაც, ჯეკ! — დავაყოლე ბოლოს.

— ეს მარგარეტი ვინაა? — იკითხა კახამ, როდესაც ჭიქა გამოცალა.

— ეს მარგარეტი ერთი ქალია, რომელიც გასათხოვარ ქალებს საშინელ რჩევებს აძლევს. მოდი, გულახდილად მითხარი, რა კითხვებიც მოისმინე, მოგეწონა?

— არა.

— მაშინ ახლა ნიზამ რომ შემოგთავაზოს, ბალახზე ფეხშიშველმა ვიაროთო, რას გაიფიქრებ? — ყურადღება არ მივაქციე ნიზას მუჯლუგუნებს.

— ვიფიქრებ, რომ ცოტა ვერაა და თავში უქრის, — კიდევ კარგი, არაფერი წამოსცდა.

— ჩემთან რედაქციაში რომ მოგიყვანოს იმის სანახავად, როგორ ვმუშაობ, ამაზე რას იტყვი?

— რაში მაინტერესებს? მზა პროდუქციას უფრო დიდი სიამოვნებით გავეცნობი და დაბეჭდილ ჟურნალს წავიკითხავ, ვიდრე მისი მომზადების პროცესს.

— საყურიან ქალს თუ აკოცებ? ან ბიბლიოთეკაში თუ დადიხარ?

— საყურიან ქალს რატომ არ უნდა ვაკოცო ვითომ? ბიბლიოთეკაში კი ნამდვილად არ დავდივარ.

— ნიჩბოსნობის სექციას თუ სწყალობ?

— მარი, გეყოფა! — სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა ნიზამ...

— რატომ მეყოფა? ჯერ კიდევ ბლომადაა კითხვები. მაგალითად, საინტერესოა, რას ფიქრობს ბატონი კახა აბორტზე, ვინ შეწუხდება მისი ურიგო გარეგნობით, ვის უმალავს ნამდვილ ფინანსურ მდგომარეობას, ვის უმალავს სასიყვარულო საქმეებს, მისი გულისკენ მიმავალი გზა მართლა კუჭზე გადის თუ სხვა ორგანოზე, ვის უმალავს ემოციურ კონფლიქტებს... — ვეღარ გამაჩერა ნიზამ, — გვიპასუხეთ, ბატონო კახა, კიდევ გვაქვს კითხვები და დაჩქარეთ, თუ შეიძლება, წასვლამდე უნდა მოვასწროთ. ამოიღე „შპარგალკა“, — მივმართე ნიზას.

ის როგორც ჩანს, მიხვდა ჩემი გაღიზიანების მიზეზს და ფურცელზე ჩამოწერილი კითხვები უხმოდ დამიდო წინ.

— აი, კითხვები და შეგიძლიათ, წერილობით გვიპასუხოთ, — მივუჩოჩე ფურცელი კახას.

იმან გადახედა კითხვებს და მერე ხმამაღლა გადაიხარხარა.

მე და ნიზამ ერთმანეთს გადავხედეთ. ჯერ გაგვეღიმა, მერე ჩვენც ავყევით... გულიანად ვიცინეთ და ძლივს დავწყნარდით.

— მოკლედ, ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. ნიზა ხელმძღვანელობს ვინმე მარგარეტის რჩევებით, შენ კი ამის წინააღმდეგი ხარ...

— დიახ.

— ჰოდა, მართალი ხარ. რა საჭიროა, ეს კითხვები და რჩევები? ბუნებრივად როცა ხდება ყველაფერი, მაშინ გაცილებით კარგად გამოდის. ნიზა, დამიჯერე, მაგ კითხვებით ჩემი პიროვნების გამოცნობა გაგიჭირდება. ჯობია, მეორე პაემანზე შევთანხმდეთ, მარის გარეშე ან მარისთან ერთად, თუ გსურს და ნახავ, უფრო გაგიიოლდება ჩემი ამოცნობა. მე კი ამ უცნაური კითხვების მიუხედავად, მაინც მომეწონე. ვხვდები, რომ ტანისამოსიც მარგარეტის რჩევებით შეარჩიე და გაოცებამაც გამიარა... პირველად რომ დაგინახე და შეგათვალიერე, გავიფიქრე, ნეტავ, უსამკაულოდ რატომაა, ნუთუ ბიჟუტერიაც არ ჰქონდა რომ დაებნია-მეთქი? მოკლედ, შევეშვათ მარგარეტს და ჩვენს ცხოვრებას მივხედოთ. რას იტყვი? — კახამ მისი ხელი აიღო და თვალებში შეხედა.

— მე ახლავე დავბრუნდები, — ვთქვი და გარეთ გამოვედი.

გაზაფხულის წვიმიანი, ქარიანი და სუსხიანი ამინდი იყო, მაგრამ მე მაინც რაღაც მიხაროდა...

რა? მგონი, ჩემმა მეგობარმა მეორე ნახევარი იპოვა! ტაქსი დავიჭირე და ჩემს მანქანასთან მივედი...

კახას კითხვაზე რა უპასუხა, დღემდე არ ვიცი, არც არავის დაურეკავს ჩემთვის, სად დაიკარგე, რატომ აღარ დაბრუნდი სუფრასთანო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს... ნიზას ღიმილიანი სახე და გაბრწყინებული თვალები იმის დასტურია, რომ რაღაც სასიამოვნო ხდება ჩემი მეგობრის ცხოვრებაში... ■

ფაიმ-აუტი

ციხიდან გაქცევის ორიგინალური მცდელობები

ახალზელანდიელმა დამნაშავეებმა — 20 წლის რეან პეტიმ და 21 წლის ტირანარა უაიტმა, განაჩენის გამოტანის შემდეგ, სასამართლოდან გაქცევა გადაწყვიტეს. ისინი ერთმანეთთან ხელბორკილებით იყვნენ გადაბმულები. ბიჭები სასამართლოს შენობიდან გაიქცნენ, განათების ბოძს გვერდი აუარეს და ერთმანეთს შეასკდნენ...

ციხიდან გაქცევის მიზნით, 21 წლის ბრიტანელმა 21 კგ დაიკლო, მოხერხებულად გადაძვრა მაღალ ჯებირზე და ეკლიან ჯაჭვებს შორისაც გაძვრა.

ქურდობაში ეჭვმიტანილ 28 წლის მაიკლ ჰილს პოლიციელებმა ხელბორკილები არ დაადეს, რადგან ვერ წარმოედგინათ, თუ პროთეზიანი ფეხით (მას ერთ-ერთი ფეხი ამპუტირებული ჰქონდა) გაქცევას შეძლებდა და ძალიანაც შეცდნენ, მაიკლი მათ ხელიდან დაუსხლტა.

მორწმუნე იტალიელმა პატიმარმა რომის პაპთან შეხვედრა ითხოვა. ვინაიდან, ის კარგი ქცევებით გამოირჩეოდა, სურვილის ასრულებას შეჰპირდნენ. პატიმარი მცველებს გზიდან გაექცა.

ამერიკელმა რიჩარდ ლი მაკნეირმა ციხიდან გაქცევის უამრავი მეთოდი გამოიყენა: იცვლიდა გარეგნობას, ფოსტის ყუთით იპარებოდა, ბადრაგებს გაურბოდა, მაგრამ თავისუფლებაზე მხოლოდ რამდენიმე წელს ატარებდა და დანაშაულის ჩადენისთვის ისევ ციხეში ხვდებოდა.

ერაყის ენერგეტიკის ექსმინისტრი ალ-სამარაი, რომელიც ციხეში სახელმწიფო თანხის მითვისებისთვის გამოკეტეს, ციხიდან გაიქცა და ქვეყანა თვითმფრინავით დატოვა. მოგვიანებით, ის თავად დაუკავშირდა The New York Times-ის ჟურნალისტებს და ინტერვიუზე შეუთანხმდა.

კითხვაზე, — თუ როგორ მოახერხა ციხიდან გაქცევა? ალ-სამარაიმ მოკლედ უპასუხა: „ჩიკაგოურად“. ქურდული სამყაროს ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ ახსნა, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი. ■

ადამიანის საოცარი სხეული

* სპექტროსკოპული გამოკვლევით დადგინდა, რომ ადამიანის ორგანოები სხვადასხვა მეტალს შეიცავს. მაგალითად: გული — რკინას, სპილენძს, ალუმინს; ფილტვები — სპილენძს, ალუმინს, ტიტანს; კუჭქვეშა ჯირკვალი — კობალტს, ნიკელს, ტყვიას; ღვიძლი და თირკმლები — სპილენძს, ტყვიას, ვერცხლს; ელენთა — ვერცხლს, სპილენძს, კალას; ტვინი — კალას; ფარისებრი ჯირკვალი — კალას, ვერცხლს, სპილენძს, თუთიასა და ტყვიას.

* გერმანელი მეცნიერების აზრით, 20 წლის განმავლობაში ადამიანის სიმაღლე 7-10 სმ-ით გაიზარდა. დღეს 10 წლის ბიჭი 12-14 სმ-ით უფრო მაღალია, ვიდრე 80 წლის წინ მცხოვრები მისი თანატოლი; დღეს 1 წლის ბავშვი 5 სმ-ით მაღალი და 2 კგ-ით მეტია, ვიდრე 1900 წელს დაბადებული ბავშვი.

* დედამიწაზე დაახლოებით, 3 მლნ ლილიპუტი ცხოვრობს. ლილიპუტად მიიჩნევა ადამიანი, რომლის სიმაღლეც 20 წლის ასაკში 1,35 სმ-ს არ აჭარბებს. ლილიპუტების 40 პროცენტი ნორმალური სიმაღლის ადამიანზეა დაქორწინებული და მათ საშუალოზე მაღალი შვილები უჩნდებათ. ინგლისში მცხოვრებ ჯუჯა წყვილს — რობერტ და ჯუდიტ სკინერებს — 14 ახოვანი შვილი ეყოლა. ანთროპოლოგიაში ცნობილია 15 ჯუჯა, რომლის სიმაღლე 101,6-დან 38 სმ-მდეა.

* სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით, თითოეულ სახელმწიფოში, 10 ათას მოსახლეზე 1-დან 5 გიგანტი იბადება, რომლის სიმაღლემაც შესაძლოა, 2,5-დან 3 მეტრს მიაღწიოს.

* თუ ადამიანი 70 კგ-ს იწონის, აქედან 40 კგ წყალს უკავია. ამიტომაცაა, რომ ადამიანი წყურვილს უფრო ცუდად იტანს, ვიდრე — შიმშილს. ■

იცით, თუ არა, რომ...

ძველ საბერძნეთში, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე IV-V საუკუნეში სმის კულტი არსებობდა. სადღესასწაულო სუფრაზე დაგვიანება აკრძალული იყო და თუ ვინმეს მაინც შეაგვიანდებოდა, მას საჯარიმოს ასმევდნენ. ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა.

ღვინის დასალევად განკუთვნილი თლილი ჭიქა 1943 წელს, ვერა მუხინას ესკიზებით შეიქმნა, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ ჭიქის დიზაინი მხატვარ კაზიმირ მალევიჩს ეკუთვნის. ჭიქა იმითაცაა გამორჩეული, რომ სიმაღლიდან გადმოვარდნის დროსაც არ ტყდება.

სუფრაზე ცარიელი ბოთლების დატოვება არ შეიძლება, მაგრამ ბევრმა არ იცის, რატომ — ეს ჩვეულება საფრანგეთიდან დაბრუნებულმა კაზაკებმა დაამკვიდრეს. ფრანგი ოფიციანტები კლიენტებს ფულს მაგიდაზე დარჩენილი ბოთლების მიხედვით ახდევინებდნენ და ერთხელ, ერთმა გონიერმა კაზაკმა ცარიელი ბოთლების ნაწილი მაგიდის ქვეშ დამალა. ■



...ტოკიოს ოლიმპიური თამაშებ-ის ფინალში ქართველი რომან რურუა და უნგრელი იმრე პოია-კი ჭიდაობდნენ. რურუას 22 წელი ჯერაც არ შესრულებოდა და იგი ამ რანგის ასპარეზობისთვის დე-ბიუტანტი იყო, უნგრელი კი გასუ-ლი საუკუნის 50-60-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს ფალავნად მიიჩნეოდა: ცხრაჯერ გამოსულა იგი ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ტურნირებში და უმედლოდ არასდროს დარჩენილა. უფრო მეტად, მსოფლიოს ჩემპი-ონატებში უმართლებდა, რომლებ-შიც ჩემპიონის ტიტულს სამჯერ დაეუფლა. აი, ოლიმპიურ თამაშებში კი ერთთავად ვერცხლის მედალს სჯერდებოდა. სამჯერ გავიდა უნგრელთა კერპი ოლიმპიურ ფი-ნალში და სამივეჯერ დამარცხდა. მელბურნში კი გადამწყვეტი შეხ-ვედრა ქართველ ფალავანთან — რომან ძნელაძესთან წააგო, თანაც — ყველასათვის მოულოდნელად...

გოგი ფრანგიშვილი

...ახლაც, ტოკიოს ოლიმპიადის ფინალში კიდევ ერთ ქართველთან — რომან რუ-რუასთან დამარცხება მისთვის ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა. მადიარი კარიერას ამთავრებდა, ასაკში იყო და შემდგომ, საჭიდაო ხალიჩაზე აღარ გამოვიდოდა. როგორც ჩანს, მსაჯებიც თანაუგრძნობდ-ნენ და ქვეცნობიერად, პოიაკის გამარჯვე-ბა სურდათ. უნგრელს ფრეც ჰყოფნიდა ოქროს მედლის მოსაპოვებლად და საბ-ოლოოდ მიაღწია კიდეც მიზანს.

რომან რურუა:

— დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის სავსებით გასაგებია მსაჯების საქციელი. თუმცა რეალურად, ის შეხვ-ედრა 4:0 მე მოვიგე. მახსოვს, ხალიჩის კუთხეში ვიდექი და ჩემთვის ვფიქრობ-დი: ეს არის თქვენი სახელოვანი ფალა-ვანი?! ამან ხომ ვერ მაჯობა, ესაა ოლიმ-პიადის ფინალი?!. მაშინ მხოლოდ ვერცხ-ლის მედალი მერგო. გამწარებული ვიყავი, არავისთან ლაპარაკი არ მინდოდა, მა-გრამ შემდეგ ოლიმპიურ სოფელში თა-ვად იმრე პოიაკი მოვიდა ჩემთან და საბ-ჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთ-ნელთან, ვიაჩესლავ კოჟარსკისთან შეხვე-დრა ითხოვა. ბოდიში მოიხადა. ჭიდაობას თავს ვანებებ, ხოლო შენ ახალგაზრდა ხარ და ჩემპიონი კიდევ გახდებიო. კონიაკი ამოიღო, ერთმანეთი დავლოცეთ და მე-გობრულად დავშორდით. კაცურად მოიქ-ცა მაშინ. წლების შემდეგ ბუდაპეშტში რომ ჩავედი, აეროპორტში დამხვდა, სახ-ლში დამპატიჟა, თავისი ჯილდოებიც დამ-ათვალიერებინა. მეუბნება, — აი, ჩემი ოქროს მედალიო... სინამდვილეში, ის მე მეკუთვნოდა. არა უშავს, ასეთივე მე მეხ-იკოში მოვიპოვე.

15-16 წლის ბიჭი იყო რომან რურუა, სოფლიდან თბილისში რომ ჩამოვიდა. ეროსი მანჯგალაძის რადიორეპორტაჟე-ბით მოხიბლულს, ფეხბურთელობა უნ-დოდა. საკმაოდ კარგადაც თამაშობდა, მაგრამ როდესაც დაინახა, მწვრთნელები „მამიკოების ბიჭებს“ უფრო სწყალობდ-ნენ, გადაწყვიტა, სპორტის ისეთი სახეობა აერჩია, სადაც მხოლოდ მასზე იქნებოდა დამოკიდებული მისივე ბედი.

კლასიკურ ჭიდაობაში დაიწყო ვარჯიში საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთ-ნელთან, ნერსეს აკოფოვთან. ხელმოკლე ოჯახიდან იყო და თავი რომ ერჩინა, ცეცხ-ლფარეშად მუშაობდა. საღამოს სკოლა-ში დადიოდა, ხოლო შუალედებში ყოველდღიურად, ორჯერ ვარჯიშსაც ახერ-ხებდა. სპორტსმენისთვის საჭირო კვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ნორმალურად მხო-ლოდ მამიდასთან სადილობდა, კვირაში ერთხელ; ზოგჯერ კი მწვრთნელი ეპატიჟე-ბოდა სახლში.

ჯერ კიდევ პირველი წარმატებისათვის არ ჰქონდა მიღწეული, მუხლის მძიმე ოპერაცია დასჭირდა. „პეტრეს დარბაზ-ში“ რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა, თან კოჭლობდა და რომ შეხედეს, ზოგმა ისიც თქვა, — ამისგან აღარაფერი გამ-ოვაო. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა და გაორმაგებული ენერგიით დაიწყო ვარჯი-ში. თავს არ ზოგავდა, ოღონდაც დაემტ-კიცებინა, რომ დიდი ფალავანი დადგე-ბოდა.

ასეთ შრომას შედეგი არ გამოეღო, არ შეიძლებოდა. მონდომებული ჭაბუკის გარჯა სხვებმაც დაინახეს და როდესაც რურუა საქართველოს ჩემპიონი გახდა, ვიღაც უც-ნობი ყოველთვიურად 100 მანეთს უგზა-ვნიდა. კარგა ხანს ამ ფულისთვის ხელი არ უხლია. უცნობი რომ გამოჩნდება, დავუ-ბრუნებო, — ფიქრობდა, მაგრამ მერე მწვრთნელებმა დაარწმუნეს, — ეს სიკეთე შენივე წარმატებებით უნდა დააფასოო.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პირვე-ლად, 1966 წელს ამერიკულ ტოლიდოში მოიპოვა. ამასთან, მეტოქეებისათვის, რომ იტყვიან, შანსი არ დაუტოვებია. 6 შეხვე-დრა ჩაატარა იმ ჩემპიონატზე ქართველმა ფალავანმა და ერთი ქულაც არ დაუთმია მათთვის. თავად კი საერთო ჯამში, 82 მოაგროვა.

რომან რურუა:

— ჭიდაობის ჩემებური სტილი მქონ-და: ერთ ფანდს რომ გავაკეთებდი, მაშ-ინვე მეორეს მივაყოლებდი, შემდეგ — მესამეს და ასე, ილეთების კასკადით ვცდი-ლობდი, ქულები ზედიზედ ამეღო. აშშ-ში არც ერთ მოწინააღმდეგესთან არ გამ-ჭირვებია, არც შეიძლებოდა გამჭირვებო-და, რადგან ჩემს წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ მოვხ-ვედრილიყავი, მსოფლიოსა და ოლიმპი-ური თამაშების 5 ჩემპიონისათვის უნდა მომეგო. საბჭოური სკოლა მაშინ ძალზე ძლიერი იყო და ქვეყნის ჩემპიონატი პრაქ-ტიკულად, მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდებოდა. ტოლიდოში, ჩემ გარ-და, საბჭოთა კავშირის მოჭიდავეებმა კიდევ 3 ოქროს მედალი მოიპოვეს.

ოქროს მედალი რომან რურუამ მსოფ-ლიოს მომდევნო ჩემპიონატზეც, ბუქარ-ესტშიც დაისაკუთრა და ოლიმპიურ მეხ-იკოში მსოფლიოს ჩემპიონის ორი ტიტ-ულით ჩავიდა. საბჭოთა ნაკრებს სხვა წონით კატეგორიაშიც ჰყავდა მსოფლიოს ჩემპიონები, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა მხოლოდ ქართველმა ფალავანმა შეძლო.

ფინალამდე რომან რურუამ ზედიზედ 4 შეხვედრა წმინდად მოიგო. შემდეგ, თურქ ჰამირ ალაკოჩს და ბულგარელ დიმიტრ გალინჩევსაც სძლია და დასკვნით ორთაბრძოლაში იაპონელ ჰიდეო ფუძიმ-ოტოსთან ფრეც ჰყოფნიდა ოქროს მედ-ლის მოსაპოვებლად.

რომან რურუა:

— მეხიკოს მაღალმთიანეთში გან-საკუთრებული პირობები იყო, სუნთქვა ჭირდა. ადვილი შესაძლებელი იყო, ზედ-მეტი დატვირთვისგან სპორტსმენი გადა-ღლილიყო და გამოფიტულიყო. გუმანით ვიგრძენი, რომ არ უნდა მივარჯიშა. დას-ვენება ვარჩიე. ნაკრების მწვრთნელებს ავუხსენი ყველაფერი და წვრთნებისგან გათავისუფლება ვთხოვე. ჩემი სჯეროდათ და ძალა აღარ დამატანეს. ტურნირის დაწყებამდე მთელი კვირა ვსეირნობდი. ჩემს წონით კატეგორიაში რომ დაიწყო შეჯიბრებები, თავს კარგად ვგრძნობდი, თავისუფლად ვჭიდაობდი და გადამწყვეტ შეხვედრაში, ფუძიმოტოსთანაც მოსაგე-ბად გავედი. მე ფრეც ხელს მაძლევდა, იაპონელს კი აუცილებლად მოგება სჭირდ-ებოდა, ამიტომ ავანტიურაზე მოდიოდა. ზოგჯერ ასეთი რისკიანი ჭიდაობაც ამა-რთლებს, მაგრამ მე სიფრთხილე მმართებ-

და. მახსოვს, დაიწყო თუ არა შეხვედრა, სულმა წამძლია და თამამად დავიჭირე, თუმცა უცბადვე გავუშვი ხელი. გავუშვი თუ არა, კონტრილეთი გამიკეთა და 2 ქულა აიღო. მაშინვე ვუპასუხე, ჯვარედინი ჩავლებით ხალიჩაზე დავაგდე და ანგარიში გავათანაბრე. ფუძიმოტო ალალად ჭიდაობდა, კიდევ შეეცადა ფანდის გაკეთებას, მაგრამ მე ფრე მაძლევდა ხელს და ასე დამთავრდა კიდეც ფინალი. ჩემი ოქროს მედალი ოლიმპიადის ბოლო ჯილდო იყო. მეორე დღეს XIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო დახურვა მოეწყო.

მეხიკოში რომან რურუა ისეთი ენერგიით ჭიდაობდა, ექიმებს ეჭვი შეეპარათ მის პატიოსნებაში და დოპინგ-კონტროლზე ორჯერ გაიყვანეს. პირველმა შემოწმებამ დადებითი პასუხი რომ არ მისცა, ფინალის შემდეგ კიდევ სცადეს. განმეორებითი ანალიზის წინ მთავარმა სპეციალისტმა ჰკითხა, — დოპინგი ხომ არ მიგიღიაო? — დიახ, მივიღე, ახლავე მოვიტანო, — უპასუხა რურუამ და გასახდელიდან ჩვენებური „ბორჯომი“ მიარბენინა...

სინამდვილეში, რომან რურუა „დოპინგს“ მართლა იღებდა, ოღონდ — ნაღდს, ქართულს — შავ ღვინოს. შეკრებებზე სადილის დროს ენერგიის აღსადგენად ხშირად სვამდა ნახევარ ლიტრ ჩვენებურ ღვინოს. ამის უფლებას ნაკრების მწვრთნელები მხოლოდ მასა და ომარ ბლიაძეს აძლევდნენ.

ომარ ბლიაძე, *მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი:*

— 1969 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი არგენტინულ მარ-დელ-პლატაში ტარდებოდა. იმ ტურნირისთვის მეც და რომანიც ჩინებულად ვიყავით მომზადებულები. ორივე, ოქროს მედალზე ვფიქრობდით. რურუა უკვე ტიტულოვანი, გამოცდილი ფალავანი იყო და საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, ხოლო მე პირველად გამოვდიოდი მსოფლიოს ჩემპიონატზე და ძალიან მინდოდა, თბილისში ოქროს მედალი ჩამომეტანა. შავ ღვინოს, შეკრებების გარდა, ცოტ-ცოტას შეჯიბრებების დროსაც ვსვამდით. ქართული ღვინო ჩემთვის თილისმასავით იყო. ტურნირი კარგად დავიწყე, ყველა მეტოქე დავამარცხე, ფინალის წინ კი ჩემს თილისმას რომ მივადექი, ბოთლი ცარიელი დამხვდა. მივხვდი, რომანმა დალია... მე ჩემპიონი ვეღარ გავხდი, ვერცხლის მედალიღა მერგო, რურუამ კი თავისი მესამე ტიტული მოიპოვა.

მარ-დელ-პლატაში რომან რურუამ ჩემპიონატი ერთი შეხედვით, ადვილად მოიგო, მაგრამ გამარჯვებისთვის მას მეტოქეებზე მეტად, ჯერ საკუთარ თავთან, ხოლო შემდეგ — მსაჯებთან ბრძოლა დასჭირდა.

მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ მწვრთნელებმა ქართველ ფალავანს ზედა წონაში გადასვლის უფლება მისცეს. დიეტაზეც აღარ ფიქრობდა და საჭმელსაც გემო გაუგო, მაგრამ არგენტინაში გამგზავრებამდე მცირე ხნით ადრე ნაკრების ხელმძღვანელებმა, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ ქვემსუბუქ წონაში დაბრუნება მოსთხოვეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ რამდენიმე დღეში 8 კილო უნდა დაეკლო. 4 აქვე დაიკლო, დანარჩენი კი სამხრეთ ამერიკაში უნდა მოეშორებინა, მაგრამ საუნაში 3 საათი ისე იჯდა, წვეთი ოფლი არ გამოსვლია. ბოლოს ნებისყოფა დაძაბა, 130 გრადუსამდე გაზარდა ტემპერატურა და როგორც იქნა, სასურველ წონას მიაღწია.

აწონა კი გაიარა, მაგრამ გამოფიტული ორგანიზმით მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება საოცრად რთულია. პირველივე შეხვედრა დასავლეთგერმანელ ფავორიტ, ვერნერ ჰეტიშთან ჰქონდა. არ ჩქარობდა, თანდათან აგროვებდა ქულებს. ბოლო პერიოდის წინ კი, შესვენებისას, მწვრთნელებმა შეამჩნიეს, ტაბლოზე ქართველის ქულები გერმანელის გვარის გასწვრივ ეწერა — 0:9 აგებდა. საბჭოთა დელეგაციის პროტესტზე მსაჯებმა უპასუხეს, ყველაფერი სწორიაო და ჭიდაობის გაგრძელება ბრძანეს. სულ 3 წუთი იყო დარჩენილი.

რომან რურუა:

— დაიწყო თუ არა დასკვნითი პერიოდი, ჰეტიში მძლავრად დავიქნიე, ხალიჩაზე დავაგდე და მარწუხებში მოვაქციე. ზედიზედ რამდენჯერმე გადავატრიალე. გონზე მოსვლა ვერც მოასწრო, რომ ანგარიში უკვე 16:9 იყო ჩემს სასარგებლოდ. მწვრთნელები მეძახიან, — ბარეღამ ბეჭებზე დააწვინეო! აღარ გავრისკე, ენერგიის ზედმეტად დახარჯვა არ მჭირდებოდა, ისედაც სოლიდური უპირატესობით ვიგებდი. ფინალში შვედი ფერსტრემი დავამარცხე და მესამედ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი.

მსოფლიოს ჩემპიონატების ბოლო ოქროს მედალს რომან რურუა 1970 წელს კანადის ქალაქ ედმონტონში დაეუფლა.



კვლავაც ჩინებულად იჭიდავა. ფინალში რუმინელ პოპესკუს ასტრონომიული ანგარიშით — 22:2 მოუგო. იმხანად ქართველ ფალავანთაგან მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამდენი ოქროს ჯილდო არავის მოუხვეჭია. ამასთან, იგი ისეთ ლამაზ ფანდებს ატარებდა, რომ სამჯერ ჩემპიონატების საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს.

მსოფლიოს ოთხგზის, საბჭოთა კავშირის ექვსგზისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერა 1971 წელს დაასრულა და მაშინაც რურუასეული შეუდრეკელი ხასიათით ყველა გააოცა. საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის წინ, ორი კვირა მოსკოვის საავადმყოფოში იწვა. ხერხემალში წარმოქმნილი მარილის წანაზარდები ნერვს აწვებოდა და აუტანელ ტკივილს გრძნობდა. საავადმყოფოდან პირდაპირ დარბაზში წავიდა, ტკივილისაგან გაფითრებული გამოდიოდა ხალიჩაზე, მაგრამ შვიდივე შეხვედრა მოიგო და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მოიპოვა.

ხალხთა სპარტაკიადები იმხანად, ქვეყნის მთავარ შეჯიბრებად მიიჩნეოდა და იქ გამარჯვებით სპორტსმენები ოლიმპიური თამაშების საგზურებს ინაღდებდნენ. ქართველ მოჭიდავესაც წესით, თავის მესამე ოლიმპიადაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელებმა მიუნხენში მის ნაცვლად რატომღაც, უტიტულო შამილ ხისამუტდინოვი წაიყვანეს.

რომან რურუა:

— როდესაც გავიგე, რომ ოლიმპიადაზე არ მივყავდი, მაშინვე თბილისში გამოვფრინდი და თან წამომყვა ჩემი ცხვირსახოცი. ის განსაკუთრებული იყო — მასზე მსოფლიოს 4 ჩემპიონის სისხლი ეცხო — ჩემი, ვიქტორ იგუმენოვის, ვალენტინ ოლენიკისა და ვალერი ანისიმოვის. ბოლო სპარტაკიადა იგუმენოვმა სწორედ ამ ცხვირსახოცით მოიგო. ლატვიელ იმანტ კლინსტონთან ფინალური შეხვედრისას წარბი ისე გაუსკდა, რომ ამის გამო ექიმები ასპარეზობიდან ხსნიდნენ. ეს ცხვირსახოცი ვათხოვე და საბოლოოდ, გაიმარჯვა კიდეც... თბილისში ჩამოსულს, ვიქტორმა დამირეკა: ოლიმპიადაზე მივდივარ და შენი ცხვირსახოცი გამომიგზავნეო. ნაცნობ მფრინავს გავატანე, ვთხოვე, დომოდედოვოს აეროპორტის ცნობათა ბიუროში დაეტოვებინა. მეორე დღეს კვლავ მირეკავს იგუმენოვი: ცხვირსახოცი სად არისო? ახლა უკვე თავად გადავფრინდი მოსკოვში. მაინც ვერ ვიპოვეთ... იგუმენოვი მიუნხენში თილისმის გარეშე წავიდა. იგი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი იყო და ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებობდა, მაგრამ მიუნხენშივე, შეჯიბრების დაწყებამდე ნეკნი გაიტეხა და ექიმებმა ტურნირიდან მოხსნეს. მოგვიანებით ერთმანეთს რომ შევხვდით, ვიქტორმა მითხრა: რომან, ყველაფერი კანონზომიერია, მე და შენ კარიერა დავამთავრეთ, ცხვირსახოცი აღარ გვჭირდება და ამიტომაც დაიკარგაო. ვინ იცის, ეგებ მართლაც სამართლიანი იყო ცხვირსახოცის დაკარგვა... ■

ერუდიტი

„ნაკლებად ერუდირებული“ ტელეჟურნალისტი

როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანს, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს ბავშვობაში ზღაპრებს დედა უკითხავდა. მეორე კლასიდან სწავლა ინგლისურ კოლეჯში გააგრძელა, სადაც ახალი საგნის — მეცნიერების შესწავლა დაიწყო და სამეცნიერო ჟანრის ლიტერატურისადმი ინტერესი გაუჩნდა. უყვარს ფანტასტიკაც. სქელტანიანი მხატვრული ნაწარმოებები ნაკლებად ხიბლავს და აღიარებს, რომ ცოტათი ზარმაცია. ავტორები, რომლებმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს, კნუტ ჰამსუნი და აკაკი წერეთელი არიან. „შიმშილისა“ და „გამზრდელის“ წაკითხვის შემდეგ, საკუთარ თავში ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინა, რაზეც მანამდე არ უფიქრია.

„მინდა ცოდნა გავიღრმავო...“

პრეამბულის მაგივრ

— ვასო, პროფესიით ჟურნალისტი ხარ?

— არა, პოლიტოლოგი ვარ. უნივერსიტეტში თავდაპირველად, ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, მერე პოლიტოლოგიაზე გადავედი. 3 წლის მანძილზე I არხზე, „მოამბეში“ ვმუშაობდი; შემდეგ „რუსთავი 2“-ის მიერ გამოცხადებულ კასტინგში ვმონაწილეობდი და ამიყვანეს კიდეც. მას მერე ცხოვრება ახალი რეჟიმით დავიწყე. ბევრს ჰგონია, რომ ადრე ადგომა რთულია, მე კი ადრე დაძინება უფრო მიჭირს — ჩემი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ამას ვერასდროს ვახერხებ.

— ეკა სამხარაძე როგორი მეწყვილეა?

— გამოცდილი ჟურნალისტია. მგონი, ჩვენი სახით კარგი ტანდემი შედგა. ეკა დადებითი ადამიანი და კარგი მეგობარია.

— ბევრი მეგობარი გყავს?

— ძალიან ბევრი — არა. მეგობრობაში მთავარი ურთიერთგაგებაა. ისინი, ვინც ცხოვრების გამოცდას უძლებენ, შენ გვერდით რჩებიან, დანარჩენები კი იფილტრებიან.

— შენს შემთხვევაში, ამ ფილტრში ბევრი მოყვა?

— საბედნიეროდ, არა. ბავშვობის მეგობრების უმეტესობასთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

— შენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— მიმაჩნია, რომ ნაკლებად ერუდირებული ვარ და მინდა, ცოდნა გავიღრმავო. კალიფორნიაში არის კინოაკადემია. ჰოდა, თუ ბედმა გამიღიმა, მინდა, იქ ჩავაბარო — კინოსა და მედიამენეჯმენტის განხრით ვისწავლი.

— წარმატებას გისურვებ! ახლა კი კითხვარზე გადავიდეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია გოგი თუშურაშვილი?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, ამ მოთხრობის მიხედვით ფილმიც არის გადაღებული.

— „კუკარაჩა“.

— რა ერქვა მეფის მიერ ბოძებულ საბუთს ძველ საქართველოში?

— ეტრატი; არა, არა, ეტრატი სხვა რამეა.

— სიგელი ერქვა. ანდაზის მიხედვით, თურაშაულის პატრონი ტყეში რას ეძებდა?

— არ ვიცი, ამ ანდაზას ვერ ვიხსენებ.

— პანტას. „სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი/ სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა/ და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს/ შარავანდედი გადაჰფენოდა“, — ვის აღწერს ასე ილია ჭავჭავაძე?

— ვერ გიპასუხებ.

— მისი ერთ-ერთი პოემა უნდა გაიხსენო.

— ამ აღწერილობით მის ვერც ერთ გმირს ვერ ვიხსენებ.

— ვერც განდეგილს?

— ა! წესით, ამ კითხვაზე უნდა მეპასუხა.

— ელ გრეკო, მურილიო, გოია — ამ ესპანელ მხატვართაგან, რომელი იყო წარმოშობით ბერძენი?

— ალბათ, ელ გრეკო იყო. ეს ჩემი სავარაუდო პასუხია.

— ნამდვილად ასეა! ეს პოეტი კოჭლი იყო, მაგრამ ამავე დროს, შესანიშნავი მოფარიკავე, მოჯირითე, მოცურავე გახლდათ.

— ქართველი პოეტია?

— არა, უცხოელია. მისი ნამდვილი სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი. ჩვენ მას ფსევდონიმით ვიცნობთ.

— ბაირონი.

— კვირის რომელ დღეს გასცეს ქრისტე?

— ოთხშაბათს.

— რა ნათესაური კავშირი არსებობდა ქართლის მეფე ლუარსაბ II-სა და გიორგი სააკაძეს შორის?

— არ ვიცი.

— გიორგი სააკაძე ლუარსაბ II-ის სიძე ანუ დის ქმარი იყო. ძველ რომში, კანონების სათაურები დიდი წითელი ასოებით იწერებოდა და ამ წარწერას სახელი ერქვა. ეს სიტყვა დღესაც გამოიყენება, განსაკუთრებით, ბეჭდურ მედიაში. რომელ სიტყვაზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— „რუბრიკა“. ვინ იყო აკაკი წერეთლის მეუღლე?

— არც ეს ვიცი.

— ნატალია ბაზილევსკაია, მათ შვილს კი ალექსი ერქვა. რამდენი წამია საათში?

— (*ანგარიშობს*) 3600.

— მექსიკაში — ყვითელი, ბრაზილიაში — მეწამულისფერი, საქართველოსა და ევროპაში — შავი, აღმოსავლეთ აზიაში — თეთრი... რას აღნიშნავენ ამ ფერებით?

— სამგლოვიარო ფერებია.

— რუსთველი ამბობდა: „თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი...“

— „...ბულბული ჰგონია“.

— მამაკაცის მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი მოდაში XV საუკუნის ბოლოს შემოვიდა, ამ საქმეში კი დიდი წვლილი საფრანგეთის მეფეს, შარლ VIII-ს მიუძღვის. რატომ?

— ალბათ, ფეხებზე თითები არ ჰქონდა.

— პირიქით, მას ფეხზე 6 თითი ჰქონდა. ვინ ასრულებს მთავარ როლს ქართულ მხატვრულ ფილმში — „არსენა“?

— ვერ გიპასუხებ.

— სპარტაკ ბაღაშვილი. რა გვარი იყო ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი, რომელსაც მხედველობის თანდაყოლილი დეფექტი ჰქონდა?

— არ ვიცი.

— დეფექტში ფერების აღქმის ნაწილობრივ უუნარობას ვგულისხმობ.

— მაინც ვერ გიპასუხებ.

— დალტონი. რომელ საკვებ პროდუქტს ყიდდნენ შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც ტკივილგამაყუჩებელ და დაღლილობის საწინააღმდეგო წამალს?

— (*ფიქრობს*) პასუხის გაცემა მიჭირს.

— მიგანიშნებ. ამ პროდუქტს ახლაც ვიყენებთ, მაგრამ აფთიაქებში აღარ იყიდება.

— ვერ გიპასუხებ.

— შაქარს. რომელი ყვავილია გამოსახული ბურბონთა სამეფოს საგვარეულო გერბზე?

— შროშანი.

— რომელი არხი აკავშირებს ხმელთაშუა და წითელ ზღვებს?

— (*ფიქრობს*).

— კითხვას შევცვლი — რომელ ზღვასთან აკავშირებს წითელ ზღვას სუეცის არხი?

— (*იცინის*) ხმელთაშუა ზღვასთან ანუ წინა კითხვის პასუხი სუეცის არხი ყოფილა.

— რა ერქვა კრეტის მეფის — მინოსის ასულს, რომლის ძაფის დახმარებითაც თეზევსმა ლაბირინთის დააღწია თავი?

— ვერ გიპასუხებ.

— არიადნა. საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები — წულრუღაშენი, ქვეშის ციხე, ორბელიანთა კარის ეკლესია?

— (*პაუზის შემდეგ*) აღმოსავლეთ საქართველოშია?

— დიახ. მიგანიშნებ, ამ რაიონიდან სულხან-საბა ობელიანი იყო.

— ბოლნისი.

— ვინ ასრულებს მილიციელის როლს ფილმში — „ქვევრი“?

— ეროსი მანჯგალაძე.

— რომელ ქვეყანას არა აქვს ზღვაზე გასასვლელი — ეკვადორს, ბოლივიას, ჩილეს თუ ურუგვაის?

— ბოლივიას.

— დიახ. ვინ არის პირველი ქართველი ქალი, რომლის სახელიც გინესის წიგნში შეიტანეს?

— ნონა გაფრინდაშვილი.

— ცდები, მაია ჩიბურდანიძე — როგორც ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი. ვინ იყო თეთრი სახლის პირველი მკვიდრი პრეზიდენტი?

— არ ვიცი.

— ჯონ ადამსი. რომელ კონტინენტს უწოდებენ მეცნიერთა და მკვლევართა კონტინენტს?

— ანტარქტიდას, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო სადგურებია თავმოყრილი.

— ვინ იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლე?

— ოლღა გურამიშვილი.

— დასახელე პირველი საბჭოთა ფილმი, რომელიც „ოსკარით“ დაჯილდოვდა.

— „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.

— რომელ ქვეყანაზე გადის მტკვრის ყველაზე დიდი მონაკვეთი — საქართველოზე, თურქეთსა თუ აზერბაიჯანზე?

— ალბათ, ჩვენს ქვეყანაზე.

— რა თქმა უნდა! რომელია ბეთჰოვენის მშობლიური ქალაქი?

— არ ვიცი.

— ბონი. ამ ფრანგი მწერლის ბაბუა მარკიზი გახლდათ, ხოლო ბებია — შავკანიანი მონა ქალი. დასახელე იგი.

— ვერ დავასახელებ.

— ალექსანდრე დიუმა (უფროსი). აქვს თუ არა აქლემს სწორი ხერხემალი?

— მიუხედავად კუზიანი ზურგისა, აქლემს სწორი ხერხემალი აქვს.

— ვისი მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „ქვევრი“?

— ლუიჯი პირანდელოს მოთხრობის ეკრანიზაციაა.

— „ღამის წყვდიადში ჩაფლული,/ გამტკნარებულის სახითა,/ მოსჩანს ქრისტეთის მიდამო,/ სალის კლდეების ტახტითა“, — ვაჟა-ფშაველას რომელი ნაწარმოები იწყება ამ სტროფით?

— ვერ ვიხსენებ. ამავე ნაწარმოებიდან სხვა სტროფს ვერ მეტყვი?

— „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,/ კაცი რომ მიდის გზაზედა,/ გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,/ ვიწრო ბილიკი კლდეზედა?“

— (*ფიქრობს*) „სტუმარ-მასპინძელს“ მახსენებს.

— გამოიცანი. რომელ კონტინენტზე მდებარეობს სენტინელის მთათა სისტემა?

— ანტარქტიდაში.

— ამ ქვეყნის ფართობი 400 ათასი კვკმ-ია, მოსახლეობა — 9 მილიონი კაცი, რელიგია — პროტესტანტობა, ფულის ერთეული — ევრო, მმართველობის ფორმა — კონსტიტუციური მონარქია; ქვეყანა 21 გუბერნიად იყოფა და 6 ივნისი მათი ეროვნული დღესასწაულია — დასახელე ეს ქვეყანა და მისი დედაქალაქი.

— რთული კითხვაა...

— მიგანიშნებ, მას ნორვეგია ესაზღვრება. ცისფერ ფონზე გამოსახული ყვითელი ჯვარი ამ ქვეყნის დროშაა.

— შვედეთი ხომ არა?

— დიახ. მისი დედაქალაქიც უნდა დამისახელო.

— სტოკჰოლმი.

— რომელ სახელმწიფოშია ავიამშენებელი კონცერნი „ბოინგი“?

— აშშ-ში.

— მორუა, პერო, სიმენონი, ბოკაჩო — ჩამოთვლილ მწერალთაგან, რომელია იტალიელი?

— ბოკაჩო.

— რომელი მდინარის აუზია ყველაზე დიდი (შენაკადების ჩათვლით)?

— ალბათ, ამაზონის, არა?

— რა თქმა უნდა! დაბოლოს, დასასრულე ჩინური ანდაზა: „იცხოვრე ყოველდღე ისე, თითქოს ეს შენი უკანასკნელი დღეა და დაისახე ისეთი გეგმები, თითქოს...“

— ვერ დავასრულებ.

— „...წინ მარადისობაა“.

ერუდიტი +

1. ჯერომ სელინჯერი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და იდუმალებით მოცული მწერალი გახლდათ — იგი რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. მისი ცნობილი ნაწარმოები — „თამაში ჭვავის ყანაში“ პირველად 1951 წელს გამოქვეყნდა; მწერალმა უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის მსოფლიო კულტურაზე.

2. ტიბეტის იმპერია VII საუკუნეში დაარსდა, ხოლო 787 წელს მათი სახელმწიფო რელიგია ბუდიზმი გახდა. XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნის დასაწყისში ბერმა ძონკაბამ ახალი ბუდისტური სექტა, გელუგმა (ყვითელქუდიანები) დააარსა; XVI საუკუნიდან მისი მეთაური დალაი-ლამას ტიტულს ატარებდა.

3. ყოველი ომის შემდეგ ბრიტანელი ჯარისკაცები რაიმე ახალს მატებდნენ თავიანთ ჩაცმულობას. მაგალითად, დათვის ბეწვის ქუდები ინგლისელებმა ნაპოლეონის გვარდიის ჯარისკაცებისგან გადაიღეს, შუბიანი ჩაჩქანი კი — გერმანელებისგან.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის „შლაფროკი“?
2. დაასრულეთ გოეთეს სიტყვები: „არსებობს მშვიდობიანი ძალადობის ორი ფორმა: კანონი და...“
3. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე ვწყვეტ, ვინ არის აქ ებრაელი და ვინ არა“?
4. 1986 წელს ბანგლადეშში, ორმა მტრად გადაკიდებულმა ოჯახმა ოცწლიან შუღლს ქორწინებით დაუსვა წერტილი. რა სტატუსით აღმოჩნდნენ ახალდაქორწინებულები გინესის რეკორდების წიგნში?
5. ფსიქოლოგთა რჩევით, ლონდონის მეტროპოლიტენში წარწერა — „გასასვლელი არ არის“ — ყველგან შეცვალეს წარწერით — „გასასვლელი მოპირდაპირე მხარესაა“. რა მიზნით?
6. ლონდონის ერთ-ერთი სუპერმარკეტი იმითაა განთქმული, რომ იქ აბსოლუტურად ყველაფრის ყიდვა შეიძლება. 1980 წელს ეს მაღაზია რონალდ რეიგანმა მოინახულა და გამყიდველს ხუმრობით ჰკითხა, — თქვენთან სპილოს ყიდვა თუ შეიძლებაო? რა უპასუხა გამყიდველმა?
7. რა არის „გომიჯი“?
8. რამდენ სერიად არის გადაღებული ამერიკული ტელესერიალი — „სანტა-ბარბარა“?
9. რა არის „იატაგანი“?
10. რა არის „ისრიმი“?
11. დაასახელეთ ცხოველი, რომლის კანიც ისეთი სქელია, რომ აფრიკული ტომები მისგან ფარებსაც კი ამზადებდნენ.
12. რა არის „ნაალი“?

* * *

მთვრალი კაცი საპირფარეშოში შესვლისას შარვალში იქექება.

— რამდენჯერ უნდა ვუთხრა ჩემს ცოლს — აიღებ რაღაცას, იხმარ, დადე, რა, თავის ადგილზე!

* * *

კახელმა ოქროს თევზი დაიჭირა.

— ოღონდ გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ.

მიხო დათანხმდა და ახლა მას

სახლში სამი დედალი ვირი ჰყავს.

* * *

რუსეთის სოფელში:

— დედაა! მერძევეა მოსული!.. ფულს მისცემ თუ გავისეირნო ნახევარი საათით?!

* * *

ბიჭი კომპიუტერს აღარ შორდება. შეშფოთებული მშობლები ექიმს მიაკითხავენ.

— თქვენი შვილის მკურნალობა მომიწევს!..

— რითი, ექიმო?

— ვისკით, სიგარეტით და ქალებით!..

* * *

ინდიელი მამა შვილს მოძღვრავს:

— მომისმინე, შვილო, თუკი ფერმკრთალი გოგონა ოდესმე გეტყვის, — რაც გინდა, ის მიქენიო, აუცილებელი არ არის, სკალპი ახადო.

* * *

ქალის გვერდით მანქანამ დაამუხრუჭა.

— დაბრძანდით, ქალბატონო, წაგიყვანთ. მე ისეთი მძღოლი არ გეგონოთ, ზოგიერთები რომ არიან, მარტო ახალგაზრდა და ლამაზი ქალები რომ მიჰყავთ.

* * *

ავტოინსპექტორმა მანქანა გააჩერა და დაინახა, რომ საჭესთან მისი ყოფილი მასწავლებელი ზის.

— გამარჯობა, ნინო მასწ. აბა, ახლა აიღეთ კალამი, რვეული და ორმოცდაათჯერ დაწერეთ: „მე არასოდეს დავარღვევ მოძრაობის წესებს!“

* * *

— რა ღირს თქვენი ძაღლი?

— ხუთასი დოლარი.

— ერთგულია?

— ძალიან! უკვე მეხუთედ ვყიდი.

* * *

ავტობუსი გადაჭედილია. ამოდის მოხუცი ქალი. ავტობუსში მჯდარი ბავშვი თანაგრძნობით ეკითხება:

— ბებო, ფეხები გტკივა?

— კი, შვილო, მტკივა.

— ბავშვობაში მოხუცებულებს ადგილს უთმობდი?

— კი, ვუთმობდი.

— ჰოდა, მაგიტომაც გტკივა.

* * *

— ჭამე, შვილო, პური!

— არ მიყვარს პური.

— ჭამე და დიდი, ღონიერი გაიზრდები.

— რაში მჭირდება?

— პურის ფული რომ იშოვო.

— ხომ გითხარი, პური არ მიყვარს-მეთქი!

* * *

დიალოგი ავტობუსში:

— ახალგაზრდავ, უკვე მეოთხე გაჩერებაა, მეხუტები!

— რა ვქნა?!

— ქენი რამე!

* * *

ორი გურული ერთმანეთს შეხვდა:

— რაფერაა, ძამა, ქვეყნის საქმე?

— მაი არაა ჩემი საქმე!

— რაფერაა შენი საქმე?

— მაი არაა შენი საქმე!..

* * *

ქმარი ტელევიზორის წინ მოხერხებულად მოკალათდა და ცოლს გასძახა:

— ძვირფასო, ვიდრე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყებოდეს, ჩემთვის რაიმის თქმა ხომ არ გინდა?..

* * *

სექსში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება.

კომენტატორი:

— არენაზეა ამერიკელი! ერთი ქალი, ორი ქალი, სამი ქალი... დაიღალა!

გამოდის რუსი.

— ერთი ქალი, ორი ქალი, სამი ქალი, ოთხი ქალი... დაიღალა!

გამოდის სვანი.

— ერთი ქალი, ორი, ქალი, სამი ქალი, ოთხი ქალი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა... ორმოცდაათი... ასი... ორასი... მთავარი მსაჯი... დამხმარე მსაჯი... მარცხენა ტრიბუნა... მარჯვენა ტრიბუნა... კარი დახურეთ!.. ااااااااا!!!

* * *

მეგრელი აღშფოთებულია:

— რა ქნა მაინც ასეთი ამ ლენინმა, კაცო, ერთი „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა და არ წაიღო ტვინი?!

— არა, ჯო, მაგი რუსთაველმა დაწერა! — ანათლებს კახელი.

— ხოხ... წემ ბოლეე!

* * *

ზარი კარზე.

— გამარჯობათ, მე პიანინოს ამწყობი ვარ.

— მე რომ არ გამომიძახებიხართ?!

— ვიცი, თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს.

* * *

მთვრალი მიხო ქუჩაში მობანცალებს და თავისთვის ბურტყუნებს:

— სამყაროს აბსოლუტური ცენტრი ვარ... ყველაფერი ჩემ ირგვლივ ტრიალებს...

* * *

მიტო მიხოს ეუბნება:

— გავიგე, ძალზე პატარა გქონია.

— შენს ცოლს უთხარი, ენას კბილი დააჭიროს!

* * *

— ხომ დამპირდი, სასჯელს გაგინახევრებო, რატომ მომატყუე? — ეჩხუბება ნაზიკო ადვოკატს.

— რა გაყვირებს, ქალო?! მე რა უნდა მექნა — პროცესზე ხმა არ ამომაღებინე, სულ შენ ლაპარაკობდი!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. საშინაო ხალათი.

2. „...წესიერება“.

3. გერმან გერინგს.

4. როგორც ყველაზე ახალგაზრდა წყვილი მსოფლიოში: ქორწინებისას სიძე 11 თვის გახლდათ, პატარძალი — 3-ის.

5. რათა შემცირებულიყო თვითმკვლელობათა რაოდენობა.

6. „აფრიკულ სპილოს ინებებთ თუ ინდური მოგართვათ?“

7. ნაღვერდალში გამომცხვარი უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური.

8. 2045 სერიად.

9. მოკლე, მოღუნული, ორპირი მახვილი.

10. მკვახე, უმწიფარი ყურძენი.

11. ბეჰემოთი.

12. „ლეიბი“ და „ნააღი“ სინონიმებია.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

25-31 მარტი

ვაზარი:
თუ არ გსურთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდეთ, მასთან ერთად მეტი დრო გაატარეთ, გაანებივრეთ საჩუქრებითა და რომანტიკული სიურპრიზებით.

ჯუარი:
კარგი პერიოდია საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად, რემონტის დასაწყებად. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ტყუპები:
სასიამოვნო შეხვედრებით დატვირთული კვირა გელით. შესაძლოა, რომანტიკულ ვახშამზეც მიგიწვიონ. ელექტროსაგნების გამოყენებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

კიბიზსი:
იმისათვის, რომ არ დაზარალდეთ, საქმიან კონტრაქტებს იურისტის გარეშე არ მოაწეროთ ხელი. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ.

ლომი:
კარიერაში წარმატება გელით. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა. დასვენების დღეები ქალაქგარეთ გაატარეთ.

ქალწული:
შესაძლოა, ახალი შემოსავლის წყარო გაგიჩნდეთ, მაგრამ ამაზე ყველასთან ნუ ილაპარაკებთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

სასწორი:
მეგობრებთან ერთად, ახალ ბიზნესპროექტს წამოიწყებთ. დასვენების დღეები ახლობლებთან ერთად გაატარეთ. საყვარელ ადამიანს ეჭვიანობით ნუ შეაწუხებთ.

მორიგები:
გადატვირთული და დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, შესაძლოა, ჯანმრთელობა გაგიუარესდეთ. ხშირად დაისვენეთ და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

მშვიდმიზანი:
თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაფუჭება არ გსურთ, მეგობრებს ყველაფერს ნუ მოუყვებით. დასვენების დღეები თანამოაზრეებთან ერთად გაატარეთ.

ოხიანი ჩქმა:
სამსახურში ახალ იდეებს განახორციელებთ. ოჯახის წევრებთან სიჯიუტესა და სიმკაცრეს ნუ გამოიჩენთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

მეჩხუუდი:
ეს პერიოდი დასვენებისთვის გამოიყენეთ, საყვარელ ადამიანთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ, მოიწყვეთ შოპინგი და მეტი დრო დაუთმეთ შვილებს, მშობლებს.

ოლეგზეტი:
ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლეთ, ახალი იდეების განხორციელება კი მომავალი კვირისთვის გადადეთ. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას.

პაუზარები მენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

2 წლის შოთიკო ჟორჟოლიანი დედამ ბაზრობაზე წაიყვანა.
— ცხელი შოთი, ცხელი შოთი!..
— ჩამოატარა ვიღაცამ პური.
— დედიკო, მე ცხელი ლომ ალ ვალ? — „გააპროტესტა“ შოთიკომ.

პატარა ნინო და თეკლა ეზოში თამაშობდნენ. უეცრად, წვიმა წამოვიდა.
— თან წვიმს, თან — მზეა?! — გაუკვირდა ნინოს.
— ასეთ დროს ამბობენ, მზე პირს იბანსო, — აუხსნა ბებომ.
ცოტა ხნის შემდეგ თეკლა უფროსებს ეკითხება:
— მზე რას ჭამს?
— არაფერს, — უპასუხა მამიდამ.
— აბა, პირი რატომ უნდა დაიბანოს?

ქობულეთიდან დაბრუნებულ 3 წლის ილონა ჯიქიას ბებო ეკითხება:
— როგორ მოგეწონა, ბებო, ზღვა?
— კალგი იყო, მხოლოდ ბევლი მალილი უქნიათ.

3 წლის ხათუნა ფეიქრიშვილის ბიძა ბორჯომში გაემგზავრა.
— მერე კოკა-კოლაშიც წავა? — იკითხა ხათუნამ.

3 წლის ბაქარ ხაჩიძეს დაიკო შეეძინა. ბაქარი დედას ეკითხება:
— დედიკო, ეგ ბაია მუცელში იჯდა?
— კი, — უპასუხა დედამ.
— მერე მუცელში სკამი გაქვს?

4 წლის გიორგი ტაბიძე გულამოსკვნილი ტირის. მაგული ბებო ეკითხება:
— რა იყო, ბებო, ვინ გაგაბრაზა?
გიორგი ეუბნება:
— აუ, ახლა ამანაც გაიგო, რომ ვტირიიი!

7 წლის გიორგი ღვინიაშვილმა დილის 8 საათზე გაიღვიძა:
— ასე ადრე რატომ ადექი? — ჰკითხა დედამ.
— სიზმარი დამთავრდა და აბა, რა მექნა?! — უპასუხა გიორგიმ.

1. ხელოვნური ტყავი
2. იგივეა, რაც კონტინენტი
3. ტროპიკული ხილი
4. არემარე, გარემო
5. ფოთლოვანი ხე
6. ყირიმის კურორტი
7. ზევსის სატრფო
8. საჯარიმო შაიბა ჰოკეიში
9. ბზარი
10. ქალაქი საფრანგეთში
11. დაქირავებული მკვლელი
12. კრემიანი ნამცხვარი
13. ვიოლინოს ჯოხი
14. პირის ღრუს უკანა ნაწილი
15. საჭმლის დამზადების ოსტატი
16. ქალაქი საქართველოში
17. ხის აღვირი
18. სამკურნალო დაწესებულება
19. თავბრუ
20. ... მემანიშვილი
21. მატყლის ქსოვილი
22. მანქანის დაზიანება
23. სპორტული ნაგებობა
24. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
25. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
26. მხარე საქართველოში
27. ქრისტეს გამყიდველი
28. იაპონური ელტექნიკის ფირმა
29. ფულის ერთეული იაპონიაში
30. სილამაზის ქალღმერთი რომ. მით.
31. მშვილდით სატყორცნი
32. საგაზეთო წერილი
33. შვედური აუტომობილი
34. ბუდისტური სამლოცველო
35. ისრის წვერი
36. სარკმელი
37. მხალეული მცენარე

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. სულდგმული, 2. გრიპი; 3. მამა; 4. იუტა; 5. ლამბადა; 6. ნათლიმამა; 7. რინგი; 8. თელა; 9. კორიდორი; 10. პა; 11. ბაღდადი; 12. გულადი; 13. მანერა; 14. ოდა; 15. ღელე; 16. ბრეოლინი; 17. ღრეობა; 18. ბალზაკი; 19. კარამელი; 20. ობობა; 21. სინოდი; 22. სკანდალი; 23. დეკორი; 24. ალუბალი; 25. კოზაკი; 26. კოკა; 27. ჯარი; 28. ფიკუსი; 29. კანიბალი; 30. ლირიკა; 31. ნაბიჯი; 32. ფინალისტი; 33. ასაკი; 34. არიფი; 35. კაბერნე; 36. კეფა; 37. ტბა; 38. ტრაბახი; 39. მეტრიკა; 40. სოლ.

სურათებზე: 1. სანდრა ბალოკი; 1. ვინ დიზელი.

საფერმო კროსვორდი

დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	ჩ	ვ	ე	ნ	ს	ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ
დ	ო	ნ	ა	ლ	კ	ი		თ	ლ	Ხ	ბ	ე	Გ	უ	რ		ე	ე	ძ	ი	ნ	ო	ი	ი	ა	

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

დ. ათი დღე; **ა**. ვაზის მოკლედ აჭრილი ორმტევნიანი ლერწი; **ი**. მგალობელი ფრინველი; **ს**. ჩეხი კომპოზიტორი; **ვ**. იტალიელი კომპოზიტორი; **ე**. ვინ არის ბელზებელი; **ნ**. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ე**. ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ...“; **ჩ**. გარეული ფრინველი შაშვისებრთა ოჯახიდან; **ვ**. რა ჰქვია ადვოკატს ქართულად; **ე**. მეგრული კერძი — ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულუგუნი; **ნ**. მიწის სათხრელი იარაღი; **ს*.* საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ქ*.* დარაბა ან შტორი, რომელიც ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ფირფიტებისგან შედგება; **უ*.* ძალზე იშვიათი რამ; **რ*.* გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის ავტორი“; **ნ*.* ბიბლიური პერსონაჟი; **ა*.* მღვდელმთავარი; **ლ*.* რევოლვერის მარკა; **თ*.* ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი ქალი; **ა*.* კარტოფილის სამშობლო; **ნ*.* იაპონური საავტომობილო ფირმა; **ე*.* მთავარი გმირის სახელი მხატვრულ ფილმში „შერეკილები“; **რ*.* ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **თ*.* სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა*.* ტროპიკული ხილი; **დ*.* ჟამი, ხანი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*.* გუთანი; **ა*.* ამალა; **ე*.* ელვა; **რ*.* რეისი; **თ*.* თასმა; **ე*.* ენდრო; **თ*.* თიანეთი; **დ*.* დუმბაძე; **ა*.* ანკარა; **დ*.* დიანა; **ა*.* აორტა; **ი*.* იაგანი; **ს*.* სევანი; **ვ*.* ვიერი; **ე*.* ეტლი; **ნ*.* ნეი; **ე*.* ერთაოზი; **თ*.* თემიდა; **გ*.* გლაზგო; **ზ*.* ზესნახე; **ა*.* აუდი; **ს*.* სკალპი; **თ*.* თასი; **ა*.* არტალა; **ნ*.* ნეილონი; **ე*.* ებრაელი; **რ*.* რიონი; **თ*.* თოდაძე; **ა*.* ალაფი; **დ*.* დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

თავის დამკარგველი თმას დასტიროდაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	6	3	8	4	5	9	1	7
5	4	7	1	6	9	8	2	3
8	9	1	7	2	3	6	5	4
1	2	9	3	8	6	4	7	5
4	8	5	2	9	7	3	6	1
3	7	6	4	5	1	2	9	8
6	3	8	5	1	2	7	4	9
9	5	4	6	7	8	1	3	2
7	1	2	9	3	4	5	8	6

4	3	1	7	5	6	9	8	2
5	2	6	9	8	1	3	4	7
7	8	9	4	2	3	1	6	5
3	7	4	6	9	2	8	5	1
9	1	8	3	7	5	6	2	4
6	5	2	1	4	8	7	3	9
1	4	3	5	6	9	2	7	8
8	6	7	2	1	4	5	9	3
2	9	5	8	3	7	4	1	6

9	5	2	1	3	8	6	4	7
4	7	3	2	9	6	5	1	8
8	6	1	5	4	7	3	9	2
6	9	4	7	8	5	1	2	3
2	8	7	6	1	3	9	5	4
1	3	5	4	2	9	7	8	6
3	1	6	8	5	4	2	7	9
7	2	8	9	6	1	4	3	5
5	4	9	3	7	2	8	6	1

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

** საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

*** რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუთხიოზები

ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყაროა“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!

ეს სამყაროა

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

წიგნების კიდევ ერთი საოცარი სერია „კვირის პალიტრისგან“





ტომი №2 ეგვიპტე

29 მარტიდან - 5 აპრილამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

სერია „ეს სამყაროა“-ს I ტომი „რაინდები და ციხე კოშკები“ გაყიდვაშია წიგნების მაღაზიებში